ჯორჯ ორუელი

პატივი კატალონიას

გახსენით ლინკი და მოიწონეთ გვერდი

https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/

Contents

ჯორჯ ორუელი 1
პატივი კატალონიას 1
სამყარო ღრმა ძილში 2
თავი I 15
თავი II 25
თავი III 31
თავი IV 43
თავი V 50
თავი VI 63
თავი VII 75
თავი VIII 80
თავი IX 90
თავი X 113
თავი XI 125
თავი XII 140
დანართი I 155
დანართი II 176

სამყარო ღრმა ძილში

დაბადების ადგილი შეიძლება სამშობლოდ არ იქცეს, მაგრამ გარემო, ლანდშაფტი, ირგვლივ მყოფი ადამიანები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს. ყოველ შემთხვევაში, ჯორჯ ორუელთან ასე მგონია. ხასიათისა არ იყოს, დაბადების ადგილიც ბედისწერაა...

ინგლისელი მწერალი ორუელი ინდოეთში დაიბადა, მოტიხარაში, საშუალო შემლების არისტოკრატიულ ოჯახში. სწავლა წმ. კვიპრიანეს სახელობის სკოლაში განაგრძო. ამ პერიოდში მან სახელობითი სტიპენდია მიიღო და იტონის სამეფო კოლეჯშიც ჩააბარა. ეს იყო ყველაზე პრესტიჟული კერძო სასწავლებელი ვაჟებისათვის. იტონის დამთავრების შემდეგ აღარც სტიპენდია ჰქონია და აღარც უნივერსიტეტში გაუგრძელებია სწავლა. და უცებ, სხვათათვის სრულიად მოულოდნელ ნაბიჯს დგამს. მუშაობას ბირმის პოლიციაში იწყებს. ორუელმა ბირმული ენა შეისწავლა და ინტენსიური, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა უბრალო მოსახლეობასთან.

არაფერი ქრება უკვალოდ, მით უფრო – ბავშვობისა და ყრმობის წლები. ვინ იცის, რამდენჯერ შეძრულა მოზარდის მგრძნობიარე გული მზით დამწვარი და სიღარიბით განაწამები ადამიანების უსამართლოდ დასჯის გამო. კიპლინგისაგან განსხვავებით, ორუელი, როგორც თეთრი რასის წარმომადგენელი, თავს ყოველთვის დამნაშავედ გრძნობდა ინდოელების წინაშე. იგი ნამდვილ შემოქმედად იყო დაბადებული, თანასწორობისა და თავისუფლების საყოველთაო იდეა რელიგიის რანგში ჰქონდა აყვანილი და ისევე ეთაყვანებოდა, როგორც თაგორი და განდი.

პოლიციაში მუშაობის წლები დიდი ცხოვრებისეული სკოლა გამოდგა. მას ხომ იმ პერიოდში ორი ათასი ადამიანის უსაფრთხოება ებარა. არა მგონია, ორუელის სამართლიან ბუნებას სხვაგან მთელი სიმძაფრით ასე დაენახა, გაეანალიზებინა კანონისა და სასჯელის ერთგვარი პირობითობა; ეგრძნო, რას ნიშნავს, როცა უსამართლოდ გსჯიან და გამკითხავი არავინაა; ეგრძნო, რომ არა მხოლოდ ბელადს შეუძლია უკარნახოს ხალხის მასას თავისი ინტერესები, არამედ ბრბოსაც შესწევს ძალა, საკუთარი სურვილებისამებრ მეთაური მძევლად აქციოს და აქეთ-იქით ატრიალოს.

ხუთი წელი იმუშავა პოლიციაში და რომ არა ციების საშინელი შემოტევები, ალბათ, მისი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი კიდევ კარგა ხანს შერჩებოდა ამ ადგილს. დახმარებისა და სამართლიანობის გრძნობასთან ერთად იქნებ ორუელს თავისი ნამდვილი მოწოდებაც აიძულებდა, სხვა მხრივაც, უფრო მასშტაბურად ემოქმედა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა მისი მოგონებებიდან ერთი ამონარიდი: «მქონდა რაღაც ბუნდოვანი,

წარმოდგენისმაგვარი ჩემს სამწერლო მოწოდებაზე, მაგრამ უფრო იმიტომ წამოვედი, რომ აღარ შემეძლო მემსახურა იმპერიისათვის, რომლის მძარცველი ხასიათი ბოლომდე შევიცანი».

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა რამდენიმე წლის განმავლობაში ორეულის გატაცება ჯეკ ლონდონით. ორუელს განსაკუთრებით უყვარდა მისი წიგნი «ფსკერის ადამიანები». იმდენად უყვარდა, რომ ბიოგრაფები ირწმუნებიან, სწორედ ამ წიგნის გავლენით გადაწყვიტა ფსკერის ცხოვრებით ეცხოვრაო. ამ ვარაუდს მწერლისავე სიტყვებით ამაგრებენ: «მე თავად მინდოდა ბოლომდე დაცემა და ფსკერის ადამიანად ქცევა, მსურდა, ვყოფილიყავი ერთ-ერთი მათგანი – განკიცხულთაგანი და მის გვერდით ვმდგარიყავი ტირანიასთან ბრძოლაში».

ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ საყვარელი მწერლის გავლენის გარეშეც შესანიშნავად დასტურდება, რომ ორუელის მთელი ცხოვრება, სამართლიანობისათვის თვითშეწირვამდე ბრძოლა გოლგოთის გზაა და დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს არის მისი ბუნების უმთავრესი ნიშანი, ტვიფარი თუ დამღა. ამ ყოველივეს ისიც მოწმობს, რომ მტკიცე გადაწყვეტილებით მიემგზავრება პარიზში, სადაც შეეძლო მშვიდად დარჩენილიყო იქ მცხოვრები დეიდის მეურვეობის ქვეშ... ულამაზეს ქალაქში – ხელოვნების მექაში, სრული თავისუფლებით დამტკბარიყო და ამ ფონზე წარმართულიყო მისი შემოქმედებითი ძიებები, ინტერესები, ექსპერიმენტები... ნაცვლად ამისა, ვულფივით პარიზის მუშათა კვარტალში დასახლდა და ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. ამავე წლებში იწყებს ანრი ბარბიუსის ჟურნალთან თანამშრომლობას, ზედიზედ ბეჭდავს მოთხრობებს, რომელთა მთავარი თემა და მოტივები სწორედ ე.წ. ფსკერის ადამიანებს ეხება; წერს უმუშევრებზე, მაწანწალებზე, მეძავებზე, ლოთებზე, ღატაკებზე.

ლიტერატურათმცოდნეთათვის ეს გავლენები და თემებია, მაგრამ ნამდვილი შემოქმედისათვის ასეთი ტიპების გვერდით ცხოვრების სურვილი თანდაყოლილი

მწერლური (იქნებ ადამიანური?!) პატიოსნება უფრო მგონია, ზედმიწევნითი სიზუსტით შეისწავლო და განიცადო ის ფიქრები, ემოციები, ნაბიჯები, ქმედებები, რითაც ეს ფენა არსებობს და სულდგმულობს; არც შენი თავი მოატყუო და მკითხველსაც ზუსტად გადასცე, გული რომ მოულბო და ცხოვრება სხვა კუთხითაც დაანახო.

რა არის ეს, რა ჰქვია მწერლის ამ გარჯას, თუ არა ადამიანის სიყვარული. ცნობილი ფაქტია, რომ ერთხელ ორუელმა ქუჩაში დებოშიც კი ატეხა, რათა შობას ციხეში შეხვედროდა: ციხის ცხოვრების გამოცდილების უკმარისობას მწვავედ განვიცდიდიო. რომ არა მოყვასის დიდი სიყვარული და მისი ბოლომდე გაგების მძაფრი სურვილი, ვინ იცის, რამდენი საბედისწერო ნაბიჯი აღარ

გადაიდგმებოდა ორუელის ცხოვრებაში. ორუელს აღიზიანებდა მხოლოდ აბსტრაქტული, უპიროვნო ცნებები, თუ მას პრაქტიკული საქმეებიც არ უმაგრებდა ზურგს. ამის გარეშე ყოველგვარი დარიგება და მოწოდება ეგზალტირებულთა ლოზუნგებად რჩებოდა. ორუელი უკვე ხედავდა სიტყვისა და საქმის კატასტროფულ, ტოტალურ დაცილებას, რაც ბევრისთვის შეუმჩნევლად ფეხს იკიდებდა მთელ სამყაროში. ეს განსაკუთრებით კომუნისტების

ნაბიჯებით ცხადდებოდა. არადა, სამყაროს თანასწორუფლებიანი მოწყობის არსი თეორიულად არაჩვეულებრივად სწორედ კომუნისტებს ჰქონდათ ჩამოყალიბებული, მაგრამ რეალობაში ისეთი ნაბიჯები გადადგეს, კომუნიზმიც ფაშიზმად აქციეს.

ეს ფატალური პროცესი ორუელმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაინახა და საკუთარი ხელწერის მქონე უძლიერეს ნაწარმოებებში გადმოსცა. საკმარისია გავიხსენოთ რომანი «1984», რომელიც (კამიუს «შავი ჭირისა» არ იყოს, ფაშიზმის სიმბოლოდ რომ აღიქმებოდა) საბჭოთა კავშირის ამსახველ წიგნ-მეტაფორად იყო მიჩნეული. ორუელი ერთგვარ გაფრთხილებას იძლეოდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ ტოტალიტარიზმის იდეა საყოველთაო, საერთო იდეაა და იგი, როგორც წესი, ინტელექტუალთა ტვინებში ცოცხლობს და ანთია. ცხადია, არც ისაა შემთხვევითი, რომ რომანში «1984» მოქმედება ინგლისში მიმდინარეობს, რითაც ორუელმა კი არ მიანიშნა, არამედ პირდაპირ უთხრა სამყაროს – «ინგლისურენოვანი ერები არაფრით უკეთესნი არ არიან დანარჩენ ერებზე და ტოტალიტარიზმს თუ ბრძოლა არ გამოუცხადეს, მას ყველგან შეუძლია გამარჯვება».

მწერლის თვალსაზრისისა თუ რწმენის საყოველთაობა იმანაც დაადასტურა, რომ რომანი «1984», რომელიც თავდაპირველად დიდი გაჭირვებითა და სიფრთხილით ათასიანი ტირაჟით ძლივს დაიბეჭდა ამერიკაში, 1948 წელს, გარდაცვალებამდე სულ რაღაც წელიწად-ნახევრით ადრე, ავადმყოფმა ორუელმა უკვე შეიტყო ამ წიგნისადმი მკითხველთა გასაოცრად მზარდი ინტერესი. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ რომანი მსოფლიოს სამოც ენაზე ითარგმნა და მილიონობით ტირაჟით გამოიცემა.

ინტერესი არ მოკლებია ორუელის მეორე წიგნსაც «ცხოველების ფერმა», რადგან ბოლშევიკებმა იგავ-რომანში, აშკარად იცნეს საკუთარი თავი, საბჭოთა კავშირში ამ ნაწარმოებს წლების განმავლობაში ედო ტაბუ.

ამბოხებული ცხოველები იგივე ადამიანები არიან, რომლებიც სამართლიანობის სახელით რევოლუციას აწყობენ, მაგრამ ამის შედეგად არაფერიც არ იცვლება, გარდა იმისა, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ცხოველები ძალაუფლებით იწყებენ ტკბობას და, საბოლოო ჯამში, ისინიც ტირანებად ყალიბდებიან. ასე რომ, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის გზას ჯორჯ ორუელი უკვე აღარც რევოლუციებში ხედავდა.

«მოიპოვო ჭეშმარიტი თავისუფლება – ნიშნავს, შეხვიდე სულიერ სამყაროში. თავისუფლება სულის თავისუფლებაა... სულიერ სამყაროში შესასვლელად ადამიანმა თავისუფლების გმირობა უნდა ჩაიდინოს», – წერდა ნიკოლოზ ბერდიაევი და ეს სიტყვები მეოცე საუკუნის მწერალთაგან თუ ვინმეს მიესადაგება, სწორედ ჯორჯ ორუელს.

განა «თავისუფლების გმირობა» არ იყო ის, რომ 1936 წლის მიწურულს ორუელი ესპანეთში მიემგზავრება, რათა ესპანეთის რესპუბლიკა ფრანკოს რეჟიმისაგან იხსნას, იმ ფრანკოსაგან, რომელსაც ჰიტლერი და მუსოლინი, როგორც მათი იდეების გამტარებელს, როგორც ერთ-ერთ სერიოზულ თანამოაზრესა და თანამოთამაშეს, ისე უჭერდნენ მხარს. ორუელის სურვილმა ჩვენი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე გამახსენა, გარიბალდის რაზმში მოხალისედ რომ აპირებდა ჩაწერას. ორუელიც მოხალისე იყო, თავდაპირველად სამხედრო რეპორტაჟების გადმოსაცემად რომ ჩავიდა კატალონიაში.

ფაშიზმის გრძნობა, მისი პერსპექტივაში დანახვა, საოცარი სისავსითა და სიზუსტით ამ რეჟიმის შედეგების წინასწარჭვრეტა, ჩემი აზრით, ისე ვერავინ შეძლო, როგორც ჰერმან

ჰესემ და ჯორჯ ორუელმა. თუმც იყვნენ ამ საკითხისადმი (თემისადმი) სხვაგვარად განწყობილი მწერლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მოვალეობის გრძნობის გამო სხვის ომში ჩართვა «იდიოტური ნაბიჯია, ხოლო ფანტაზია იმის შესახებ, რომ ებრძოლო ფაშიზმს, დაიცვა დემოკრატია და ასე შემდეგ, ნამდვილი სისულელეა», – ეს სიტყვები ორუელს პარიზში მისმა კეთილისმსურველმა ჰენრი მილერმა უთხრა, როცა გაიგო, რომ მწერალი ესპანეთში საფრანგეთის გავლით მიემგზავრებოდა.

გულდასაწყვეტია... შემდგომში თავგადაკლული ჰაციფისტისაგან ირონიული შეფერილობის ეს დარიგება ადამიანურად იქნებ გასაგებიც იყოს, მაგრამ მწერლისაგან მაინც ძნელი მოსასმენია.

ფაშისტური გერმანიის მძვინვარების პერიოდში ერთ მხატვარს თურმე სრული სერიოზულობით განუცხადებია: მე მხატვარი ვარ და ვთვლი, თუ შთამომავლობისათვის რამდენიმე ყვავილის შეგროვებას და ტილოზე გადატანას მოვახერხებ, ჩემგან სრულიად საკმარისი იქნებაო.

დანემი შენიშნავს, რომ ამ დროს ფაშიზმის შავი აჩრდილი ეკიდა ევროპის ცაზე და

ესპანეთი იღუპებოდაო. რა თქმა უნდა, მხატვარს გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე ყვავილების შეგროვება და მათი ტილოზე გადატანა იყოო...

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ «მეტის შემძლე» მხატვრებს – გუტუზოს, მუნკის, სალვადორ დალის გულის ძგერასთან მიახლოებული გულის ცემა მაინც უნდა ჰქონოდათ.

ერთხელ პორტუგალიის დიდმა პოეტმა ჟუნკეირომ უნამუნოს პირად საუბარში უთხრა, ესპანეთს პოეტები საერთოდ არ ჰყოლიაო. შემცბარმა უნამუნომ უპასუხა, თქვენ ალბათ პატრიოტებს გულისხმობთო. დიახ, პატრიოტიზმს ვგულისხმობ, რადგან ჩინოვნიკი, სახელმწიფო მოხელე, ბუღალტერი, თვით ფილოსოფოსიც კი შეიძლება არ იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი კი ყოვლად წარმოუდგენელია ამის გარეშე. მე დარწმუნებული ვარ, თქვენი ქვეყანა მალე მოიშუშებს ომის ჭრილობებს, შექმნის სწორ, გონიერ ეკონომიკას, წელშიც გასწორდებით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ესპანეთისათვის საბედისწერო წლებში თქვენ პოეტები არ გყოლიათ, რადგან მათი სასოწარმკვეთი ყვირილი კი არა, უბრალო წუწუნიც კი არ გამიგონიაო.

ყოველივე ამან გალაკტიონის «მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა» გამახსენა, ანდა «დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი»... ამ სტრიქონების ათასნაირი ინტერპრეტაციაა შესაძლებელი ინტელექტუალთა მიერ, მაგრამ «სისხლიან ანგელოსში» მაშინაც და ჩვენი ისტორიის უახლოეს პერიოდშიც, ესპანეთისა არ იყოს, ყოველთვის საქართველო იგულისხმებოდა და იგულისხმება.

მაშ ასე, 1936 წელს ორუელი ესპანეთში, კერძოდ, კატალონიაში ჩადის საგაზეთო წერილების დასაწერად. როგორც მისი ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძნების კაცისაგან იყო მოსალოდნელი, იგი მაშინვე ადგილობრივი მილიციის ქმედით რაზმებს უერთდება, რათა ფრონტის წინა ხაზზე მოხვდეს და უშუალოდ ჩაებას ბრძოლებში; როგორც მწერალმა, მან მთლიანად უნდა იგრძნოს და დაინახოს ომი შიგნიდან, ომი, როგორც სამყაროს გადამრჩენი თუ დამანგრეველი ფენომენი. ამ პერიოდში კატალონიას ისევ ანარქისტები აკონტროლებდნენ, რევოლუციური ტალღები ბოლომდე იყო აგორებული...

ჩასვლისთანავე თვალში საცემია ესპანეთის ფერთა ერთგვარი სიმბოლიკა. მთელ

კატალონიაში ორად ორი ფერი დომინირებს – წითელი და შავი. ამ უეშმაკო ფერებში პირდაპირ იკითხება: შავი – მიწა და წითელი – სისხლი.

სწორედ ამ გამოცდილებითა და აქ ყოფნის შედეგად იწერება ორუელის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები «პატივი კატალონიას». არც კი ვიცი, რომელი ჟანრის კუთვნილებად შეიძლება გამოცხადდეს ეს თხზულება – სამხედრო თუ საველე რომანად? დოკუმენტურ პროზად? თუ ავტობიოგრაფიულ თხზულებად? მსგავსი განსაზღვრებები და ჩარჩოები უაღრესად პირობითი იქნებოდა, იმდენად მრავალმხრივი და განსაცვიფრებელი სიზუსტით დაწერილ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. კითხვის პროცესში მთლიანად იკარგება დროისა და სივრცის პირობითობა და ჩნდება აბსოლუტური განცდა იმისა, რომ შენც ამ ომში მონაწილეობ.

აღარ მახსოვს, რომელ მწერალს უწერია, რომ ჰოლოკოსტის მერე ლიტერატურა შეუძლებელი გახდაო. მაგრამ ორუელის ამ სასტიკ წიგნს სწორედ ეს უცნაურობა

ახასიათებს – ომის კოშმარული პერიპეტიების გავლით იგი სწორედ შეუძლებლის ზღვარს გადალახავს და შესაძლებელს ხდის, დაგვანახოს: თვით გაუსაძლის

პირობებში, ომის ამაზრზენ აბსურდში, ტალახში, სიცივეში, სიბინძურეში, შიმშილსა და სისასტიკეში როგორ შეიძლება გადარჩე არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ გადარჩე პიროვნებად და ღირსება შეინარჩუნო.

დღევანდელი მკითხველისათვის თითქოს რა უნდა იყოს იმაზე მოსაწყენი, რომ მთელი გვერდების მანძილზე ყოველგვარი ინტრიგის, სასიყვარულო, პიკანტური სცენების, ეროტიკის, პათოლოგიური სიტუაციების, ოკულტიზმისა და მისტიკის გარეშე დაწერილი ნაწარმოები იკითხო და... წამითაც არ მოგწყინდეს. სწორედ ამაშია ორუელის, როგორც მწერლის სიძლიერე, ამ რომანის ხიბლი და ანდამატი. სწორედ ამ მოუხელთებელი, თითქმის აუხსნელი ინტერესით იკითხება ორუელის ომის საგა – «პატივი კატალონიას».

თავი რომ დავანებოთ მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებს, მის გაწბილებებსა თუ განხიბვლებს, ორუელს ერთი უცნაურობა სჭირს, ნებისმიერ სახიფათო სიტუაციაში იგი, როგორც რომანტიკოსი ისე ერთვება. ასე მოხდა კატალონიაშიც. «მოკავშირე», რუსი «ძმების» მიერ ინსპირირებულმა ესპანეთის სამოქალაქო ომმა კი იგი დიდ

რეალისტად აქცია. ასეთია მისი ბუნება და ეს ბუნება ზედმიწევნითი სიზუსტით გამოიხატა ორუელის მრწამსში: «თუ მწერალი არ გრძნობს სიმართლეს იმისას, რაზეც წერს, მაშინ მკვდარია მისი შემოქმედებითი რაციო». აი, სწორედ ეს სიმართლე, ეს შინაგანი პატიოსნება, სინდისი – ეს ღვთის ხმა ადამიანში აიძულებდა მწერალს, სულიერი და ფიზიკური ძალების უკიდურესი დაძაბვითა და სრული მობილიზებით ეჩვენებინა ომი როგორც გარედან, ისე შიგნიდან. თითზე ჩამოსათვლელია იმ პერსონაჟთა გვარები, რომლებიც რომანში მონაწილეობენ, მაგრამ ისეთი განცდა გრჩება, რომ კითხვისას ჟორჟ კოპის, ნინის, ეილენის, ბობ სმაილის, უილიამსისა და კიდევ რამდენიმე პერსონის გვერდით ამ ომში ჩართულ თითოეულ ჯარისკაცს ხედავ, გესმის და გრძნობ მათ ხმებს, განცდებს, ემოციებს, მათ შეგრძნებებს, გულისცემას... არადა, ისინი ათასობით არიან.

წიგნის რიტმი თავიდან ისევე მშვიდად, ნელ-ნელა იკრებს ძალას, როგორც კატალონიიდან ნელი სვლით გასული მატარებელი არაგონის ზეგანზე. ომის პერიოდისათვის შესაფერისი ტემპით, საათში დაახლოებით ოცი კილომეტრის სისწრაფით რომ მიუყვება გზას.

ისიც სიმბოლურია, რომ წიგნის დასაწყისშივე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ომის დასაწყისი, ახალ სიცოცხლეს შობს ინგლისელი უილიამსის ცოლი: «ნაზი, შავთვალება, ღრმადქალური არსება, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისი ცხოვრების საქმე აკვნის რწევა იყო, არადა ფაქტია, რომ ვაჟკაცურად იბრძოდა კაცების გვერდით ივლისის ბრძოლებში. ამჯერად მას ჰყავდა ჩვილი,

რომელიც ომის დაწყებიდან სულ რაღაც ათი თვის შემდეგ გაჩნდა და, ალბათ, რომელიმე ბარიკადის უკან მოევლინა ქვეყანას».

ძნელი სათქმელია, ორუელივით ეს «ნაზი არსებაც» იდეისა და სამართლიანობის გამო იბრძოდა ამ გაგანია ომში თუ საკუთარი ოჯახის ინსტინქტური დაცვისა და განუყოფლობის მდედრული თავგანწირვა აიძულებდა, ქმრის გვერდით ყოფილიყო ტყვიების ქარცეცხლში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს აბსურდული ომი სწორედ სიცოცხლის დაბადებით იწყება წიგნში. თითქოს ჩაძინებული, ვარდისფერი ჩვილის ანგელოზურმა ღიმილმა უნდა გადაფაროს, გაანეიტრალოს ის საშინელი ხმაური და ხილვები, სუნი და შეგრძნებები, გასული საუკუნის ოცდაათიანი, ორმოციანი წლების ომებისათვის რომ იყო დამახასიათებელი.

საკვირველი რამ არის ომი. ნებისმიერი ომი – «სამართლიანი» თუ «უსამართლო», დიდი ანგარიშით, პიროვნების გაუვნებელყოფას, განეიტრალებას, წაშლას ემსახურება. სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი მოსაზრება პაციფისტურია. ბრჭყალებში ჩასმული «სამართლიანი» და «უსამართლო» ომების არსიც კარგად მესმის და იმ ისტორიული მეფეების, გენიალური მხედართმთავრებისაც, რომელთა ტვინებსა და გულებშიც ერთდროულად იბადებოდა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის, საკუთარი სამშობლოს გადარჩენისათვის საჭირო ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმები და სვლები. ისიც კარგად ვიცი, რომ ქრისტიანობა ამგვარ თავდაცვით ომებს აკურთხებდა. როგორც მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი იტყოდა – «ჩვენ ამ ქვეყნად იმისთვის მოვდივართ, რომ მისგან თავი ვიხსნათ, ისევე, როგორც ადამიანები ომში თავის შესაქცევად კი არ მიდიან, არამედ იმიტომ, რომ მისგან თავი იხსნან».

მე უფრო თანამედროვე ომებზე ვსაუბრობ, მათ ნაირ-ნაირ სახეობებზე, მეოცე საუკუნიდან მოყოლებულ მსოფლიო ომებზე, საერთაშორისო ომებზე, ტერორიზმზე, რომელთა კულისებსმიღმა არსებული მაპროვოცირებელი თუ შემქმნელი ძალები არაჩვეულებრივად იყენებენ ეპოქალურ, ისტორიულ მონაკვეთებს და სწორედ

სიტუაციებით, ისტორიული პერიოდებით ამართლებენ პიროვნების, ზოგადად, ადამიანურობის არაფრად ჩაგდებას, სულაც – გაქრობას, ცნობილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ადამიანების საზარბაზნე ხორცად გამოყენებას. სწორედ ეს განსაზღვრავს თანამედროვე ომების ყველაზე დიდ ტრაგიზმს. მწერალს კი ისღა დარჩენია, როგორც პავიჩი იტყოდა, თვით ომის დროსაც კი არ შეწყვიტოს შენება, ესე იგი, წერა.

ომის ტრაგიკულობისა და აბსურდულობის გაგება იმდენად ომის ხმაურით – ჭურვების, ზარბაზნების, ქვემეხების, ავტომატების, ხელყუმბარების აფეთქებებით, კაკანითა თუ გამაყრუებელი ზალპებითა და ბათქაბუთქით, ერთი სიტყვით, მთელი სამხედრო არსენალის დაცლის თანმხლები ჭექა-ქუხილის, ელვა-ნათებების, დაჭრილი ადამიანების კვნესა-გოდებითა და მომაკვდავთა

უკანასკნელი ამოსუნთქვით კი არაა შესაძლებელი, რამდენადაც ს ი ჩ უ მ ი თ. დიახ, ომის დამთავრების შემდგომ ჩამოვარდნილი სიჩუმით. ამ შემთხვევაში, არც მოგებული ომების თანმხლები ყიჟინა მავიწყდება და არც შინდარჩენილ ჭირისუფალთა სიხარულიანი, თვალცრემლიანი მიგებებები. მე უფრო ამ ხანმოკლე დღესასწაულების შემდგომ ჩამოვარდნილ ს ი ჩ უ მ ე ს ვგულისხმობ, მცირეოდენი პერიფრაზით ბრეხტის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ – ომი დამთავრდა, სიჩუმის გეშინოდეთ!

სიჩუმეში, დუმილის ამ სამარეში, დიდხანს რჩებიან გამარჯვებული თუ დამარცხებული ომის მონაწილე ადამიანები, ჯარისკაცები და ომში კი არა, სწორედ აქ, ამ სიჩუმეში წყდება მათი ყოფნა-არყოფნის ბედი. სწორედ საკუთარ თავთან დარჩენის სიჩუმეში იმარჯვებენ ან მარცხდებიან საბოლოოდ.

ამ თვალსაზრისით, პირადად ჩემთვის, ომი იგივე ციხეა, უბრალოდ, პროცესები ერთში ღია ცისქვეშ მიმდინარეობს, მეორეში კი – დახურულ სივრცეში. ერთს რკინის გისოსები იცავს, მეორეს ტყვიების განუწყვეტელი ჯერი. ერთში საკნების სულისშემხუთველ სივრცეში წვანან ტუსაღები, მეორეში, წვიმასა თუ თოვლში, დარსა თუ ავდარში საკუთარი ხელით გათხრილ სანგრებში იმალებიან ჯარისკაცები. ომშიც და ციხეშიც შიშის აჩრდილი სიკვდილივით დაძრწის. მისი ძრწოლა ჯარისკაცისა თუ პატიმრის ქვეცნობიერ სამყაროში დამწყვდეულ მხეცს ათავისუფლებს. ეს მხეცი მბრდღვინავი ლომივით თვითგადარჩენის ინსტინქტს აღვიძებს და ადამიანს აიძულებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იზრუნოს. ამიტომ შენკენ მომართული ყოველი აცდენილი მუშტი თუ ტყვია გამარჯვებაა, ხოლო შენგან მოკლულ, დასახიჩრებულ ადამიანს კი გამარჯვება ჰქვია.

ომიც და ციხეც ის ურჩხულია, რომლის ბნელ სტომაქგამოვლილი უპიროვნო ადამიანები სიჩუმის სანგრებში, სიჩუმის თავშესაფრებში იმალებიან და იმავე ინსტინქტებით გრძნობენ, რომ რაღაც უაღრესად მნიშვნელოვანი და უმთავრესი გაებნათ თუ დაეკარგათ. მაინც რა ჰქვია ამ დანაკარგს, რის გამოც სწორედ ჩამომდგარ სიჩუმეში ეწამებიან ტუსაღები და ჯარისკაცები? ათასი სახელი შეიძლება დაეძებნოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მეტად შეურაცხყოფის განცდა შეეფერება მას, გრძნობა, რომელსაც მხოლოდ პიროვნებები განიცდიან და სიჩუმის სამარეში სირცხვილის ალმურებად ეკიდება მათ სისხლსა და ღაწვებს. რა უცნაურია და რა ბუნებრივად მანუგეშებელიც ერთსა და იმავე დროს, რომ სირცხვილით, ამ ღვთითმომადლებული გრძნობით, რომლის საბოლოო სახელიც სინანულია, ისევ ტუსაღები და ჯარისკაცები ისჯებიან, ისევ ჩაგრულები ისჯებიან და არა ჯალათები, ისევ შემსრულებლები და არა შემკვეთები. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ პირველნი სულიერად ჯერ ისევ ცოცხლობენ და გადარჩენის შანსიც გააჩნიათ. ხოლო მეორენი, სულიერად მკვდარნი, დაუმარხავი გვამებივით დაიარებიან დედამიწაზე.

ორუელმა საოცარი ომი დახატა, რომლის სისასტიკეში, «ხმაურსა და მძვინვარებაში»,

აპოკალიფსურ ხილვებსა თუ ქვემეხების გამაყრუებელ ჭექა-ქუხილში, შემაძრწუნებელ სიბნელეში ელვისებურ ნათებებსა თუ ტალახაზელილ თოვლში, მკბენარებით სავსე ბზედაგებულ ლოგინებსა თუ საცვლებში, პაროლარეული დაბნეული გუშაგების ტყვიების ზუზუნში, ფრონტისპირა დაბომბილ სოფლებსა თუ მადრიდის წითელი დროშების ფრიალში წამითაც არ აბნევია თავგზა და წამითაც არ დავიწყებია ეს საცოდავი, უსმელ-უჭმელი ახალწვეულები. ბავშვები, სულ პატარა, გულადი 13-14 წლის ბიჭები, რომელთაც არაფერი უჭირდათ ისე, როგორც უძილობის გადატანა: «ჩემი სექციის საცოდავი ბავშვების გაღვიძების ერთადერთი გზა იყო ფეხებში ჩავლება და მიწურიდან გამოთრევა. მაგრამ როგორც კი ზურგს შეაქცევდი, მაშინვე ტოვებდნენ თავიანთ პოსტებს და ისევ მიწურში მიძვრებოდნენ. ის კი არა, საშინელი სიცივის მიუხედავად, სანგრის კედლებს ეყუდებოდნენ და ასე იძინებდნენ».

ომში – ჯოჯოხეთის ამ მრუმე ფერებში ორუელის თვალი, რომელიმე ახალგაკვირტული, ანდა კვირტიდან ახალგამომხტარი ყვავილის თეთრ-ვარდისფერ წინწკლებს ისე მოულოდნელად ამოზიდავს და მიმოაბნევს მიდამოს, როგორც ჭაობის ბინძური ფსკერიდან მოულოდნელად ამოსკდებიან ხოლმე ყველაზე უბიწო, ქათქათა დუმფარები.

საერთოდ, ძალიან უცნაურია ამ წიგნის პეიზაჟი. ისეთი განცდა გრჩება, რომ მწერლის შეგრძნებები და თვალი კი არ აფიქსირებს მათ, არამედ თავად ცოცხალი ბუნების არსი, მერქანი, გულისგული რეაგირებს ადამიანთა სისასტიკეზე, უგნურებაზე, სიმკაცრეზე, დაბნეულობასა და უმწეობაზე: «ცაში თითქმის არასოდეს დაფრინავდნენ ჩიტები. არა მგონია, ოდესმე მენახოს ქვეყანა ესოდენ მცირერიცხოვანი ფრინველით»... წავიკითხე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე ჩვენი ქალაქი გამახსენდა, ე.წ. სამოქალაქო ომის მერე 4-5 წლის განმავლობაში თბილისის ცაზე მერცხლების გუნდი რომ აღარ გამოჩენილა.

«რატომღაც ყველა საუკეთესო მატადორი ფაშისტი აღმოჩნდა». ეს ფრაზაც ორუელის აღმოჩენაა, რომლის ბუნდოვან გარკვეულობაშიც პირადად ჩემთვის, ესპანური გენეტიკისა თუ ხასიათის მნიშვნელოვანი შტრიხიც იკვეთება.

რაც შეეხება ესპანურ მენტალობას, მის ამსახველ მრავალ შთამბეჭდავ მაგალითს გვიჩვენებს მწერალი, რომელიც გაოგნებულია ამ ხალხის განუყრელი კეთილშობილებით, სულგრძელობითა და მათი «თავგზისამბნევი» ხელგაშლილობით. ჟურნალისტები კი მათ ათასგვარ სიცრუეს მიაწერენ, მათ შორის, უცხოელების მიმართ

შურის გრძნობასაც. ამ ცილისწამებით აღშფოთებული ორუელი ფრონტიდან დაბრუნებულ ესპანელთა ერთ ჯგუფს იგონებს, თუ როგორი აღფრთოვანებით ჰყვებოდნენ ჰუესკაში მათ გვერდით მებრძოლ ფრანგ ჯარისკაცებზე და დასძენდნენ – ძალიან მამაცები არიან, ჩვენზე ბევრად უფრო მამაცებიო. როცა ორუელმა ეს გააპროტესტა, ესპანელებმა მშვიდად აუხსნეს: «ფრანგები უკეთ

ფლობენ ომის ხელოვნებას, უფრო გაწაფულები არიან ბომბების, ტყვიამფრქვევების და სხვა ამდაგვარის მოხმარებაში» და მაინც: ფრანგების საომარი ხელოვნების ასეთი აღნიშვნა ფრიად საყურადღებო გახლდათ. ინგლისელი კაცი უმალ ხელს მოიჭრიდა, ვიდრე ასეთ რამეს იტყოდაო – დაასკვნის ორუელი.

ესპანური მენტალობის ცოცხალი ნიმუშია ორუელის მიერ მონათხრობი ერთი ასეთი ეპიზოდიც. ეს ის პერიოდია, როდესაც ომისა და პოლიტიკური ცვლილებების შედეგად გაჩენილი აბსურდის წყალობით ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები უკვე თავად ცხადდებიან ფაშისტებად, მოღალატეებად და მათზე ნადირობაა გამოცხადებული. სწორედ ასეთ სიტუაციებში იხატება ყველაზე მძაფრად ხალხის, როგორც ერის, როგორც ნაციის ღრმად დამარხული საუკეთესო თვისებები. ამ

თვალსაზრისით ინგლისელ მწერალს მიაჩნდა, რომ ესპანელებს ისეთი კეთილშობილება და დიდსულოვნება მოსდგამთ, როგორიც არსებითად უკვე აღარ ახასიათებს მეოცე საუკუნეს. ამის საილუსტრაციოდ მათ ნომერში ჩატარებული ჩხრეკის მომენტი მოაქვს.

«პოლიციამ ჩხრეკა ოგპუ-სა და გესტაპოს სტილში ჩაატარა. გათენებისას კარზე ბრახუნი გაისმა, ოთახში ექვსი კაცი შემოვიდა, სინათლე აანთო და მაშინვე თავისებურად განლაგდა ოთახში, რაზეც, ცხადია, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ორივე ოთახი (ზედ მიბმული სააბაზანოთი) გაუგონარი გამოწვლილვით გაჩხრიკეს. კედლებს უკაკუნებდნენ, ნოხები აიღეს, იატაკი შეამოწმეს, თითებით მოსინჯეს ფარდები, ყველა უჯრა და ჩემოდანი დაცალეს...» და ა.შ. ორუელი ზედმიწევნითი სკრუპულოზურობით აღწერს ორსაათიანი ჩხრეკის გულისგამაწვრილებელ დეტალებს და ეს ყველაფერი უცებ ასე მთავრდება: «მთელი ამ დროის განმავლობაში არცერთხელ არ გაუჩხრეკიათ საწოლი, რომელშიც ჩემი ცოლი იწვა და რომლის ქვეშაც ნახევარი დუჟინი თოფ-ავტომატი მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო გადამალული, რომ აღარაფერი ვთქვათ ტროცკისტული დოკუმენტების მთელ ბიბლიოთეკაზე ბალიშის

ქვეშ. ამის მიუხედავად დეტექტივებს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ საწოლისაკენ, მის ქვეშაც კი არ შეუხედავთ. ვერ დავიჯერებ, რომ ეს ოგპუ-ს რუტინის ჩვეულებრივი შტრიხია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიციას თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ კომუნისტები და ეს კაცები ალბათ თვითონაც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. მაგრამ ამასთანავე, ისინი ესპანელებიც იყვნენ და ქალის წამოგდება საწოლიდან მათთვის მეტისმეტად წარმოუდგენელი იქნებოდა. საქმის ეს ნაწილი უსიტყვოდ გამოტოვეს, რამაც მთელ ჩხრეკას აზრი დაუკარგა».

ცალკე თემაა ომის სამხედრო არსენალის, ესპანეთის ომში ჩამორიგებული უვარგისი იარაღის აღწერა-დახასიათება, რომელსაც ისეთი გაბრაზებული ვნებიანობით აღწერს ორუელი, რომ მკითხველს სულაც არ გაუკვირდებოდა,

ფრანკოს წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისკაცები ერთიანად დეზერტირებად რომ ქცეულიყვნენ. ვინ იცის, რამდენი ასეთი გულანთებული ჭაბუკის სიცოცხლე შეიწირა ამ გაუმართავმა იარაღმა, ადამისდროინდელმა გრძელცხვირიანმა მაუზერებმა, დანესტიანებულმა ტყვია-წამალმა და თვითნაკეთმა ხელყუმბარებმა, რომელთა ზონარსაც მოქაჩავდი თუ არა, ყუმბარა ელვისუსწრაფესად უნდა გეტყორცნა და მოგეცილებინა თავიდან.

«მიუკერძოებელი» ბომბებიაო, ასე ხუმრობდნენ სიკვდილთან მოთამაშე ჯარისკაცები, რადგან ეს გაუმართავი იარაღი «იმასაც კლავს, ვისაც ესვრიან და იმასაც, ვინც ისვრისო».

ორუელის მიერ დახატულმა ომმა სიცრუისა და ცილისწამებისაკენ მიდრეკილ ჟურნალისტთა «მოღვაწეობაც» ასახა და მხართეძოზე წამოწოლილი იმ «ექსპერტების» უტიფრობაც, რომლებსაც ომის ზურგშიც კი არ დაუდგამთ ფეხი და თავს უფლებას აძლევდნენ, მის პერიპეტიებსა თუ მიმდინარეობებზე «კომპეტენტურად» ესაუბრათ.

დროის კონტექსტს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ყოველთვის მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის დროულად, ე.ი. დროზე წაკითხულ წიგნს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნამდვილი წიგნი ამა თუ იმ ეპოქაში აქტუალობას კარგავს. არა, ისინი ორუელის წიგნებივით მარადი წიგნებია. მაგრამ ორუელის გამოჩენას ქართულ სალიტერატურო სივრცეში, დროის თვალსაზრისითაც გააჩნია თავისი დიდი დატვირთვა.

ჩვენ, ქართველებმა, უკვე გადავიტანეთ ე.წ. ომები. ვგულისხმობ 90-იანი წლების

სამოქალაქო და 2008 წლის პროვოცირებულ ომებს. ამიტომაც «პატივი კატალონიას» არა მხოლოდ დიდი ინტერესით, არამედ განსაკუთრებული გულისძგერითაც იკითხება. და ერთგვარი სევდიანობითაც გიკვირს, რა ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს ესპანეთსა თუ საქართველოში განხორციელებული ომები.

«არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივად ვომობდით, თუ ამას ომი შეიძლება დარქმეოდა. მთელი რაზმი ჭკუიდან გადაჰყავდა უმოქმედობას და გამუდმებით ითხოვდა, გაეგო, რატომ არ აძლევდნენ შეტევაზე გადასვლის უფლებას... ჟორჟ კოპი, რომელიც პერიოდულად ახორციელებდა შესამოწმებელ შემოვლებს, არაფერს გვიმალავდა: «ეს ომი არ არის, ეს არის კომიკური ოპერა შიგადაშიგ სიკვდილით». სტაგნაციას არაგონის ფრონტზე, ფაქტობრივად, ჰქონდა პოლიტიკური მიზეზები, რომელთა შესახებაც იმხანად არაფერი ვიცოდი».

როცა ამ მიზეზებში გაერკვა, უკვე საკმაოდ გვიანი იყო. ჯორჯ კოპი, ეს ზორბა, დანიელი მაიორი, რომელმაც ორუელის თქმით, «მთლიანად გაიღო მსხვერპლი», რომ ესპანეთში ჩასულიყო და ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლა, სწორედ პოლიტიკური

მიზეზებით ახლა ციხეში იყო გამომწყვდეული. ორუელის მხრივაც საკუთარი სიცოცხლის რისკზე შეგდებას ნიშნავდა ცოლთან ერთად მისი სატუსაღოში მონახულება და კოპის გამოსახსნელად მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა, თუმც ამ მცდელობიდან მაინც არაფერი გამოვიდა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, თავადაც ეილინთან ერთად ძლივს მოახერხა ესპანეთიდან გაქცევა და საფრანგეთის გავლით სამშობლოში დაბრუნება.

საოცრად იწყება ორუელის რომანი «პატივი კატალონიას». ბარსელონაში ინგლისელი მწერალი ოფიცრების მაგიდასთან მდგარ ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის მკვრივი აგებულების მხარბეჭიან იტალიელ ჭაბუკს მოჰკრავს თვალს. «ეს იყო სახე კაცისა, რომელიც მკვლელობასაც ჩაიდენდა და მეგობრისთვისაც დადებდა თავს. ამ სახეს მიაკუთვნებდი ანარქისტს, თუმცა იქნებ სულაც კომუნისტი იყო, მასში უშუალობაც იკითხებოდა და ულმობლობაც... მან ოთახი გადმოჭრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. რა უცნაურია სიყვარულის განცდა უცნობის მიმართ! თითქოს ჩვენმა – მისმა და ჩემმა – სულებმა მომენტალურად გადატყორცნეს ხიდი ენისა და ტრადიციის უფსკრულზე და

უკიდურესად ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს. ვიმედოვნებდი, რომ იმასაც ისე მოვეწონე, როგორც მე მომივიდა თვალში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილების შესანარჩუნებლად ეს კაცი აღარ უნდა მენახა».

ინგლისელისა და იტალიელის ეს მისტიკური შეხვედრა ესპანეთში მთელი სიმბოლოა სიყვარულისა და ადამიანთა შორის სულთა ერთობისა. როგორ უფრთხილდება თავისუფლებისმოყვარე სულთან შეხვედრას ორუელი. როგორ ეშინოდა განხიბვლებისა და გაწბილებების, რაც არაერთგზის იწვნია ომში და როგორც სახსოვარი, მისმა საძილე არტერიამ სულ რაღაც მილიმეტრის აცდენით გამჭოლი ტყვია ისე გაატარა კისერში. ხმის იოგი დაუზიანდა, მაგრამ საძილე არტერიამ გადაარჩინა ეს მარად ფხიზელი მეომარი და მწერალი.

როგორ დიდებულადაც იწყება, ისე დიდებულადვე მთავრდება ორუელის ომის საგა: დაღლილი, დაჭრილი, განაწამები ორუელი ცოლთან ერთად ბრუნდება სამშობლოში.

«მერე გამოჩნდა ინგლისი, სამხრეთ ინგლისი, შესაძლოა, ყველაზე თანაბარი ლანდშაფტი დედამიწის ზურგზე. როცა ამ გზას გადიხარ და, განსაკუთრებით,

როდესაც მშვიდად იკურნები სნეულებისაგან მატარებლის ბალიშებზე გადაწოლილი, ძნელი დასაჯერებელი ხდება, რომ ამქვეყნად სადმე რამე ხდება. მიწისძვრები იაპონიაში, შიმშილი ჩინეთში, რევოლუცია მექსიკაში? ნუ ღელავ: ხვალ დილით კართან ახალი რძე დაგხვდება, პარასკევს კი «ნიუ სტეიტსმენი» გამოვა. ინდუსტრიული ქალაქები შორს დარჩა. კვამლსა და უბედურებას მიწის ზედაპირის ამოზნექილობა ფარავდა. აქ ისევ ინგლისი იყო, ბავშვობიდან ნაცნობი ინგლისი: ველური ყვავილებით გადასწორებული რკინიგზის ნარჩენები, ღრმა მდელოები, რომლებზეც ფიქრიანად დაბალახობენ დიდი,

მანათობელი ცხენები, ნელა მიდინებული, ნაპირებზე ტირიფებჩამწკრივებული ნაკადები, თელადუმების მწვანე მკერდები, კოტეჯების ეზოებში მოყვავილე დეზურები, მერე კი – გარე ლონდონის მშვიდი უდაბურება, მღვრიე მდინარეზე მოცურავე ბარჟები, ნაცნობი ქუჩები, კრიკეტის მატჩების ან სამეფო ქორწინების მაუწყებელი პლაკატები, ცილინდრიანი კაცები, მტრედები ტრაფალგარსკვერზე, წითელი ავტობუსები, ლურჯი პოლისმენები – ყველაფერი, რასაც ინგლისის ღრმა, ღრმა ძილით სძინავს, რომლისგანაც, ვშიშობ, მხოლოდ ბომბების გრიალი თუ გამოგაღვიძებს».

განა ღრმა ძილში ჩაძირული ეს ფერადოვანი ინგლისიც მთელი სამყაროს სიმბოლოდ არ იკითხება, რომლის ერები, ქვეყნები, სახელმწიფოები თუ ქალაქები გაუცხოებისა და გულგრილობის უფსკრულში ჩაძირულან, ერთმანეთის გასაჭირს ვეღარც ხედავენ და ვეღარც ხელს უმართავენ ერთმანეთს.

როგორც ყველა ნამდვილი მწერალი, ორუელიც წინასწარმეტყველი იყო და გვაფრთხილებდა, რომ ასე ჩაძინებული სამყარო დასაღუპადაა განწირული.

შესანიშნავია, რომ ორუელის წიგნი-გაფრთხილება – «პატივი კატალონიას» უკვე ქართულადაც შეგვიძლია წავიკითხოთ.

მაკა ჯოხაძე

თავი I

ბარსელონაში, «ლენინურ ყაზარმებში», მილიციაში გაწევრიანების წინა დღეს, თვალი მოვკარი ოფიცრების მაგიდასთან მდგარ იტალიელ მილიციელს – ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის მკვრივი აგებულების ჭაბუკს მოწითალო-ყვითელი თმითა და ძალუმი მხრებით. ტყავის ბერეტი ცალ მხარეს დაეკოსებინა. ჩემგან გვერდულად იდგა, ნიკაპი მკერდამდე ჩამოეშვა და შეფიქრიანებული დაჰყურებდა ერთ-ერთი ოფიცრის მიერ მაგიდაზე გაშლილ რუკას. რაღაცამ მის სახეში ღრმად შემძრა. ეს იყო სახე კაცისა, რომელიც მკვლელობასაც ჩაიდენდა და მეგობრისთვისაც დადებდა თავს. ამ სახეს მიაკუთვნებდი ანარქისტს, თუმცა იქნებ სულაც კომუნისტი იყო. მასში უშუალობაც იკითხებოდა და ულმობელობაც, ამასთან ერთად კი – პათეტიკური მოწიწება, უწიგნურები რომ განიცდიან სავარაუდო ზემდგომთა მიმართ. რუკისა აშკარად არაფერი გაეგებოდა და ამ იეროგლიფების გაშიფვრა მისთვის, ჩანდა, გამაოგნებელ ინტელექტუალურ გმირობას უდრიდა. ვერ ვიტყვი რატომ, მაგრამ იშვიათად მინახავს მამაკაცი, ვინც ასე მეყსეულად მომწონებია. მაგიდასთან საუბრის დროს აღნიშნეს, რომ უცხოელი ვარ. იტალიელმა თავი ასწია და სწრაფად წარმოთქვა:

– Italiano?

– No, Inglés. Y tu?[1] – დავუბრუნე ჩემი ცუდი ესპანურით.

– Italiano.

ამის შემდეგ მან ოთახი გადმოჭრა და მაგრად ჩამომართვა ხელი. რა უცნაურია სიყვარულის განცდა უცნობის მიმართ! თითქოს ჩვენმა – მისმა და ჩემმა – სულებმა მომენტალურად გადატყორცნეს ხიდი ენისა და ტრადიციის უფსკრულზე და უკიდურესად ახლოს შეხვდნენ ერთმანეთს. ვიმედოვნებდი, რომ იმასაც ისე მოვეწონე, როგორც მე მომივიდა თვალში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილების შესანარჩუნებლად ეს კაცი აღარ უნდა მენახა. და, რაღა თქმა უნდა, აღარასოდეს მინახავს. ესპანეთში მუდმივად ხდებოდა ასეთი შეხვედრები.

იმ იტალიელ მილიციონერს იმიტომ ვახსენებ, რომ ცოცხლად მყავს ჩარჩენილი მეხსიერებაში. თავისი გაცვეთილი უნიფორმით და მძვინვარე გამომეტყველებით, ის ჩემთვის იმ დროის საგანგებო ატმოსფეროს განასახიერებს, ომის პერიოდის ყველა

მოგონებას ებმის: წითელ დროშებს ბარსელონაში; საბრალო ჯარისკაცებით სავსე და ფრონტისკენ მცოცავ გრძელ მატარებლებს; ომგამოვლილ ნაცრისფერ ქალაქებს; ტალახიან და ყინულივით ცივ სანგრებს მთებში.

ეს მოხდა 1936 წლის დეკემბრის მიწურულს, ანუ ამ წუთიდან შვიდ თვეზე უფრო ნაკლები ხნის წინ, და მაინც – უზარმაზარი ინტერვალით დაშორებულ დროში. უფრო გვიანდელმა მოვლენებმა გაცილებით სრულად ამოშალეს ის

პერიოდი, ვიდრე, ვთქვათ, 1935 ან 1905 წლები. ესპანეთში საგაზეთო წერილების საწერად ჩავედი. თუმცა თითქმის მაშინვე შევუერთდი იქაურ მილიციას, რადგან იმ დროსა და იმ ატმოსფეროში ეს ყველაზე წარმოსადგენი მოქმედება აღმოჩნდა. ფაქტობრივად, კატალონიას ისევ ანარქისტები აკონტროლებდნენ და რევოლუციის ტალღაც ბოლომდე იყო აგორებული. ყველას, ვინც იქ დასაწყისიდანვე იმყოფებოდა, ალბათ დეკემბერსა და იანვარშიც კი ეჩვენებოდა, რომ რევოლუციური პერიოდი მთავრდებოდა. მაგრამ თუ პირდაპირ ინგლისიდან მოდიოდი, მაშინ ბარსელონა ყოვლად გამაოგნებელ და თავზარდამცემ სანახაობად გადაგეშლებოდა თვალწინ. პირველად ვიმყოფებოდი ქალაქში, სადაც მუშათა კლასი ზეობდა. პრაქტიკულად,

ნებისმიერი ზომის შენობა მუშებს დაეკავებინათ და ანარქისტების წითელი ან შავ-წითელი დროშები გამოეკიდათ. ყველა კედელზე ნამგალი და ურო მიეხატათ და რევოლუციური პარტიების სახელებიც მიეჯღაბნათ. თითქმის ყველა ტაძარი გამოეშიგნათ და ხატები დაეწვათ. ხან აქ და ხან იქ მუშების ბანდები სისტემატურად ანგრევდნენ ეკლესიებს. თითოეულ მაღაზიას თუ კაფეს ჰქონდა წარწერა, რომელიც მის კოლექტივიზებას იუწყებოდა. თვით ფეხსაცმელების მწმენდავთა ჯიხურებიც კი კოლექტივის კუთვნილებად ექციათ და შავ-წითლად შეეღებათ. ოფიციანტები და მაღაზიის ადმინისტრატორები გიყურებდნენ და თავის ტოლ-სწორად მიგიჩნევდნენ. მეტყველების მონური და ცერემონიული ფორმები დროებით გაქრა. არავინ ამბობდა «სენიორ» ან «დონ» ან თუნდაც «თქვენ». ყველა ყველას მიმართავდა სიტყვებით «ამხანაგო», «შენ», «სალამი», ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა «დღე მშვიდობისა». ერთ-ერთი პირველი გამოცდილება იყო სასტუმროს მენეჯერის ლექცია იმის გამო, რომ ლიფტის მომსახურე ბიჭისთვის ხურდის მიცემა დავაპირე. არც ერთი კერძო მანქანა არ ჩანდა, ყველა მანქანა ჩამოერთმიათ თავ-თავისი მფლობელისათვის. ყველა ტრამვაი, ტაქსი და მრავალი სხვა ტრანსპორტი ერთიანად შავ-წითლად შეეღებათ. ყველგან რევოლუციური პლაკატები ეკიდა, ხასხასა წითლად და ლურჯად ელვარებდა

კედლებიდან და აქა-იქ შემორჩენილ რეკლამებს ტალახის ლაქებს ამსგავსებდა. რამბლასზე – ცენტრალურ არტერიაზე, სადაც მუდმივად უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა – დინამიკები დილიდან გვიან ღამემდე აფრქვევდნენ რევოლუციურ სიმღერებს. ყველაზე უცნაური კი თვით ამ ადამიანთა ჯგროების შესახედაობა იყო. გარეგნულად ეს იყო ქალაქი, სადაც მდიდარმა კლასებმა ფაქტობრივად შეწყვიტეს არსებობა. მცირერიცხოვანი ქალებისა და უცხოელების გარდა, «კარგად ჩაცმული» არავინ დადიოდა. პრაქტიკულად, ყველას ან მუშათა კლასის უხეში ტანსაცმელი ეცვა, ან ლურჯი უნიფორმა, ან მილიციის სპეცფორმა. ბევრი რამ არ მესმოდა, გარკვეულწილად – არც კი მომწონდა, თუმცა მაშინვე ამოვიცანი საგანთა წესრიგი, რომელიც ნამდვილად ღირდა ბრძოლად და მოპოვებად. ისიც ვირწმუნე, რომ ყველაფერი ნამდვილად ისე იყო, როგორც ჩანდა, რომ ეს ნამდვილად მუშათა სახელმწიფოა და ბურჟუაზია გაიქცა, ან მოსპეს, ან თავად გადავიდა მუშების მხარეს. არ მესმოდა, რომ მდიდარი ბურჟუაზიის უამრავი

წარმომადგენელი, უბრალოდ, სიღრმეში მიყუჟულიყო და დროებით თავს პროლეტარად ასაღებდა.

ამ ყველაფერთან ერთად ომის უკეთური ატმოსფერო სუფევდა. ქალაქს პირქუში,

დაულაგებელი იერი ჰქონდა, გზები და შენობები საწყალობლად შეეკეთებინათ, ქუჩებს ღამღამობით ოდნავ თუ ანათებდნენ საჰაერო თავდასხმების შიშით. მაღაზიები, უმეტესწილად, უბადრუკი და ნახევრად გამოცარიელებული იყო. ხორცი იშვიათად იშოვებოდა, რძე – არასდროს. არასაკმარისად მოიპოვებოდა ქვანახშირი, შაქარი და ბენზინი, პური ნამდვილად ცოტა იყო. თვით ამ პერიოდშიც კი პურის რიგები ასობით იარდს ითვლიდა. ყოველივეს მიუხედავად, რამდენადაც შესახედაობით შეიძლებოდა გემსჯელა, ხალხი მაინც კმაყოფილი და იმედიანი ჩანდა. უმუშევრობა არ არსებობდა და ცხოვრებაც უკიდურესად იაფი იყო. თვალში საცემად ღატაკს თითო-ოროლას თუ შეხვდებოდი, მათხოვრობით კი მხოლოდ ბოშები მათხოვრობდნენ. ყოველივეს ზემოთ კი რევოლუციისა და მომავლის რწმენა არსებობდა; გრძნობა იმისა, რომ ხალხი უეცრად თანასწორობისა და თავისუფლების ეპოქაში აღმოჩნდა. ადამიანები ცდილობდნენ მოქცეულიყვნენ როგორც ადამიანები და არა როგორც კაპიტალისტური მანქანის კბილანები. სადალაქოებში გამოკრული იყო ანარქისტების განაცხადები (თვით დალაქები მეტწილად ანარქისტები იყვნენ): «დალაქები მონები აღარ არიან». ქუჩებში ეკიდა პლაკატები, რომლებიც მეძავებს მოუწოდებდნენ, შეეწყვიტათ თავიანთი საქმიანობა. ინგლისურენოვანი რასის მოხარშული, ზიზღით აღვსილი

წარმომადგენლებისათვის აქ არსებობდა რამდენადმე პათეტიკური გამონათქვამები, ისეთივე სიტყვასიტყვითი გაგებით, როგორითაც იდეალისტ ესპანელებს ესმოდათ რევოლუციის გაცვეთილი ფრაზები. იმხანად ყოვლად მიამიტური რევოლუციური ბალადები, რომლებიც უმღეროდნენ ძმობას და გმობდნენ მუსოლინის ბიწიერებას, ქუჩებში სულ რამდენიმე სანტიმად იყიდებოდა. ხშირად მინახავს უწიგნური მილიციელი, რომელიც ერთ-ერთ ასეთ ბალადას ყიდულობდა, სიტყვებს გულმოდგინედ მარცვლავდა, ბოლოს კი ტექსტის ღიღინს იწყებდა შესაფერისი მელოდიის თანხლებით.

მთელი ეს ხანი «ლენინურ ყაზარმებში» ვიყავი და ვითომდა წინასაფრონტო წვრთნას გავდიოდი. როცა მილიციაში ჩავეწერე, ხვალ ფრონტზე გგზავნითო, მითხრეს. სინამდვილეში კი, მანამდე მომიწია ცდა, სანამ ახალი centuria[2] მომზადდა. სავაჭრო კავშირების მიერ ომის დასაწყისში სახელდახელოდ შეკოწიწებული მუშათა მილიციები ჩვეულებრივი ჯარის საფუძველს ჯერ არ ეყრდნობოდა. ჯარის ერთეულებს წარმოადგენდა ოცდაათი კაცისგან შემდგარი «სექცია», ასი კაცისგან ფორმირებული centuria და «კოლონა», რომელიც, ფაქტობრივად, ჯარისკაცთა

ნებისმიერ დიდ რაოდენობას ნიშნავდა. «ლენინური ყაზარმები» წარმოადგენდა მშვენიერ ნაგებობათა მასივს, რომელსაც თავისი საცხენოსნო სკოლა და ქვით

მოკირწყლული ვეებერთელა ეზოები ჰქონდა. უწინ ეს კავალერიის ყაზარმა იყო, ივლისის ბრძოლის შემდეგ კი რევოლუციონერებმა დაიკავეს. ჩემს centuria-ს ერთ-ერთ თავლაში, ქვის საკვებურების ქვეშ ეძინა, სადაც ჯერ კიდევ ეწერა კავალერიის ცხენების სახელები. ყველა ცხენი დაიჭირეს და ფრონტზე გაგზავნეს, მაგრამ აქ მაინც ცხენის შარდისა და დამპალი შვრიის სუნი იდგა. ყაზარმებში ერთ კვირამდე დავრჩი. ძირითადად მახსოვს ცხენის სუნი, საყვირების მთრთოლავი ხმა (ყველა მესაყვირე მოყვარული გვყავდა: პირველად ესპანურ საყვირებში ჩაბერვა იმით ვისწავლე, რომ ფაშისტურ ფრონტზე მელოდიას ვაყურადებდი), დაჭედილი ჩექმების ბრახუნი ყაზარმის ეზოში, ზამთრის დილის გრძელი სამხედრო მწკრივები, ფეხბურთის ველური თამაშები – ორმოცდაათ-ორმოცდაათი კაცი თითოეულ მხარეზე – საცხენოსნო სკოლის ქვაფენილიან ეზოში. ყაზარმებში შესაძლოა ათასი მამაკაცი იყო და ოცამდე ქალი, გარდა მილიციელების ცოლებისა, რომლებიც საჭმელს ამზადებდნენ. იყვნენ მილიციელი ქალებიც, თუმცა არცთუ ისე ბევრი. ადრეულ ბრძოლებში ისინი კაცების გვერდიგვერდ იბრძოდნენ, რაც სავსებით ჩვეულებრივ

მოვლენად აღიქმებოდა. რევოლუციის დროს ეს ბუნებრივი ჩანს. მილიციელები საცხენოსნო სკოლიდან უნდა გაეყვანათ, მანამ, სანამ იქ ქალები ვარჯიშობდნენ, რადგან კაცები დასცინოდნენ და წვრთნაში აბრკოლებდნენ. თუმცა, რამდენიმე თვით ადრე არაფერი იყო კომიკური შაშხანიან ქალში.

მთელ ყაზარმებში ჭუჭყი და ქაოსი გამეფებულიყო. აქამდე მილიციას მიჰყავდა მის მიერ დაკავებული ყველა შენობა და ეს თითქოს რევოლუციის ერთ-ერთი თანმდევი შედეგი გახლდათ. ყოველ კუთხეში აწყდებოდი დალეწილი ავეჯის გროვას, გატეხილ უნაგირებს, კავალერიის თითბრის ჩაფხუტებს, ხმლების ცარიელ ქარქაშებს და ლპობამოდებულ საკვებს. ეს უკანასკნელი დამზაფრავად იფლანგებოდა, განსაკუთრებით – პური. მხოლოდ ჩემი ყაზარმიდან, ყოველი ტრაპეზის შემდეგ, მთელი კალათა პური იყრებოდა. აი, ესეც იმ პერიოდის სამარცხვინო ამბავი, როცა სამოქალაქო მოსახლეობას პური არ ჰქონდა. ჩვენს მაგიდებზე – ხარიხებზე გადებულ გრძელ ფიცრებზე – მუდამ ზინზლიანი თუნუქის ჯამებიდან ვჭამდით და საზარელი ჭურჭლიდან ვსვამდით, რომელსაც ერქვა porron. ესაა ერთგვარი მინის ბოთლი წვეტიანი ტუჩით, რომლიდანაც დახრისთანავე იღვრება ღვინის წვრილი ნაკადი.

ამგვარად შეგიძლია შორიდან დალიო ისე, რომ ბოთლს არ შეეხო, მერე კი სხვას გადასცე. ეს porron დანახვისთანავე გავაპროტესტე და სასმლისთვის განკუთვნილი ჭიქა მოვითხოვე. მთლიანობაში, ეს ჭურჭელი ერთობ მივამსგავსე ღამის ქოთანს, მეტადრე მაშინ, როდესაც მასში თეთრ ღვინოს ასხამდნენ.

ახალწვეულებს ეტაპობრივად ურიგებდნენ უნიფორმებს და, რადგან ეს ესპანეთში ხდებოდა, ამიტომაც ყველაფერს არათანმიმდევრულად და ნაწილ-ნაწილ იძლეოდნენ, ისე, რომ არავინ იცოდა, ვინ რა მიიღო. ჩვენთვის ყველაზე საჭირო რამეები კი – სავაზნე ქამრები და ყუთები – დაგვირიგდა სულ ბოლო მომენტში, როცა ფრონტისკენ მიმავალი მატარებელი სადგურში გველოდა. მე

ვახსენე მილიციელის «უნიფორმა», რაც ალბათ არასწორ შთაბეჭდილებას ქმნის. ეს «უნიფორმა» კი არ იყო, არამედ უფრო «მულტიფორმა», რომელიც ერთი და იმავე სქემით იყო შეკერილი, მაგრამ არასოდეს იყო ზუსტად ერთნაირი. პრაქტიკულად, ყველა ჯარისკაცს ველვეტის ბრიჯები ეცვა, თუმცა ამით მათი უნიფორმიანობა მთავრდებოდა. ზოგს ტოლაღები ამოეცვა, სხვებს – ტყავის გამაშები ან მაღალი ჩექმები. ყველა ატარებდა ელვაშესაკრავიან ქურთუკს, მაგრამ ზოგი ქურთუკი ტყავისა იყო, ზოგი – მატყლის და, თანაც, ყველა შესაძლებელი

ფერისა. ქუდები თითქმის იმდენნაირი იყო, რამდენიც მათი მატარებელი თავები. ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ ქუდის წინა ნაწილის დამშვენება პარტიის ემბლემით. გარდა ამისა, ყველა ატარებდა წითელ ან შავ-წითელ ყელსახვევს. იმდროინდელი მილიციის კოლონა უჩვეულო შესახედაობის ჯგროს წარმოადგენდა. მაგრამ ამა თუ იმ ფაბრიკას სამოსი უნდა გამოეშვა და, თუ გარემოებებს გავითვალისწინებთ, ამ სამოსს არა უშავდა. წინდები და მაისურები – ბამბის საცოდავი ნაწარმი – სიცივეს ვერ უძლებდა. მძაგს იმის გახსენება, რისი გავლაც მილიციელებს პირველ თვეებში მოუწიათ, მანამ, სანამ საგნები მოწესრიგებას დაიწყებდა. მახსოვს, ერთხელ გადავაწყდი სულ ორიოდე თვის წინ დასტამბულ გაზეთს, რომელშიც მარქსისტული გაერთიანების მუშათა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ფრონტის მონახულების შემდეგ ამბობდა: უნდა ვიზრუნო, რომ თითოეულ მილიციელს პლედი ჰქონდესო. ამ ფრაზის წამკითხავს გაგაჟრიალებს, თუ ერთხელ მაინც დაგიძინია სანგარში.

ყაზარმაში ჩემი ყოფნის მეორე დღეს დაიწყო ის, რასაც კომიკურად ეწოდა «ინსტრუქტაჟი». თავიდან იყო ქაოსის საშინელი სცენები. ახალწვეულებს – უმეტესწილად ბარსელონას შუკებიდან გამოსულ, რევოლუციური გზნებით ატანილ

თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ბიჭებს – წარმოდგენა არ ჰქონდათ საკუთრივ ომის რაობაზე. მათი ერთ ხაზზე გამწკრივებაც კი შეუძლებელი იყო. დისციპლინა არ არსებობდა. თუ ვინმეს არსებული წესრიგი არ მოსწონდა, მწკრივიდან გამოაბიჯებდა და ოფიცერთან კამათს იწყებდა. ლეიტენანტი – ჩვენი ინსტრუქტორი – მკვრივი აღნაგობის, სახეღაჟღაჟა, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი, ყოფილი რეგულარული არმიის ოფიცერი იყო, რომელიც ახლაც ასევე გამოიყურებოდა ენერგიული იერსახითა და უზადო უნიფორმით. საკმაოდ საგულისხმო იყო მისი წრფელი და მხურვალე სოციალისტობა. სხვაზე მეტად მოითხოვდა სრულ სოციალურ თანასწორობას საზოგადოების ყველა ფენას შორის. მახსოვს მისი მტკივნეული განცვიფრება, როდესაც უმეცარმა ახალწვეულმა მისი მისამართით წარმოთქვა სიტყვა «სენიორ». «რაო?! სენიორ?! ვინ მომმართავს ამ სიტყვით? ნუთუ ჩვენ ყველანი ამხანაგები არ ვართ?» მეეჭვება, რომ ამას მისთვის საქმე გაეადვილებინოს. ამასობაში ქორფა ახალწვეულები არავითარ წვრთნას არ გადიოდნენ ისეთს, რაიმეში რომ გამოადგებოდათ. უცხოელებს არ სჭირდებათ «ინსტრუქტაჟზე» დასწრებაო,

მითხრეს (როგორც შევნიშნე, ესპანელებს პათეტიკურად სჯეროდათ, რომ ყველა უცხოელს მათზე მეტი გაეგებოდა სამხედრო საქმისა), მაგრამ, ბუნებრივია, მეც სხვების გვერდით აღმოვჩნდი. ძალიან ვღელავდი,

როცა ტყვიამფრქვევის გამოყენებას ვსწავლობდი: ამ იარაღისთვის უწინ არასოდეს მომეკიდა ხელი. გულზე შემომეყარა, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩვენთვის არაფერი ესწავლებინათ საბრძოლო იარაღების გამოყენების სფეროში. ეგრეთ წოდებული «ინსტრუქტაჟი» წარმოადგენდა სასწავლო მოედანზე ჩატარებულ ყველაზე ბრიყვულ, მოძველებულ წვრთნას: მარჯვნისა-აკენ! მარცხნისა-აკენ! ზურგისა-აკენ! მწყობრი ნაბიჯით სვლა სამ რიგად და სხვა ამდაგვარი უსარგებლო უაზრობა, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკში ვისწავლე, უჩვეულო წვრთნა იყო პარტიზანული ჯარისთვის! როცა სულ რამდენიმე დღე გაქვს ჯარისკაცის საწვრთნელად, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ყველაზე საჭირო და გამოსადეგი რამეები უნდა ასწავლო: როგორ მოიწყოს თავშესაფარი, როგორ გადაადგილდეს ღია ტერიტორიაზე, როგორ აღმართოს საგუშაგო, როგორ იმორიგეოს და როგორ ააგოს მიწაყრილი, უწინარეს ყოვლისა კი – როგორ გამოიყენოს მის ხელთ არსებული იარაღი. მაგრამ აღტყინებული ბიჭების ამ გროვას, სულ რამდენიმე დღეში რომ უნდა გადაესროლათ ფრონტის ხაზზე, ისიც კი არ ასწავლეს, როგორ ესროლათ შაშხანა ან როგორ ამოეძროთ ხრახნი ხელყუმბარიდან. მაშინ ვერ მივხვდი, რომ ყაზარმებში იარაღი არ ჰქონდათ. მუშათა პარტიის მილიციაში შაშხანების ისეთი დეფიციტი იყო, რომ, ფრონტზე შენაცვლებისას, ახალ ჯარებს

იარაღი უნდა გამოერთმიათ ძველებისთვის. ვფიქრობ, «ლენინურ ყაზარმებში» საერთოდ არ მოიპოვებოდა იარაღი, გარდა იმისა, რასაც გუშაგები იყენებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ მიიჩნიეს, რომ უკვე შეიძლებოდა ჩვენი გამოჩენა საქვეყნოდ, არადა, ისევ ისეთ სრულებით გაუწაფავ ჯგროს წარმოვადგენდით ნებისმიერი ჩვეულებრივი სტანდარტით. დილაობით სამხედრო ნაბიჯით ვმარშირებდით ბორცვზე, სახალხო ბაღებში, პლასა დე ესპანიას გადაღმა. ეს იყო საერთო სავარჯიშო მოედანი პარტიის ყველა მილიციისთვის, კარაბინერებთან და ახალშექმნილი სახალხო არმიის პირველ შენაერთებთან ერთად. იქ, სახალხო ბაღებში, ჩვენი სვლა უცნაური და გამამხნევებელი სანახაობა იყო. ყოველ ბილიკზე და გასასვლელში, ყვავილების სწორ კვლებს შორის, მწყობრი ნაბიჯით მიდი-მოდიოდნენ გაჯგიმულ კაცთა რაზმები და ჯგუფები, რომლებსაც მკერდები გამოეზნიქათ და თავგადადებით ცდილობდნენ ჯარისკაცებს დამსგავსებოდნენ. არც ერთს იარაღი არ ჰქონდა, არც ერთს – უნიფორმის სრული კომპლექტი, თუმცა მათ უმრავლესობას შიგადაშიგ მაინც მოუჩანდა მილიციის სამოსის რომელიმე ნაფლეთი. ეს პროცესი ყოველთვის სრულებით ერთნაირი იყო: სამი საათის განმავლობაში წინ და უკან დავაბოტებდით (ესპანური სამხედრო ნაბიჯი

მოკლე და სწრაფია), მერე ვჩერდებოდით, მწყობრს ვარღვევდით და ვესეოდით პატარა საბაყლო მაღაზიას, რომელიც ბორცვის შუაწელზე იდგა და

გაცხოველებით ვაჭრობდა იაფფასიანი ღვინით. ყველა მეგობრულად მეპყრობოდა. როგორც ინგლისელი, მათში მე ცნობისწადილს აღვძრავდი. კარაბინერები მნიშვნელოვან კაცად მიმიჩნევდნენ და სასმელზე მეპატიჟებოდნენ. ამასობაში, სადაც კი ჩვენს ლეიტენანტს მოვიხელთებდი, დაჟინებით ვთხოვდი, ესწავლებინა ჩემთვის ტყვიამფრქვევის გამოყენება. ჯიბიდან ვიღებდი ჰუგოს ლექსიკონს და ჩემი წუნდებული ესპანურით მივმართავდი:

«Yo sé manejar fusil. No sé manejar ametralladora. Quiero aprender ametralladora. Quбndo vamos Prender ametralladora?»[3]

პასუხად მუდამ ვიღებდი შეწუხებულ ღიმილს და დაპირებას, რომ macana[4] იქნებოდა ტყვიამფრქვევის გამოყენების ინსტრუქცია. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ეს macana არასოდეს დამდგარა. ჩაიარა რამდენიმე დღემ და ახალწვეულებმა ისწავლეს მწყობრი სვლა და თითქმის მეყსეული რეაგირება «სწორდიზე», მაგრამ შაშხანისა სხვა არაფერი იცოდნენ, გარდა იმისა, თუ რომელი ბოლოდან ისროდა ტყვიას. ერთ დღეს, ჩვენი

შესვენების მომენტში, შეიარაღებული კარაბინერი მოგვიახლოვდა და უფლება მოგვცა გამოგვეცადა მისი შაშხანა. აღმოჩნდა, რომ მთელ ჯგუფში ჩემ გარდა არავინ იცოდა შაშხანის დატენა და, მით უმეტეს, მიზანში ამოღება.

მთელი იმ დროის განმავლობაში ჩვეულებისამებრ ვეჯაჯგურებოდი ესპანურ ენას. ჩემ გარდა, ყაზარმებში ერთადერთი ინგლისელი იყო, ხოლო ოფიცრობიდან ერთი ფრანგული სიტყვაც კი არავინ იცოდა. სიტუაციას არ მიიოლებდა ის ფაქტი, რომ ჩემი კომპანიონები ერთმანეთში კატალანურად საუბრობდნენ. ერთადერთი რამით ვართმევდი თავს ამ სიტუაციას: ყველგან თან დამქონდა პატარა ლექსიკონი, რომელსაც კრიტიკულ მომენტში ჯიბიდან დავაძრობდი ხოლმე. მაგრამ ესპანეთში ჩემი უცხოელობა გაცილებით ნაკლებს ნიშნავდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ორიოდ დღეში უკვე უამრავი მილიციელი მომმართავდა ნათლობის სახელით, დამაკვალიანეს და მაცვიფრებდნენ თავისი სტუმართმოყვარე დამოკიდებულებით. მე პროპაგანდისტულ წიგნს არ ვწერ და არც მუშათა პარტიის მილიციას ვაიდეალებ. მთელ მილიციურ სისტემას სერიოზული ხარვეზები და ყოვლად ჭრელი შემადგენლობა ჰქონდა, რადგან იმ დროისთვის მოხალისე ჯარისკაცობა უკვე კლებულობდა, ბევრი საუკეთესო კაცი კი

ან ფრონტზე იმყოფებოდა, ან უკვე მკვდარი იყო. ჩვენს რიგებში ყოველთვის იყო გარკვეული პროცენტი ყოვლად გამოუსადეგარი ხალხისა. თხუთმეტი წლის ბიჭებს მშობლები სამხედრო სამსახურისთვის ზრდიდნენ სრულებით გამჭვირვალე მიზეზით: დღეში ათი პესეტასთვის, რაც მილიციელის ხელფასს შეადგენდა. კიდევ, იმ პურისთვის, რომელიც მილიციელს თავსაყრელად ჰქონდა და შეეძლო ჩუმჩუმად მშობლებისთვისაც წაეღო. მაგრამ ვერავინ წარმომიდგენია, ვინც ესპანელ მუშათა კლასში მოხვედრილა (ალბათ, უნდა

ვთქვა «კატალონიურ მუშათა კლასში», რადგანაც, რამდენიმე არაგონელისა და ანდალუზიელის გამოკლებით, მხოლოდ კატალონიელებთან მიწევდა ურთიერთობა) და არ გაოგნებულა მათი კეთილსინდისიერებით, უწინარეს ყოვლისა კი – მათი პირდაპირობითა და სულგრძელობით. ესპანელის ხელგაშლილობა, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ზოგჯერ სრულებით თავგზისამბნევია. სიგარეტს თუ სთხოვ, მთელ კოლოფს გაჩეჩებს. ამის მიღმა კი არსებობს სულგრძელობა უფრო ღრმა აზრით, რეალური დიდსულოვნება, რომელსაც კიდევ და კიდევ ვაწყდებოდი ყოვლად უპერსპექტივო სიტუაციებში. ზოგიერთმა ჟურნალისტმა თუ სხვა უცხოელმა, რომლებმაც ომის დროს იმოგზაურეს ესპანეთში, განაცხადეს: გულის სიღრმეში ესპანელებს მწარედ შურთ

უცხოეთიდან მოსული დახმარებისო. მე კი მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მსგავსი არაფერი შემინიშნავს. მახსოვს, ყაზარმებიდან წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ადამიანთა ჯგუფი დაბრუნდა ფრონტიდან. აღელვებით ჰყვებოდნენ თავიანთ გამოცდილებაზე და ენთუზიაზმით ახსენებდნენ ფრანგულ ჯარებს, მათ გვერდით რომ იბრძოდნენ ჰუესკაში. ძალიან მამაცები არიანო, ამბობდნენ, და ენთუზიაზმით ამატებდნენ: «ჩვენზე უფრო მამაცები!» რასაკვირველია, ეს მომენტი გავაპროტესტე, რის შემდეგაც ამიხსნეს: ფრანგები უკეთ ფლობენ ომის ხელოვნებას, უფრო გაწაფულები არიან ბომბების, ტყვიამფრქვევების და სხვა ამდაგვარის მოხმარებაშიო. და მაინც: ფრანგების საომარი ხელოვნების ასეთი აღნიშვნა ფრიად საყურადღებო გახლდათ. ინგლისელი კაცი უმალ ხელს მოიჭრიდა, ვიდრე ასეთ რამეს იტყოდა.

ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ესპანურ მილიციაში მსახურობდა, პირველ კვირებს ატარებდა იმის სწავლაში, თუ როგორ უნდა ჰყვარებოდა ესპანელები და როგორ აღშფოთებულიყო მათი ზოგიერთი თვისებით. ფრონტის ხაზზე ჩემი პირადი აღშფოთება ზოგჯერ გაშმაგებამდე მიდიოდა. ესპანელები ბევრ რამეში არიან კარგები, ოღონდაც – არა ომში. ყველა უცხოელს შოკში აგდებს მათი არაქმედითობა, უწინარეს

ყოვლისა – მათი ჭკუიდან გადამყვანი არაპუნქტუალობა. ერთი ესპანური სიტყვა, რომლის სწავლასაც ვერც ერთი უცხოელი ვერ ასცდება, არის macana ანუ «ხვალ» (სიტყვასიტყვით: «ხვალ დილით»). როცა კი ეს შესაძლებელია, დღევანდელ საქმეს თავიდან იშორებენ macana-მდე. ეს იმდენად ცნობილია, რომ ესპანელები თვითონვე ხუმრობენ ამაზე. არაფერი ხდება ესპანეთში დანიშნულ დროს, არამედ, როგორც წესი, გვარიანი დაგვიანებით. თუმცა ზოგჯერ – ისე, რომ თვით გვიან მოხდენაზეც რომ ვერ გათვალო – ყველაფერი მეტისმეტად ადრე ხდება. მატარებელი, რომელიც რვა საათზე უნდა გავიდეს, როგორც წესი, გადის ნებისმიერ წუთზე ცხრასა და ათს შორის. თუმცა, შესაძლოა კვირაში ერთხელ, მემანქანის რაღაც პირადი ახირების წყალობით, იგივე მატარებელი რვის ნახევარზეც გავიდეს. ასეთი რამეები შეიძლება რამდენამდე გამაღიზიანებელი იყოს. თეორიულად აღტაცებული ვარ ესპანელებით იმისთვის, რომ არ

იზიარებენ ჩვენს ჩრდილოურ დროის ნევროზს, მაგრამ, სამწუხაროდ, მე თვითონ ვიზიარებ.

დაუსრულებელი მითქმა-მოთქმის, macana-ებისა და დაყოვნებების შემდეგ, უეცრად მოვიდა ბრძანება: ორ საათში ფრონტისკენ მიემგზავრებითო. და ეს მაშინ, როცა

საბრძოლო აღჭურვილობა ჯერაც არ მოეცათ. ისმოდა საშინელი ხმაური სამეურნეო ინტენდანტის მაღაზიაში. საბოლოოდ, უამრავი კაცი ისე გაემგზავრა ფრონტისკენ, სრულ აღჭურვილობას ვერ ეღირსა. ყაზარმები მაშინვე დაიკავეს ქალებმა, რომლებიც თითქოს მიწიდან ამოხტნენ და ახლა თავიანთ კაცებს პლედების დახვევაში და ზურგჩანთების ჩალაგებაში ეხმარებოდნენ. ცოტა არ იყოს, დამამცირებელიც კი იყო, რომ ვაზნების ახალი ტყავის ყუთის აკიდებას მასწავლიდა ესპანელი გოგო, მეორე ინგლისელი მილიციელის – უილიამსის ცოლი. ეს გახლდათ ნაზი, შავთვალა, ღრმად ქალური არსება, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს მისი ცხოვრების საქმე აკვნის რწევა იყო. არადა, ფაქტია, რომ ვაჟკაცურად იბრძოდა კაცების გვერდით ივლისის ბრძოლებში. ახლა მას ჩვილი ჰყავდა, რომელიც ომის დაწყებიდან სულ რაღაც ათი თვის შემდეგ გაჩნდა და, ალბათ, რომელიმე ბარიკადის უკან მოევლინა ქვეყანას.

მატარებელი რვაზე უნდა გასულიყო, ცხრის ათ წუთზე კი აღელვებულმა და გაოფლილმა ოფიცრებმა, როგორც იქნა, ყაზარმის მოედანზე გაგვამწკრივეს. ძალზე მკაფიოდ მახსოვს ჩირაღდნებით განათებული მიდამო, ღრიანცელი და ფორიაქი, წითლად მოფრიალე დროშები, მილიციელთა მწკრივები, მათი ზურგჩანთები,

დახვეული და მხრების გარდიგარდმო ჯვარედინად აკრული პლედები; ყვირილი, ჩექმების ბრახუნი და თუნუქის ჯამების ჟღარუნი; მერე კი – სიჩუმისკენ მომწოდებელი გამაყრუებელი სტვენა. ამას მოჰყვა რომელიღაც პოლიტიკური კომისარი, რომელმაც კატალანურად მოგვმართა ვეებერთელა, მოფრიალე წითელი დროშის ქვეშ. ბოლოს და ბოლოს, სადგურისკენ წაგვიძღვნენ უშორესი გზით, ანუ სამი თუ ოთხი მილი გვატარეს, რათა მთელი ქალაქი გვენახა. რამბლასზე შეგვაჩერეს, სადაც მილიციელებისგან შემდგარი ბენდი რევოლუციურ მელოდიებს მღეროდა. კიდევ ერთხელ გაისმა ბოდვა უძლეველ გმირებთან დაკავშირებით. იყო ყვირილი და ენთუზიაზმი, ყველგან გამოფენილი წითელი და შავ-წითელი დროშები, ტროტუარებზე ჩვენს სანახავად შეკრებილი, მეგობრულად განწყობილი ბრბო, ქალები კი ფანჯრებიდან გვიქნევდნენ ხელებს. როგორ ბუნებრივად ჩანდა ეს მაშინ და რაოდენ შორეული და წარმოუდგენელია ახლა! მატარებელი ისე გაიტენა მამაკაცებით, რომ არათუ დასაჯდომი, დასადგომი ადგილიც კი აღარ დარჩა. ბოლო წუთს ბაქანზე უილიამსის ცოლი შემოვარდა და მოგვაწოდა ღვინის ბოთლი და ის ხასხასა წითელი ძეხვი, რომელსაც საპნის გემო აქვს და ფაღარათს გმართებს. მატარებელი ნელა გავიდა კატალონიიდან და არაგონის ზეგანს

გაუყვა ომის პერიოდისთვის შესაფერისი სისწრაფით – საათში ოც კილომეტრზე ნაკლებით.

თავი II

ბარბასტრო – თუნდაც ასე დაშორებული ფრონტის ხაზს – დაღვრემილი და გაფცქვნილი ჩანდა. ქუჩებში გაქლეტილსამოსიან მილიციელთა გუნდები დაეხეტებოდნენ და ცდილობდნენ გამთბარიყვნენ. ჩამონგრეულ კედელზე წავაწყდი წინა წლის პლაკატს, რომელიც იუწყებოდა: ამა და ამ დღეს არენაზე ექვსი მშვენიერი ხარი მოიკვლებაო. რაოდენ მივიწყებულად გამოიყურებოდა ამ პლაკატის გაცრეცილი ფერები! როგორც გავიგე, თვით ბარსელონაშიც კი აღარ ეწყობოდა კორიდა. რატომღაც ყველა საუკეთესო მატადორი ფაშისტი აღმოჩნდა.

ჩემი კომპანია სატვირთო მანქანით გაგზავნეს სიეტამოში, შემდეგ – დასავლეთით, ალკუბიერამდე, რომლის იქით უკვე სარაგოსა და ფრონტის ხაზი იწყებოდა. სიეტამოსთვის სამგზის იბრძოლეს, სანამ ოქტომბერში ის საბოლოოდ დაიკავეს ანარქისტებმა. ზოგიერთი რაიონი არტილერიამ ნანგრევებად აქცია, სახლების უმეტესობა კი შაშხანის ტყვიებით იყო დაცხრილული. ზღვის დონიდან 1500 ფუტის სიმაღლეზე ვიყავით. საძაგლად ციოდა და ხშირი ბურუსი ტრიალ-ტრიალით

ამოდიოდა საიდანღაც. სიეტამოსა და ალკუბიერს შორის ჩვენს მძღოლს გზა აებნა (ამგვარი მომენტები ომისთვის ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი იყო), რის გამოც საათობით ვიბოდიალეთ ბურუსში. ალკუბიერს გვიან ღამითღა მივაღწიეთ. ვიღაცამ ტალახის ტბორებს შორის შეგვრეკა ჯორების თავლაში, სადაც ბზეში ჩავძვერით და მკვდრებივით დაგვეძინა. თუკი სუფთაა, ბზე ცუდი ლოგინი არ გახლავთ. მართალია, თივას ვერ შეედრება, მაგრამ ნამჯას ნამდვილად ჯობს. დილის სინათლეშიღა შევნიშნე, რომ ბზე სავსე იყო პურის ქერქებით, დახეული გაზეთებით, ძვლებით, მკვდარი ვირთხებითა და რძის ცარიელი ქილებით.

ფრონტის ხაზთან საკმაოდ ახლოს ვიმყოფებოდით, რათა ომისთვის დამახასიათებელი სუნი გვეგრძნო. მე ამას ექსკრემენტისა და ლპობადი საკვების სუნად აღვიქვამდი. ალკუბიერი არასოდეს დაებომბათ და ამიტომაც უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე უშუალოდ ფრონტისპირა ხაზის სოფლების უმრავლესობა. მაინც მჯერა, რომ თვით მშვიდობიან დროშიც კი ვერ იმოგზაურებ ესპანეთის ამ ნაწილში ისე, რომ არ გაგაოგნოს არაგონული სოფლების გამორჩეულმა სიღატაკემ. ეს სოფლები ციხესიმაგრეებივით აუშენებიათ: ტალახითა და ქვით ნაგები დაბალი სახლებით

ეკლესიის ირგვლივ. აქ გაზაფხულზეც კი ვერსად ნახავ ყვავილს. სახლებს ბაღები არ აქვს, მხოლოდ უკანა ეზოები, სადაც ბუმბულაშლილი ფრინველები ჯორის ნეხვის ფენებს დასტრიალებენ. სუსხიანი ამინდი იყო, ნისლი და წვიმა ერთმანეთს ენაცვლებოდა. მიწის ვიწრო გზა ტალახის ზღვად ქცეულიყო, რომლის სიღრმე ზოგან ორ ფუტამდე აღწევდა და რომელშიც სატვირთოების

ბორბლები საშინელი ძალით ტრიალებდნენ და ასე ცდილობდნენ გაღწევას. გლეხები თავიანთ მოუქნელ ურმებს ექაჩებოდნენ, რომელთაგან ზოგიერთში ხანდახან ექვსი ჯორი იყო შებმული. ჯარების გამუდმებულმა მისვლა-მოსვლამ ეს სოფელი ენით აუწერელ ჭუჭყში ჩაძირა. აქ არსად იყო ისეთი რამ, როგორიცაა საპირფარეშო ან რაიმე წყალსადინარი, რის გამოც ერთი კვადრატული მეტრიც არსად დარჩენილიყო, სადაც უხიფათოდ დადგამდი ფეხს. ეკლესია უკვე დიდი ხანია ფეხსადგილად იყო ქცეული, ისევე, როგორც გარემომცველი მინდვრები მეოთხედი მილის რადიუსით. ვერასოდეს ვიხსენებ ომში ჩემი ყოფნის პირველ ორ თვეს ისე, რომ არ გამახსენდეს ზამთრის ნაწვერალი, კიდეებზე ნეხვის ქერქშემოვლებული მინდვრები.

ისე გავიდა ორი დღე, ერთი შაშხანაც არ მოუციათ ჩვენთვის. თუ ომის კომიტეტში

ყოფილხარ და კედელზე ფაშისტების სხვადასხვა შაშხანების ნატყვიარების მთელი მწკრივი გინახავს, მაშინ ნანახი გქონია ალკუბიერის ყველა სანახაობა. ფრონტის ხაზზე სიტუაცია აშკარად მშვიდი იყო. სულ რამდენიმე დაჭრილი მოიყვანეს. ყველაზე ამაღელვებელ მოვლენად იქცნენ ფაშისტი დეზერტირები, დაცვის თანხლებით რომ ჩამოჰყავდათ ფრონტიდან. ფრონტის ამ ნაწილში, ჩვენ პირდაპირ მდგარი მრავალი დანაყოფი სულაც არ შედგებოდა ფაშისტებისგან, არამედ მხოლოდ საბრალო ახალწვეულებისგან, რომლებიც ომის დაწყების მომენტში სამხედრო სამსახურს გადიოდნენ და რომლებიც მეტისმეტად აფორიაქებულნი იყვნენ საიმისოდ, რომ სადმე გაქცეულიყვნენ. შიგადაშიგ, რამდენიმეკაციანი ჯგუფები ახერხებდნენ ჩვენკენ გადმოპარვას. ეჭვი არაა, კიდევ უფრო მეტი იზამდა ამას, რომ არა მათი მშობლები და ნათესავები, რომლებიც ფაშისტურ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ეს დეზერტირები იყვნენ პირველი «ნამდვილი» ფაშისტები, რომლებიც ჩემი თვალით ვნახე. ვიფიქრე, რომ ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ ჩვენგან, გარდა იმისა, რომ ხაკის ფორმები ეცვათ. ჩვენთან მოხვედრილებს სულ შიოდათ და შიოდათ, რაც საკმაოდ ბუნებრივი იყო ერთი-ორი დღის მალვისა და ძურწვის შემდეგ უკაცრიელ ტერიტორიებზე. თუმცა ეს იმის ტრიუმფალური მაჩვენებელიც იყო, რომ ფაშისტების ჯარები შიმშილობდნენ.

ერთი მათგანი გლეხის ქოხში დანაყრებისას ვნახე. საბრალო სანახაობა იყო: ოცი წლის მაღალი, მზით გარუჯული, ჩამოძონძილი ბიჭი, რომელიც გამალებული იტენიდა პირში მოშუშულ ხორცს ღუმელზე დადგმული ჯამიდან და, იმავდროულად, ნერვულად გაცეცებულ თვალს არ აშორებდა მილიციელებს, რომლებიც იდგნენ და უყურებდნენ. ვფიქრობ, ჯერაც სჯეროდა, რომ ჩვენ სისხლისმსმელი «წითლები» ვიყავით და ჭამის დამთავრებისთანავე დავხვრეტდით. შეიარაღებული კაცი, რომელსაც დეზერტირი ებარა, მხარზე ხელს უტყაპუნებდა და გასამხნევებლად რაღაცას ბურტყუნებდა. ერთ სამახსოვრო დღეს თხუთმეტი დეზერტირი მოვიდა ერთ ჯგუფად. ისინი

ტრიუმფით ჩაატარა სოფელში თეთრ ცხენზე ამხედრებულმა კაცმა. მოვახერხე და ბუნდოვანი სურათი გადავუღე, რომელიც მოგვიანებით მომპარეს.

შაშხანები ალკუბიერში ყოფნის მესამე დილასღა ჩამოვიდა და ჯორების თავლაში დაგვირიგდა მუქყვითელი კანის მქონე მკაცრსახიანი სერჟანტის ხელით. სასოწარკვეთამ შემიპყრო, როცა დავინახე, რა მომცეს. ეს იყო გერმანული მაუზერი, დამზადებული 1896 წელს, ანუ მთელი ორმოცი წლის წინ! დაჟანგულ შაშხანას საკეტი გაჭედილი ჰქონდა, ხის დამცველი – გაბზარული, ლულას თვალის ერთი შევლებითაც

ეტყობოდა, რომ კოროზია დასწყებოდა და ყავლგასული იყო. შაშხანების უმეტესობა ასეთივე აღმოჩნდა, ზოგიერთი – კიდევაც უარესი. არც იმის მცდელობა ყოფილა, რომ საუკეთესო იარაღი მიეცათ იმათთვის, ვინც მათი გამოყენება იცოდა. ყველაზე უკეთესი შაშხანა – სულ ათიოდე წლის წინ გაკეთებული – მისცეს თხუთმეტი წლის გონებასუსტ ბიჭს, რომელსაც ყველა იცნობდა სახელით maricyn (გეი). სერჟანტმა ჩაგვიტარა ხუთწუთიანი «ინსტრუქტაჟი», ანუ აგვიხსნა, როგორ იტენება შაშხანა და როგორ უნდა დაიშალოს საკეტი. მრავალ მილიციელს აქამდე არასდროს სჭეროდა შაშხანა ხელში და, ვფიქრობ, ძალზე ცოტამ თუ იცოდა, რა დანიშნულებისა იყო მისი სამიზნე. დაგვირიგდა ვაზნები, თითოეულს – ორმოცდაათი ცალი, რის შემდეგაც გავმწკრივდით, ზურგზე მოვიკიდეთ ჩვენ-ჩვენი აღჭურვილობა და ფრონტისკენ, ანუ ალკუბიერიდან სამი მილის დაშორებით მდებარე ადგილისკენ დავიძარით.

ოთხმოცი კაცისა და რამდენიმე ძაღლისგან შემდგარი centuria დაქანცული ნაბიჯით გაუყვა გზას. თითოეულ კოლონაზე სულ ცოტა ერთი ძაღლი მაინც იყო «მიმაგრებული», როგორც თილისმა. ამ საცოდავ პირუტყვს სხეულზე დამაგრებული ჰქონდა პატარა დაფა, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა მომპ[5] და ისე მოიძურწებოდა,

თითქოს ხვდებოდა, რომ მთლად ნორმალურად ვერ გამოიყურებოდა. კოლონის თავში, წითელი დროშის გვერდით, მიაბიჯებდა შავ ცხენზე შემომჯდარი ჟორჟ კოპი – ზორბა ბელგიელი მაიორი. ცოტათი მოშორებით წინ და უკან დახტოდა ყაჩაღური იერის მქონე მილიციის კავალერიის წევრი ჭაბუკი, თავისი ცხენი თითოეულ შემხვედრ ბორცვზე აჰყავდა და არტისტულ პოზებს იღებდა. რევოლუციის დროს ესპანური კავალერიის მშვენიერი ცხენები დიდი რაოდენობით მოიხელთეს და მილიციას გადასცეს, მისი წარმომადგენლებიც კი, რაღა თქმა უნდა, მათ სულის ამოხდომამდე დააჭენებდნენ.

გზა მიიკლაკნებოდა ყვითელ უნაყოფო ველებზე, რომლებსაც წინა წლის მოსავლის აღების შემდეგ აღარავინ მიჰკარებოდა. წინ ალკუბიერისა და სარაგოსას შორის აზიდული დაბალი მთების მასივი მოჩანდა. ახლა კი ნამდვილად ვუახლოვდებოდით ფრონტის ხაზს, ბომბებს, ტყვიამფრქვევებსა და ტალახს. გულის სიღრმეში შევშინდი. ვიცოდი, რომ ამჟამად ფრონტზე

სიწყნარე იყო, მაგრამ გარშემომყოფთა უმრავლესობისგან განსხვავებით, საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი იმისთვის, რომ მხსომებოდა დიდი ომი, თუმცა არც ისეთი ასაკის, რომ მასში მონაწილეობა მიმეღო.

ჩემთვის ომი წარმოადგენდა ჰაერში მფრინავ ნაღმებსა და ლითონის მიმოფანტულ ნამსხვრევებს, უწინარეს ყოვლისა კი – ტალახს, ტილებს, შიმშილსა და სიცივეს. უცნაურია, მაგრამ თვით მტერზე მეტად, გაცილებით უფრო მეტად მაშინებდა სიცივე. ბარსელონაში ყოფნისას სიცივეზე ფიქრი არ მომშორებია. ღამითაც კი ვიწექი თვალგახელილი და ვფიქრობდი სიცივეზე სანგრებში, საბრძოლო მზადყოფნის დროს განთიადებზე, საგუშაგოზე დგომის გრძელ საათებში, როცა ხელში გაყინული შაშხანა მეჭირა, ტალახის სიღრმე კი ჩექმების სიმაღლეს აღემატებოდა. იმასაც ვაღიარებ, რომ ერთგვარ საშინელებას განვიცდიდი, როცა ვუყურებდი ადამიანებს, ვისთან ერთადაც მივაბიჯებდი. ალბათ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ბრბოდ გამოვიყურებოდით. ცხვრის ფარაზე გაცილებით ნაკლები მწყობრით მივჩლახუნობდით. ჯერ ორი მილიც არ გაგვევლო, რომ კოლონის ბოლო უკვე თვალთახედვიდან გაქრა. ეგრეთ წოდებული კაცების ნახევარი კი ბავშვები იყვნენ, ნამდვილი ბავშვები, დიდი-დიდი თექვსმეტი წლისა. მიუხედავად ამისა, ბედნიერები და აღგზნებულები მიაბიჯებდნენ: ბოლოს და ბოლოს, ფრონტს ვუახლოვდებითო. ფრონტის ხაზის ახლოს წინ მიმავალი წითელი დროშის გარშემო ბიჭებმა წამოიწყეს ძახილი: «Visca POUM!», «Fascistas – maricones!»[6] და სხვა ამდაგვარი რამეებისა, რაც საომარ და მუქარიან სიტყვებად მიიჩნეოდა, თუმცა

მათი ბავშვური ყელიდან ისევე პათეტიკურად ჟღერდა, როგორც კნუტების კნავილი. თავზარდამცემი იყო, რომ რესპუბლიკის დამცველებს შეადგენდა ჩამოძონძილი ყმაწვილების აი, ეს ბრბო, ყავლგასული შაშხანებით, რომელთა მოხმარება მათ არც კი იცოდნენ. მახსოვს, როგორ დამაინტერესა რა მოხდებოდა, თუ ფაშისტების თვითმფრინავი ჩვენს გზას გადაკვეთდა: შეიწუხებდა თუ არა თავს პილოტი, რომ დაბლა დაშვებულიყო და თავისი ტყვიამფრქვევით გაგვმასპინძლებოდა? განა ჰაერიდანვე ვერ დაინახავდა, რომ ნამდვილი ჯარისკაცები არ ვიყავით?

როცა გზა მთიანეთს მიადგა, მარჯვნივ გავუხვიეთ და მთის ფერდობზე ამავალ ჯორის ბილიკს ავყევით. ბორცვები ესპანეთის იმ ნაწილში უცნაური ფორმისაა: ნალის მოყვანილობის, თავგაბრტყელებული, უღრმეს ხეობებში ჩაკარგული ციცაბო ფერდებით. მაღალ ფერდობებზე არაფერი ყვავის, დაბალი ბუჩქნარისა და მანანას გარდა, რომელთა გვერდით ყველგან გამოჩრილა თეთრი კირქვა. აქ ფრონტის ხაზი არ წარმოადგენდა ერთიმეორეს მიყოლებულ სანგრებს, რაც შეუძლებელი იქნებოდა ასეთ მთიან ადგილას. ეს იყო გამაგრებული პოსტების ჯაჭვი, თითოეული ბორცვის თავზე აღმართული ეგრეთ წოდებული «პოზიციები». შორიდანვე დაინახავდი ჩვენს

«პოზიციას» «ცხენის ნალის» თავზე: ჩამოძენძილი ქვიშის ტომრების ბარიკადებს, მოფრიალე, წითელ დროშას, კოცონისგან ასულ კვამლს. ცოტა

კიდევ მიუახლოვდებოდი და უკვე ისუნთქავდი სნეულ-მოტკბო სიმყრალეს, რომელიც კვირების ჩავლის შემდეგაც კი გრჩებოდა ნესტოებში. უშუალოდ პოზიციის უკან არსებულ ნაპრალში თვეების მთელი ნაგავი იყრებოდა: პურის ქერქები, ექსკრემენტი და კონსერვის ჟანგიანი ქილები.

ის კომპანია, რომელსაც ვენაცვლებოდით, ახლა თავის ნივთებს უყრიდა თავს. სამი თვე დაჰყვეს ფრონტის ხაზზე, უნიფორმები ტალახით გაეჟღინთათ, ჩექმები ნაწილებად იშლებოდა, სახეები მეტწილად გაუპარსავი ჰქონდათ. სიტუაციის ხელმძღვანელი კაპიტანი, გვარად ლევინსკი (თუმცა ყველასთვის ბენჯამინად ცნობილი, პოლონელი ებრაელი, რომელიც ფრანგულს მშობლიურ ენასავით ლაპარაკობდა) თავისი მიწურიდან გამოძვრა და მოგვესალმა. ეს ტანდაბალი ახალგაზრდა კაცი ოცდახუთი წლისა იყო, ხეშეში შავი თმა ჰქონდა, ფერმკრთალი და ენერგიული სახე, რომელიც ომის ამ პერიოდში მუდმივად მურიანი ჰქონდა. რამდენიმე დაკარგულმა ტყვიამ თავებზემოთ გაგვიწუილა. ჩვენი პოზიცია წარმოადგენდა ნახევრად წრიულ,

შემოღობილ, დაახლოებით ორმოცდაათი იარდის სიგანის ადგილს, რომელსაც ნაწილობრივ ქვიშის ტომრებით და ნაწილობრივ კირქვით ნაგები მიწაყრილი იცავდა. აქ იყო ოცდაათი თუ ორმოცი, ვირთხის სოროსავით ამოთხრილი მიწური. მე, უილიამსმა და მისმა ესპანელმა ცოლის ძმამ სასწრაფოდ ჩავყვინთეთ უახლოეს მიწურში, რომელიც საცხოვრებლად ვარგისად გამოიყურებოდა. სადღაც ალალბედზე გასროლილი შაშხანის ხმა გაისმა და ქვის ბორცვებში უცნაურ ექოდ გავრცელდა. ჩვენ მხოლოდ აღჭურვილობა მოვიხსენით და ისევ ამოვძვერით მიწურიდან. ამ დროს კიდევ ერთი ბათქი გაისმა და ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი ბავშვი მიწაყრილიდან სახეგასისხლული უკუიქცა. თავისი შაშხანის გასროლისას იმდენი მოეხერხებინა, რომ საკეტი აეფეთქებინა, ვაზნების ყუთის ნამსხვრევები თავში მოხვედროდა და ახლა თავის კანი ნაფლეთებად ეკიდა. ეს იყო ჩვენი პირველი უბედური შემთხვევა, საკმაოდ ნიშანდობლივად მიყენებული საკუთარი თავისთვის.

ნაშუადღევს პირველი მცველები დავაყენეთ და ბენჯამინმაც საგუშაგო ადგილები გვიჩვენა. მიწაყრილის წინ არსებობდა კლდეში ამოჭრილი ვიწრო სანგრების სისტემა და კირქვისგან გაკეთებული უკიდურესად პრიმიტიული სათოფურები. თორმეტი

გუშაგი სხვადასხვა ადგილზე განლაგდა სანგარში და მიწაყრილის უკან. სანგრის წინ მავთულხლართი იყო, იმის იქით კი ფერდობი თითქოს უძირო ხეობაში ეშვებოდა. მოპირდაპირე მხარეს მოჩანდა შიშველი ბორცვები, ზოგან – მხოლოდ კლდეები, რუხი, პირქუში და სრულებით უსიცოცხლო: ჩიტიც კი არსად ჭაჭანებდა. ფრთხილად გავიხედე სათოფურში: ფაშისტების სანგარი ხომ არსად ჩანს-მეთქი.

– მტერი სად არის?

ბენჯამინმა ხელი ექსპანსიურად გაიქნია:

– იკ.

(საშინელი ინგლისურით ლაპარაკობდა).

– მაინც სად?

ჩემი წარმოდგენით სანგრულ ომთან დაკავშირებით, ფაშისტები ორმოცაათი ან ასი

იარდის მანძილზე უნდა ყოფილიყვნენ. აქედან ვერაფერს ვხედავდი, თითქოს მათი სანგრები იდეალურად იყო დამალული. მერე შიშის ელდით დავინახე, საით მიგვითითა ბენჯამინმა: მოპირდაპირე ბორცვის თავისკენ, ხეობის გადაღმა, სულ ცოტა შვიდასი მეტრის მანძილზე, სადაც მოჩანდა მიწაყრილის პაწაწინა კონტური და წითელ-ყვითელი დროშა: ფაშისტების პოსტი. ენით აუწერელი გულაცრუება ვიგრძენი. მათთან ახლოს არ ვიყავით! ამ დისტანციაზე ჩვენი შაშხანები სრულებით გამოუსადეგარი იყო. უცებ ყვირილი გაისმა: შორს, ბორცვის შიშველ ფერდობზე, ორი ფაშისტის ნაცრისფერი ფიგურა მიცოცავდა. ბენჯამინმა უახლოეს კაცს შაშხანა გამოგლიჯა, ფიგურა მიზანში ამოიღო და ჩახმახს გამოჰკრა. ჩლახ! ცარიელი ვაზნა! ეს ცუდ ნიშნად მეჩვენა.

ახალმა გუშაგებმა სანგრებში ჩასვლისთანავე ატეხეს საშინელი სროლა, არსებითად – უმისამართოდ. აქედან ვხედავდი ფაშისტებს, ჭიანჭველებივით პატარებს და თავიანთი მიწაყრილის უკან მიმალულებს, ზოგჯერ – შავ წერტილს, ანუ წინდაუხედავად ამოწეულ თავს. აშკარად არავითარი აზრი არ ჰქონდა სროლას. მაგრამ ამჯერად ჩემგან მარცხნივ მყოფმა გუშაგმა ტიპურ-ესპანურად მიატოვა თავისი პოსტი, გვერდიდან

მომიცოცდა და შემიჩნდა, რატომ არ ისვრიო. ვცადე ამეხსნა, რომ ამ მანძილზე და ასეთი შაშხანით მხოლოდ შემთხვევით თუ მოარტყამდი მიზანში. მაგრამ ის ბავშვი იყო და ჯიუტად განაგრძობდა მითითებას ერთი წერტილისკენ, თან იმ ძაღლივით იღიმებოდა, რომელიც ელოდება, როდის ესვრიან ქვას. ბოლოს და ბოლოს, შაშხანის სამიზნე შვიდასი მეტრის დაშორებით მივმართე და გავისროლე. წერტილი გაქრა. ვიმედოვნებ, ტყვიამ საკმაოდ ახლოს ჩაუარა და განზე გაახტუნა. ცხოვრებაში პირველად ვესროლე ცოცხალ ადამიანს.

ახლა, როდესაც ფრონტი ვნახე, სიღრმისეულად შემძაგდა. ამას ეძახდნენ ომს! არც კი ვეხებოდით მტერს! არ მიცდია, თავი სანგარში ჩამემალა. ყოველივეს მიუხედავად, ცოტა ხნის შემდეგ ყურთან ტყვიამ ჩამიწუილა და ზურგს უკან შეენარცხა რაღაცას. ეჰა, რომ მაშინვე ჩავიმალე! მანამდე მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ვიფიცებოდი, არ ჩავიმალები, როცა პირველი ტყვია თავზე გადამივლის-მეთქი. მაგრამ ეს ინსტინქტური მოძრაობა აღმოჩნდა. თითქმის ყველა აკეთებს ამას ერთხელ მაინც.

თავი III

სანგრულ ომში ხუთი რამ არის არსებითი: შეშა გასათბობად, საკვები, თამბაქო, სანთლები და მტერი. ზამთარში, სარაგოსას ფრონტზე, ხუთივე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ამ თანმიმდევრობით და ცუდად დასრულებული მეხუთე ფაქტორით. ღამის გამოკლებით, როცა ყოველთვის ელოდები მოულოდნელ შეტევას, თავს არავინ იწუხებს მტერზე ფიქრით. ფაშისტები მხოლოდ შავი და შორეული მწერები იყვნენ, აქა-იქ რომ დახტოდნენ ხანგამოშვებით. სიცივის გაძლება: აი, ორივე ჯარის რეალური საზრუნავი.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ესპანეთში ყოფნისას ძალზე ცოტა ბრძოლას მოვესწარი. იანვრიდან მაისამდე არაგონის ფრონტზე ვიყავი. მარტის ბოლომდე ბევრი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ტერუელს. მარტში მძიმე ბრძოლები გაიმართა ჰუესკას ირგვლივ, თუმცა პირადად მე ამაში პატარა როლი შევასრულე. მოგვიანებით, ივნისში, ჰუესკაზე განხორციელდა დამღუპველი იერიში, რომლის დროსაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაიხოცა ერთ დღეში. მე მანამდე დავიჭერი და ბრძოლას გამოვეთიშე. ისეთი

რამეები, რაც ჩვეულებრივ ომის საშინელებებად ითვლება, იშვიათად გადამხდენია თავს. არც ერთ თვითმფრინავს არასოდეს ჩამოუგდია ბომბი ჩემს სიახლოვეს. არც ის მახსენდება, ოდესმე ნაღმი აფეთქებულიყოს ჩემგან ორმოცდაათი იარდის რადიუსში. ხოლო ხელჩართულ ბრძოლაში სულ ერთადერთხელ მოვხვდი (შემიძლია ვთქვა, რომ ეს «ერთადერთხელ» საკმარისზე მეტია). რა თქმა უნდა, ხშირად მოვხვედრილვარ ტყვიამფრქვევის ცეცხლში. მაგრამ, როგორც წესი, მოშორებით აღმოვჩნდებოდი ხოლმე. თვით ჰუესკაშიც კი საკმარისად დაცული იყავი, თუკი დროულად მიიღებდი ზომებს.

აქ, სარაგოსას გარემომცველ ბორცვებზე, უბრალოდ, პოზიციური ბრძოლის თავგაბეზრება და დისკომფორტი სუფევდა, ანუ არსებობა, რომელშიც ისევე არაფერი ხდებოდა და თითქმის ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც მავანი კლერკის ცხოვრება ქალაქში. საგუშაგოზე დგომა, პატრული, მიწის თხრა; მიწის თხრა, პატრული, საგუშაგოზე დგომა. თითოეული ბორცვის თავზე, ფაშისტურისა თუ ლოიალისტურის, დაბანაკებულიყო ჭუჭყიანი კაცების რაზმი, რომელიც თავისი დროშის გარშემო შემოკრებილი ცახცახებდა და სითბოს შენარჩუნებას ცდილობდა. დილიდან დილამდე

ალალბედზე ნასროლი ტყვიები უმისამართოდ დაფრინავდა ცარიელი ხეობის ირგვლივ და მხოლოდ შემთხვევით თუ იბუდებდა ადამიანის სხეულში.

ხშირად ვაკვირდებოდი ზამთრის ლანდშაფტს და მაოცებდა ყველაფრის ამაოება, ამგვარი ომის უშედეგობა. უფრო ადრე, ოქტომბერში, მოხდა სასტიკი შეტაკება ყველა ამ ბორცვისთვის. შემდეგ, ცოცხალი ძალისა და იარაღის, განსაკუთრებით კი არტილერიის უკმარისობამ შეუძლებელი გახადა

ნებისმიერი ფართომასშტაბიანი ოპერაცია. ორივე ჯარი თავ-თავის მიერ მოპოვებული ბორცვების თხემებზე დაბინავდა. ჩვენგან მარჯვნივ იყო ასევე მომპ-ის პატარა ავანპოსტი, ჩვენგან მარცხნივ და ცოტა უკან კი, სხვა თხემზე, კგსპ[7]-ის პოსტი პირდაპირ უყურებდა უფრო მაღალ თხემს, რომლის წვერი ფაშისტების პოსტებს დაეწინწკლა. ეგრეთ წოდებული ფრონტის ხაზი ზიგზაგად იკლაკნებოდა წინ და უკან და სრულებით განუსაზღვრელი იქნებოდა, რომ არა თითოეულ პოსტზე აღმართული დროშა. მომპ-ის და კგსპ-ის დროშები წითელი იყო, ანარქისტებისა – შავ-წითელი. ფაშისტები, ძირითადად, მონარქისტულ (წითელ-ყვითელ-წითელ) დროშას აფრიალებდნენ, თუმცა, შიგადაშიგ, რესპუბლიკის დროშასაც (წითელ-ყვითელ-მეწამულს)[8]. განსაცვიფრებელი სანახაობა იყო, თუკი

შეგეძლო დაგევიწყებინა, რომ თითოეული მთის თხემზე ჯარი იდგა, რის გამოც ირგვლივ ყველაფერი დაბინძურებული იყო კონსერვის ქილებითა და გამხმარი ქაქით. ჩვენგან მარჯვნივ მთიანეთი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უხვევდა და გზას აძლევდა ფართო, ძარღვიან ხეობას, რომელიც მთელ ჰუესკას ჰკვეთდა. რამდენიმე პატარა კუბი გაგორებული კამათლებივით ეყარა შუა ველზე. ეს იყო ქალაქი რობრესი, რომელიც ლოიალისტებს დაეკავებინათ. ხშირად, დილაობით, ხეობას ფარავდა ნისლების ზღვა, რომლიდანაც ბრტყელთავიანი, ლურჯი ბორცვები ამოჩრილიყო და მთელ ლანდშაფტს ნეგატივის უცნაურ იერს აძლევდა. ჰუესკას გადაღმა ჩანდა ჩვენი ბორცვის მსგავსი ფორმაციის კიდევ სხვა ბორცვები თოვლის ლაქებითა და ზოლებით, რომელთა ფორმები დღიდან დღემდე იცვლებოდა. შორს, ცის დასალიერზე ასვეტილი პირენეების საშინელი მწვერვალები, სადაც თოვლი არასოდეს დნებოდა, თითქოს ყოველგვარი საყრდენის გარეშე მიცურავდა სივრცეში. დაბლა, ველზე, ყველაფერი შიშვლად და უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა. ჩვენ პირდაპირ სპილოს კანივით ნაცრისფერი და დანაოჭებული ბორცვები იდგა. ცაში თითქმის არასოდეს არ დაფრინავდნენ ჩიტები. არა მგონია, ოდესმე მენახოს ქვეყანა ესოდენ მცირერიცხოვანი ფრინველით. ერთადერთი ჩიტი, რომელსაც ყოველთვის ვხედავდი, იყო კაჭკაჭის

ერთგვარი სახეობა და მწყერების გუნდები, მოულოდნელად რომ ჩაგიქროლებდნენ. ძალიან ადრე დილით კი – დუნედ მფრინავი არწივები, რომლებიც აინუნშიც არ აგდებდნენ მათკენ ნასროლ ტყვიებს.

ღამით, ნისლიან ამინდში, ჩვენსა და ფაშისტებს შორის ჩაწოლილ ხეობაში პატრული იგზავნებოდა. ეს საქმე მაინცდამაინც პოპულარული არ გახლდათ: ძალიან ციოდა და ძალიან ადვილი იყო გზის დაკარგვა. და მეც მალე აღმოვაჩინე, რომ იმდენჯერ შემეძლო პატრულში წასვლა, რამდენჯერაც მოვისურვებდი. მაღალ, დაკბილულ ხევებში არანაირი ბილიკი ან ნაკვალევი არ იყო, არსად ჩანდა რაიმე ახალგაკეთებული ნიშანი. გზას მხოლოდ ერთმანეთს მიყოლებული გასვლებით თუ იმახსოვრებდი და იგნებდი. ჩვენი პოსტიდან უახლოეს ფაშისტურ პოსტამდე ტყვიას შვიდასი მეტრი უნდა ეფრინა, აი, ფეხით

მოსიარულისთვის გამოსადეგი ერთადერთი სავალი კი ერთ-ნახევარ მილს შეადგენდა. თავშესაქცევიც კი იყო ბნელ ხეობებში სიარული და მაღლა, თავზემოთ, გზააბნეული ტყვიების წუილის სმენა. ღამეზე უკეთესი იყო მძიმე ბურუსი, რომელიც ხშირად მთელ დღეს არ იფანტებოდა და რომელსაც ბორცვების თხემებზე მიტმასვნა და ხეობების ღიად დატოვება სჩვეოდა. როდესაც ფრონტის ხაზთან ახლოს

იყავი, ლოკოკინას ნაბიჯით უნდა გევლო. ძალიან გაგიძნელდებოდა უჩუმრად სიარული ამ ფერდობებზე მოშრაშუნე ბუჩქებსა და მოჟღარუნე კირქვებს შორის. მხოლოდ მესამე თუ მეოთხე მცდელობაზე გავიგნე გზა ფაშისტებისკენ. ხშირი ბურუსი იყო. ჰოდა, მეც მავთულხლართებთან მივიპარე და მივაყურადე. მათი ლაპარაკი და სიმღერა გავიგონე. შემდეგ, ჩემდა საგანგაშოდ, ისიც მომესმა, როგორ ჩამოდიოდა რამდენიმე მათგანი ფერდობზე ჩემი მიმართულებით. ამოვეფარე ბუჩქს, რომელიც უცებ მთლად მოცუცქნული მეჩვენა, და ვცადე, უხმაუროდ შემეყენებინა შაშხანის ჩახმახი. მაგრამ მათ ისე გაუხვიეს, რომ ჩემი მხედველობის ზონაში არ შემოსულან. იმ ბუჩქის უკან, სადაც ვიმალებოდი, უფრო ადრეული ბრძოლის სხვადასხვა ნაშთებს წავაწყდი: ვაზნების ცარიელი ყუთების გროვას, ტყვიით გახვრეტილ ტყავის ქუდსა და წითელ დროშას, როგორც ჩანს – ჩვენი დროშებიდან ერთ-ერთს. ავიღე და ჩვენს პოსტზე დავაბრუნე, სადაც ის ყოვლად არასენტიმენტალურად დაფხრიწეს და ყოველდღიურად გამოსაყენებელ ჩვრებად აქციეს.

ფრონტთან მისვლისთანავე მე კაპრალად ანუ cabo-დ დამნიშნეს (როგორც იქ უწოდებდნენ) და თორმეტი მცველის ხელმძღვანელობა ჩამაბარეს. ეს არავითარ თბილ

ადგილს არ წარმოადგენდა, განსაკუთრებით – დასაწყისში. Centuria ძირითადად თინეიჯერი ბიჭებისგან შემდგარი გაუწვრთნელი ბრბო იყო. აქა-იქ მილიციაში თერთმეტი-თორმეტი წლის ბიჭებსაც აწყდებოდი, ჩვეულებრივ – ფაშისტების ტერიტორიებიდან მოსულ ლტოლვილებს და მილიციაში ჩაწერილებს, რაც მათი უზრუნველყოფის ყველაზე იოლ გზას წარმოადგენდა. როგორც წესი, ასეთებს მსუბუქ სამუშაოს ავალებდნენ. თუმცა ხანდახან ეს ბიჭები ფრონტის ხაზამდე გაძვრებოდნენ და იქ საყოველთაო საშიშროებად იქცეოდნენ. მახსოვს ერთი ასეთი მხეცუნა, რომელმაც მიწურის ცეცხლში ხელყუმბარა ჩააგდო მხოლოდ და მხოლოდ «ხუმრობისთვის». არა მგონია, მონტე პოსეროში თხუთმეტ წელზე უფრო პატარა ასაკის ბიჭს ემსახუროს, თუმცა მათი საშუალო ასაკი ოც წელზე საგრძნობლად უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო. ამ ასაკის ბიჭები არასოდეს არ უნდა გაუშვან ფრონტის ხაზზე, რადგან ვერ უძლებენ უძილობას, რომელიც განუყოფელია სანგრული ომისგან. თავიდან თითქმის შეუძლებელი იყო ჩვენი ბანაკის დაცვა ღამღამობით. ჩემი სექციის საცოდავი ბავშვების გაღვიძების ერთადერთი გზა იყო ფეხებში ჩავლება და მიწურიდან გამოთრევა. მაგრამ როგორც კი ზურგს შეაქცევდი, მაშინვე ტოვებდნენ თავიანთ პოსტებს და ისევ მიწურში მიძვრებოდნენ. ის კი არა, საშინელი სიცივის

მიუხედავად, სანგრის კედელს ეყუდებოდნენ და ასე იძინებდნენ. საბედნიეროდ, მტერი მეტისმეტად უინიციატივო იყო. ხანდახან, ღამით, მომჩვენებია, რომ ჩვენი ბანაკი შეიძლებოდა იერიშით აეღო პნევმატური თოფებით აღჭურვილ ოციოდე ბოისკაუტს ან ოც ჩოგნიან გოგონას.

იმ პერიოდში და მას შემდეგ კიდევ დიდხანს კატალონიის მილიცია ისევ იმავე ბაზისზე რჩებოდა, რომელზეც ომის დასაწყისში იდგა. ფრანკოს ამბოხების ადრეულ პერიოდში სხვადასხვა ტრედუნიონმა და პოლიტიკურმა პარტიამ სასწრაფოდ შექმნეს მილიციები. თითოეული მათგანი, არსებითად, პოლიტიკური ორგანიზაცია იყო, იმდენადვე ლოიალური თავისი პარტიის მიმართ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. 1937 წლის დასაწყისში, როცა მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივ საწყისებზე დაფუძნებული «არაპოლიტიკური» სახალხო არმია შეიქმნა, პარტიული მილიციები თეორიულად მის შემადგენლობაში შევიდნენ. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ ფურცელზე აისახებოდა. ახალი სახალხო არმიის ჯარებმა არაგონის ფრონტს ივნისში მიაღწიეს და, იმ დრომდე, მილიციის სისტემა უცვლელი დარჩა. ამ სისტემის არსებითი მომენტი იყო

თანასწორობა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის. გენერლიდან დაწყებული, რიგითი ჯარისკაცით დამთავრებული, ყველა ერთნაირ ხელფასს იღებდა, ერთსა და იმავე საჭმელს ჭამდა, ერთნაირ სამოსს ატარებდა და სრული თანასწორობის პირობებში ცხოვრობდა. თუ მოგინდებოდა, დივიზიის გენერლისთვის ზურგზე ხელი დაგერტყა და სიგარეტი გეთხოვა, შეგეძლო ასეც მოქცეულიყავი და ეს არავის ეუცხოვებოდა. თეორიულად ყველა მილიცია იყო დემოკრატია და არა იერარქია. გასაგებია, რომ ბრძანებებს უნდა დამორჩილებოდნენ, თუმცა ისიც გასაგები იყო, რომ ბრძანებას აძლევდი როგორც ამხანაგი ამხანაგს და არა როგორც ზემდგომი – ქვემდგომს. იყვნენ ოფიცრები და უნტეროფიცრები, მაგრამ არ არსებობდა სამხედრო ჩინები ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით: არავითარი ტიტული, მედალი, არავითარი ქუსლების მირახუნება და სამხედრო მისალმება. როგორც ჩანს, სცადეს, მილიციებში უკლასო საზოგადოების ერთგვარი დროებითი სამუშაო მოდელი შეექმნათ. რასაკვირველია, სრულყოფილი თანასწორობა ვერ იყო, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად მიუახლოვდა ამგვარ წყობას მათ შორის, რაც კი ოდესმე მინახავს ან რასაც წარმოსადგენად ჩავთვლიდი ომის პერიოდში.

უნდა ვაღიარო, რომ თავდაპირველად ფრონტის სიტუაციამ თავზარი დამცა: როგორ შეიძლებოდა ამქვეყნად ომის მოგება ასეთი ჯარით? იმხანად ყველა ამას ამბობდა და ეს სიმართლე იყო, თუმცა, იმავდროულად, არაკეთილგონივრულობაც. რადგან იმ გარემოებაში მილიცია არსებითად უკეთეს მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. თანამედროვე მექანიზებული არმია ციდან არ ჩამოვარდნილა და მთავრობა რომ დალოდებოდა, როდის ეყოლებოდა თავის განკარგულებაში გაწვრთნილი ჯარი, ფრანკოს ვერასოდეს შეაჩერებდნენ. მოგვიანებით მოდაში შემოვიდა მილიციის კიცხვა და თავის მოკატუნება,

თითქოს წვრთნითა და იარაღის უკმარისობით გამოწვეული შეცდომები შედეგად მოიყოლა თანასწორუფლებიანობის სისტემამ. არსებითად, მილიციის ჩანასახი წარმოადგენდა უდისციპლინო ბრბოს არა იმ მიზეზით, რომ ოფიცრები რიგითებს «ამხანაგს» უწოდებდნენ, არამედ იმიტომ, რომ უწვრთნელი ჯარი მუდამ და ყოველთვის უდისციპლინო ბრბოს წარმოადგენდა. პრაქტიკაში, დისციპლინის დემოკრატიული «რევოლუციური» ტიპი უფრო საიმედოა, ვიდრე შეიძლება გვეგონოს. მუშების არმიაში დისციპლინა თეორიულად მოხალისურია და კლასისადმი ლოიალობას ეყრდნობა მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ჯარი, არსებითად, შიშს ეფუძნება (სახალხო არმია, რომელმაც მილიციები შეცვალა, სადღაც

შუაში იდგა ამ ორ ტიპს შორის). დაშინებას და შეურაცხყოფას, რომლებიც ახლაც გრძელდება ჩვეულებრივ ჯარში, ერთი წამითაც ვერ მოითმენდნენ მილიციაში. არსებობდა ნორმალური სამხედრო დასჯის მეთოდები, თუმცა მათ მხოლოდ ძალზე სერიოზული შეურაცხყოფების დროს თუ მიმართავდნენ. როცა ადამიანი უარს ამბობდა ბრძანების შესრულებაზე, იმავე წამს კი არ სჯიდი, არამედ ჯერ საყოველთაო ამხანაგობის სახელით მიმართავდი. ცინიკოსები, რომელთაც ადამიანებთან ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ აქვთ, მეყსეულად დაასკვნიდნენ, რომ ასეთი დამოკიდებულება არასოდეს «იმუშავებდა». მაგრამ ფაქტია, რომ, მთლიანობაში, ის მუშაობს. მილიციის თვით ყველაზე უარესი ჩანასახების დისციპლინაც კი თვალში საცემად გაუმჯობესდა დროის სვლასთან ერთად. იანვრის თვეში ლამის თმა გამითეთრა ერთი დუჟინი ახალწვეულების შენარჩუნებამ სათანადო ფორმაში. მაისში, გარკვეული ხნით, ლეიტენანტის მოვალეობის შემსრულებლად დამნიშნეს და ოცდაათამდე ინგლისელი და ესპანელი სამხედრო ჩამაბარეს. ჩვენ ყველამ თვეები დავყავით ტყვიების ცეცხლში და არასოდეს შემქმნია რომელიმე მათგანის მხრიდან ბრძანების დაუმორჩილებლობის ან სახიფათო საქმეზე მოხალისედ არწასვლის უმცირესი პრობლემაც კი. «რევოლუციური» დისციპლინა დამოკიდებულია

პოლიტიკურ ცნობიერებაზე, ანუ იმის გაგებაზე, თუ რატომ უნდა დაემორჩილო ბრძანებებს. ამის დანერგვას დრო სჭირდება, თუმცა იმასაც დრო უნდა, რომ ავტომატიანი კაცი ყაზარმის მოედანზე ავარჯიშო. ჟურნალისტებს, რომლებიც მილიციის სისტემას აქილიკებდნენ, იშვიათად ახსენდებოდათ, რომ მილიციას ფრონტის ხაზი უნდა შეეჩერებინა მაშინ, როცა სახალხო არმია ზურგში ვარჯიშობდა. და სწორედ «რევოლუციური» დისციპლინის წყალობით ხდებოდა, რომ მილიცია ბრძოლის ველიდან არ გარბოდა. რადგან 1937 წლამდე ჯერაც არაფერი იყო ისეთი, რითაც მათ იქ შეაკავებდი, კლასობრივი ლოიალობის გარდა. შესაძლოა, დეზერტირები დაეხვრიტათ და, დროდადრო, ხვრეტდნენ კიდეც, მაგრამ თუ ათასი კაცი გადაწყვეტდა ფრონტის ერთბაშად დატოვებას, მათ ვერაფერი შეაჩერებდა. წვევამდელების ჯარი იმავე გარემოებებში – მებრძოლი მილიციის გარეშე – თვალსა და ხელს შუა განადგურდებოდა. დიახ, მილიცია ფრონტის ხაზს აკავებდა. არადა, ღმერთმა ხომ იცის, რომ მათ სულ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს და თვით ცალკეული

დეზერტირობის შემთხვევებიც იშვიათი იყო. ოთხი თუ ხუთი თვის განმავლობაში სულ ოთხი ადამიანის დეზერტირობა შევიტყვე მომპ-იდან. ორი მათგანი უდავოდ ჯაშუშის ფუნქციით წავიდა ინფორმაციის მოსაპოვებლად. თავდაპირველად თავზარს

მცემდა და მაშმაგებდა ნამდვილი ქაოსი, საყოველთაო უწვრთნელობა, ის ფაქტი, რომ ხშირად გჭირდებოდა რამდენიმეწუთიანი კამათი, სანამ მიცემულ ბრძანებას დაემორჩილებოდნენ. მე თვალწინ მედგა ბრიტანული ჯარი, ესპანური მილიცია კი მას არაფრით ჰგავდა. მაგრამ გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო კარგი ჯარის მოლოდინის უფლება ნამდვილად არ გვქონდა.

ამასობაში კი შეშა გვჭირდებოდა გასათბობად, ისევ შეშა და შეშა. იმ პერიოდის დღიურში, ალბათ, ერთი ჩანაწერიც არ გამიკეთებია ისეთი, სადაც შეშა არ მეხსენებინოს, უფრო სწორად – მისი უქონლობა. ჩვენ ვიმყოფებოდით ორი თუ სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, შუა ზამთარი იდგა და ენით აუწერლად ციოდა. ტემპერატურა განსაკუთრებით დაბალი არ იყო, ბევრჯერ ღამით არ გაუყინავს, ზამთრის მზე კი ხშირად მთელ საათს ანათებდა შუადღისას. მაგრამ ნამდვილი სიცივეც რომ არ ყოფილიყო, გარწმუნებთ, მაინც ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ზოგჯერ მწივანი ქარები უბერავდნენ, ქუდს გხდიდნენ და თმას გიჩეჩავდნენ, ზოგჯერ კი ნისლი სითხესავით იღვრებოდა სანგარში და თითქოს ძვალ-რბილში ატანდა. სულ თხუთმეტწუთიანი წვიმაც კი საკმარისი იყო, რომ ყველაფერი აუტანელი გამხდარიყო.

კირქვაზე გადაკრული მიწის თხელი ფენა სწრაფად იქცეოდა სრიალა ცხიმად და, რაკი ერთთავად ბორცვის ფერდობზე გიწევდა სიარული, შეუძლებელი ხდებოდა წონასწორობის შენარჩუნება. ბნელ ღამეებში ოცი იარდის მანძილზე ექვსჯერ მაინც დავცემულვარ. ეს კი სახიფათო იყო, რადგან შაშხანის საკეტი გიტალახიანდებოდა. სამოსი, ჩექმები, პლედები და შაშხანები – ყველაფერი ტალახში იყო მოთხვრილი. იმდენი თბილი სამოსი წამოვიღე, რამდენიც შევძელი, მაგრამ ბევრ ადამიანს საშინლად აკლდა თბილი სამოსი. მთელ გარნიზონს – ასამდე კაცს – სულ თორმეტი ფარაჯა ჰქონდა და ამიტომაც გუშაგიდან გუშაგს უნდა გადასცემოდა. ამავე დროს, უმრავლესობა სულ ერთი პლედის ამარა იყო. ერთ სუსხიან ღამეს დღიურში ყველა იმ სამოსის სია ჩამოვწერე, რომელიც მეცვა. ეს იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც აჩვენებს, რა რაოდენობის სამოსი შეიძლება ატაროს კაცმა. მეცვა სქელი სათბური და შარვალი, ფლანელის პერანგი, ორი ჯემპრი, შალის ჟაკეტი, ღორის ტყავის ჟაკეტი, ველვეტის ბრიჯები, ფეხზე – სახვევები, სქელი წინდები, ჩექმა, კიდევ, გამძლე სასანგრე ქურთუკი, სქელი შარფი, სარჩულიანი ხელთათმანები და შალის ქუდი. ამის მიუხედავად, სიცივისგან ჟელესავით ვთრთოდი. თუმცა ვაღიარებ: უჩვეულოდ მგრძნობიარე ვარ სიცივის მიმართ.

შეშა – აი, ერთადერთი მნიშვნელოვანი რამ. შეშასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის, პრაქტიკულად, არ მოგვეპოვებოდა. ჩვენს საბრალო მთას

საუკეთესო პერიოდშიც არ ჰქონდა ვეგეტაცია, ახლა კი, თვეების განმავლობაში შემცივნული პოლიციელების წანწალის შემდეგ, დიდი ხნის წინ დაიწვა ყველაფერი. როცა არ ვჭამდით, არ გვეძინა, საფრთხეს არ ველოდით ან საგუშაგოზე არ ვიხდიდით დამქანცველ მოვალეობას, მაშინ ხეობაში ვიყავით ჩვენი ბანაკის უკან და ფიჩხს ვეძებდით. იმ პერიოდის ყველა ჩემი მოგონება თითქმის ვერტიკალურ ფერდობებზე და დაკბილულ კირქვაზე აცოცება-ჩამოცოცებას უკავშირდება და ტოტის თითოეული ნამტვრევის ხარბ შეგროვებას. სამი ადამიანი ორ საათში იმდენს შეაგროვებდა, რამდენიც მიწურში დანთებულ ცეცხლს დაახლოებით ერთ საათს ეყოფოდა. საწვავი მასალის ძიებამ ყველა ბოტანიკოსად გვაქცია. საწვავი თვისებების მიხედვით მოვახდინეთ მთის შემოგარენში არსებული თითოეული მცენარის კლასიფიცირება, – ყველა ბუჩქისა თუ ბალახის, რომლებიც კარგი ასანთები იყო თავიდან, მაგრამ სულ რამდენიმე წუთში იფერფლებოდა; ველური როზმარინისა და პაწაწინა ჯოჯოს ბუჩქების, რომლებიც მხოლოდ კარგად აგიზგიზებულ ცეცხლში იწვოდა. რაც შეეხება ჯუჯა მუხის ხეს, ხურტკმლის ბუჩქზე უფრო მოცუცქნულს, მას პრაქტიკულად

ცეცხლი არ ეკიდებოდა. გამხმარი ლელქაში მთლად მისწრება იყო ცეცხლის დასანთებად, მაგრამ მხოლოდ ბორცვის წვერზე იზრდებოდა, ჩვენი ბანაკის მარცხნივ, და მის შეგროვებას ცეცხლქვეშ გავლით თუ მოახერხებდი. თუ ფაშისტი მეტყვიამფრქვევე დაგინახავდა, მთელ მჭიდს დაგაცლიდა ზედ. ძირითადად, ისინი მაღლა უმიზნებდნენ და ტყვიებიც ჩიტებივით მიჟღურტულებდნენ თავზემოთ. თუმცა ზოგჯერ უსიამოვნოდ ახლოს ჩაგივლიდნენ, კირქვას ფშვნიდნენ და შენც იმწამსვე პირქვე წვებოდი მიწაზე. ამის მიუხედავად, მაინც დადიოდი ლელქაშის მოსაკრეფად. სითბოს საჭიროება ყველაფერს ჩრდილავდა.

სიცივის გრძნობასთან შედარებით სხვა უკმარისობები უმნიშვნელო ჩანდა. რაღა თქმა უნდა, ყველანი გამუდმებით ჭუჭყიანები ვიყავით. საკვებისა არ იყოს, ჩვენი წყალიც ჯორებით მოდიოდა ალკუბიერიდან, თითო კაცზე – დაახლოებით თითო კვარტა[9] დღეში. საძაგელი წყალი იყო, რძესავით გაუმჭვირვალი. თეორიულად, მხოლოდ სასმელად იყო განკუთვნილი, მაგრამ ყოველთვის ვიპარავდი ერთ ჯამს დილაობით დასაბანად. ერთ დღეს ვიბანდი, მეორე დღეს ვიპარსავდი, – ორივესთვის არასდროს იყო სამყოფი. ბანაკი გულისამრევად ყარდა, პატარა ბარიკადული მესრის მიღმა

ყველგან ექსკრემენტი იყო. ზოგიერთი მილიციელი ჩვეულებისამებრ კუჭს სანგარშივე ითავისუფლებდა. აი, ამაზრზენი ამბავი, როცა სიბნელეში გიწევდა ბანაკის შემოვლა. მაგრამ ჭუჭყი არასდროს მაწუხებდა. ჭუჭყის თაობაზე ადამიანები მეტისმეტად ბევრს ჭინჭყლობენ. განსაცვიფრებლად სწრაფად ეჩვევი უხელსახოცობას, ისევე, როგორც ჭამას თუნუქის ჯამიდან, რომელშიც იბან კიდეც. არც გაუხდელად ძილი ქცეულა პრობლემად ერთი-ორი დღის შემდეგ. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ტანსაცმლის და, განსაკუთრებით,

ჩექმების გახდა ღამღამობით: მზად უნდა ყოფილიყავი კისრისტეხით წამოსახტომად თავდასხმის შემთხვევაში. სულ სამჯერ გავიხადე სამოსი, თუმცა, შიგადაშიგ, დღისითაც ვახერხებდი გახდას. ჯერ კიდევ ძალიან ციოდა ტილებისთვის, აი, ვირთხები და თაგვები კი, გაგიხარია, იმდენი იყო. ამბობენ, ვირთხები და თაგვები არასოდეს ცხოვრობენ ერთსა და იმავე არეალშიო. არადა, ცხოვრობენ, თუკი საკმარის საკვებს შოულობენ.

სხვა მხრივ, უპოვარები არ ვიყავით. საკმაოდ კარგი საკვები და ბევრი ღვინო გვქონდა. სიგარეტს დღეში ერთ კოლოფს გვაძლევდნენ, ასანთს – ყოველ მეორე დღეს. სანთლებიც კი მოგვდიოდა. ძალიან წვრილი სანთლები იყო, საშობაო ნამცხვრისას

ჰგავდა და ყველა ეკლესიებიდან ნაძარცვად მიიჩნევდა. თითოეულ მიწურს დღეში სამი დუიმი სანთელი ეძლეოდა, რაც დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში იწვოდა. იმ დროს ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო სანთლების ყიდვა და მეც რამდენიმე ფუნტი სანთელი წამოვიღე აქეთობისას. მოგვიანებით, სანთლებისა და ასანთის დეფიციტმა ცხოვრება უბედურებად აქცია. ამ საგნების მნიშვნელობას მაშინღა გრძნობ, როცა აღარ გაქვს. ღამის განგაშის დროს, როდესაც ყველა თავის შაშხანას ეძებს მიწურში და ამ ძებნაში სხვებს სახეებს უკაწრავს, სინათლის ანთების შესაძლებლობა განსხვავებას ქმნის სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ყოველ მილიციონერს ჰქონდა კვესი და რამდენიმე იარდის სიგრძის ყვითელი პატრუქი. შაშხანასთან ერთად, ეს მისი უმნიშვნელოვანესი ქონება გახლდათ. კვესს დიდი უპირატესობა ჰქონდა: მისი გაკვრა ქარშიც შეიძლებოდა, თუმცა მხოლოდ ნაპერწკალს იძლეოდა, ცეცხლს ვერ დაანთებდი. როცა ასანთის დეფიციტმა ზენიტს მიაღწია, კოცონის ასანთებ ერთადერთ საშუალებად ისღა დაგვრჩა, ვაზნა დაგვეშალა, ამოგვეღო და კვესით შევხებოდით მის შიგნით ჩაყრილ უკვამლო დენთს.

არაჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდით, არაჩვეულებრივად ვომობდით, თუ

შეიძლებოდა ამას ომი დარქმეოდა. მთელი მილიცია ჭკუიდან გადაჰყავდა უმოქმედობას და გამუდმებით ითხოვდა გაეგო, რატომ არ აძლევდნენ შეტევაზე გადასვლის უფლებას. მაგრამ სრულიად ნათელი იყო, რომ კიდევ დიდხანს არავითარი ბრძოლა არ იქნებოდა, თუკი თვით მტერი არ დაიწყებდა მას. ჟორჟ კოპი, რომელიც პერიოდულად ახორციელებდა შესამოწმებელ შემოვლებს, არაფერს გვიმალავდა: «ეს ომი არ არის, ეს არის კომიკური ოპერა შიგადაშიგ სიკვდილით». სტაგნაციას არაგონის ფრონტზე, ფაქტობრივად, პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, რომელთა შესახებ იმხანად არაფერი ვიცოდი. რაც შეეხება სამხედრო სირთულეებს (ადამიანურ რესურსებზე აღარფერს ვამბობ), ისინი ყველასთვის ნათელი იყო.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლდათ ამ ქვეყნის ბუნება და რელიეფი, რომელიც თავად ქმნიდა ფრონტის ხაზზე დაბრკოლებებს და ამ ხაზს მხოლოდ ერთი

მხრიდან თუ მიუახლოვდებოდი. რაკი აქა-იქ სანგრები იყო გათხრილი, ასეთ ადგილებს ქვეითი ჯარი ვერ დაიპყრობდა, თუ უკიდურესად მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა. ჩვენი და ახლომახლო მყოფი უმრავლესობის პოზიციებიდან მთელ ბატალიონს შეაჩერებდი ერთი დუჟინი რაზმითა და ორიოდე ტყვიამფრქვევით. ბორცვის თავზე

შესკუპებულები უთუოდ კარგი სამიზნე ვიქნებოდით არტილერიისთვის, მაგრამ არავითარი არტილერია იქ არ იყო. ზოგჯერ ლანდშაფტს ვათვალიერებდი და ერთ-ორ საარტილერიო დივიზიას ვნატრობდი, თანაც როგორ მხურვალედ! ამ გზით მტრის პოზიციებს ისე იოლად ჩავნაყავდით ერთიმეორის მიყოლებით, როგორც ჩაქუჩით – კაკლებს. მაგრამ ჩვენს მხარეს ქვემეხები, უბრალოდ, არ არსებობდა. ფაშისტები ხანდახან ახერხებდნენ ერთი-ორი ქვემეხის მოტანას სარაგოსადან და რამდენიმე ნაღმის გამოტყორცნას, იმდენად ცოტასი, რომ ეს ნაღმები ვერასოდეს აღწევდა ჩვენამდე და უვნებლად ცვიოდა ხეობებში. ტყვიამფრქვევების პირისპირ უარტილერიოდ დარჩენილმა მხოლოდ სამი რამ შეგიძლია მოიმოქმედო: მიწაში ჩაიმალო უხიფათო მანძილზე, ვთქვათ, ოთხას იარდზე; დაუფარავად გადაადგილდე წინ და თავი ტყვიების თავსხმას მოაკვლევინო; განახორციელო მცირე მასშტაბის ღამეული იერიშები, რაც მთლიან სიტუაციას ვერაფრით შეცვლის. პრაქტიკულად, არ არსებობს სხვა ალტერნატივა, სტაგნაციისა და თვითმკვლელობის გარდა.

ამასთანავე, განვიცდიდით ყოველგვარი საბრძოლო მასალის სრულ უკმარისობას. ძალისხმევა სჭირდება იმის გაგებას, რაოდენ ცუდად იყვნენ აღჭურვილი მილიციები

იმხანად. ჩვენი იარაღის უხარისხობა იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ ამის დეტალურად გადმოცემა ღირს.

ფრონტის ამ სექტორზე მთელი არტილერია შედგებოდა ოთხი სასანგრე ნაღმსატყორცნისგან, თითოეულისთვის გამოყოფილი თხუთმეტი ჭურვით. რა თქმა უნდა, ნაღმსატყორცნები მეტისმეტად ძვირფასი იყო გასასროლად და ამიტომაც ალკუბიერში ინახავდნენ. გვქონდა ტყვიამფრქვევები, ყოველ ორმოცდაათ კაცზე – თითო, ძველი, თუმცა კარგად მსროლელი სამას-ოთხას იარდზე. ამის გარდა, დაგვირიგეს მხოლოდ შაშხანები, რომელთა უმეტესობა ჯართს წარმოადგენდა. სამი ტიპის შაშხანა გვქონდა. პირველი – გრძელი მაუზერი – მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იყო ოც წელზე ნაკლები ხნის და მისი სამიზნე ისევე გამოდგებოდა, როგორც გატეხილი სპიდომეტრი. მათ უმრავლესობაში ლულის ხრახნილი უიმედოდ იყო ამოჭმული (თუმცა, საბოლოოდ, ყოველ მეათე მაუზერს არა უშავდა რა). შემდეგ მოდიოდა მოკლე მაუზერი ანუ მუშკეტი – კავალერიის ნამდვილი იარაღი, გრძელ მაუზერზე უფრო პოპულარული, რადგანაც მასზე უფრო მსუბუქი იყო, სანგარში ნაკლებ უხერხულობას ქმნიდა და, შედარებით ახალი წარმოებისა, უფრო ქმედით

შთაბეჭდილებას ტოვებდა. რეალურად, ეს შაშხანები თითქმის არ გამოდგებოდა: სხვადასხვა ნაწილებისგან აეწყოთ, რის გამოც არც ერთი საკეტი არ ეკუთვნოდა თავის შაშხანას და მათი სამი მეოთხედი ხუთიოდე გასროლის შემდეგ იჭედებოდა. გვქონდა რამდენიმე ვინჩესტერიც – კარგი სასროლი შაშხანები, მაგრამ არაზუსტები. და რაკი ვინჩესტერის სავაზნე ყუთს მჭიდი არ ჰქონდა, თითო გასროლაზე მხოლოდ თითო ტყვიას ისროდა. ასეთი მწირი საბრძოლო რესურსების პირობებში ფრონტზე გასულ თითოეულ კაცს ეძლეოდა მხოლოდ ორმოცდაათი ვაზნა, რომელთა უმრავლესობა მეტისმეტად უხარისხო იყო. ესპანური წარმოების ვაზნები – განმეორებით შევსებულები – საუკეთესო შაშხანებშიც კი იჭედებოდა. მექსიკური ვაზნები უკეთესი ხარისხისა იყო და ამიტომაც ტყვიამფრქვევებისთვის იზოგავდნენ. ყველას მაინც გერმანული ტყვია-წამალი სჯობდა. მაგრამ რაკი ეს უკანასკნელი მხოლოდ ტყვეებისა და დეზერტირებისგან მოდიოდა, ამდენად ბევრი არასოდეს გვქონია. ყოველთვის მედო ჯიბეში გერმანული ან მექსიკური წარმოების მჭიდი განსაკუთებული შემთხვევისთვის. თუმცა, პრაქტიკულად, როცა ასეთი შემთხვევა მეძლეოდა, იშვიათად თუ ვისროდი შაშხანიდან: მეტისმეტად მეშინოდა ტყვიის გაჭედვის და მეტისმეტად მაღელვებდა ეს ტყვია, რომელიც შიგ შაშხანაშივე ამიფეთქდებოდა.

არ გაგვაჩნდა თუნუქის ჩაფხუტები, არავითარი რევოლვერი ან პისტოლეტი და მხოლოდ თითო ბომბი ყოველ ხუთ თუ ათ კაცზე. იმხანად გამოყენებული ბომბი – თავზარდამცემი საგანი, ცნობილი «FAI-ბომბის» სახელითა და შექმნილი ანარქისტების ხელით ომის დასაწყისში – მილსის ბომბის[10] პრინციპით მოქმედებდა, თუმცა ბერკეტი კავდებოდა არა საკეტით, არამედ პატარა ზონრით. ზონარს წყვეტდი და ბომბს შეძლებისდაგვარად სწრაფად იშორებდი თავიდან. ამბობდნენ, ეს «მიუკერძოებელი» ბომბებია, რადგან იმასაც კლავს, ვისაც ესვრიან, და იმასაც, ვინც ისვრისო. იყო რამდენიმე სხვა, უფრო პრიმიტიული, მაგრამ ოდნავ უფრო ნაკლებად საშიში სახეობის ბომბიც (სროლის თვალსაზრისით). მარტის მიწურულსღა ვნახე ბომბი, რომლის სროლაც ნამდვილად ღირდა.

იარაღის გარდა, არსებობდა ომის ყველა სხვა, მეორეხარისხოვანი საჭიროების ნაკლებობაც. მაგალითად, არ გვქონდა არავითარი რუკა ან ნახაზი. ესპანეთი არასოდეს შეუსწავლიათ დეტალურად და ამ რეგიონის ერთადერთ დეტალურ რუკებს წარმოადგენდა ძველი სამხედრო რუკები, რომლებიც მთლიანად ფაშისტების ხელში აღმოჩნდა. არ გვქონდა არავითარი დისტანციის მზომი, არავითარი ტელესკოპი თუ

პერისკოპი, არავითარი საველე სათვალე რამდენიმე არასასიგნალო რაკეტის გარდა, არავითარი სინათლის თუ ფერადი ალის სატყორცნი პისტოლეტი, არავითარი მავთულმჭრელი, მეიარაღის ხელსაწყო-იარაღები, თვით საწმენდი მასალაც კი. ესპანელებს თითქოს არასდროს გაეგონათ იარაღის საწმენდის არსებობა და გაოცებით ათვალიერებდნენ, როცა ერთი თვითონ დავამზადე.

როცა იარაღის გაწმენდა მოგინდებოდა, სერჟანტთან მიგქონდა, რომელსაც თითბრის გრძელი ზუმბა მოეპოვებოდა – უთუოდ გაღუნული, რის გამოც ლულის ხრახნილი იკაწრებოდა. თვით შაშხანის ზეთიც კი არ გვებადა და ზეითუნის ზეთით ვზეთავდით, როცა ვშოულობდით. სხვადახვა დროს ჩემი შაშხანა დამიზეთავს ვაზელინით, ცივი კრემით, ღორის ქონითაც კი. მეტიც, არ გვქონდა ჭრაქები ან ელექტროფარნები. იმხანად, ვგონებ, არც ერთი ფარანი არ მოიპოვებოდა ფრონტის მთელ ჩვენეულ სექტორში, ვერც ვერსად შეიძენდი ბარსელონაზე უფრო ახლოს და თვით იქაც კი – გაჭირვებით.

დრო გადიოდა, უსისტემო შაშხანის ბათქუნი ბორცვიდან ბორცვზე გადადიოდა და მეც მზარდი სკეპტიკურობით ვადევნებდი თვალს, მოხდებოდა თუ არა რამე ისეთი, რაც ცოტაოდენ სიცოცხლეს შემოიტანდა, უფრო კი – სიკვდილს ამ აბსურდულ ომში. ჩვენ

პნევმონიას ვებრძოდით, არა – ადამიანებს. როცა სანგრებს ერთმანეთისგან ხუთასზე მეტი იარდი აშორებს, ვინმე მიზანში მხოლოდ შემთხვევით თუ მოარტყამს. რასაკვირველია, არსებობდნენ დაჭრილებიც და მკვდრებიც, მაგრამ ამ უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა საკუთარი თავისთვის მიყენებული კაზუსი იყო. თუ სწორად მახსოვს, ჩემ მიერ ესპანეთში ნანახი პირველი ხუთი დაჭრილი საკუთარ იარაღს დაეჭრა, – არათუ განზრახ, არამედ შემთხვევით ან უდარდელობით. ჩვენი ყავლგასული შაშხანები თავად წარმოადგენდა ხიფათს. ზოგი მათგანი ამაზრზენ ფანდს გვიწყობდა: მოულოდნელად ისროდა, როცა კონდახი მიწაზე დაბრაგუნდებოდა. მინახავს კაცი, რომელიც სწორედ ასე დაიჭრა ხელში. სიბნელეში კი ნორჩი ახალწვეულები სულ ერთმანეთს ესროდნენ. ერთ საღამოს, როცა ჯერ რიგიანადაც არ დაბნელებულიყო, გუშაგმა ოცი იარდის მანძილიდან მესროლა, მაგრამ ერთი იარდით ამაცილა. ღმერთმა უწყის, რამდენჯერ გადავურჩენივარ სნაიპერობის ესპანურ სტანდარტს. სხვა დროს ბურუსში მომიწია პატრულად გასვლა და წინდაწინ საფუძვლიანად გავაფრთხილე გუშაგთა მეთაური. მაგრამ უკან დაბრუნებისას ბუჩქზე წავიბორძიკე. თავზარდაცემულმა გუშაგმა იყვირა, ფაშისტები მოდიანო, და მეც საამურად ჩამესმა მეთაურის ბრძანება – ყველას სასწრაფო ცეცხლი გაეხსნა ჩემი

მიმართულებით. რა თქმა უნდა, მიწას გავეკარი და ტყვიებმა უვნებლად გადამიქროლეს თავზე. ვერაფერი დაარწმუნებს ესპანელს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, რომ ცეცხლსასროლი იარაღი სახიფათოა. ერთხელ, უფრო მოგვიანებით, სურათს ვუღებდი მეტყვიამფქვეველს მათ ტყვიამფრქვევთან ერთად, პირდაპირ ჩემკენ რომ მოეშვირათ.

– არ ისროლოთ, – ვუთხარი ნახევრად ხუმრობით, როცა ფოკუსი გავასწორე.

– ოჰ, არა, არ ვისვრით.

მეორე წამს გაისმა საშინელი კაკანი და ტყვიების ნაკადმა ისე ახლოს ჩამიქროლა სახესთან, რომ ლოყაზე დენთის მარცვლებმა გამიხახუნეს. განზრახ არ უქნიათ, თუმცა დიდ ხუმრობად კი ჩათვალეს. არადა, ამ ეპიზოდიდან სულ რამდენიმე

დღით ადრე მეჯორე ნახეს, პოლიტიკური დეპუტატის მიერ შემთხვევით მოკლული, რომელიც ავტომატურ პისტოლეტს ათამაშებდა და ამ თამაშ-თამაშში ხუთი ტყვია ჩაუჭედა საწყალ მეჯორეს ფილტვებში.

მცირე ხიფათის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენდა რთული პაროლები, იმხანად რომ იყენებდნენ ჯარში. ამ გამასავათებელ ორმაგ პაროლებში ერთ სიტყვაზე მეორით უნდა გეპასუხა. ჩვეულებრივ, ეს იყო რევოლუციურ-ამაღლებული ხასიათის სიტყვები, როგორებიცაა Cultura – progreso, ან Seremos – invencibles, და უწიგნური გუშაგებისთვის ხშირად შეუძლებელი იყო ამ პომპეზური სიტყვების დამახსოვრება. მახსოვს, ერთ ღამეს პაროლი იყო Cataluca – heroica. მთვარესავით მრგვალი პირისახის გლეხის ბიჭი, სახელად ხაიმე დომენეკ, ერთობ შეფიქრიანებული მომიახლოვდა და მკითხა:

– Heroica? რას ნიშნავს heroica?

იმავეს, რასაც valiente-მეთქი, ვუთხარი. ცოტა ხნის შემდეგ იგი ბორძიკით მიუყვებოდა სანგარს სრულ სიბნელეში. გუშაგმა გამოსძახა:

– Alto! Cataluca!

– Valiente! – ძახილით დაუბრუნა ხაიმემ, რომელსაც ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სწორად პასუხობდა.

ბახ!

გუშაგმა ააცილა. იმ ომში ყველას ნასროლი ყველას ცდებოდა, როცა კი ეს ადამიანურად შესაძლებელი იყო.

თავი IV

მას შემდეგ, რაც სამი კვირა დავყავი ფრონტის ხაზზე, ალკუბიერში ჩამოვიდა ინგლისიდან საერთაშორისო ლინგვისტური პროგრამით გამოგზავნილი ოცი თუ ოცდაათი კაცი, და იმისთვის, რომ ფრონტზე ინგლისელები ერთად ვყოფილიყავით, მე და უილიამსიც მათთან შესაერთებლად გაგვგზავნეს. ჩვენი ახალი პოზიცია აღმოჩნდა მონტე ტრაზოსთან, ანუ რამდენიმე მილით უფრო დასავლეთით, საიდანაც სარაგოსას ხედი იშლებოდა.

ვეშაპის ზურგისებურ კირქვაზე დასკუპებული ამ პოზიციის მიწურები ჰორიზონტალურად შეჭრილიყო კლდეში მერცხლის ბუდეებივით, ძალიან დიდ სიღრმეზე მიდიოდა და შიგნით სრული წყვდიადი იდგა. თანაც, ეს მიწურები იმდენად დაბალჭერიანი იყო, რომ დამდგარი კი არა, ჩაჩოქებულიც კი ვერ ეტეოდი. მწვერვალებზე, ჩვენგან მარცხნივ, მოჩანდა მომპ-ის კიდევ ორი პოზიცია, რომელთაგან ერთით ყველა მოხიბლული იყო, რადგან იქ საჭმელს აკეთებდა სამი ქალი-მილიციელი. ეს ქალები მაინცდამაინც ლამაზები არ იყვნენ, მაგრამ მაინც აუცილებელი

აღმოჩნდა მათი ბანაკის დაცვა სხვა კომპანიების მამაკაცებისგან. ხუთასი იარდის მანძილზე ჩვენგან მარჯვნივ, ალკუბიერის გზის მოსახვევში, იყო კგსპ-ს პოსტი. სწორედ აქ იყო ორი დაპირისპირებული ბანაკის გზაგასაყარი. ღამღამობით ხედავდი ალკუბიერიდან გამოსული ჩვენი მომმარაგებელი სატვირთო მანქანების მბრწყინავ ფარებს და, იმავდროულად, სარაგოსადან გამოსულ ფაშისტების სატვირთოებსაც. მოჩანდა თვით სარაგოსაც – სინათლეების თხელი ზოლი, რომელიც გემის ილუმინატორებს ჰგავდა და რომელიც თორმეტი მილის მანძილზე ციმციმებდა ჩვენგან სამხრეთ-დასავლეთით. სამთავრობო ჯარები ამ მანძილიდან უყურებდნენ მას 1936 წლის აგვისტოდან მოყოლებული დღემდე.

ოცდაათამდე კაცი ვიყავით ერთი ესპანელის – რამონის, უილიამსის ცოლის ძმის – ჩათვლით, და კიდევ თორმეტამდე ესპანელი მეტყვიამფრქვევე. ერთი-ორი აბეზარას გარდა (როგორც ყველასთვის ცნობილია, ომი უსაქმურებს იზიდავს) ინგლისელები გამორჩეულად კარგი ხალხი იყო, ფიზიკურადაც და გონებრივადაც. მათ შორის ყველას, ალბათ, აღემატებოდა ბობ სმაილი, სახელგანთქმულ მეშახტეთა ლიდერის შვილიშვილი, ცუდი და უაზრო სიკვდილით რომ დაიღუპა ვალენსიაში. ესპანურ

ხასიათზე ბევრს ამბობს ის ფაქტი, რომ ინგლისელები და ესპანელები მუდამ ეწყობოდნენ ერთმანეთს ლინგვისტური ბარიერის მიუხედავად. როგორც აღმოვაჩინეთ, ყველა ესპანელმა იცის ორი ინგლისური გამოთქმა: «OK, baby» და ის, რომელსაც ბარსელონელი მეძავები იყენებდნენ ინგლისელ მეზღვაურებთან ურთიერთობისას და რომელსაც, ვშიშობ, ასოთამწყობები არ დაბეჭდავენ.

კიდევ და კიდევ არაფერი ხდებოდა მთელი ფრონტის გაყოლებაზე. მხოლოდ ალალბედზე გაწუილებული ტყვიები, იშვიათად – ფაშისტური ნაღმსატყორცნის გრიალი, რომლის გამგონე ადამიანები ერთად მიაწყდებოდნენ ხოლმე ყველაზე მაღალ სანგარს: აბა, ამჯერად რომელ ბორცვს ასკდება ნაღმებიო. აქ ფაშისტები რამდენადმე უფრო ახლოს აღმოჩნდნენ, შესაძლოა – სამას ან ოთხას იარდზე. მტრის უახლოესი პოზიცია ზუსტად ჩვენ პირდაპირ იყო. მათი ტყვიამფრქვევის ამბრაზურები გამუდმებით გვაცდუნებდა, რომ ვაზნები გვეფლანგა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ათი თუ მეტი დღის შემდეგ მოგვეცა ამის შესაძლებლობა. პირდაპირ განლაგებული ჯარები ესპანელებისა იყო, თუმცა, დეზერტირების უწყებით, მათ შორის რამდენიმე გერმანელი უნტეროფიცერიც ერია. წარსულში იქ მავრებიც ყოფილან. როგორ

შესცივდებოდათ ამ საცოდავებს! ნეიტრალურ ტერიტორიაზე მკვდარ მავრს – ერთ-ერთ ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას – წავაწყდით. ორიოდე მილის მოშორებით ჩვენგან მარცხნივ ფრონტის ხაზი წყდებოდა და იქიდან იწყებოდა დაბალი, უხვტყიანი ადგილი, რომელიც არც ფაშისტებს ეკუთვნოდა და არც ჩვენ. ისინიცა და ჩვენც იქ დღის პატრულირებას ვეწეოდით. ეს ბოისკაუტური შემოვლა ცუდი არ იყო, თუმცა არასოდეს მინახავს ფაშისტი პატრული რამდენიმე ასეულ იარდზე უფრო ახლოს. მუცელზე ხანგრძლივი ხოხვით შეგეძლო ნაწილობრივ შესულიყავი ფაშისტების ტერიტორიაზე და დაგენახა ფერმის შენობა – მათი ადგილობრივი შტაბი – სახურავზე აფრიალებული მონარქისტული დროშით. დროდადრო სროლას ავუტეხდით ხოლმე, მერე კი, სანამ მათი ტყვიამფრქვევი ჩვენს ლოკალიზებას მოახდენდა, საფარში ვიმალებოდით. ვიმედოვნებ, რამდენიმე ფანჯარა ჩავუმსხვრიეთ, თუმცა ეს კარგა რვაასი მეტრის მანძილზე იყო, ჩვენი შაშხანებით კი, ამსიშორეზე, შეიძლებოდა თვით სახლისთვისაც ვერ მოგვეხვედრებინა.

უმეტესწილად, ცივი და ნათელი ამინდი იყო. აქა-იქ ნიადაგიდან წვერი ამოეყო ზამბახს ან ველურ კროკუსს. გაზაფხული მოდიოდა, ოღონდ – ძალიან ნელა. ასეთი

ღამეები აქამდე არასოდეს ყოფილა. განთიადისწინა საათებში მივეჩვიეთ სამზარეულოს ცეცხლის ნარჩენების შეგროვებას და გავარვარებულ ნაკვერჩხლებში დგომას. ეს ცუდი იყო ფეხსაცმლისთვის, თუმცა საუცხოო – თვით ფეხებისთვის. ზოგიერთ დილას მთების მწვერვალებთან მომდგარი განთიადის დანახვა თითქმის ღირდა იმად, რომ იმ უღმერთო საათებში საწოლში არ ყოფილიყავი. ვერ ვიტან მთებს, თვით სანახაობრივი თვალსაზრისითაც კი. მაგრამ ზოგჯერ, მწვერვალებს უკან წამოპარული ალიონის პირველი ოქროსფერი ზოლები – თითქოსდა წყვდიადის გამსერავი ხმლები, მზარდი სინათლე და განუზომელ მანძილზე გავრცობილი კარმინისფერი ღრუბლების ზღვა ნამდვილად იმსახურებდა ნახვას, თუნდაც მთელი ღამის უძინარი ყოფილიყავი და მუხლქვემოთ ფეხებდაბუჟებულს

პირქუშად გეფიქრა, რომ კიდევ სამ საათს საჭმლის იმედი არ უნდა გქონოდა. იმ კამპანიის პერიოდში უფრო ხშირად შევსწრებივარ ცისკარს, ვიდრე მთელი ჩემი დანარჩენი ცხოვრების მანძილზე, ან, ვიმედოვნებ, იმ ნაწილის მაინც, რომელიც წინ მელოდება.

ცოტანი ვიყავით, რაც უფრო ხანგრძლივ გუშაგობებს და მეტ დაღლას ნიშნავდა. უკვე მტანჯავდა უძილობა – გარდაუვალი თვით უმშვიდესი ტიპის ომშიც. გუშაგობისა და

პატრულირების გარდა, იყო გამუდმებული ღამის განგაშები და საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებელი წამოგდებები. ნებისმიერ შემთხვევაში, რიგიანად ვერაფრით დაიძინებ მიწაში გამოთხრილ ცხოველის ბუნაგში სიცივისგან ატკივებული ფეხებით. არა მგონია, ფრონტზე ყოფნის პირველ სამ-ოთხ თვეს ოცდაოთხსაათიანი უძილობის თორმეტზე მეტი შემთხვევა მქონოდეს. აქ კი, მეორე მხრივ, აშკარად არ მიძინია სრული ძილით თორმეტიოდე ღამეზე უფრო მეტჯერ. ოცი-ოცდაათი საათი კვირაში სავსებით ნორმალური ჩანდა. ამის შედეგი ისეთი ცუდი არ აღმოჩნდა, როგორიც მოსალოდნელი იყო: ჩლუნგდებოდი, ფერდობებზე ასვლა-ჩამოსვლა უფრო გიჭირდა, ნაცვლად იმისა, რომ უფრო გაგიოლებოდა. ამასთანავე, თავს კარგად გრძნობდი და გამუდმებით გშიოდა, ღმერთო, როგორ გშიოდა! ყოველგვარი საკვები საუკეთესოდ გეჩვენებოდა, თვით უკვდავი ლობიოც კი, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, უკვე დასანახად ვერ იტანდა ესპანეთის თითოეული მკვიდრი. ჩვენი წყალი – რა წყალიც იყო – რამდენიმე მილით დაშორებული მანძილიდან მოდიოდა ჯორებით ან წკეპლით გამორეკილი პატარა ვირებით. რატომღაც არაგონელი გლეხები ჯორებს კარგად წვრთნიდნენ, ვირებს კი – ყოვლად აუტანლად. თუ ვირი უარს ამბობდა სიარულზე, სრულებით ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის მუჯლუგუნის ამოკვრა

სათესლე ჯირკვლებში. სანთლით მომარაგება შეწყდა, ასანთის მარაგიც მთავრდებოდა. ესპანელებმა გვასწავლეს, როგორ გაგვეკეთებინა ზეთის ლამპა შედედებული რძის ცარიელი ქილის, ვაზნების მჭიდისა და ჩვრის ნაფლეთისგან. როდესაც ზეითუნის ზეთი მოგეპოვებოდა (ეს კი არც ისე ხშირად ხდებოდა), ამგვარად დამზადებული ლამპა კვამლიანი ალით იწვოდა სანთლის მეოთხედი ძალით, ანუ სწორედ იმდენით, რომ შენი შაშხანა გეპოვა.

როგორც ჩანდა, ნამდვილი ბრძოლა არ გვეღირსებოდა. როდესაც მონტე პოსერო დავტოვეთ, ჩემი ვაზნები დავთვალე და აღმოვაჩინე, რომ სამი კვირის განმავლობაში სულ სამჯერ ვესროლე მტერს. ამბობენ, ათასი ტყვია უნდა ისროლო, რომ ერთი კაცი მოკლაო. ამ ანგარიშით, ოცი წელი გაივლიდა, სანამ ჩემს პირველ ფაშისტს მოვკლავდი. მონტე ტრაზოში მოწინააღმდეგესთან უფრო ახლოს აღმოვჩნდით და უფრო ხშირადაც ვისროდით, მაგრამ ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ არავინ მომიკლავს. ფაქტია, რომ ამ ფრონტზე და ომის ამ პერიოდში ნამდვილი იარაღი იყო არა შაშხანა, არამედ – მეგაფონი. რაკი მტერს ვერ კლავდი,

ამის სანაცვლოდ უყვიროდი. ასეთი მეთოდი იმდენად უჩვეულოა, რომ ახსნას მოითხოვს.

ყველგან, სადაც მოწინააღმდეგეები სასმენ მანძილზე იყვნენ ერთმანეთისგან, საკმაოდ ბევრსაც უყვიროდნენ ერთმანეთს სანგრიდან სანგარში. ჩვენი მხრიდან ისმოდა: «Fascistas – maricones!», იმათგან: «Viva Espaca! Viva Franco!», ან კიდევ, როცა იცოდნენ, რომ მათ პირდაპირ ინგლისელები იყვნენ: «შინ წადით, ინგლისელებო! აქ უცხოელები არ გვჭირდება!» ხელისუფლების მხარეს, პარტიების მილიციებში, «პროპაგანდისტული ყვირილი» მტრის მორალის შესარყევად რეგულარულ ტექნიკად იქცა. ყოველ შესაფერის პოზიციაში არჩევდნენ კაცებს (როგორც წესი, – მეტყვიამფრქვევეებს), აძლევდნენ მეგაფონებს და ყვირილს ავალებდნენ. საერთოდ კი, ყვიროდნენ გათვლილ-გამოზომილ ტექსტებს, აღსავსეს რევოლუციური გრძნობებით, რომლებიც ფაშისტ ჯარისკაცებს განუმარტავდა: «თქვენ საერთაშორისო კაპიტალიზმმა დაგიქირავათ, თქვენ თქვენსავე კლასს ებრძვით» და ა.შ. და აქეზებდა, რომ ჩვენს მხარეს გადმოსულიყვნენ. ამას გამუდმებით იმეორებდა მეგაფონის ყოველი ახალი დამჭერი. ზოგჯერ ეს თითქმის მთელ ღამეს გრძელდებოდა. ამ მეთოდის ეფექტურობაში დიდ ეჭვს ვერ შეიტანდი. ყველა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ფაშისტი დეზერტირების პატარა ნაკადის არსებობა, ნაწილობრივ, სწორედ ამ პროპაგანდის დამსახურება იყო. თუ წარმოვიდგენთ, როგორ იყინება რომელიმე საბრალო გუშაგი

(ალბათ, სოციალისტური ან ანარქისტული ტრედუნიონის წევრი, რომელიც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში) თავის პოსტზე, მაშინ ღამის სიბნელეში გამუდმებით მრეკავმა ლოზუნგმა «ნუ ებრძვით თქვენსავე კლასს!» ნამდვილად უნდა იმოქმედოს მის ცნობიერებაზე. განსხვავება შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ დეზერტირობასა და არადეზერტირობას შორის. რასაკვირველია, ასეთი მსვლელობა არ შეესატყვისება ომის ინგლისურ კონცეფციას. ვაღიარებ, რომ გაოგნებული დავრჩი, როცა პირველად შევესწარი ამ პროცესს: მტრის ლოზუნგით მოქცევის იდეას მისთვის ტყვიების სროლის სანაცვლოდ! ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს ყველანაირი აზრით ლეგიტიმური პროცესი იყო. ჩვეულებრივ სასანგრე ომში, სადაც არ არსებობს არტილერია, უკიდურესად ძნელია მტრის დაზიანება საპასუხო ზიანის მიუღებლად. თუ შეძლებ და გარკვეული რაოდენობის მტრის ჯარისკაცს დეზერტირად აქცევ, მით უკეთესი. პრინციპში, დეზერტირი უფრო მეტად გამოგადგება, ვიდრე მკვდარი, რადგანაც მას ინფორმირება შეუძლია. თუმცა თავდაპირველად ამან ყველანი დაგვაფრთხო, რაკი გვაგრძნობინა, რომ ესპანელები ამ ომს საკმარისი სერიოზულობით არ აღიქვამდნენ. კაცი, რომელიც კგსპ-ს პოსტიდან უყვიროდა ფაშისტებს, სცენაზე გამოსული მსახიობი იყო. ზოგჯერ რევოლუციური

ლოზუნგების ნაცვლად იმას ყვიროდა, თუ რამდენად უფრო კარგი კვება ჰქონდა ჩვენს მხარეს. სამთავრობო რაციონის მისეული ჩამონათვალი გარკვეულ

წარმოსახვას ითხოვდა: «კარაქიანი გახუხული პური! – ისმოდა უკაცრიელი ხეობის თავზე, – ახლა კარაქწასმულ გახუხულ პურს შევექცევით! გახუხული პურის გემრიელ ნაჭრებს!» ეჭვიც არ მეპარება, რომ, ჩვენი არ იყოს, ამ კაცს თვალითაც არ ენახა კარაქი კვირების განმავლობაში. მაგრამ სუსხიან ღამეში კარაქწაგლესილი თბილი პურის ამბავი არაერთ ფაშისტს მოადენდა ნერწყვს. მე პირადად მადენდა, თუმცა მშვენივრად ვხედავდი, რა კარაქიანი პურიც გვეწყო წინ.

თებერვლის ერთ დღეს თვალი მოვკარით ფაშისტების თვითმფრინავს. როგორც ყოველთვის, ახლაც გამოვათრიეთ ტყვიამფრქვევი და ლულა ზემოთ მივმართეთ, თან ყველა ზურგზე გაწვა, რომ კარგად დაემიზნებინა. არ ღირდა ერთმანეთისგან იზოლირებული ჩვენი პოზიციების დაბომბვა. ამიტომაც ის რამდენიმე თვითმფრინავი, რომლებმაც მთელი ამ ხნის მანძილზე თავზე გადაგვიფრინა, წრეებს ხაზავდა, რათა ტყვიამფრქვევების ცეცხლს არიდებოდა. ამჯერად თვითმფრინავი პირდაპირ ჩვენ ზემოთ აღმოჩნდა – მეტისმეტად მაღლა საიმისოდ, რომ გვესროლა – და

ჩამოყარა არა ბომბები, არამედ თეთრი, მბზინავი საგნები, რომლებიც ჰაერში ტრიალებდა. რამდენიმე ასეთი საგანი ფარფატით დაეშვა ჩვენს პოზიციაშიც. ფაშისტური გაზეთის – «ჰერალდო დე არაგონის» – ასლები აღმოჩნდა. მალაგას დაცემას იუწყებოდა.

იმ ღამეს მათ ერთგვარი წარუმატებელი შეტევა განახორციელეს. უძილობისგან მიმკვდარებული, უკვე დასაძინებლად ვწვებოდი, რომ ტყვიების ნიაღვარი მოგვასკდა და ვიღაცამ შეჰყვირა კიდეც მიწურში: «შეგვიტიეს!». შაშხანას ხელი ვტაცე და ჩემი პოსტისკენ გავქანდი, რომელიც პოზიციის თხემზე იყო, ტყვიამფრქვევის გვერდით. ირგვლივ სრული წყვდიადი და ჯოჯოხეთური ხმაური იდგა. ვგონებ, ხუთი ტყვიამფრქვევი მაინც გვიშენდა ცეცხლოვან ნაკადს. გაისმა მძიმე გრუხუნი: მტრის ბომბები მისივე მიწაყრილს ასკდებოდა, თანაც ყოვლად იდიოტურად. ძალიან ბნელოდა. ქვემოთ, ხეობაში, ჩვენგან მარცხნივ, თვალი მოვკარი შაშხანების მომწვანო ცეცხლს: ფაშისტების პატარა ჯგუფი – ალბათ მათი პატრულიY – თავის მხრივაც მონაწილეობდა ამ შეტევაში. ჩვენ ირგვლივ ტყვიები დაფრინავდა. რამდენიმე ნაღმიც წამოვიდა წუილით, თუმცა არც სადმე ახლოს ჩამოვარდნილა (როგორც ყოველთვის ამ

ომში) და მათი უმეტესობა არც აფეთქებულა. ცუდი მომენტი მაშინ დამიდგა, როცა კიდევ ერთმა ტყვიამფრქვევმა გახსნა ცეცხლი ზურგს უკან, – იმან, რომელიც ჩვენს დასახმარებლად იყო ატანილი იქ, მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ალყაში ვიყავით მოქცეული. ამჯერად თვით ჩვენი ტყვიამფრქვევი გაიჭედა, როგორც ყოველთვის მოსდიოდა იმ საძაგელი ვაზნების გამო, ზუმბა კი კუნაპეტ სიბნელეში სადღაც ჩაკარგულიყო. აშკარად ვერაფერს იზამდი, გარდა იმისა, რომ მშვიდად მდგარიყავი და თავი მოგეკვლევინებინა. ესპანელ მეტყვიამფრქვევეებს სძულდათ დამალვა ანუ, შეიძლება ითქვას, შეგნებულად ეგებებოდნენ ტყვიებს, ამის გამო კი მეც ასე

უნდა მოვქცეულიყავი. უმნიშვნელო კი იყო, მაგრამ მთელი ეს გამოცდილება ერთობ საინტერესო აღმოჩნდა. პირველად მოხდა, რომ ორცეცხლშუა ამოვყავი თავი. უნდა ვთქვა, რომ თავზარი დამეცა. ვფიქრობ, ყოველთვის ერთსა და იმავეს გრძნობ, როცა შუა სროლაში ხვდები: იმდენად იმის კი არ გეშინია, რომ ტყვია მოგხვდება, რამდენადაც იმისა, რომ არ იცი, სად მოგხვდება. სულ ის გაინტერესებს, მაინც სად გიკბენს, რაც მთელ შენს სხეულს ყოვლად უამურ შეგრძნებას ანიჭებს.

ერთი-ორი საათის შემდეგ სროლამ იკლო და, ბოლოს, მიჩუმდა. ამ ეპიზოდისას

ერთადერთი კაცი მოგვიკლეს. ფაშისტებს ორი ტყვიამფრქვევი შეეყვანათ ნეიტრალურ ზონაში, თუმცა უსაფრთხო დისტანცია შეენარჩუნებინათ და ერთხელაც არ უცდიათ, რომ ჩვენი მიწაყრილისთვის შეეტიათ. არსებითად, არ გვიტევდნენ, მხოლოდ ვაზნებს ფლანგავდნენ და მხიარული ხმაურით აღნიშნავდნენ მალაგას დაცემას. ამ ეპიზოდის მთავარი მნიშვნელობა იმაში იყო, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ომის ამბები უფრო ურწმუნო თვალით მეკითხა. ერთი-ორი დღის შემდეგ გაზეთებმა და რადიომ გადმოსცა ამბავი კავალერიითა და ტანკებითYგანხორციელებული (ამ შვეულ ფერდობებზე!) გამაოგნებელი შეტევისა, რომელიც გმირულად უკუაგდეს ინგლისელებმა.

როცა ფაშისტებმა მალაგას დაცემა გვაუწყეს, ჩვენ ეს სიცრუედ მივიღეთ. მაგრამ მომდევნო დღეს უფრო დამაჯერებელი ხმები მოვიდა, კიდევ ერთი-ორი დღის შემდეგ კი ეს ამბავი ოფიციალურად გამოცხადდა. ნელ-ნელა გამოჟონა სამარცხვინო ამბავმა: როგორ მოხდა მთელი ქალაქის ევაკუირება ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გავარდნილა, და როგორ დაატყდა იტალიელთა სიშმაგე არა ჯარებს, რომლებიც უკვე წასული იყვნენ, არამედ საბრალო მოქალაქეებს, რომელთაგან ზოგიერთს ასობით მილზე სდიეს და

ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ამ ამბავმა სუსხივით დაგვიარა მთელ ხაზზე, რადგან როგორიც უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტება, თითოეულმა მილიციელმა იცოდა, რომ მალაგა ღალატის შედეგად დაიკარგა. პირველად გავიგონე საუბარი ღალატზე თუ სხვადასხვა მიზანზე. ჩემს გონებაში პირველად წამოყო თავი ბუნდოვანმა ეჭვმა ამ ომის თაობაზე, რომელშიც, აქედან მოყოლებული, მართალი და მტყუანი ასე მარტივი ჩანდა.

შუა თებერვალში მონტე ტრაზო დავტოვეთ და, ამ სექტორის მომპ-ის ყველა სხვა ჯართან ერთად, იმ არმიასთან გაგვაერთიანეს, რომელსაც ალყაში ჰყავდა მოქცეული ჰუესკა. ეს იყო ორმოცდაათმილიანი მგზავრობა სატვირთო მანქანებით ზამთრის ველებზე, სადაც შემოდგომით გასხლულ ვენახებს ჯერ კიდევ არ გამოეტანა ყლორტები, ხოლო ზამთრის შვრიის ღეროები ახლაღა ჰყოფდნენ თავებს უსწორმასწორო ნიადაგიდან. ჩვენი სანგრებიდან ოთხი კილომეტრის მოშორებით ჰუესკა თოჯინების ქალაქივით ციმციმებდა. თვეების წინ, როცა სიეტამო ავიღეთ, სამთავრობო ჯარების ხელმძღვანელ გენერალს მხიარულად უთქვამს: «ხვალ ყავას დავლევთ ჰუესკაში». აღმოჩნდა, რომ

ცდებოდა. სისხლისმღვრელი იერიშების მიუხედავად, ქალაქი არ დაცემულა და «ხვალ ყავას დავლევთ ჰუესკაში» მხიარულ

გამოთქმად იქცა ჯარში. თუ ოდესმე დავბრუნდი ესპანეთში, თავს ვალდებულად მივიჩნევ, რომ ჰუესკაში ყავა დავლიო.

თავი V

მარტის ბოლომდე ჰუესკას აღმოსავლეთ მხარეს არაფერი მომხდარა, მართლაცდა, თითქმის არაფერი. მტრისგან ათას ორასი მეტრი გვაშორებდა. მას შემდეგ, რაც ფაშისტები ისევ ჰუესკაში შეაბრუნეს, რესპუბლიკის ჯარს, რომელიც აკონტროლებდა ფრონტის ამ ნაწილს, მეტისმეტი გულმოდგინება არ გამოუჩენია თავის წინსვლაში, რის გამოც ფრონტის ხაზი ერთგვარ ჯიბესავით იქცა. მოგვიანებით ის წინ უნდა წაწეულიყო, მძიმედ და ცეცხლქვეშ, მაგრამ ამჟამად მტერი თითქოს საერთოდ არ არსებობდა და ჩვენს ერთადერთ საზრუნავსაც გათბობა და საკმარისი საკვების შოვნა წარმოადგენდა.

ამასობაში არსებობდა ყოველდღიური, უფრო კი ყოველღამეული შემოვლა, ზოგადი ხასიათის ამოცანები: საგუშაგო, პატრულირება, თხრა, ტალახი, წვიმა, გამჭოლი ქარები, დროდადრო – თოვლიც. ღრმა აპრილშიღა შეეტყო ღამეებს, რომ ტემპერატურამ აიწია. აქ, პლატოზე, მარტის დღეები უმეტესწილად ინგლისურ მარტს ჰგავდა, კაშკაშა ლურჯი ცით და მოუსვენარი ქარებით. ზამთრის შვრია ერთი ფუტი სიმაღლისა იყო,

ალუბლის ხეებზე ჟოლოსფერი კვირტები ინასკვებოდა (აქ ფრონტის ხაზი გაუდაბურებულ ბაღნარებსა და ბოსტნებზე გადიოდა) და თუკი თხრილებს ეძებდი, პოულობდი იას და ერთგვარ ველურ სუმბულს როგორც მაჩიტელას ღარიბ სახეობას. უშუალოდ ფრონტის ხაზს უკან იწყებოდა საოცარი სიმწვანე, მოლიკლიკე ნაკადი – პირველი გამჭვირვალე წყალი, რომელიც ფრონტზე მოსვლის შემდეგ ვნახე. ერთ დღესაც კბილი კბილს დავაჭირე და შევცოცდი მდინარეში, რათა პირველად დამებანა ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში. ამისთვის შეიძლებოდა დაგერქმია წუთბანაობა, რადგანაც წყალი ძირითადად დამდნარ თოვლს წარმოადგენდა და მისი ტემპერატურაც დიდად არ სცილდებოდა გაყინვის წერტილს.

ამასობაში არაფერი მომხდარა, არასოდეს არაფერი მომხდარა. ინგლისელებს ჩვევად ექცათ იმის თქმა, ეს ომი კი არა, სისხლიანი პანტომიმააო. არავითარი პირდაპირი ცეცხლი ჩვენ არ გვემუქრებოდა. ერთადერთ საფრთხეს წარმოადგენდა ალალბედზე ნასროლი ტყვიები, რომლებიც – რაკი ფრონტის ხაზები ორივე მხრიდან კლაკვნით მიიწევდა ერთმანეთისკენ – რამდენიმე მხრიდან მოფრინავდა. ამ პერიოდში ყველა მხოლოდ ასეთი დაკარგული ტყვიებით დაშავდა. ერთი ასეთი ტყვია ართურ

კლინტონს მოხვდა, მარცხენა მხრის ძვალი ჩაუმსხვრია და მკლავი გაუჩერა, ვშიშობ – სამუდამოდ. იყო მცირე ნაღმტყორცნაც, თუმცა უაღრესად არაეფექტური. ნაღმების წივილს და სკდომას, არსებითად, ისე შეხედეს, როგორც მსუბუქ გართობას. ფაშისტები არასოდეს არ ყრიდნენ ბომბებს ჩვენს მიწაყრილზე. რამდენიმე ასეულ იარდზე ჩვენ უკან იდგა სოფლური სახლი სახელად «La Granja»[11] და მისი კუთვნილი დიდი შენობები, რომლებიც

ამჟამად გამოიყენებოდა როგორც მაღაზია, შტაბი და სამზარეულო ფრონტის ამ სექტორისთვის. სწორედ ეს წერტილი ჰქონდათ ამოღებული მიზანში ფაშისტებს, მაგრამ ამ შენობებამდე ხუთი-ექვსი კილომეტრი აშორებდათ და არასოდეს დაუმიზნებიათ საკმარისად კარგად, რომ უფრო მეტად დაეზიანებინათ, ვიდრე ფანჯრების ჩამსხვრევა და კედლების მცირედი ჩამოფშვნა იყო. საფრთხე მხოლოდ მაშინ გემუქრებოდა, თუ ცეცხლის გახსნის მომენტში გზაზე აღმოჩნდებოდი და ორივე მხარეს ველებზე ნაღმები სკდებოდა. თითქმის დაუყოვნებლივ ეუფლებოდი ნაღმის ხმის მიხედვით იმის გამოცნობის იდუმალ ხელოვნებას, თუ რამდენად ახლოს დაეცემოდა შენგან. იმხანად ფაშისტები ყოვლად უბადრუკ ნაღმებს ისროდნენ. მართალია, ეს ნაღმები 150-მილიმეტრიანი იყო, მაგრამ თითოეულის მიერ დატოვებული კრატერის სიგანე არ აღემატებოდა ექვს ფუტს, სიღრმე – ოთხს, და სულ

ცოტა, ყოველი მეოთხე არ ფეთქდებოდა. გავრცელდა ჩვეულებრივ-რომანტიკული ამბები ფაშისტების ქარხნებში მომხდარ დივერსიებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც აუფეთქებლად ჩამოვარდნილ ნაღმებზე, რომლებშიც დენთის ნაცვლად იდო ქაღალდის ნაგლეჯი წარწერით: «წითელი ფრონტი». თუმცა მე მსგავსი არაფერი მინახავს. ჭეშმარიტება ისაა, რომ ეს ნაღმები უიმედოდ დაძველებულიყო. ვიღაცამ იპოვა ერთი ასეთი ნაღმის ხუფი, რომელზეც ამოტვიფრული აღმოჩნდა დამზადების თარიღი: «1917». ფაშისტების იარაღი იმავე წარმოების და კალიბრისა იყო, რომლისაც ჩვენი, აუფეთქებელ ნაღმებს ხშირად აღვადგენდით და უკან ვესროდით. ამბობდნენ: არის ერთი ძველი, მეტსახელიანი ნაღმი, ყოველდღე აქეთ-იქით დაფრინავს, მაგრამ ჯერაც არ აფეთქებულაო.

ღამღამობით მცირერიცხოვან პატრულს ვგზავნიდით ხოლმე ნეიტრალურ ტერიტორიებზე, სადაც თხრილებში ვწვებოდით ფაშისტებთან ახლოს და ვაყურადებდით ხმებს (საყვირებს, ძრავებს და ა.შ.), რომლებიც მიგვითითებდა ჰუესკაში მიმდინარე აქტივობებზე. ფაშისტური რაზმები გამუდმებით მიდი-მოდიოდნენ და მათ რაოდენობაზე შეიძლებოდა გარკვეული დასკვნების გაკეთება ამ

მიმყურადებელთა მონათხრობიდან. ყოველთვის გვეძლეოდა საგანგებო ბრძანება – მოგვესმინა ეკლესიის ზარებისთვის. როგორც ჩანდა, სანამ მოქმედებას დაიწყებდნენ, ფაშისტები მუდამ ესწრებოდნენ წირვას. მინდვრებსა და ბაღნარებს შორის იდგა მიტოვებული ტალახისკედლებიანი ქოხები, რომელთა დათვალიერება ანთებული ასანთის ღერით უხიფათო იყო, თუ ფანჯრებს ჩააბნელებდი. ზოგჯერ შეიძლებოდა მოგეხელთებინა ისეთი ნადავლი, როგორიცაა ნაჯახი ან ფაშისტების მათარა (ჩვენსაზე უკეთესი და დიდად სასურველი). დღისითაც შეიძლებოდა დათვალიერება, თუმცა ამ დროს, ძირითადად, ოთხზე უნდა გეხოხა. უცნაური იყო ეს პროცესი ამ უხვ და დაცარიელებულ მინდვრებზე, სადაც ყველაფერი ზუსტად მოსავლის აღების მომენტში შეაჩერეს. გასული წლის მოსავალი ხელუხლებელი დარჩა.

გაუსხლავი ვენახები მიწაზე ხოხავდა, სიმინდის ღეროები ქვასავით გამაგრებულიყო, საკვები ჭარხალი და შაქრის ჭარხალი ვეება ველურ გროვებად ატყევებულიყო. რა წყევლა-კრულვა და ერთიანად ამოწყვეტის სურვილი უნდა გაეგზავნათ გლეხებს ორივე ჯარისთვის! ზოგჯერ ადამიანები კარტოფილის ამოსაღებად იკრიბებოდნენ ნეიტრალურ ტერიტორიებზე. დაახლოებით ერთ მილზე ჩვენგან მარჯვნივ, იქ, სადაც ორი მოქიშპე ხაზი უფრო უახლოვდებოდა ერთმანეთს, იყო კარტოფილნათესი ადგილი, რომელსაც ჩვენც

ვაკითხავდით და ფაშისტებიც. ჩვენ დღისით მივდიოდით, ისინი – მხოლოდ ღამით, რადგან იმ ტერიტორიას ჩვენი ტყვიამფრქვევები აკონტროლებდნენ. ერთ ღამეს, ჩვენდა გულდასაწყვეტად, ისინი en masse[12] მოვიდნენ და მთელი კარტოფილი ამოთხარეს. უფრო მოშორებით ჩვენ აღმოვაჩინეთ სხვა ნაკვეთი, სადაც, პრაქტიკულად არავითარი საფარი არ იყო და კარტოფილი მიწაზე გაწოლილებს უნდა გვეთხარა. აი, გამასავათებელი საქმე! თუ მათი მეტყვიამფრქვევე შეგნიშნავდა, ისე უნდა გართხმულიყავი, როგორც ვირთხა, რომელიც კარქვეშ ძვრება. რამდენიმე იარდით შენ უკან კი ტყვიები მიწის ბელტებს ფშვნიდნენ და ფხვნიდნენ. მაინც გვიღირდა ეს მაშინ, კარტოფილი ხომ უფრო და უფრო იშვიათად მოგვდიოდა. თუ ერთ ზურგჩანთას გაავსებდი, შეგეძლო სამზარეულო სახლში წაგეღო და ერთ მათარა ყავაში გაგეცვალა.

და მაინც ისევ არაფერი ხდებოდა, თითქოს არც არასოდეს მომხდარიყო. «როდის გადავალთ შეტევაზე? რატომ არ ვუტევთ?» – ამ კითხვებს დღედაღამ სვამდნენ ესპანელებიცა და ინგლისელებიც. როცა გაიხსენებ, რა არის ომი, უცნაურად გეჩვენება, რომ ჯარისკაცები ბრძოლას ესწრაფვიან. და მაინც: მათ ის უეჭველად სურთ. პოზიციურ ბრძოლაში არის სამი რამ, რასაც ჯარისკაცები ნატრობენ: ბრძოლა,

სიგარეტი და ერთკვირიანი შვებულება. ახლა რამდენადმე უკეთ ვიყავით აღჭურვილი, ვიდრე აქამდე. თითოეულ მებრძოლს ასორმოცდაათი ვაზნა ჰქონდა ნაცვლად ორმოცდაათისა. ნელ-ნელა მოგვამარაგეს ხიშტებით, ფოლადის ჩაფხუტებით და რამდენიმე ბომბითაც. არ წყდებოდა მითქმა-მოთქმა მომავალ შეტაკებებზე, ანუ ხმები, რომლებიც, ჩემი აზრით, განზრახ ვრცელდებოდა ჯარების სულიერი სიმხნევის შესანარჩუნებლად. დიდი სამხედრო ცოდნა არ გჭირდებოდა იმის დასანახად, რომ ჰუესკას ამ მხარეს არავითარი მნიშვნელოვანი ოპერაცია არ ჩატარდებოდა, ყოველ შემთხვევაში – ამ პერიოდში. სტრატეგიულ წერტილს წარმოადგენდა მეორე მხარეს გამავალი ჯაკას გზა. მოგვიანებით, როცა ანარქისტებმა განახორციელეს შეტევები ჯაკას გზაზე, ჩვენ გვევალებოდა «გამამაგრებელი შეტევები» და ფაშისტების გაყრა მეორე მხრიდან.

ამ პერიოდში, ანუ ექვსი თვის განმავლობაში, ჩვენს ფრონტზე ერთადერთი რამ მოვიმოქმედეთ. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენმა შემტევმა რაზმმა შეუტია მანიკომიოს – მიტოვებულ საგიჟეთს, რომელიც ფაშისტებმა ციხესიმაგრედ

აქციეს. იქ იყო რამდენიმე ასეული გერმანელი ლტოლვილი, რომლებიც მომპ-ში მსახურობდნენ. მათგან შეიქმნა

საგანგებო ბატალიონი სახელად Battalion de Choque[13], რომელიც სამხედრო თვალსაზრისით სრულებით სხვა დონეზე იდგა დანარჩენ მილიციასთან შედარებით. მართლაც, ისინი გაცილებით უფრო ჰგავდნენ ჯარისკაცებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა, ვინც ესპანეთში მინახავს (საიერიშო გვარდიისა და ზოგიერთი ინტერბრიგადის გამოკლებით). შეტევა ჩავარდა, როგორც ყოველთვის. საინტერესოა, რამდენი სამთავრობო ოპერაცია არ ჩავარდნილა ამ ომში? შემტევმა რაზმმა შტურმით აიღო მანიკომიო, მაგრამ აღარ მახსოვს, რომელი მილიციის რაზმებმა, მათ, ვინც ახლომდებარე ბორცვის დაკავებაში უნდა დახმარებოდნენ, თუ იმათ, მანიკომიოს რომ მართავდნენ. მათი მეთაური კაპიტანი ერთ-ერთი იყო რეგულარული არმიის იმ ოფიცერთაგან, რომელთა ლოიალობა ეჭვს იწვევდა, მაგრამ რომლების გამოყენებასაც ხელისუფლება დაჟინებით ითხოვდა. შიშისგან თუ ღალატისგან, მან იმით გააფრთხილა ფაშისტები, რომ ბომბი მაშინ ისროლა, როცა ჯერ კიდევ ორასი იარდით იყვნენ დაშორებული მათი ბორცვიდან. სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ კაპიტნის თანამებრძოლებმა იგი ადგილზე მოკლეს. მაგრამ «მოულოდნელი» შეტევა არანაირად არ აღმოჩნდა მოულოდნელი და მილიციელებიც ადგილზე მოცელა და ბორცვიდან გადარეკა ტყვიების თავსხმამ. ღამის დადგომისას შემტევი ძალები იძულებული იყვნენ

დაეტოვებინათ მანიკომიო. ღამით სასწრაფო დახმარების მანქანები ერთიმეორეს მიჰყვებოდნენ სიეტამოს საძაგელ გზაზე და ორმოებში ხტუნვით სამუდამოდ ადუმებდნენ მძიმედ დაჭრილებს.

იმ დროისთვის ყველა ჩვენგანს უკვე ტილები ჰყავდა. სიცივით ისევ ციოდა, მაგრამ საამისოდ მაინც საკმაოდ თბილოდა. სხეულის პარაზიტების დიდი გამოცდილება მქონდა, მაგრამ თავისი სისაძაგლით ტილი აღემატება ყველაფერს, რაც შემხვედრია და შემყრია. სხვა მწერები, მაგალითად – კოღოები, უფრო მეტად გტკენენ, მაგრამ, სხვა რომ არაფერი, ისინი არ არიან სხეულს მუდმივად შეფარებული პარაზიტები. ადამიანის ტილი რამდენადმე ჰგავს პაწაწკინტელა კიბორჩხალას და ძირითადად შარვალში ცხოვრობს. თუ არ ჩავთვლით ტანსაცმლის დაწვას, ჯერჯერობით არ არსებობს მათგან განთავისუფლების რაიმე ცნობილი მეთოდი. შარვლის ნაკერებში ტილი დებს თავის მანათობელ თეთრ კვერცხებს, საიდანაც თავზარდამცემი სისწრაფით იჩეკება ახალ-ახალი თაობა. ვფიქრობ, პაციფისტებს წაადგებოდათ თავიანთი პამფლეტების ილუსტრირება ტილების გადიდებული ფოტოსურათებით. ტილი, მართლაცდა, ომის დიდებაა! ომში ყველა ჯარისკაცი ტილიანია, ყოველ შემთხვევაში – როცა საკმარისად

თბილა. ვინც იბრძოდა ვერდუნთან, ვატერლოოსთან, ფლოდენთან, სენლაკთან, თერმოპილთან – ყველას ტილები დაუცოცავდა ყვერებზე. ტილების რაოდენობას გარკვეულ დონეზე ვაჩერებდით იმით, რომ მათ კვერცხებს

ვსპობდით და შეძლებისდაგვარად ხშირად ვბანაობდით. ტილების გარდა, სხვა ვერაფერი მაიძულებდა იმ ყინულივით ცივ წყალში შესვლას.

ყველაფერი გვიმთავრდებოდა: ჩექმები, ტანსაცმელი, თამბაქო, საპონი, სანთელი, ასანთი, ზეითუნის ზეთი. ჩვენი უნიფორმები ნაკუწებად იშლებოდა, ბევრს ჩექმა აღარ ეცვა, მხოლოდ თასმებიანი სანდლები. ყველგან გაცვეთილი ჩექმების გროვას აწყდებოდი. ერთხელ მიწურში მთელ ორ დღეს ვწვავდით უვარგის ჩექმებს, რაც ცუდი საწვავი არ ყოფილა. იმ მომენტისთვის ჩემი მეუღლე ბარსელონაში იყო და იქიდან მიგზავნიდა ხოლმე ჩაის, შოკოლადს და თვით სიგარებსაც, როცა ასეთი რამეები იშოვებოდა. მაგრამ თვით ბარსელონაშიც კი ყველაფრის უკმარისობა იყო, განსაკუთრებით – თამბაქოსი. ჩაი ბედნიერებას უდრიდა, თუმცა რძე არ გვქონდა, შაქარი – იშვიათად. სამშობლოდან მუდმივად გვიგზავნიდნენ ამანათებს ინგლისურ კონტინგენტს, მაგრამ ეს გზავნილები ვერასოდეს აღწევდა ჩვენამდე: მათ

გამოგზავნაზე ან თვით საფოსტო სამსახური ამბობდა უარს, ან საფრანგეთში იტაცებდნენ ყველაფერს. საკმაოდ უცნაურია, რომ ერთადერთი ფირმა, რომელიც ახერხებდა ჩაის გამოგზავნას, ჩემი ცოლისთვის (ერთ სამახსოვრო ეპიზოდში კი – ბისკვიტისაც) იყო «ჯარისა და საზღვაო ფლოტის მაღაზიები». საბრალო ბებერი «ჯარი და საზღვაო ფლოტი»! ისინი კეთილშობილად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ, შესაძლოა, მეტი ბედნიერება ეგრძნოთ, თუ გამოგზავნილი ნივთები ფრანკოს მხარეს მიუვიდოდა. ყველაზე უარესი მაინც თამბაქოს ნაკლებობა იყო. თავიდან დღეში თითო კოლოფი სიგარეტით გვამარაგებდნენ. შემდეგ რვა სიგარეტზე დაგვიყვანეს, მერე ხუთზე. ამას მოჰყვა ათი მომაკვდინებელი დღე, როცა ერთი სიგარეტიც არ მიგვიღია. პირველად ვნახე ესპანეთში ის, რასაც ყოველდღიურად ხედავ ინგლისში: როგორ კრეფენ ადამიანები გადაგდებულ სიგარეტის ნამწვებს.

მარტის ბოლოს ინფექცია შემეჭრა ხელში, რომელიც უნდა გაეჭრათ და ზედ სახვევი დაედოთ. უნდა მივსულიყავი ლაზარეთში, მაგრამ არ ღირდა ჩემი გაგზავნა სიეტამოში ასეთი წვრილმანი დაზიანებისთვის. ამიტომაც გადავუხვიე მონფლორიტის ეგრეთ წოდებულ ლაზარეთში, რომელიც მხოლოდ საევაკუაციო პუნქტს წარმოადგენდა. იქ

ათი დღე დავყავი, ნაწილობრივ საწოლში. «პრაქტიკანტებმა» ანუ ლაზარეთის ასისტენტებმა მომპარეს პრაქტიკულად ყველა ღირებული ნივთი: ფოტოაპარატი, ყველა ფოტოსურათი. ფრონტზე ყველა იპარავდა. აი, საყოველთაო დეფიციტის გარდაუვალი შედეგი. მაგრამ ლაზარეთებში მაინც ყველაზე უარესი ხალხი იყო. მოგვიანებით, ბარსელონას ლაზარეთში, ერთმა ამერიკელმა, რომელიც ინტერბრიგადას შეუერთდა გემზე, მერე კი ეს გემი იტალიურმა წყალქვეშა ნავმა ააფეთქა, მიამბო, როგორ გადაიყვანეს ნაპირზე დაჭრილი და როგორ წააძვრეს მაჯის საათი საკაცის მზიდავებმა სასწრაფო დახმარების მანქანაში შეყვანის მომენტში.

სანამ ხელზე სახვევი მედო, რამდენიმე ბედნიერი დღე გავატარე სოფლის ბილიკებზე ხეტიალში. მონფლორიტი წარმოადგენდა ტალახისა და ქვის სახლების ერთ ჩვეულებრივ გროვას თავისი ვიწრო, დაკლაკნილი შუკებით, რომლებშიც იმდენი ითრახთრახეს სატვირთო მანქანებმა, სანამ მთვარის კრატერებს დაამსგავსეს. გვარიანად მიმონგრეული ეკლესია მაინც გამოეყენებინათ სამხედრო საწყობად. მთელ შემოგარენში იდგა სულ ორად ორი ფერმა – ტორე ლორენცო და ტორე ფაბიანი – და ორი ნამდვილად დიდი შენობა, რომლებიც აშკარად ეკუთვნოდათ მემამულეებს –

აქაურობის უწინდელ მმართველებს. მათი სიმდიდრე გლეხების საწყალობელ ქოხებში ირეკლებოდა. მდინარის მეორე მხარეს, ფრონტის ხაზთან ახლოს, იდგა ვეებერთელა წისქვილი, რომელსაც ზედ მიჰკვროდა სოფლის სახლი. სამარცხვინოდ მოჩანდა ვეება, ძვირად ღირებული მანქანები, ახლა უსარგებლოდ რომ იჟანგებოდა, და ცეცხლში შესაკეთებლად დალეწილი წისქვილის ფიცრები. მერეც, სისტემატურად, სატვირთო მანქანებით გზავნიდნენ რაზმებს აქაურობის დასალეწად. იატაკის ფიცრებს ხელყუმბარების მოშველიებით შლიდნენ. «ლა გრანჟა» – ჩვენი მაღაზია და სამზარეულო – შეიძლება უწინ ქალთა მონასტერი იყო. მთლიანობაში, ვრცელი შიდა ეზოებისა და დამატებითი შენობების ჩათვლით, ოთხი ათასი ან უფრო მეტი კვადრატული მეტრი ფართობი ეჭირა და საჯინიბოც ჰქონდა ოცდაათი თუ ორმოცი ცხენისთვის. არქიტექტურული თვალსაზრისით, სოფლის სახლები ესპანეთის ამ ნაწილში არანაირ ინტერესს არ წარმოადგენს, მაგრამ კირით შებათქაშებული ეს ქვის ფერმები მომრგვალებული თაღებითა და დიდებული ჭერის კოჭებით, შესანიშნავი ნაგებობებია, რომელთა მონახაზი, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში არ შეცვლილა. იმის ყურება, თუ როგორ ექცეოდნენ ამ ნაგებობებს მილიციელები, ზოგჯერ უჩუმარ თანაგრძნობას შემოგაპარებდა უწინდელ ფაშისტ მფლობელთა მიმართ. «ლა გრანჟას»

ყველა გამოუყენებელი ოთახი საპირფარეშოდ, დალეწილ-დამსხვრეული ავეჯისა და ექსკრემენტების საზარელ ქაოსად ქცეულიყო. მისი მიმდებარე პატარა ეკლესიის კედლები ნაღმებს დაეხვრიტა, იატაკი ნეხვის სქელ ფენას დაეფარა. ვეებერთელა ეზოში, სადაც მზარეულები ჩამჩებით უსხამდნენ ჯარისკაცებს კუთვნილ რაციონებს, ყოვლად ამაზრზენ ნამუსრევად დაზვინულიყო ჟანგიანი თუნუქის ქილები, ტალახი, ჯორის პატივი, ლპობაში წასული საკვები. ეს აძლევდა აზრს ძველ ჯარისკაცულ სიმღერას:

ვირთხები ჰყავს, ვირთხები,
კატებივით დიდები,
კვარტმეისტერს საწყობში!

«ლა გრანჟას» ბინადარი ვირთხები მართლაც კატისხელა იყვნენ ან ბევრი აღარაფერი უკლდათ. ეს დიდრონი, ჩასუქებული მხეცები რწევა-რწევით დასუნსულებდნენ სიბინძურის გროვებზე და არც კი გემალებოდნენ, სანამ თოფს არ ესროდი.

ბოლოს და ბოლოს, გაზაფხულიც მოვიდა. ცის სილურჯე უფრო შერბილდა, ჰაერიც

უცებ შეთბა. თხრილებში ბაყაყები ხმაურით წყვილდებოდნენ. სოფლის ჯორების სარწყულებელი გუბის გარშემო აღმოვაჩინე ერთპენიანის სიდიდის მწვანე ბაყაყები, იმდენად ხასხასა, რომ ახალამოწვერილი ბალახი მათ ფონზე უფერული ჩანდა. გლეხის ბიჭები ბადიებით მიდიოდნენ ლოკოკინების შესაგროვებლად, მერე კი ცოცხლად ხრაკავდნენ თუნუქის ნაჭრებზე. როგორც კი გამოიამინდა, გლეხები საგაზაფხულო ხვნას შეუდგნენ. იმ სრული ბუნდოვანების შემხედვარემ, რომელშიც გახვეულია ესპანეთის აგრარული რევოლუცია, მე ვერ დავადგინე, აქაური მიწის კოლექტივიზება მოხდა თუ, უბრალოდ, თვითონ გლეხებმა გადაინაწილეს ეს მიწა ერთმანეთში. ვფიქრობ, მომპ-ის და ანარქისტების ტერიტორია, თეორიულად, კოლექტივის კუთვნილება გახდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მემამულეები წავიდნენ, მინდვრები დამუშავდა და ხალხი კმაყოფილი ჩანდა. ყოველთვის მაოგნებდა გლეხების მეგობრული დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. ზოგიერთი მოხუცის თვალში ომი უაზრო უნდა ყოფილიყო, რაკი თვალში საცემად იწვევდა ყველანაირ დეფიციტს და პირქუშ, დაჩლუნგებულ ცხოვრებას ყველასთვის. თვით საუკეთესო დროშიც კი გლეხებს სძულდათ მათთან შეკედლებული ჯარისკაცები. მიუხედავად ამისა, ისინი უცვლელად მეგობრულ განწყობას ინარჩუნებდნენ, ალბათ, იმ მიზეზით, რომ რაოდენ

აუტანლებიც უნდა ვყოფილიყავით მრავალი სხვა მიმართებით, დღესდღეობით მაინც მათსა და მათ ყოფილ მემამულეებს შორის ვიდექით. სამოქალაქო ომი უცნაური რამ არის. ჰუესკამდე – ამ ხალხის საბაზრო ქალაქამდე – ხუთი მილიც კი არ იყო, იქ ყველას ნათესავები ჰყავდა, ყოველ კვირადღეს იქ ჩადიოდნენ შინაური ფრინველისა და ხილ-ბოსტნეულის გასაყიდად. ახლა კი უკვე რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაუვალი მავთულხლართები და ტყვიამფრქვევები ჩაწვა მათსა და ჰუესკას შორის, მაგრამ, დროდადრო, ავიწყდებოდათ ეს ამბავი. ერთხელ ვესაუბრებოდი მოხუც ქალს, რომელსაც ის პაწაწკინტელა რკინის ლამპა ეჭირა, ზეითუნის ზეთზე რომ ამუშავებდნენ ესპანელები. «სად შეიძლება ასეთი ლამპის შეძენა?», ვკითხე მე. «ჰუესკაში», მიპასუხა ქალმა დაუფიქრებლად და ორივეს გაგვეცინა. სოფლელი გოგონები მშვენიერი ცოცხალი არსებები იყვნენ ნახშირივით შავი თმით, მოქანავე სიარულითა და პირდაპირი, გულღია ქცევით, რაც, ალბათ, რევოლუციის ერთ-ერთი თანმდევი შედეგი იყო.

ჩამოძონძილ ლურჯ პერანგებსა და ველვეტის შავ ბრიჯებში ჩაცმულ კაცებს ფართოფარფლებიანი ნამჯის ქუდები ეხურათ და უკან მიჰყვებოდნენ

სახნისგამობმულ, რიტმულად ყურებმოპარტყუნე ჯორების გუნდებს. ცუდი სახნისები ჰქონდათ, მხოლოდ ატოკებდნენ მიწას და ვერ გაჰყავდათ ის, რაც ჩვენს თვალში ხნულად გამოჩნდებოდა. მთელი სამიწათმოქმედო იარაღები საცოდავად დასძველებოდათ, რაკი ყველაფერს ლითონის სიძვირე განსაზღვრავდა. მაგალითად, გატეხილი სახნისი დაკერებული იყო, მერე კიდევ

დაკერებული, იქამდე, რომ ზოგჯერ ძირითადად სულ ნაკერებისგან შედგებოდა. ფიწლები და ფოცხები ხისგან დაემზადებინათ. ბარს არ იცნობდნენ ისინი, ვისაც იშვიათად ჰქონდა ჩექმა. ისინი მოუხეშავი თოხებით თხრიდნენ, ისეთით, როგორსაც ინდოეთში იყენებენ. ჰქონდათ ერთგვარი ფარცხი, რომელსაც პირდაპირ ქვის ხანაში გადაჰყავდი: დაახლოებით სამზარეულოს მაგიდის ზომის შეერთებულ ფიცრებში დაეტანებინათ ასობით ნახვრეტი, რომელთაგან თითოეულში ჩაეჭედათ კაჟის ნატეხი ზუსტად ისე წათლილი, როგორც ათი ათასი წლის წინ თლიდნენ. მახსოვს საშინელების განცდა, როცა პირველად წავაწყდი ერთ-ერთ ასეთ სამუშაო იარაღს ნეიტრალურ ტერიტორიაზე მდგარ მიტოვებულ ქოხში. დიდხანს დამჭირდა ფიქრი, სანამ მივხვდი, რომ ფარცხს ვუყურებდი. ცუდად გამხადა იმის გააზრებამ, რა ძალა მოხმარდა ასეთი რამის დამზადებას და რა სიღარიბემ აიძულა ადამიანი, ფარცხისთვის მიემართა ფოლადის

ნაცვლად. მას შემდეგ უფრო მეტი სითბო ვიგრძენი ინდუსტრიალიზმის მიმართ. თუმცა სოფელში არსებობდა ორი თანამედროვე ტრაქტორი, უეჭველად რომელიმე დიდი მემამულის ქონებიდან მიტაცებული.

ერთი-ორჯერ პატარა, გალავნიან სასაფლაომდე მივედი, სოფლიდან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით. ფრონტზე დაღუპულებს, ჩვეულებრივ, სიეტამოში გზავნიდნენ, აქ კი თვით სოფლის მიცვალებულები იწვნენ. ეს სასაფლაო უცნაურად განსხვავდებოდა ინგლისური სასაფლაოსგან. არავითარი მოწიწება გარდაცვლილის მიმართ! ყველა საფლავი ველურ ბუჩქებს და ხეშეშ ბალახს დაეფარა, ყველგან ადამიანის ძვლები ეყარა. მაგრამ ნამდვილად განსაცვიფრებელი იყო საფლავის ქვებზე რელიგიური წარწერების თითქმის სრული არარსებობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ადამიანი რევოლუციამდე მომკვდარიყო. ვგონებ, ერთადერთ საფლავზე ვნახე წარწერა «ილოცე ამის და ამის სულისთვის», რაც ჩვეულებრივი ამბავია კათოლიკურ საფლავებზე. წარწერათა უმრავლესობა პირწმინდად სამოქალაქო შინაარსისა იყო და დართული ჰქონდა გარდაცვლილის სათნოებათა განმადიდებელი სასაცილო ლექსები. ყოველი ოთხი-ხუთი საფლავიდან მხოლოდ ერთს თუ ჰქონდა ჯვარი ან დაუდევარი მითითება ზეცისკენ, თუმცა ესეც ამოეშალა მავანი ათეისტის საჭრეთლიან ხელს.

აზრად მომივიდა, რომ ესპანეთის ამ მხარის მკვიდრებს ნამდვილად არ მოსდგამთ რელიგიური გრძნობა (ორთოდოქსული აზრით). საგულისხმოა, რომ ესპანეთში ჩემი ყოფნის მანძილზე არავინ მინახავს ისეთი, ვისაც პირჯვარი გადაეწეროს. არადა, ასეთი მოძრაობა თითქოს უკვე ინსტინქტად უნდა ყოფილიყო ქცეული რევოლუციის თუ არა-რევოლუციის დროს. ესპანური ეკლესია, რაღა თქმა უნდა, დაბრუნდება (როგორც ანდაზა ამბობს: ღამე და იეზუიტები მუდამ ბრუნდებიან). მაგრამ ისიც ეჭვმიუტანელია, რომ რევოლუციის დასაწყისში ეკლესია დაინგრა და მიწასთან გასწორდა. ესპანელი ხალხისთვის, ყოველ შემთხვევაში – კატალონიელთათვის და

არაგონელთათვის, ეკლესია იყო სუფთა და უბრალო შანტაჟი, რის გამოც, შესაძლოა, ქრისტიანული რწმენა გარკვეულწილად შეცვალა ანარქიზმმა, რომლის გავლენა დიდია და რომელსაც რელიგიური ელფერი ადევს.

სწორედ ლაზარეთიდან ჩემი დაბრუნების დღეს წავწიეთ ფრონტის ხაზი თავის რეალურ პოზიციამდე, ანუ ათასი იარდით წინ, პატარა მდინარის გასწვრივ, ფაშისტების ხაზიდან ორასიოდე იარდის მოშორებით რომ მიედინებოდა. ეს ოპერაცია თვეების წინ უნდა ჩატარებულიყო, ახლა კი იმიტომ მიმდინარეობდა, რომ

ანარქისტები უტევდნენ ხაკას გზაზე და აქეთ მხარეს წინსვლამ მათ ჯარებს მიმართულება უცვალა და ჩვენ პირდაპირ გაიყვანა.

სამოცი-სამოცდაათი საათის განმავლობაში არ გვძინებია და ჩემი მოგონებებიც ერთგვარად იდღაბნება ან, უფრო სწორად, სურათების სერიად იქცევა: მალული მიყურადება ნეიტრალურ ადგილებში, ასიოდე იარდზე კასა ფრანჩესკადან – გამაგრებული ფერმიდან, ფაშისტების ხაზის შემადგენელი ნაწილიდან; შვიდსაათიანი წოლა საზარელ ჭანჭრობში, ლერწმისსუნიან წყალში, სადაც სხეული უფრო და უფრო ღრმად ეფლობა ამ სუნში, გამფიჩხებელ სუსხში; შავ ცაში უძრავად შეჩერებული ვარსკვლავები, ბაყაყების მჭახე ყიყინი. უკვე აპრილი იდგა, მაგრამ ეს ღამე უცივესი აღმოჩნდა ყველა სხვა ღამეს შორის, რაც კი ესპანეთში მახსოვს. მუშა ჯგუფები გამალებით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს სულ რაღაც ასიოდე იარდით ჩვენ უკან, თუმცა სრულებით არაფერი ისმოდა, ბაყაყების ყიყინის გარდა. ღამის განმავლობაში ერთადერთხელ მომესმა ბგერა: ბარით გაბრტყელებული ქვიშიანი ტომრის ნაცნობი ხმა. უცნაურია, ხანდახან როგორ ახერხებენ ესპანელები ორგანიზაციის ბრწყინვალე გმირობის ჩადენას! მთელი ეს სვლა მშვენივრად იყო დაგეგმილი. შვიდ საათში

ექვსასმა კაცმა მოაწყო ათას ორასი მეტრის სიგრძის სანგრები და მიწაყრილები ფაშისტების ხაზიდან ასორმოცდაათი-სამასი იარდის დაშორებით და ისე უჩუმრად, რომ იმათ ვერაფერი გაიგეს. მთელი ღამის განმავლობაში ერთადერთი კაცი დაშავდა. მომდევნო დღეს, რასაკვირველია, მას სხვებიც დაემატა. თითოეულ კაცს თავისი ინდივიდუალური სამუშაო ჰქონდა, თვით სამზარეულოს მორიგეებსაც, რომლებმაც, როცა საქმეს მოვრჩით, მოულოდნელად მოგვაკითხეს და ბრენდგარეული ღვინის ბადიები მოგვიტანეს.

მერე გათენდა და ფაშისტებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვენ მათ ცხვირწინ ვართ. კასა ფრანჩესკას კვადრატული თეთრი შენობა, თუნდაც ორასი იარდით დაშორებული, თითქოს ზედ დაგვცქეროდა, ქვიშის ტომრებით ჩახერგილი ზედა ფანჯრებიდან გამოწვდილი ტყვიამფრქვევების ლულები კი თითქოს პირდაპირ ჩვენ გვიმიზნებდნენ სანგარში. პირდაღებულები შევყურებდით ამას და გვიკვირდა, როგორ ვერ გვხედავდნენ ფაშისტები. მეორე წამს კი ტყვიების სასტიკი თქეში წამოვიდა. ყველამ მუხლებზე ჩავიჩოქეთ და გაშმაგებით

დავიწყეთ თხრა, სანგრის გაფართოება და პატარა თავშესაფრის გამოთხრა მის კედელში. ხელზე ჯერ კიდევ სახვევი მედო, თხრა

არ ძალმიძდა და მთელი ის დღე დეტექტიური ისტორიის კითხვაში გავატარე. მას ერქვა «დაკარგული მევახშე». სიუჟეტს ვერ ვიხსენებ, მაგრამ სავსებით ნათლად მახსოვს, როგორ ვიჯექი და ვკითხულობდი; მახსოვს სანგრის ფსკერის ნოტიო თიხა, ფეხების მუდმივი გაწევ-გამოწევა, რათა ადგილი მიმეცა კაცებისთვის, ფაცხაფუცხით რომ მიმორბოდნენ სანგარში ორად მოკეცილები; მახსოვს ტყვიების გაუთავებელი სკდომა ერთი თუ ორი ფუტით ჩემ ზემოთ. თომას პარკერს ტყვიამ ბარძაყის ზედა ნაწილი გაუხვრიტა. ინციდენტები მთელი დღის განმავლობაში ხდებოდა, თუმცა ისეთი არაფერი, რაც მაშინ მოხდებოდა, თუ ღამით მუშაობისას წაგვასწრებდნენ. მოგვიანებით ერთმა დეზერტირმა მითხრა, ხუთი ფაშისტი გუშაგი დახვრიტეს დაუდევრობისთვისო. ახლაც კი გაგვჟუჟავდნენ ყველას, თუ მოახერხებდნენ და რამდენიმე ნაღმსატყორცნს მოათრევდნენ. ერთობ უხერხული იყო დაჭრილების გათრევა ვიწრო და გადავსებულ სანგარში. თვალი მოვკარი სისხლისგან ბრიჯებჩაშავებულ ერთ საბრალოს, საკაციდან რომ გადმოხტა და აგონიურად ქოშინებდა. დაჭრილები ერთ მილზე თუ უფრო შორს იყვნენ წასაყვანი, რადგან თვით გზის არსებობის შემთხვევაშიც კი სასწრაფო დახმარების მანქანები არასდროს უახლოვდებოდნენ ფრონტის ხაზს, რაკი ფაშისტებს ჩვევად ჰქონდათ მათი

დაცხრილვა. და ეს გამართლებული იყო, რადგან თანამედროვე ომში არავინ თაკილობს ტყვია-წამლის გადატანას სასწრაფო დახმარების მანქანებით.

მომდევნო ღამეს ტორე ფაბიანთან შეტევაზე გადასვლის მოლოდინი იდგა. ეს შეტევა ბოლო მომენტში გადაიდო უმავთულო შეტყობინების შედეგად. ფარდულში, სადაც ველოდებოდით, იატაკი წარმოადგენდა ბზის თხელი ფენით დაფარულ, ერთმანეთში არეულ ადამიანებისა და ძროხების ძვლებს. აქაურობა სავსე იყო ვირთხებით. ეს ბინძური მღრღნელები მიწიდან ამოდიოდნენ ყველა მხრიდან. თუ არსებობს რამე, რასაც ყველაზე მეტად ვერ ვიტან, ესაა სიბნელეში ჩემს სხეულზე გადარბენილი ვირთხა. თუმცა მომეცა სიამოვნება, მუშტი მეთავაზა ერთისთვის და ჰაერში გამეფრინა.

ფაშისტების მიწაყრილიდან ორმოცდაათი-სამოცი იარდის დაშორებით ვიყავით და შეტევაზე გადასვლის ბრძანებას ველოდებოდით. კაცების გრძელი მწკრივი წელში მოღუნული ამოფარებოდა სარწყავ არხს, საიდანაც მოჩანდა მათი ხიშტები და წყვდიადში გამონათებული თეთრი გუგები. კოპი და ბენჯამინი ჩემ უკან

ჩაცუცქულიყვნენ იმ კაცის გვერდით, უმავთულო გადამცემი რომ ეკიდა ზურგზე. დასავლეთ ჰორიზონტზე ჩანდა ვარდისფერი გაელვებები, რომლებსაც რამდენიმეწამიანი ინტერვალის შემდეგ დიდი აფეთქების ხმები მოჰყვებოდა. მათ გვერდით კი, უმავთულო გადამცემიდან, ისმოდა პატარ-პატარა სიგნალები

და ჩურჩულით ნათქვამი ბრძანება: გამოერიდეთ ამ სიტუაციას, სანამ გვიან არ არისო. ასეც მოვიქეცით, ოღონდ – არასაკმარისად სწრაფად. თორმეტ საბრალო ბავშვს მომპ-ის ახალგაზრდული ლიგიდან, მათ, რომლებსაც სულ ორმოციოდე იარდი აშორებდათ ფაშისტების მიწაყრილს, თენებამ მოუსწრო და ვეღარსად წავიდნენ. მთელ დღეს გაუნძრევლად იწვნენ და ზემოდან მხოლოდ ბალახი ეფარათ, ფაშისტები კი ყოველ შერხევაზე ესროდნენ. როცა დაღამდა, შვიდი მათგანი ცოცხალი აღარ იყო, დანარჩენმა ხუთმა მოახერხა და ცოცვით შეეფარა სიბნელეს.

შემდეგ – მრავალ მომდევნო დილას – ჰუესკას მეორე მხრიდან ანარქისტების შეტევების ხმები ისმოდა, მუდამ ერთი და იგივე ხმა: უეცრად, უთენია დილის რომელიღაც მომენტში, რამდენიმე ათეული ბომბის ერთდროული აფეთქების ჯოჯოხეთური, ყოვლისდამფლეთი გრუხუნი, რასაც მოსდევდა შაშხანებისა და

ტყვიამფრქვევების მასიური გრიალი – მძიმე, განმეორებადი ბგერა, ასე უცნაურად რომ ჰგავდა დასარტყამი ინსტრუმენტების გაგრიალებას. თანდათანობით სროლა ვრცელდებოდა ყველა ხაზზე ჰუესკას ირგვლივ და ჩვენც ღრმად მივძვრებოდით სანგარში, რათა მოდუნებულები მივყრდნობოდით მიწაყრილს, სანამ ჩვენ თავზემოთ უწესრიგოდ მიმოჰქროდა ტყვიები.

დღის განმავლობაში შაშხანების ხმა წყვეტილ-წყვეტილად ისმოდა. ტორე ფაბიანი – ჩვენი ახლანდელი სამზარეულო – ნაღმებმოხვედრილი და ნაწილობრივ დანგრეული იდგა. საგულისხმოა, რომ როდესაც საარტილერიო ცეცხლს უსაფრთხო მანძილიდან ადევნებ თვალს, ყოველთვის გსურს, რომ ტყვიამფრქვევის ნასროლი თავის მიზანს მისწვდეს, თუნდაც ეს მიზანი შენს სადილს და ზოგიერთ შენს ამხანაგსაც მოიცავდეს. იმ დილას ფაშისტები კარგად ისროდნენ. იქნებ იმიტომ, რომ ნაღმსატყორცნთან გერმანელები ისხდნენ. მათ ტორე ფაბიანი ამოეღოთ მიზანში. ერთი ნასროლი გადაცდა, მეორეს ცოტა დააკლდა, მესამე კი – დრაახ! – აფეთქებული ნივნივები ჰაერში აიჭრა და ურალიტის ფურცელი კარტის ქაღალდივით ფრიალ-ფრიალით დაეშვა მიწისკენ. მომდევნო ნაღმმა ისე სუფთად ჩამოაჭრა შენობას კიდე, როგორც გოლიათი

იზამდა ვეებერთელა დანით. თუმცა მზარეულებმა სადილი დაუგვიანებლად მოამზადეს: აი, სამახსოვრო გმირობა!

დღეების სვლასთან ერთად, თვალისთვის უხილავი, თუმცა სმენისთვის მისაწვდომი იარაღებიდან თითოეულმა თავისი ინდივიდუალური ხასიათის მიღება იწყო. 75-მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევების ორი რუსული ბატარეა ახლო ზურგიდან ისროდა და ჩემს გონებაში რაღაცნაირად ასოცირდებოდა გოლფის ბურთის დამრტყმელ ჩაკურატებულ კაცთან. ეს იყო პირველი რუსული ქვემეხები, რომლებიც მე ვნახე ან, უფრო სწორად, რომელთა ხმაც გავიგონე. დაბალი ტრაექტორია და ძალზე მაღალი სისწრაფე ჰქონდათ: მათი ჭურვის

აფეთქება, ზუზუნი და მსხვრევა თითქმის ერთდროულად გვესმოდა. მონფლორიტის უკან იდგა ორი უმძიმესი ტყვიამფრქვევი, რომლებიც დღეში რამდენჯერმე ისროდნენ, თითქოს სადღაც მოშორებით დაბმული ურჩხულები ღრმად და მოგუდულად ყეფდნენ. არაგონის მთაზე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში, შტურმით რომ აიღეს სამთავრობო ჯარებმა ერთი წლის წინ (როგორც ამბობდნენ – პირველად ამ ციხის ისტორიაში) და რომელიც იცავდა ჰუესკას ერთ-ერთ მისადგომს, იდგა ქვემეხი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ბოლოთი თარიღდებოდა.

მისი ვეება ჭურვები იმდენად ნელა მიფრინავდა, რომ აშკარად გაფიქრებინებდა – შემიძლია გვერდით გავყვე და არ ჩამოვრჩეო. ისე არაფერს ჰგავდა ამ ქვემეხიდან ნასროლი ჭურვის ხმა, როგორც იმ კაცისას, სტვენა-სტვენით რომ მიაქროლებს მოტოციკლეტს. ფიზიკური სიპატარავის მიუხედავად, სანგრის ნაღმსატყორცნებს მაინც ყველაზე საშინელი ხმა ჰქონდათ. მათი ნაღმები ნამდვილად ჰგავს ფრთიან, ისრისებურ (ლუდხანებში რომ ისვრიან), ერთკვარტიანი ბოთლისხელა ტორპედოებს, რომლებიც ლითონის ისეთი ჯოჯოხეთური ჟღრიალით იღებენ სტარტს, თითქოსდა მსხვრევადი ფოლადის ბურთს გრდემლზე ამსხვრევენო. ზოგჯერ ჩვენი თვითმფრინავები გადაიფრენდნენ და ყრიდნენ საჰაერო ტორპედოებს, რომელთა ექოებიანი გრიალი მიწას ორი მილის მანძილზეც კი ადგანდგარებდა. ფაშისტების ანტისაავიაციო ქვემეხების ნაღმები ცუდი აკვარელით ნახატი პატარა ღრუბლებივით წინწკლავდა ცას, თუმცა არასოდეს მინახავს, რომ ათასი იარდით მაინც მიახლოებოდეს თვითმფრინავს. როცა ეს უკანასკნელი ქვემოთ ეშვებოდა და ტყვიამფრქვევს აამოქმედებდა, მიწაზე მისი ხმა ფრთების ფართქუნივით ისმოდა.

ფრონტის ჩვენეულ მონაკვეთზე ბევრი არაფერი ხდებოდა. ორასი იარდით ჩვენგან

მარჯვნივ ფაშისტები უფრო მაღლა იყვნენ და მათმა სნაიპერებმა რამდენიმე ამხანაგი მოგვიკლეს. ორას იარდზე ჩვენგან მარცხნივ, მდინარეზე გადებულ ხიდთან, მიმდინარეობდა ერთგვარი დუელი ფაშისტების ნაღმსატყორცნებსა და იმ კაცებს შორის, ბეტონის ბარიკადს რომ აგებდნენ ხიდის გარდიგარდმო. ზუზუნით ცვიოდა პატარა, ბოროტი ნაღმები და ორმაგად ჯოჯოხეთურ ბგერას გამოსცემდნენ ასფალტირებულ გზაზე დახეთქებისას. შეგეძლო, სრულიად უსაფრთხოდ მდგარიყავი ასი იარდის მოშორებით და გეცქირა მიწისა და შავი კვამლის სვეტებისთვის, ჯადოსნური ხეებივით რომ იტყორცნებოდნენ ჰაერში. ხიდთან მოფუსფუსე საბრალოები დღის უმეტეს ნაწილს პატარა ნიშებში ატარებდნენ, თვითონვე რომ გამოეთხარათ სანგრის კედელში. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელზე უფრო ნაკლები უბედურება ხდებოდა და ბარიკადაც სტაბილურად იზრდებოდა: ბეტონის ორფუტიანი სისქის კედელი სამი ამბრაზურით, რომელთაგან ორი ტყვიამფრქვევისთვის იყო, ერთი – პატარა

საველე შაშხანისთვის. ბეტონის გასამაგრებლად ძველი საწოლის ჩონჩხი გამოიყენეს, როგორც ჩანს – ერთადერთი რკინა, რომელიც იპოვეს.

თავი VI

ერთ ნაშუადღევს ბენჯამინმა გვითხრა, თხუთმეტი მოხალისე მჭირდებაო. წინა ჯერზე გადადებული შეტევა ფაშისტების რედუტზე ამაღამ უნდა განხორციელებულიყო. ჩემი ათი მექსიკური ვაზნა დავზეთე, ხიშტი ტალახში ამოვთხვარე (შენს ადგილსამყოფელს საგნები გაამხელენ, თუ მეტისმეტად ბრწყინავენ), ჩანთაში კი ჩავიწყვე პურის დიდი ნაჭერი, სამი დუიმი წითელი ძეხვი და სიგარა, რომელიც ჩემს ცოლს გამოეგზავნა ბარსელონადან და რომელსაც დიდხანს ვინახავდი. ყუმბარები დაგვირიგეს, თითო კაცს – სამი. ბოლოს და ბოლოს, ესპანურმა ხელისუფლებამ რიგიანი ბომბი დაამზადა. მილსის ყუმბარის პრინციპით მოქმედებდა, თუმცა ორი ხრახნი ჰქონდა, ნაცვლად ერთისა. ხრახნების ამოღების შემდეგ შვიდი წამი რჩებოდა აფეთქებამდე. მთავარი უპირატესობა კი ის იყო, რომ ერთი ხრახნი ძალიან ხისტად იყო ჩამაგრებული, მეორე – ძალზე მსუბუქად. ამის გამო არჩევანი გქონდა: ან ორივე ხრახნი ხელუხლებლად დაგეტოვებინა და საჭიროების მომენტში ხისტი ხრახნი ვეღარ ამოგეღო, ან კიდევ ეს უკანასკნელი წინდაწინ მოგეხსნა, მხოლოდ მსუბუქი დაგეტოვებინა და მუდმივ შიშში ყოფილიყავი, რომ ცალხრახნმოხსნილი ბომბი ჯიბეშივე არ აგფეთქებოდა. ამ

ყოველივეს შემდეგ, ეს პატარა ყუმბარა გამოსაყენებლად მოსახერხებელი იყო.

შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე ბენჯამინმა თხუთმეტი კაცი ტორე ფაბიანამდე მიგვიყვანა. საღამოდან მოყოლებული წვიმა უშხაპუნებდა, სარწყავი არხები წყლით იყო სავსე და ყოველ ჯერზე, როცა შიგ ტოპავდი, წყალი წელამდე გწვდებოდა. კუნაპეტ ღამეში და კოკისპირულ წვიმაში ფერმის წინ მომლოდინე კაცების ბუნდოვანი მასა დავლანდეთ. კოპმა მოგვმართა: ჯერ ესპანურად აგვიხსნა შეტევის გეგმა, მერე ინგლისურად. ფაშისტების ხაზი ასო L-ს ჰგავდა, ხოლო მიწაყრილი, რომლისთვისაც უნდა შეგვეტია, ამ L-ის კუთხეში არსებულ შემაღლებაზე იყო განთავსებული. დაახლოებით ოცდაათი ჩვენგანი, ესპანელები და ინგლისელები, ხორხე როკას – ჩვენი ბატალიონის მეთაურისა (ბატალიონი მილიციის ფარგლებში დაახლოებით ოთხას კაცს ითვლიდა) და ბენჯამინის ხელმძღვანელობით შემაღლებაზე უნდა ავცოცებულიყავით და ფაშისტების მავთული გადაგვეჭრა. ხორხე პირველ ყუმბარას, როგორც სიგნალს, ისე ისროდა, მერე ყველა ერთად ყუმბარების წვიმას მოვაწყობდით, ფაშისტებს მიწაყრილიდან გამოვრეკავდით და იქაურობას დავიკავებდით, სანამ ისინი მობილიზებას მოასწრებდნენ. პარალელურად, სამოცდაათი მეომარი თავს

დაესხმებოდა ფაშისტების მეორე «პოზიციას», რომელიც პირველისგან ორასი იარდით მარჯვნივ მდებარეობდა და მას სანგრით უკავშირდებოდა. ერთმანეთისთვის რომ არ გვესროლა, ყველას თეთრი სამკლავური უნდა გვკეთებოდა. ზუსტად ამ დროს შიკრიკი მოვიდა და გვაუწყა, თეთრი

სამკლავურები არ გვაქვსო. სიბნელეში ვიღაცის მომჩივანმა ხმამ შემოგვთავაზა: «იქნებ ისე გვექნა, რომ თვით ფაშისტებს ჰქონოდათ თეთრი სამკლავურები?».

შეტევის დაწყებამდე ერთი-ორი საათი დრო გვქონდა. ბეღელი ჯორების თავლის ზემოთ ნაღმებს იმდენად დაერბია, რომ შიგნით უფარნოდ ვერ ივლიდი. ნახევარი იატაკი შენობაში ჩავარდნილ ნაღმს მოეგლიჯა და იქ ოცდაოთხი ფუტის სიღრმის ორმოს დაეღო პირი. შიგ ქვიანი მიწა ჩანდა. ვიღაცამ წერაქვი იპოვა და იატაკიდან დამტვრეული ფიცრები ამოაძრო. რამდენიმე წუთში უკვე კოცონი გვენთო და სველი სამოსიდან ორთქლი გვდიოდა. ვიღაცამ კარტი ამოიღო. ხმა გავრცელდა (ერთ-ერთი იმ იდუმალი ხმებიდან, ომს რომ ასე ახასიათებს): ახლა ბრენდიან ცხელ ყავას მოგვართმევენო. აგზნებულებმა ჩავიარეთ თითქმის დაშლილი კიბე და ბნელ ეზოს მოვედეთ ყავის პოვნის იმედით.

ეჰა, რომ ვერავითარი ყავა ვერ ვნახეთ. ამის სანაცვლოდ, ისევ შეგვკრიბეს და ერთ რიგად გაგვამწკრივეს, რის შემდეგაც ხორხე და ბენჯამინი სწრაფი ნაბიჯით შევიდნენ სიბნელეში და დანარჩენებიც შეგვიყოლეს.

ისევ წვიმდა და ბნელოდა, თუმცა ქარი ჩაწყნარდა. ტალახი იყო. გაქონილი ძელივით სრიალა ბილიკები ჭარხლის მინდვრებზე, უბრალოდ, ბელტების გროვად ქცეულიყო. ყველგან დიდი გუბეები იდგა. დიდი ხნით ადრე, სანამ გავცდებოდით იმ ადგილს, სადაც ჩვენი მიწაყრილი მთავრდებოდა, ყველა რამდენჯერმე წაიქცა და შაშხანები ტალახში ამოიგანგლა. მიწაყრილთან ადამიანთა პატარა გუნდი – ჩვენი რეზერვი – იცდიდა. იქვე იყო ექიმი და საკაცეები. მიწაყრილის ჭრილში გავედით და სხვა სარწყავ არხს გავუყევით. კიდევ ერთხელ მივაპობდით წელამდე წყალს და მის ჭუჭყიან, წებოვან ტალახს, რომელიც ჩექმებში ზემოდან ჩაგვდიოდა. მიწაყრილის გარეთ ბალახზე, ხორხე გველოდებოდა, სანამ ყველანი შევიკრიბეთ. შემდეგ ნელა განაგრძო წინსვლა თითქმის ორად მოკაკვულმა. ფაშისტების მიწაყრილი ას ორმოცდაათამდე იარდის მანძილზე იქნებოდა. ერთადერთი შანსი, რომ იქამდე მივსულიყავით, უხმაუროდ სიარული იყო.

მე წინ მივდიოდი ხორხესა და ბენჯამინთან ერთად. ორად მოკეცილები, თუმცა აწეული სახეებით, თითქმის სრულ წყვდიადში მივიპარებოდით და ყოველ მომდევნო ნაბიჯს უფრო და უფრო ნელა ვადგამდით. როცა უკან ვიხედებოდი, ვხედავდი ყველაზე ახლოს მყოფებს – კუზიანი ჩრდილების გროვას, რომელიც გიგანტური სოკოებივით მიიწევდა წინ. თუმცა თავის ყოველ აწევაზე ჩემ გვერდით მომავალი ბენჯამინი მკაცრად ჩამჩურჩულებდა: «თავი კვევით! თავი კვევით!» შემეძლო მეთქვა, ნუ ღელავ-მეთქი, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, ბნელ ღამეში ვერასდროს დაინახავ კაცს ოც ნაბიჯზე. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო მშვიდი სვლა. ერთხელაც რომ გაეგონათ რამე, ჩვენი საქმე გათავებული იყო. ისღა დარჩებოდათ, სიბნელისთვის ტყვიამფრქვევი შეეშხეფებინათ და ყველაფერი ასე დაესრულებინათ.

არადა, სველ გრუნტზე თითქმის შეუძლებელი იყო უხმაუროდ სვლა. როგორც უნდა გეფრთხილა, ფეხები ტალახზე გეკრობოდა და ყოველი ნაბიჯი, რომელსაც დგამდი, იყო ტლაპო, ტლაპო და ტლაპო. ჯანდაბას ამისი თავი: ქარი მიყუჩდა და, წვიმის მიუხედავად, უმშვიდესი ღამე ჩამოდგა. ასეთ სიმშვიდეში ბგერები შორს ატანდა. ერთ საზარელ წამს ფეხი თუნუქის კონსერვს წავკარი. ჟღრიალს რამდენიმე მილის

რადიუსით ყველა ფაშისტი გაიგონებდა-მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ არა, არავითარი საპასუხო ხმა ან გასროლა, არავითარი მოძრაობა ფაშისტების მხრიდან. წინ მივიწევდით – სულ უფრო და უფრო შენელებულად. ვერაფრით გადმოგცემთ იქამდე მისვლის ჩემეული სურვილის სიღრმეს. ოღონდაც ყუმბარის სასროლ მანძილზე მივახლოებოდით, სანამ რამეს გაიგონებდნენ! ასეთ დროს შიშს არ გრძნობ, მხოლოდ განუზომელ, თავგანწირულ სწრაფვას შუალედური მონაკვეთის გადალახვისკენ. ზუსტად ამავეს ვგრძნობდი, როცა ნადირს ვეპარებოდი, სასროლ მანძილზე მისვლის ამავე აგონიურ სურვილს და ამავე სიზმარეულ გარკვეულობას, რომ ეს შეუძლებელია. და როგორ იწელებოდა ეს მანძილი! კარგად ვიცნობდი აქაურობას: სულ ასორმოცდაათი იარდი თუ იქნებოდა, მაგრამ ახლა თითქოს მთელი მილი გვქონდა გასავლელი. როცა ასეთი ნაბიჯით მიდიხარ, ჭიანჭველასავით გრძნობ გრუნტის უსასრულო ცვლას: აქ – ხავერდოვანი ბალახის მშვენიერი ნაგლეჯია, იქ – წებოვანი ტალახის გულისშემაღონებელი ადგილი, სხვაგან – მაღალი, მოშარიშურე ლერწმები, რომლებსაც გვერდი უნდა აუარო, ან ქვის გროვა, რომელმაც ლამის ფარ-ხმალი დაგაყრევინოს, რაკი მისი გადავლა სრულებით უხმაუროდ შეუძლებელი ჩანს.

იმდენ ხანს მივცოცავდით ასე, რომ უკვე ფიქრი შემომეპარა, გზას ხომ არ ავცდით-მეთქი. წინ, სიბნელეში, მქრქალად გამოჩნდა რაღაც კიდევ უფრო მრუმე საგნის თხელი, პარალელური ხაზები. ეს გარეთა მავთული იყო (ფაშისტებს მავთული ორ წყებად ჰქონდათ გავლებული). ხორხე ჩაიკუზა და ჯიბე მოიჩხრიკა. სწორედ მას ჰქონდა ჩვენი ერთადერთი მავთულმჭრელი. წკაპ-წკაპ! მერე ძირს დავარდნილი მავთული ფრთხილად გავწიეთ განზე და დაველოდეთ, როდის შემოგვიერთდებოდნენ დანარჩენები, რომლებიც თითქოს თავზარდამცემი ხმაურით მოაბიჯებდნენ. ახლა ფაშისტების მიწაყრილიდან, შესაძლოა, ორმოცდაათი იარდი გვაშორებდა. ისევ წინ წავედით ორად მოკეცილები. შემპარავი ნაბიჯი... ფეხის იმგვარი ფრთხილი დაშვება, როგორც კატა მოძრაობს თაგვის სოროსთან მიპარვისას... პაუზა და მიყურადება... კიდევ ერთი ნაბიჯი... ერთხელ თავი ავწიე, მეორე წამს ბენჯამინმა ხელი უხმოდ მომხვია კისერზე და ძლიერად დამიქაჩა ქვემოთ. ვიცოდი: შიდა მავთული სულ ოციოდე იარდზე იყო მიწაყრილიდან და წარმოუდგენლად მიმაჩნდა იქამდე ოცდაათი კაცის შეუმჩნევლად მისვლა. მხოლოდ სუნთქვაც კი იკმარებდა ჩვენს გასაცემად. ისევ გამოჩნდა რაღაც, ანუ ფაშისტების მიწაყრილი – ჩვენს თავზე წამომდგარი მქრქალ-შავი ბორცვი. ხორხე კიდევ ერთხელ დაიხარა და ჯიბე მოიჩხრიკა. წკაპ-წკაპ! ვერანაირად გადაჭრიდი მავთულს უხმაუროდ.

ესეც შიდა მავთული. ოთხზე დამდგარები გავძვერით ჩახსნილ ადგილას, ამჯერად – ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად. თუ ახლა გაშლის დროც გვქონდა, ყველაფერი კარგად იყო. ხორხე და ბენჯამინი მარჯვნივ გაცოცდნენ. მაგრამ უკან მომავალი გაფანტული ხალხი ერთ მწკრივად უნდა დაწყობილიყო ვიწრო ღიობში შემოსასვლელად. სწორედ ამ დროს განათდა და ფაშისტების მიწაყრილიდან რაღაცამ იფეთქა. ბოლოს და ბოლოს, გუშაგმა ჩვენი ხმა გაიგონა. ხორხემ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და მკლავი ბოულინგის მოთამაშესავით მოიქნია. ბრაახ! ნასროლი ყუმბარი სადღაც მიწაყრილის თავზე აფეთქდა. უეცრად გაცილებით უფრო მკვირცხლად, ვიდრე წარმოგედგინა, ფაშისტების მხრიდან ათი თუ ოცი შაშხანის ერთდროული ბათქი გაისმა. ამ ყოველივეს შემდეგ, ისინი გველოდნენ. მეყსეულად შეგეძლო მოგეკრა თვალი ავისმომასწავებელი შუქით განათებული თითოეული ქვიშის ტომრისთვის. უკან დარჩენილი ჩვენები იქიდანვე ისროდნენ ხელყუმბარებს, რომელთაგან ზოგიერთი მიწაყრილის სიახლოვეს სკდებოდა. ყველა სათოფურიდან ცეცხლის ჭავლი იღვრებოდა. საძაგლობაა ტყვიის მიღება შუა წყვდიადში. თითოეული შაშხანიდან გამოვარდნილი ცეცხლი თითქოს პირდაპირ შენ გიმიზნებს. მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ყუმბარები იყო. ვერასოდეს წარმოიდგენ მათ საშინელებას, სანამ ღამის სიბნელეში შენ გვერდით არ გასკდება.

დღისით მხოლოდ აფეთქების გრიალი ისმის, ღამით კი დამაბრმავებელი წითელი გაელვებაც ემატება. პირველივე ზათქზე ძირს განვერთხე. მთელი ეს მონაკვეთი ცალ გვერდზე ვიწექი წებოვან ტალახში და გააფთრებით ვებრძოდი ჩემი ყუმბარის ხრახნს. არაფრით უნდოდა ამოსვლა, წყეულს. ბოლოს მივხვდი, რომ საპირისპირო მიმართულებით ვატრიალებდი. ამჯერად ამოვაძვრე, მუხლებზე დავდექი, ყუმბარა ვისროლე და ისევ მიწას განვერთხე. ყუმბარა მარჯვენა მხარეს, მიწაყრილს გარეთ აფეთქდა: შიშმა დამიზნებაში ხელი შემიშალა. ზუსტად იმ დროს პირდაპირ ჩემ წინ სხვა ყუმბარა აფეთქდა, ისე ახლოს, რომ სახეში მხურვალება მომაწყდა. მთელი სხეულით გავეკარი მიწას და სახე ტალახში ჩავრგე. კისრის ტკივილმა მაფიქრებინა, რომ დაჭრილი ვიყავი. გარემომცველ გუგუნში ვიღაცამ ჩემ უკან ინგლისურად წარმოთქვა: «მომხვდა». მართლაც, ყუმბარას რამდენიმე ადამიანი დაეჭრა ისე, რომ მე არ შემხებოდა. ისევ მუხლებზე დავდექი და მეორე ყუმბარა ვისროლე. სად დაეცა, აღარ მახსოვს.

ფაშისტები ისროდნენ, უკნიდან ჩვენი ხალხიც ისროდა და სავსებით ნათლად ვაცნობიერებდი, რომ ორ ცეცხლს შუა აღმოვჩნდი. გასროლისგან დაძრული ნაკადი

ვიგრძენი და მივხვდი, რომ ვიღაც უშუალოდ ჩემ ზურგს უკან ისროდა. ავდექი და გავძახე: «მე არ მომარტყა, შე სისხლიანო რეგვენო!» იმ მომენტში ათი-თხუთმეტი იარდით ჩემგან მარჯვნივ, თვალი მოვკარი ბენჯამინს, რომელიც იარაღის მოძრაობით მიხმობდა. მისკენ გავიქეცი, რაც ცეცხლისმფრქვევი სათოფურების ხაზის გადაკვეთას ნიშნავდა. ამ გადარბენისას მარცხენა ხელს ვიტყაპუნებდი ლოყაზე. იდიოტური ჟესტი: თითქოს ხელი დამიცავდა

ტყვიისგან! მაგრამ ძრწოლას ავეტანე, ძრწოლას, რომ სახეში არ მომხვედროდა. რაღაც ნასიამოვნებ-სატანური გამომეტყველებით ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ბენჯამინი თავის ავტომატურ პისტოლეტს ფრთხილი დამიზნებით ისროდა შიგ მტრის სათოფურებში. პირველივე წუთას დაჭრილი ხორხე აღარ ჩანდა. ბენჯამინის გვერდით ჩავიჩოქე, მესამე ყუმბარა ამოვიღე და ვისროლე. აჰ, ამჯერად არავითარი ეჭვი აღარ იყო: ყუმბარა მიწაყრილის უკან ჩაეშვა, კუთხეში, ზედ ტყვიამფრქვევის გვერდით.

უცებ ფაშისტების ცეცხლმა თვალში საცემად იკლო. ბენჯამინი წამოხტა და შესძახა: «წინ! შეტევაზე!» ყველანი ავცვივდით მოკლე, დამრეც ფერდობზე, რომელზეც მიწაყრილი იდგა. ავცვივდით-მეთქი, ვამბობ, მაგრამ უკეთესი სიტყვა იქნებოდა

«ავიხუნძლეთ». ფაქტია, როცა თავიდან ფეხებამდე სველი და ტალახიანი ხარ, სწრაფად ვერ მოძრაობ, თან ასეთ სხეულს ხიშტიანი შაშხანა და ასორმოცდაათი ვაზნაც გიმძიმებს. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ფერდობის თავზე ფაშისტი მელოდებოდა და თუ დამიზნებით მესროდა, არ ამაცილებდა. მიუხედავად ამისა, მისგან სროლას კი არა, უფრო ხიშტით შეტევას ველოდი. თითქოს წინდაწინ ვგრძნობდი ჩვენს გადაჯვარედინებულ ხიშტებს და მაინტერესებდა, ვისი მკლავი უფრო ღონიერი აღმოჩნდებოდა.

ამ ყოველივეს შემდეგ, იქ არც ერთი ფაშისტი არ დაგვხვედრია. შვებით აღმოვაჩინე, რომ მიწაყრილი დაბალი იყო და ქვიშის ტომრებზე ფეხი კარგად ეკიდებოდა. ჩვეულებრივ, ძნელი გადასაბიჯებელია ხოლმე. შიგნით ყველაფერი დაფლეთილ-დანაკუწებული დაგვხვდა, ყველგან კოჭები ეყარა, ყველგან – ურალიტის დიდი ნაფლეთები. ჩვენს ყუმბარებს ყველა ქოხი და მიწური დაენგრია, თუმცა არც ერთი სულიერი არ ჭაჭანებდა. სადმე მიწის ქვეშ ხომ არ ჩაყუჟულან-მეთქი, ვიფიქრე, და ინგლისურად შევყვირე: «გამოდით! დაგვნებდით!». არავინ მიპასუხა. უცებ ამ ბუნდოვან სივრცეში დაილანდა კაცის ფიგურა, რომელიც ქოხის დანგრეულ სახურავს

გადაახტა და მარცხნივ უგანა. დავედევნე, თან უნაყოფოდ ვარჭობდი ხიშტს სიბნელეს. ქოხს რომ შემოვუარე, კაცი დავინახე, – არ ვიცი, ისევ ის თუ სხვა, – რომელიც სირბილით მიჰყვებოდა საკომუნიკაციო სანგარს ფაშისტების სხვა პოზიციისკენ. ძალიან ახლოს უნდა ვყოფილიყავი მასთან, რაკი მკაფიოდ ვხედავდი. თავზე არაფერი ეხურა და თითქოს არც ტანზე ეცვა რამე, მხრებზე შემოხვეული პლედის გარდა. ასეთ მანძილზე ნასროლი ტყვია ერთიანად დაფლეთდა. მაგრამ ერთმანეთის დახოცვის შიშიდან გამომდინარე, გვიბრძანეს, მიწაყრილის შიგნით მხოლოდ ხიშტები გამოიყენეთო. პირადად მე ფიქრადაც არასოდეს გამივლია სროლა. ამის სანაცვლოდ, გონება ოცი წლით უკან გადახტა, სკოლის კრივის მასწავლებელთან, რომელმაც პანტომიმით მიჩვენა, როგორ შეურჭო ხიშტი თურქს დარდანელთან გამართულ ბრძოლაში. შაშხანა კონდახის ბოლოთი ჩავბღუჯე და კაცს ზურგში ვაძგერე. ვერ მივწვდი. ისევ ვაძგერე და ისევ ვერ მივწვდი. ასე წავინაცვლეთ მცირე მანძილზე: ის სანგარში გარბოდა, მე

გვერდიდან მივსდევდი სანგრის კიდეზე, ხიშტს ზურგში ვუმიზნებდი, მაგრამ ვერასოდეს ვაწვდენდი. აი, კომიკური მოგონება! თუმცა, ვფიქრობ, იმ კაცს ეს ნაკლებად კომიკურად დაამახსოვრდა.

რაღა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ იცნობდა იქაურ გრუნტს და მალე დამისხლტა კიდეც. როცა დავბრუნდი, პოზიცია მყვირალა ხალხით გავსებული დამხვდა. სროლის ხმაური რამდენადმე ჩამცხრალიყო. ფაშისტები ჯერაც გაცხარებით გვიშენდნენ სამი მხრიდან, თუმცა – უფრო შორიდან. ამჯერად უკან დავახევინეთ. მახსოვს, ორაკულივით წარმოვთქვი: «ამ ადგილს მხოლოდ ნახევარი საათით თუ შევინარჩუნებთ, არა, უფრო მეტით». არ ვიცი, რატომ ჩავიციკლე ამ ნახევარ საათზე. მარჯვნივ მდებარე მიწაყრილი უამრავი შაშხანიდან გამოვარდნილ მომწვანო ცეცხლს დაეწინწკლა. თუმცა ის შორიდან – ასი თუ ორასი იარდიდან – მოდიოდა. ამჯერად ჩვენს საქმეს შეადგენდა ახალდაპყრობილი პოზიციის გაჩხრეკა და წაღება ყველაფრისა, რაც რამედ მაინც ვარგოდა. ბენჯამინი და სხვები უკვე იქექებოდნენ დიდი ქოხისა თუ მიწურის ნანგრევებში პოზიციის შუა ადგილას. აღელვებული ბენჯამინი ტორტმანით ამოძვრა ჩანგრეული სახურავიდან და ტყვია-წამლის თოკისსახელურიანი ყუთი ამოათრია.

– ტყვია-წამალი, ამხანაგებო! აქ უამრავი ტყვია-წამალია!

– არ გვინდა ტყვია-წამალი, – თქვა ვიღაცამ, – შაშხანები გვინდა.

ეს სიმართლე იყო. ჩვენი შაშხანების ნახევარში ტალახი იყო ჩაჭედილი და აღარ გამოდგებოდა. გაწმენდა შეიძლებოდა, მაგრამ ხრახნის გამოღება სიბნელეში სახიფათოა: სადღაც დადებ და დაგეკარგება. მქონდა პატარა ელექტროფარანი, რომლის შეძენაც ჩემმა ცოლმა მოახერხა ბარსელონაში. არავითარი სხვა სინათლე იქ არ მოგვეპოვებოდა. ზოგმა ჩვენგანმა, რომლებსაც კარგი შაშხანები ჰქონდათ, უსისტემო სროლა დაიწყო შორი ნათებების მიმართულებით. ვერც ერთი ვერ ბედავდა მიჯრით სროლას, რადგანაც თვით საუკეთესო შაშხანებიც კი შეიძლებოდა გაჭედილიყო, თუ ძალიან გახურდებოდა. ახლა, ერთი-ორი დაჭრილის ჩათვლით, მიწაყრილის შიგნით თექვსმეტამდე კაცი ვიყავით. რამდენიმე დაჭრილი – ინგლისელიცა და ესპანელიც – გარეთ იწვა. პატრიკ ო'ჰარა, ბელფასტელი ირლანდიელი, რომელსაც გარკვეული წვრთნა გაევლო პირველი დახმარების საქმეში, დოლბანდის პაკეტებით მიდი-მოდიოდა და დაჭრილებს ჭრილობებს უხვევდა, თან, რაღა თქმა უნდა, ყოველ წამს საიდანღაც ესროდნენ. მაინც დაბრუნდა მიწაყრილში, მიუხედავად იმისა, რომ აღშფოთებით გაიძახოდა: «მომპ!»

პოზიციის ჩხრეკა დავიწყეთ. აქა-იქ რამდენიმე მოკლული იწვა, თუმცა მათ

დასათვალიერებლად არ შევჩერებულვარ, რადგან ტყვიამფრქვევს ვეძებდი. შეტევის დროს, როდესაც მიწაყრილის გარეთ ვიწექით, მიკვირდა, რატომ არ ისმის ტყვიამფრქვევის ხმა-მეთქი. მისი სადგომი ადგილი ფარნით გავანათე და... აი, მწარე სიმართლე! იქ ტყვიამფრქვევი არ იდგა. ვნახე მისი სამფეხა, ტყვია-

წამლისა და სათადარიგო ნაწილების სხვადასხვანაირი ყუთები, მაგრამ თვით ტყვიამფრქვევი წაეღოთ. როგორც ჩანს, პირველივე განგაშზე ამოხრახნეს და იქაურობას მოაშორეს. ისინი უეჭველად ბრძანებებს ემორჩილებოდნენ, მაგრამ ტყვიამფრქვევის წაღება მაინც ბრიყვული და ლაჩრული საქციელი იყო. ამ იარაღით ხომ, თუ გამოიყენებდნენ, ყველას ერთიანად გაგვჟუჟავდნენ. ამ ფაქტმა ყველანი გაგვაშმაგა და, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, ტყვიამფრქვევის ხელში ჩაგდება გადაგვაწყვეტინა.

აქა-იქ მოვჩხრიკეთ, მაგრამ დიდად ღირებული ვერაფერი ვნახეთ. იყო ფაშისტური ხელყუმბარები, უფრო მდარე ხარისხისა, რომლებსაც ზონრის გამოქაჩვით ისროდი. ორიოდე ასეთი ხელყუმბარა ჯიბეში ჩავიდე, როგორც სუვენირი. შეუძლებელი იყო, გულზე არ მოგხვედროდა ფაშისტური მიწურების უბადრუკობა. სრულებით არ არსებობდა ნაგავი – სათადარიგო ტანსაცმელი, წიგნები, საკვები თუ პატარ-პატარა

პირადი ნივთები, ანუ ის ყველაფერი, რასაც ჩვენს მიწურებში ვხედავდით. ამ საბრალო უხელფასო ახალწვეულებს თითქოს არაფერი ებადათ, პლედებისა და ცოტაოდენი გამოუმცხვარი პურის გარდა. პოზიციის მეორე, შორეულ ბოლოში იყო მიწური, რომელიც ნაწილობრივ მიწის ზემოთ იდგა და პატარა ფანჯარა ჰქონდა. ფარანი შიგნით შევანათეთ და იმ წამს აღტაცების შეძახილი აღმოგვხდა: კედელზე მიყუდებული იყო ტყავის შალითაჩამოცმული, ოთხი ფუტი სიმაღლისა და ექვსი დუიმი დიამეტრის ცილინდრული საგანი, როგორც ეტყობოდა – ტყვიამფრქვევის ლულა. ქოხს სირბილით შემოვუარეთ, შევედით და აღმოვაჩინეთ, რომ ტყავისშალითიანი საგანი ტყვიამფრქვევი კი არ იყო, არამედ ისეთი რამ, რაც ჩვენს იარაღმოწყურებულ ჯარს კიდევ უფრო ძვირფას ნაპოვნად ეჩვენა : ვეებერთელა ტელესკოპი, რომელიც, სულ ცოტა, სამოცჯერ ან სამოცდაათჯერ მაინც ადიდებდა გამოსახულებას და სამფეხა სადგარიც ჰქონდა. ასეთი ტელესკოპები ჩვენს მხარეს არასოდეს ჰქონია, არადა, უზომოდ გვჭირდებოდა. ტრიუმფით გამოვიტანეთ გარეთ და მიწაყრილს მივაყუდეთ, სანამ წავიღებდით.

ამ დროს ვიღაცამ შეჰყვირა, ფაშისტები გვიტევენო. მართლაც, სროლის ხმა უფრო

გაძლიერდა. თუმცა სრულებით ნათელი იყო, რომ ისინი მარჯვნიდან არ შეგვიტევდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნეიტრალური ადგილები უნდა გამოევლოთ და თავისივე მიწაყრილს დასხმოდნენ თავს. თუ საერთოდ გაეგებოდათ რაიმე, მაშინ ფრონტის ხაზის შიგნიდან უნდა შეეტიათ. მიწურების მეორე მხარეს გავედი. პოზიციას უხეში ნალის ფორმა ჰქონდა: «ნალის» შიგნით მიწურები იყო, მარცხენა მხრიდან კი მეორე მიწაყრილი გვფარავდა. სწორედ იქიდან მოდიოდა ძლიერი ცეცხლი. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. საშიში წერტილი ზუსტად ჩვენ პირდაპირ იყო, სადაც დაცვა საერთოდ არ არსებობდა და ტყვიების ნაკადიც ზედ თავზე გვივლიდა. ალბათ გვესროდნენ უფრო მოშორებით მდებარე ფაშისტების პოზიციიდან, რომელიც, ჩანდა, შემტევ რაზმს

ვერ აეღო. ახლა ხმაური გამაყრუებელი იყო, შაშხანების მასიური სროლის ეს განუწყვეტელი გრიალი, რომელსაც შორიდან ვიყავი მიჩვეული და რომლის შუაგულშიც ახლა პირველად აღმოვჩნდი. ამჯერად, რასაკვირველია, მთელი ფრონტის ხაზის გაყოლებაზე ისროდნენ, ანუ რამდენიმე მილის სიგრძეზე. დუგლას თომპსონი, რომელსაც დაჭრილი მკლავი უსიცოცხლოდ ჩამოჰკიდებოდა, მიწაყრილს მიყრდნობოდა და მეორე ხელით სიბნელეში გაელვებული სინათლის მიმართულებით ისროდა. ვიღაც ისეთი უტენიდა შაშხანას, ვისაც თავისი შაშხანა გასჭედვოდა.

აქეთ მხარეს ოთხნი თუ ხუთნი ვიყავით. ნათელი იყო, რა უნდა გვექნა: წინა მიწაყრილიდან ქვიშის ტომრები გადმოგვეთრია და ბარიკადი დაუცველ მხარეს აგვეგო. უნდა გვეჩქარა. ამჯერად ზემოთ ისროდნენ, მაგრამ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა სამიზნე ქვემოთ დაეწიათ. გაელვებების მიხედვით დავასკვენი, რომ ასი თუ ორასი კაცი გვიტევდა. შევუდექით ქვიშის ტომრების გადათრევას ოც იარდზე. იქ უხეშად ვყრიდით ერთიმეორეზე. ცუდი სამუშაო იყო. თითოეული ტომარა ორმოცდაათ კილოს მაინც იწონიდა და დიდ ძალას ითხოვდა, რათა ადგილიდან დაგეძრა და გადმოგეთრია. ამ მომენტში ტომრის დამპალი ქსოვილი იფხრიწებოდა და ნოტიო მიწა ზედ გეყრებოდა – კისერში, საყელოში. მახსოვს, რა საშინელების გრძნობით განვიცდიდი ყველაფერს: საყოველთაო ქაოსს, სიბნელეს, საშინელ გნიასს, ტალახში წინ და უკან სრიალს, ჭიდილს გაფხრეწილ ტომრებთან, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, შაშხანის დახმარებით მაინც დავაზვინე, შაშხანის, რომლის ძირს დადება ვერ გამებედა დაკარგვის შიშით. მივაყვირე კიდეც ვიღაცას, ვისთან ერთადაც ტომარას მივათრევდი: «ეს ომია, ომი! აბა, რა ჯანდაბაა?» უეცრად წინა მიწაყრილს ერთიმეორის მიყოლებით გადმოევლო მაღალი ფიგურების წყება. ახლოს რომ მოვიდნენ, შევნიშნეთ, რომ შემტევი რაზმის უნიფორმა ეცვათ, და გავხალისდით, რაკი დამხმარე ძალებად

მივიჩნიეთ. თუმცა სულ ოთხნი აღმოჩნდნენ: სამი გერმანელი და ერთი ესპანელი. შემდეგ შევიტყვეთ, რა გადახდენოდათ შემტევებს. რაკი მიდამოს არ იცნობდნენ, სიბნელეში მცდარი მიმართულებით წასულიყვნენ, იქ ფაშისტების მავთულს წასწყდომოდნენ და ბევრი მათგანი ჩაეცხრილათ. ეს ოთხნი, თავისდა საბედნიეროდ, გზაში დაკარგულიყვნენ. გერმანელებმა ერთი სიტყვაც არ იცოდნენ ინგლისურად, ფრანგულად ან ესპანურად. მძიმედ და ჟესტების დახმარებით ავუხსენით, რას ვაკეთებდით, და ბარიკადის აგებაში მოვიშველიეთ.

ამჯერად ფაშისტებს ტყვიამფრქვევიც გამოეტანათ. ვხედავდით, როგორ აფრქვევდა ცეცხლს ასი თუ ორასი იარდის მოშორებით და ტყვიებიც თანაბარ-სუსხიანი ტკაცატკუცით გვივლიდა თავზე. მალე საკმარისი რაოდენობის ტომრები დავაზვინეთ, რათა დაბალი მიწაყრილი გაგვეკეთებინა, რომლის უკანაც რამდენიმე კაცი დაწვებოდა და სროლას შეძლებდა. ის იყო, მათ უკან მუხლებზე ვიჩოქებდი, რომ ნაღმსატყორცნიდან გამოსროლილმა ჭურვმა

თავზემოთ გადაიქროლა და სადღაც ნეიტრალურ ტერიტორიაზე გასკდა. აი, კიდევ ერთი საშიშროება. თუმცა რამდენიმე წუთი მაინც დასჭირდებოდათ ჩვენამდე სასროლი დისტანციის დასადგენად. ახლა,

როცა საშინელ ტომრებთან ჭიდაობას მოვრჩით, გარკვეულწილად, არც ისე უინტერესო სიტუაციაში აღმოვჩნდით. სიბნელე, გრიალ-გუგუნი, მოახლოებული სროლის ხმები, ამ სროლაზე სროლით მოპასუხე ჩვენები. ცოტაოდენი საფიქრალი დროც კი რჩებოდა. მახსოვს, მაინტერესებდა, მეშინოდა თუ არა. საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ არ მეშინოდა. გარეთ კი, სადაც ალბათ ნაკლები საფრთხე იყო, შიშმა სანახევროდ დამასნეულა.

უცებ ისევ გაისმა ყვირილი, ფაშისტები გვიახლოვდებიანო. ამჯერად ეს არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა. შაშხანის ცეცხლი ახლა გაცილებით უფრო ახლოს ელავდა. დავინახე, როგორ გავარდა შაშხანა სულ ოციოდე იარდის მოშორებით. როგორც ჩანდა, საკომუნიკაციო სანგარში იკვალავდნენ გზას. ოცი იარდი იოლად დასაბომბი მანძილი იყო და ჩვენც – ერთად შეჯგუფებულ რვა თუ ცხრა კაცს – ნაფლეთებად გვაქცევდა ერთი ზუსტად ნასროლი ხელყუმბარა. ბობ სმაილიმ, რომელსაც მცირე ჭრილობიდან სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა, ჩაიჩოქა და ხელყუმბარა ისროლა. გრიალის მოლოდინში ჩავიკუნტეთ. ჰაერში გაფრენილმა ყუმბარამ წითლად გაიშიშინა, მაგრამ არ აფეთქდა (სულ ცოტა, ამ ხელყუმბარების მეოთხედი მაინც არ ფეთქდებოდა). არავითარი

ყუმბარა აღარ მქონდა, გარდა ფაშისტების ხელყუმბარებისა, რომელთა გამოყენება არ ვიცოდი. სხვებს გავძახე, ვინმეს ყუმბარა ხომ არ დაგრჩათ-მეთქი. დუგლას მოილმა ჯიბე მოისინჯა და ერთი ხელყუმბარა გადმომცა. ხრახნი ამოვაძრე, ვისროლე და პირქვე დავემხე. იღბლის იმ გამონათებით, წელიწადში ერთხელ რომ ხდება ხოლმე, ყუმბარა თითქმის ზუსტად იმ წერტილში ჩავარდა, სადაც წამის წინ შაშხანამ გაიელვა. გაისმა აფეთქების გრიალი, რომელსაც იმ წამს მოჰყვა ყვირილისა და გმინვის ჯოჯოხეთური ხმები. ნებისმიერ შემთხვევაში, ვიღაცას მოვარტყით. არ ვიცი, მოკვდა თუ არა, მაგრამ მძიმედ კი ნამდვილად დაიჭრა. საბრალო! საბრალო! როცა მისი ყვირილი გავიგონე, თითქოს თანავუგრძნე. მაგრამ იმავე წამს, სროლების ბუნდოვან სინათლეში, დავინახე ან მომეჩვენა, რომ დავინახე ფიგურა, რომელიც ახლოს იდგა წეღანდელი გასროლის ადგილთან. შაშხანა შევმართე და ვესროლე. ისევ გაისმა ყვირილი, თუმცა, ვგონებ, ისევ იმ ხელყუმბარის ეფექტი გრძელდებოდა. კიდევ რამდენიმე ყუმბარა ვისროლეთ. ამას შემდეგ კი შაშხანების ცეცხლი დაახლოებით ასი იარდის მანძილიდან თუ ჩანდა. ასე უკუვაგდეთ შეტევა, ყოველ შემთხვევაში – დროებით მაინც.

ყველა ილანძღებოდა და ამბობდა, რა ეშმაკი ეტაკათ, დახმარება რომ არ გამოგვიგზავნესო. მოკლელულიანი ავტომატური იარაღი რომ გვქონოდა, ან კიდევ ოცი კაცი გვყოლოდა, რომლებსაც კარგი შაშხანები ექნებოდათ, ამ ადგილიდან მთელ ბატალიონს გავუმკლავდებოდით. უეცრად წინა

მიწაყრილიდან პადი დონოვანი გადმოძვრა – ბენჯამინის მოადგილე, რომელიც ბრძანებების გადმოსაცემად გამოეგზავნათ.

– გამარჯობა! წამოდით აქედან! ყველანი წამოდით!

– რაო?

– წამოდით! დატოვეთ აქაურობა!

– რატომ?

– ბრძანებაა. სასწრაფოდ დაუბრუნდით ჩვენს ხაზებს.

ზოგმა იმ წამსვე დაიწყო წინა მიწაყრილზე გადაძრომა. რამდენიმე კაცი ტყვია-წამლის მძიმე ყუთს მიათრევდა. ფიქრით ტელესკოპთან გადავინაცვლე, პოზიციის მეორე მხარეს რომ მივაყუდეთ მიწაყრილს. მაგრამ ამ მომენტში თვალი მოვკარი ოთხ მებრძოლს, რომლებიც, ვფიქრობ, მანამდე მიცემულ საიდუმლო ბრძანებას ასრულებდნენ და ახლა სირბილით მიუყვებოდნენ საკომუნიკაციო სანგარს. ეს სანგარი ფაშისტების მეორე პოზიციისკენ მიდიოდა და, თუ იქამდე მივიდოდნენ, სიკვდილი არ ასცდებოდათ. ისინი უკვე სიბნელეში უჩინარდებოდნენ. დავედევნე, თან ვცდილობდი გამეხსენებინა, როგორ იქნებოდა ესპანურად «დაბრუნდი». ბოლოს ვიყვირე «Atrás! Atrás!», რამაც შესაძლოა სწორად გადმოსცა შინაარსი. ესპანელმა გაიგო, რას უყვიროდნენ და დანარჩენებიც უკან დააბრუნა. პადი მიწაყრილთან გველოდა.

– წამოდით, იჩქარეთ!

– ტელესკოპი?

– ჯანდაბას წაუღია ტელესკოპი! ბენჯამინი გარეთ გველოდება.

გავძვერით. პადის მავთული ეჭირა, როცა მე გავდიოდი. როგორც კი ფაშისტების მიწაყრილიდან გავედით, აღმოვჩნდით ჯოჯოხეთურ ცეცხლში, რომელიც თითქოს ყველა მხრიდან იფრქვეოდა. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი მხრიდანაც ისროდნენ, რადგან ყველა ისროდა მთელი ფრონტის ხაზის გაყოლებაზე. საითკენაც უნდა შებრუნებულიყავი, ყველა მხრიდან ტყვიების ცხელი ნაკადი მოჰქროდა. ცხვრის ფარასავით სიბნელეში გამოგვამწყვდიეს. საქმეს არ აიოლებდა ის ამბავი, რომ ტყვია-წამლის ყუთს მივათრევდით (ერთ-ერთ ისეთს, რომელშიც 1750 ვაზნა დევს და ორმოცდაათ კილოს იწონის), მასთან ერთად – ხელყუმბარების ყუთსა და ფაშისტების რამდენიმე შაშხანას. ცოტა ხნის შემდეგ კი მთლიანად აგვერია გზა-კვალი, მიუხედავად იმისა, რომ მიწაყრილიდან მიწაყრილამდე ორას იარდზე ნაკლები იყო და უმრავლესობამ გზა ვიცოდით. რაღაც ტალახიან მინდორში აღმოვჩნდით და ვერაფერს ვგრძნობდით, გარდა იმისა, რომ ფეხი უმოწყალოდ გვისრიალებდა და ორივე მხრიდან ტყვიები მიმოჰქროდა. არც მთვარე იყო, რომ გზა გაგვეგნო. ეგაა, ცა ოდნავ განათდა. ჩვენი ხაზები ჰუესკას აღმოსავლეთით იყო. მსურდა, იქ დავრჩენილიყავით, სადაც

ვიყავით, სანამ გარიჟრაჟის პირველი გამონათება ერთმანეთისგან გაგვარჩევინებდა აღმოსავლეთს და დასავლეთს. სრიალ-სრიალით მივიწევდით წინ, რამდენჯერმე

შევცვალეთ მიმართულება და ტყვია-წამლის ყუთსაც რიგრიგობით მივათრევდით. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ პირდაპირ მიწაყრილის დაბალი, ბრტყელი ხაზი დავლანდეთ. ჩვენიც შეიძლებოდა ყოფილიყო და ფაშისტებისაც. არავის იოტისოდენა წარმოდგენაც არ ჰქონდა, საით მივდიოდით. ბენჯამინი მუცელზე დაწვა და რაღაც მოთეთრო სარეველებში შეხოხდა. როცა მიწაყრილამდე ოცი იარდიღა დარჩა, გუშაგს სიგნალი მისცა. «მომპ!» – გამოსძახეს პასუხად. ყველანი წამოვხტით და მიწაყრილამდე მივედით. იქ კიდევ ერთხელ ჩავხტით სარწყავ არხში და – თავი სამშვიდობოზე ვიგრძენით.

კოპი შიგნით გველოდა რამდენიმე ესპანელთან ერთად. ექიმი და საკაცეები აღარ ჩანდა. აღმოჩნდა, რომ ყველა დაჭრილი წამოეყვანათ, ხორხესა და ერთი ჩვენებურის, გვარად ჰიდლსტოუნის, გამოკლებით. მთლად გადაფითრებული კოპი ბოლთას სცემდა და აინუნშიც არ აგდებდა დაბალი მიწაყრილის თავზე მფრინავ და თავთან ჩაწუილებულ ტყვიებს. ჩვენი უმრავლესობა კი, თავდაცვის მიზნით, მიწაყრილს უკან ჩაცუცქულიყო. «Jorge! Coco! Jorge!» – ბუტბუტებდა კოპი. მერე ინგლისურად თქვა: «თუ ხორხე მკვდარია, ეს საშენელებაა, საშენელება!» ხორხე მისი პირადი მეგობარი და

ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი იყო. უცებ კოპი ჩვენ მოგვიბრუნდა და ხუთი მოხალისე იკითხა, ორი ინგლისელი და სამი ესპანელი, რომლებიც ორი დაკარგული კაცის საძებნად წავიდოდნენ. სამ ესპანელს მე და მოილი შევუერთდით.

როცა მიწაყრილიდან გავედით, ესპანელებმა ჩურჩული დაიწყეს, სინათლე სახიფათოდ მატულობსო. გაისმა აფორიაქებული ხმების საშინელი გნიასი ფაშისტების რედუტიდან. როგორც ჩანს, თავიანთი პოზიცია უწინდელზე გაცილებით მეტი ძალებით შეავსეს. სამოცი-სამოცდაათი იარდი გვაშორებდა მათგან, როცა ჩვენი ხმა გაიგონეს. ინტენსიური სროლა აგვიტეხეს და იძულებული გაგვხადეს, მიწას გავრთხმოდით. ერთ-ერთმა მიწაყრილის მეორე მხრიდან ისროლა ყუმბარა, რაც პანიკის უდავო ნიშანი იყო. ჩვენ ბალახზე ვიწექით და გზის გაგრძელების შესაძლებლობას ველოდით, როცა გავიგონეთ ან მოგვეჩვენა, რომ გაცილებით ახლოს მოგვესმა მოახლოებული ფაშისტების ხმები (ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვა იყო, მაგრამ იმ მომენტში სრულებით რეალურად აღიქმებოდა). მათ მიწაყრილი დაეტოვებინათ და ჩვენს დასახოცად მოდიოდნენ. «გავიქცეთ!» – გავძახე მოილს და წამოვხტი. ღმერთო ძლიერო, როგორ მივრბოდი! მანამდე

ვფიქრობდი, რომ შეუძლებელია სირბილი, როცა თხემით ტერფამდე გალუმპული ხარ და ზედ შაშხანა და ვაზნები გკიდია. ახლა კი მივხვდი: ყოველთვის შეგიძლია გაიქცე, როცა ფიქრობ, რომ ორმოცდაათი თუ ასი

შეიარაღებული კაცი ნადირობს შენზე. მაგრამ თუ მე სწრაფად მივრბოდი, სხვები ჩემზე სწრაფები აღმოჩნდნენ. ჩემი სისწრაფის მიუხედავად, გვერდით მეტეორების წვიმასავით ჩამიქროლა რაღაცამ. ესენი ის სამი ესპანელი იყვნენ, რომლებმაც ჩვენს მიწაყრილამდე მიირბინეს და იქ შეჩერდნენ, რათა დავწეოდი. სიმართლე ის იყო, რომ ნერვები უკვე დაწყვეტილი გვქონდა. თუმცა ის მაინც არ დამვიწყებია, რომ ბინდბუნდ სინათლეში ერთი კაცი უხილავია, ხუთი კი ვერაფრით დაიმალება. ამიტომაც მეორედ უკვე მარტო წავედი. პირველ მავთულამდე მისვლა მოვახერხე და ნიადაგი მოვჩხრიკე. ეს არც ისე კარგად გამომივიდა, რადგან მუცელზე უნდა ვწოლილიყავი. არც ხორხეს და არც ჰიდლსტოუნის არავითარი კვალი არ ჩანდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ორივე გადასახვევ პუნქტში წაეყვანათ. ხორხე მსუბუქად დაჭრილიყო მხარში, ჰიდლსტოუნს კი მძიმე ჭრილობა მიეღო: ტყვიას, რომელიც მარცხენა მკლავს აჰყოლოდა, ძვალი რამდენიმე ადგილას გადაეტეხა. შემდეგ, როდესაც უმწეოდ იწვა, მის ახლოს ყუმბარა გამსკდარიყო და სხეულის სხვა ნაწილებიც დაეფლითა. მოხარული ვარ ვთქვა, რომ ჰიდლსტოუნი გამოჯანმრთელდა.

მოგვიანებით მიამბო, რომ გარკვეულ მანძილზე ზურგზე გაცოცებულა, იქ დაჭრილ ესპანელს ჩასჭიდებია და მათ ერთმანეთისთვის უშველიათ.

თენდებოდა. რამდენიმე მილის გაყოლებაზე არათანაბარი, უაზრო სროლები ისმოდა. იმ წვიმას ჰგავდა, ქარიშხლის შემდეგ რომ გრძელდება. მახსოვს გავერანებული მიდამო, ტალახის საფლობები, მწუხარედ მდგარი ალვის ხეები, სანგრების ფსკერზე ჩამდგარი ყვითელი წყალი და ადამიანთა არაქათგამოცლილი სახეები – გაუპარსავი, ტალახით აჭრელებული, კვამლისგან გაშავებული. როცა ჩემს მიწურში დავბრუნდი, სამ თანამობინადრეს უკვე ღრმად ეძინა. მთელი თავიანთი აღჭურვილობით მიყრილიყვნენ ძირს და ტალახიანი შაშხანებიც მაგრად ჩაებღუჯათ. მიწურშიც და გარეთაც ყველაფერი წყალს გაეჟღინთა. ბევრი ძებნის შემდეგ საკმარისი რაოდენობის ხმელი ნაფოტი შევაგროვე პატარა კოცონის დასანთებად. მერე ჩემი გადანახული სიგარა მოვწიე, ყოვლად განსაცვიფრებლად მთელი რომ დარჩენილიყო იმ ღამის შემდეგ.

მოგვიანებით გავიგეთ, რომ წარმატებით გვიმოქმედია, როგორც ასეთ დროს ხდება

ხოლმე. ჩვენი თავდასხმა მხოლოდ იმას ისახავდა მიზნად, რომ ფაშისტებს თავიანთი ჯარები გაეყვანათ ჰუესკას მეორე მხრიდან, სადაც ანარქისტები ისევ უტევდნენ. ვფიქრობდი, ფაშისტებმა კონტრიერიშისთვის ასი თუ ორასი კაცი გადმოისროლეს-მეთქი, მაგრამ შემდგომში დეზერტირმა გვითხრა, ექვსასი კაცი იყოო. დარწმუნებული ვარ, ცრუობდა. დეზერტირები ხომ, გასაგები მიზეზების გამო, ხშირად ცდილობენ, გული მოუგონ თავიანთ ახალ პატრონებს. ტელესკოპზე კი ნამდვილად ძალიან დამწყდა გული. ამ მშვენიერი ნადავლის ხელიდან გაშვება დღესაც კი მანერვიულებს.

თავი VII

დღისით უფრო და უფრო დათბა, ღამითაც ასატანად ჩამოთბა. ტყვიებით ქერქგაცლილ ხეს ჩვენი მიწაყრილის პირდაპირ ბღუჯა-ბღუჯად ეკიდებოდა ალუბლების ყვავილები. მდინარეში ბანაობა აგონია კი აღარ იყო, არამედ თითქმის სიამოვნება. ასკილის ვარდისფერი, ლამბაქისხელა ყვავილები ტორე ფაბიანის ნაღმებით დახვრეტილ კედლებს ეტმასნებოდა. ფრონტის ხაზს უკან გლეხის ქალებს ხვდებოდი, ყურებთან ვარდები რომ დაებნიათ. საღამოობით გლეხებს მწვანე ბადეები გამოჰქონდათ და მწყერზე ნადირობდნენ. ბადეს ბალახზე აფენდი, იქვე დაწვებოდი და დედალი მწყრის ხმას ჰბაძავდი. სმენადობის ფარგლებში მოხვედრილი ნებისმიერი მამალი მწყერი შენკენ გამორბოდა და როგორც კი ბადის ქვეშ აღმოჩნდებოდა, შესაშინებლად ქვას ესროდი. აფრინდებოდა და – ბადეში იხლართებოდა. გამოდის, რომ მხოლოდ მამალ მწყრებს იჭერდნენ, რაც მე უსამართლობად მიმაჩნდა.

ამჯერად გვერდითა ფრონტზე ანდალუზიელები იდგნენ. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ მოხვდნენ ამ ფრონტზე. როგორც ამბობდნენ, მალაგიდან იმდენად სწრაფად გამოქცეულან, რომ ვალენსიაში შეჩერება დავიწყებიათ. მაგრამ ასეთი მოარული ახსნა, რაღა თქმა უნდა, კატალონიელებისგან მოდიოდა, რომლებიც დაუფარავად დაჰყურებდნენ ანდალუზიელებს ზემოდან, როგორც ნახევრად ველურებს. რასაკვირველია, ეს უკანასკნელნი ძალზე უმეცრები იყვნენ. ცოტა მათგანმა თუ იცოდა კითხვა და, როგორც ჩანდა, არ იცოდნენ თვით ის ერთადერთი რამ, რაც უკლებლივ ყველამ იცის ესპანეთში: სახელდობრ რომელ პარტიას ეკუთვნოდნენ. ფიქრობდნენ, ანარქისტები ვართო, თუმცა დარწმუნებულები არ იყვნენ. იქნებ კომუნისტები იყვნენ ეს ტლანქი, სოფლური იერსახის კაცები, შესაძლოა – მწყემსები ან ზეთისხილის ბაღების მუშები, კიდევ უფრო სამხრეთული მზით ამოშანთული სახეებით. ძალიან კი გვადგებოდნენ, რადგან განსაცვიფრებელი სისხარტით ხელეწიფებოდათ მშრალი ესპანური თამბაქოს შეხვევა პაპიროსებად. სიგარეტს აღარ გვირიგებდნენ, მაგრამ მონფლორიტში შიგადაშიგ იშოვებოდა უმდაბლესი ხარისხის თამბაქო, რომელიც შესახედად და ფაქტურით ძალიან ჰგავდა დანაკუწებულ ბზეს. არომატი ცუდი არ ჰქონდა, მაგრამ იმდენად მშრალი იყო, რომ თუნდაც მოგეხერხებინა პაპიროსად შეხვევა, თამბაქო წამსვე გარეთ ცვიოდა და ხელში ქაღალდის ცარიელი გრაგნილი გრჩებოდა. აი, ანდალუზიელები კი მშვენიერ პაპიროსებს ახვევდნენ და ბოლოების შეკეცვის საგანგებო ტექნიკასაც ფლობდნენ.

მზის დარტყმამ ორი ინგლისელი ლოგინად ჩააგდო. იმ პერიოდთან დაკავშირებული ჩემი ყველაზე მკაფიო მოგონებებია სიცხე, შუადღის მზე და ქვიშის ტომრების თრევა ნახევრად შიშველ მდგომარეობაში, მზისგან გადაყვლეფილი მხრებით; ტილებით სავსე სამოსი და ჩექმები, თვალსა და ხელსშუა რომ გვერღვეოდა და გვეშლებოდა; ჭიდილი ჯორთან, რომელსაც

ჩვენი რაციონი მოჰქონდა და არაფრად აგდებდა შაშხანების ბათქს, მაგრამ ადგილიდან წყდებოდა და გაგიჟებული მიჰქროდა, როცა ჰაერში ნაღმი სკდებოდა; კოღოები (რომლებიც ახლა იწყებდნენ აქტიურ ცხოვრებას) და ვირთხები – საყოველთაო ჭირი, რაკი თვით ტყავის ქამრებისა და სავაზნე ჩანთის დაღრღნაც კი შეეძლოთ. არაფერი ხდებოდა, სნაიპერის ტყვიით დროდადრო მოყენებული ზიანის, ჰუესკაზე სპორადულად განხორციელებული საარტილერიო სროლისა და საჰაერო თავდასხმების გარდა. ახლა, როდესაც ხეები მთლიანად შეიფოთლა, ფრონტის პირას ჩამწკრივებულ ალვის ხეებზე მოვაწყვეთ სნაიპერების ბაქნები, როგორც მაჩანები[14]. ჰუესკას მეორე მხარეს შეტევები წარუმატებლად მთავრდებოდა. ანარქისტებს დიდი დანაკარგები ჰქონდათ, ვერ მოახდინეს ხაკას გზის სრული იზოლირება. ის კი მოახერხეს, რომ საკმაოდ ახლოს დაბანაკებულიყვნენ ამ გზის ორივე მხარეს, რათა ტყვიამფრქვევებით ეკონტროლებინათ და გაუვალი გაეხადათ მოძრაობისთვის. მაგრამ მაინც არსებობდა ერთი კილომეტრი სიგანის ნაპრალი, სადაც ფაშისტებმა ააგეს «ჩავარდნილი» გზა – ერთგვარი ვეებერთელა სანგარი, რომლითაც გარკვეული რაოდენობის სატვირთო მანქანები მიდი-მოდიოდნენ. დეზერტირების ცნობით, ჰუესკაში დიდძალი საბრძოლო რესურსი და ძალზე ცოტა საკვები იყო, მაგრამ ქალაქი აშკარად არ აპირებდა დაცემას. ალბათ შეუძლებელი იქნებოდა მისი აღება თხუთმეტი ათასი ცუდად შეიარაღებული კაცით. მოგვიანებით, ივნისში, ხელისუფლებამ ჩამოიყვანა ჯარები მადრიდის ფრონტიდან და ჰუესკას ოცდაათი ათასი კაცი და ურიცხვი თვითმფრინავი შეასია, მაგრამ ქალაქი არც მაშინ დაცემულა.

შვებულებაში გასვლის მომენტისთვის უკვე ას თხუთმეტი დღე ვიყავი ფრონტზე ნამსახურევი და ეს პერიოდი ყველაზე უნაყოფოდ მეჩვენებოდა მთელ ჩემს ცხოვრებაში. იმისთვის შევუერთდი მილიციას, რომ ფაშიზმთან მებრძოლა, მე კი თითქმის არ მიბრძოლია, არამედ მხოლოდ ვიარსებე რაღაც პასიური ნივთივით, რომელიც მხოლოდ იმას აკეთებდა მისთვის მიცემული ულუფების სანაცვლოდ, რომ იტანჯებოდა სიცივისა და უძილობისგან. შესაძლოა, სწორედ ასეთია ჯარისკაცთა უმრავლესობის ხვედრი ომების უმრავლესობაში. თუმცა ახლა, როცა იმ პერიოდს პერსპექტივაში ვუყურებ, საბოლოოდ, მაინც არ ვნანობ. რასაკვირველია, ვისურვებდი, რომ რამდენადმე უფრო ქმედითად მოვმსახურებოდი ესპანურ ხელისუფლებას. მაგრამ პიროვნული თვალსაზრისით – ჩემი პირადი განვითარების ხედვის წერტილიდან – ფრონტზე მსახურების ის პირველი სამი-ოთხი თვე ნაკლებად უსარგებლო იყო, ვიდრე მაშინ მეგონა. მათ შექმნეს ერთგვარი «შუა საუფლო» ჩემს ცხოვრებაში, სრულებით განსხვავებული იმისგან, რაც მანამდე იყო და, შესაძლოა, იმისგანაც, რაც მომავალში იქნებოდა; მასწავლეს ისეთი რამეები, რასაც ვერანაირი სხვა ცხოვრებით ვერ ვისწავლიდი.

არსებითი ისაა, რომ მთელი ის ხანი მე იზოლირებული ვიყავი. ფრონტზე მყოფი ადამიანი ხომ თითქმის მთლიანად მოწყვეტილია გარესამყაროს. თვით იმაზეც კი ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, რაც ბარსელონაში ხდებოდა, ანუ რაც

ხდებოდა იმ ადამიანებში, რომლებიც უხეშად, თუმცა არცთუ მეტისმეტად ზერელედ, შეიძლებოდა დახასიათებულიყვნენ როგორც რევოლუციონერები. ეს იყო შედეგი მილიციური სისტემისა, რომელსაც რადიკალური ცვლილება არ განეცადა 1937 წლის ივნისიდან. მუშათა მილიციებმა, რომლებიც ეყრდნობოდა სავაჭო გაერთიანებებს და შედგებოდა დაახლოებით ერთი და იმავე პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებისგან, შედეგად მოიყოლა მთელი ქვეყნის ყველაზე რევოლუციური გრძნობების ერთ არხში მიშვება. მე თვითონ მეტ-ნაკლებად შემთხვევით ჩავვარდი დასავლეთ ევროპის ერთადერთ ანგარიშგასაწევ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკური ცნობიერების ქონა და უნდობლობა კაპიტალიზმისადმი უფრო ნორმალურად მიიჩნეოდა, ვიდრე საპირისპირო პოზიცია. აქ, არაგონში, მოვხვდი ათიათასობით ადამიანს შორის, რომელთაგან ყველა ერთნაირად მუშური წარმომავლობისა არ იყო, მაგრამ ერთ დონეზე ცხოვრობდა და თანასწორობის პრინციპებით ურთიერთობდა ერთმანეთთან. თეორიულად ეს სრულყოფილი თანასწორობა იყო და თვით პრაქტიკაშიც კი არ იდგა ამისგან შორს. გარკვეული აზრით, სიმართლე იქნება იმის თქმა, რომ იგრძნობოდა სოციალიზმის ერთგვარი წინაგემო, ანუ, სხვა სიტყვებით, დომინირებული მენტალური ატმოსფერო სოციალიზმისა იყო. ცივილიზებული ცხოვრების ბევრი ნორმალური მოტივაცია – სნობიზმი, მომხვეჭელობა, შიში ბოსის მიმართ და ა.შ. – უბრალოდ, აღარ არსებობდა. საზოგადოების ჩვეულებრივი კლასობრივი დაყოფა იმ დონეზე გაქრა, როგორიც თითქმის წარმოუდგენელი იყო ფულით დაბინძურებულ ინგლისის ჰაერში. სხვა არავინ იყო, გლეხებისა და ჩვენ გარდა, და არავის ჰყავდა ბატონი. რაღა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა ვერ გაგრძელდებოდა. ეს, უბრალოდ, იყო დროებითი და ლოკალური ფაზა იმ უზარმაზარ თამაშში, მთელი დედამიწის ზურგზე რომ გამართულა. მაგრამ ეს ფაზა მაინც საკმარისად დიდხანს გაგრძელდა საიმისოდ, რომ ზემოქმედება მოეხდინა ყველაზე, ვინც ის გამოსცადა. რამდენიც უნდა გელანძღა იმ მომენტში, მოგვიანებით ხვდებოდი, რომ რაღაც უცნაურთან და ღირებულთან გქონია საქმე; გიცხოვრია საზოგადოებაში, სადაც იმედი უფრო ნორმალურია, ვიდრე აპათია ან ცინიზმი; სადაც სიტყვა «ამხანაგი» ნიშნავდა ამხანაგობას და არა – ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით – თაღლითობას; სადაც თანასწორობის ჰაერი გისუნთქავს. მშვენივრად ვიცი: დღეს მოდაშია იმის უარყოფა, რომ სოციალიზმს საერთოდ რამე ესაქმება თანასწორობასთან. დედამიწის ყველა ქვეყანაში პარტიის დაქირავებული მოხელეები და კარგად დავარცხნილ პატარ-პატარა პროფესორთა ვეებერთელა ჯოგი იმის «მტკიცებით» არიან გართული, რომ სოციალიზმი სხვა არაფერია, თუ არა დაგეგმილი სახელმწიფო კაპიტალიზმი, სადაც ხელუხლებლად არის დატოვებული მომხვეჭელობა. მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობს სოციალიზმის სრულებით განსხვავებული ხედვაც. ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს იზიდავს სოციალიზმში და რასაც სასიცოცხლო რისკზე მიჰყავს მისი გულისთვის, ანუ სოციალიზმის «მისტიკა» მდგომარეობს თანასწორობის იდეაში. ადამიანთა უდიდესი ნაწილისთვის სოციალიზმი უკლასო საზოგადოებაა, თუ არადა, ის არაფერს ნიშნავს. აი, რითი იყო ჩემთვის

ღირებული მილიციაში გატარებული ის რამდენიმე თვე. რადგანაც, სანამ ესპანური მილიციები არსებობდნენ, ისინი უკლასო საზოგადოების ერთგვარ მიკროკოსმოსს წარმოადგენდნენ. იმ საზოგადოებაში, სადაც არავინ მიელტვოდა სარგებელს, სადაც ყველაფრის დეფიციტი იყო, მაგრამ არავითარი პრივილეგია და არავის ფეხების ლოკვა, – იქ ადამიანს, ალბათ, ეძლეოდა ნედლი წარმოდგენა იმისა, თუ რანაირი შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალიზმის პირველი საფეხურები. ყოველივეს შემდეგ, განხიბვლის ნაცვლად მან ძლიერ მიმიზიდა. ამას შედეგად მოჰყვა ჩემი სურვილი, მენახა სოციალიზმი დამკვიდრებული გაცილებით უფრო რეალურად, ვიდრე ოდესმე ყოფილა. იქნებ ეს ნაწილობრივ იმან განაპირობა, რომ, რაღაც იღბლად, მოვხვდი ესპანელებთან, რომლებიც, თავიანთი თანდაყოლილი კეთილსინდისიერებითა და მარად თანმდევი ანარქისტული ელფერით, თვით სოციალიზმის გამხსნელ საფეხურებსაც კი ასატანს გახდიდნენ, თუ სათანადო შანსი მიეცემოდათ.

რა თქმა უნდა, იმხანად ვერც კი ვაცნობიერებდი თვით ჩემს არსებაში მიმდინარე ცვლილებებს. ყველა გარშემომყოფის მსგავსად, მეც ძირითადად მადარდებდა მოწყენილობა, სიცხე, სიცივე, ჭუჭყი, ტილები, უკმარისობა და პერიოდული საფრთხე. ახლა სრულებით სხვა სურათია. ამ პერიოდს, რომელიც მაშინ ასეთი უნაყოფო და მოვლენებისგან დაცლილი მეჩვენებოდა, ახლა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ის იმდენად განსხვავდება ჩემი დანარჩენი ცხოვრებისგან, რომ უკვე ჯადოსნური სახე მიეცა, სახე, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ წლებით დაშორებულ ამბებს ეძლევა. როცა ის ყველაფერი ხდებოდა – საძაგლობა იყო, დღეის გადასახედიდან კი ჩემი გონება დადებითად იხსენებს. იმდროინდელი ატმოსფეროს გადმოცემა ვისურვე და, იმედია, ცოტათი მაინც მოვახერხე ეს ამ წიგნის პირველ თავებში. ის ხანა ჩემთვის გადაბმულია ზამთრის სიცივესთან, მილიციელთა დაძენძილ უნიფორმებთან, ოვალურ ესპანურ სახეებთან, ტყვიამფრქვევების მორზეს ანბანისებურ კაკუნთან, შარდის და დაობებული პურის სუნთან, გაურეცხავი ჯამებიდან ფაცხაფუცხით შეთქვლეფილ ცერცვთან და შებოლილ ხორცთან.

მთელი ის პერიოდი უცნაურად ცოცხლად მაქვს ჩარჩენილი. ჩემს მეხსიერებაში კრიალოსანივით ვმარცვლავ შემთხვევებს, რომლებიც მეტისმეტად წვრილმანი ჩანს საიმისოდ, რომ გახსენებას იმსახურებდეს. ისევ მონტე პოსეროს მიწურში ვარ, კირქვის შვერილზე, რომელიც საწოლის მაგივრობას სწევს. ახალგაზრდა რამონი ხვრინავს ჩემს ბეჭებს შუა მიჭყლეტილი ცხვირით. ბორძიკით მივუყვები ჭუჭყიან სანგარს ბურუსში, ცივი ორთქლივით რომ მეხვევა გარშემო. ნახევრამდე ავყევი მთის ნაპრალს, ვცდილობ წონასწორობა შევინარჩუნო და მიწიდან ველური როზმარინის ფესვი ამოვგლიჯო. მაღლა, თავზემოთ, უაზრო ტყვიები ზუზუნებენ.

ვწევარ დამალული პატარა ნაძვებქვეშ მონტე ტრაზოს დასავლეთ მხარეს, კოპთან, ბობ ედვარდსთან და სამ ესპანელთან ერთად. ჩვენგან მარჯვნივ, შიშველ ნაცრისფერ ბორცვს ფაშისტების მწკრივი ჭიანჭველებივით მიუყვება.

ჩვენ პირდაპირ, ახლოს, ფაშისტების ხაზებიდან საყვირის ხმა ისმის. კოპი ჩემს მზერას იჭერს და ამ ბგერის მისამართით ყმაწვილკაცური ჟესტით ცხვირს იჭყლეტს.

«ლა გრანჟას» ტალახიან ეზოში ვიმყოფები კაცების ჯგუფთან ერთად: მოშუშულ ხორციან ქვაბს უტევენ თავ-თავიანთი თუნუქის ჯამებით, მსუქანი და დაღლილი მზარეული კი ჩამჩით აკავებს. იქვე ახლოს მდგარ მაგიდაზე წვერიანი კაცი პურებს ჭრის ხუთ-ხუთ ნაწილად, ქამარში დიდი ავტომატური პისტოლეტი გაუჩრია. ჩემ უკან ლონდონური ხმა მღერის (ბილ ჩამბერსია, რომელსაც მწარედ ვეჩხუბე და რომელიც შემდეგ ჰუესკასთან მოკლეს):

ვირთხები ჰყავს, ვირთხები, კატებივით დიდები, კვარტ...

და ამ დროს წივილით მოფრინავს ნაღმი. თხუთმეტი წლის ბავშვები მიწას პირქვე ერთხმიან. მზარეული ქვაბს უკან იმალება. მერე კი, როცა ასი იარდის მოშორებით ნაღმი ეცემა და სკდება, ყველანი უხერხული გამომეტყველებით დგებიან ფეხზე.

გუშაგების ხაზზე მივდი-მოვდივარ ალვის ხეების ბნელ ტოტებქვეშ. წყლით სავსე არხში ვირთხები დგაფუნობენ და წავებივით ხმაურობენ. როცა ჩვენ უკან ყვითლად თენდება, ლაბადაში გამოხვეული ანდალუზიელი გუშაგი სიმღერას იწყებს.

25 აპრილს, ჩვეული macana-ების შემდეგ, სხვა სექციამ შეგვცვალა, ჩვენი შაშხანები გადავეცით, პირადი ნივთები ჩავალაგეთ და მონფლორიტში დავბრუნდით. არ მენანებოდა ფრონტის დატოვება: ტილები გაცილებით უფრო დიდი სისწრაფით მრავლებოდნენ ჩემს შარვალში, ვიდრე მათ დახოცვას ვასწრებდი; უკვე ერთი თვე იყო, წინდები აღარ მქონდა და ჩექმებსაც სულ ცოტაოდენი ლანჩაღა შერჩენოდა, ანუ მეტ-ნაკლებად ფეხშიშველი დავიარებოდი. უფრო გულმხურვალედ ვნატრობდი ცხელ აბაზანას, სუფთა სამოსსა და ზეწრიან საწოლში ძილს, ვიდრე საერთოდ რაიმეს ნატვრა იყო შესაძლებელი განვლილი ნორმალური ცივილიზებული ცხოვრების შემდეგ. რამდენიმე საათი მონფლორიტის ბეღელში გვეძინა, დილაადრიანად სატვირთო მანქანას შევახტით, ხუთსაათიან მატარებელს მივუსწარით ბარბასტროში და არც ის იღბალი დაგვაკლდა, რომ ლერიდაში სწრაფ მატარებელში გადავმსხდარიყავით, ისე, რომ 26 აპრილის ნაშუადღევის სამი საათისთვის უკვე ბარსელონაში აღმოვჩნდით. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უბედურება.

თავი VIII

მანდალაიდან, რომელიც ზემო ბირმაში მდებარეობს, შეგიძლია მატარებლით ჩახვიდე მაიმიომდე – შანის ზეგნის კიდეზე შეფენილ პროვინციის მთავარ სამთო დაბამდე. ეს უცნაურ გამოცდილებას გძენს. იწყებ აღმოსავლური ქალაქისთვის დამახასიათებელი ატმოსფეროდან: მწველი მზე, მტვრიანი პალმები, თევზის, სანელებლებისა და ნივრის სუნი, ხორციანი ტროპიკული ხილი, ყველგან მოფუთფუთე მუქკანიანი ადამიანები... და რადგანაც ასე მიჩვეული ხარ ამ ატმოსფეროს, მას, ასე ვთქვათ, შენს ვაგონში ატარებ. როცა მატარებელი მაიმიოში აჩერებს, ზღვის დონიდან ოთხი ათას ფუტზე, გონებრივად ისევ მანდალაიში ხარ, მაგრამ ვაგონიდან უკვე სხვა ნახევარსფეროში ჩადიხარ. უეცრად შეისუნთქავ გრილ, ტკბილ ჰაერს, რომელიც შეიძლებოდა ინგლისის ჰაერიც ყოფილიყო. ირგვლივ კი მწვანე ბალახია, ეწრის გვიმრა, სოჭის ხეები და ვარდისფერლოყებიანი მთის ქალები, რომლებიც სამარწყვე კალათებს ყიდიან.

სწორედ ეს გამახსენა ბარსელონაში დაბრუნებამ ფრონტზე სამ-ნახევარი თვის გატარების შემდეგ. ატმოსფერო ასევე მკვეთრად და გამაოგნებლად შეიცვალა.

მატარებელში, გზად ბარსელონასკენ, კვლავ ფრონტის ატმოსფერო სუფევდა: ჭუჭყი, ხმაური, დისკომფორტი, დაგლეჯილი სამოსი, უკმარისობის, ამხანაგობისა და თანასწორობის განცდა. ბარბასტროდან გასვლის მომენტში უკვე მილიციელებით გავსებულ მატარებელს ყოველ სადგურში ემატებოდნენ გლეხები და ამოჰქონდათ ბოსტნეულიანი ფუთები, თავზარდაცემული ფრინველები, რომლებიც მათ პატრონებს ჩაღუნული თავებით ამოჰყავდათ; ამას ემატებოდა ტომრები, რომლებიც იგრიხებოდა და იკლაკნებოდა მთელ იატაკზე, რადგან, როგორც აღმოჩნდა, კურდღლებით იყო სავსე; დაბოლოს, ცხვრის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფარა, რომელიც კუპეებშიც შეყარეს და ყველა სხვა ცარიელ სივრცეშიც. მილიციელები გაჰყვიროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, რომლებიც ახშობდა მატარებლის დაგადუგს; კოცნას უგზავნიდნენ ან შავ-წითელ ცხვირსახოცებს უქნევდნენ ფანჯარაში გაელვებულ ყოველ ლამაზ გოგონას. ხელიდან ხელში გადადიოდა ღვინის და ანისულის – საძაგელი არაგონული ლიქიორის – ბოთლები. თხისტყავშემოკრული ესპანური მათარიდან შეგეძლო ღვინის ჭავლი პირდაპირ პირში ჩაგესხა ვაგონის მეორე კედელთან მჯდარი შენი მეგობრისთვის, ეს კი ბევრ დავიდარაბას გაშორებდა თავიდან. ჩემ გვერდით მჯდარი თხუთმეტი წლის შავთვალა ბიჭი უყვებოდა თავის მიერ ჩადენილი

გმირობების სენსაციურ და, ეჭვი არ მეპარება, სრულებით გამოგონილ ამბებს მის წინ მჯდომ ორ ტყავისახიან გლეხკაცს, რომლებიც პირდაღებულები უსმენდნენ. ამჯერად გლეხებმა გახსნეს თავიანთი ფუთები და მოტკბო მუქწითელი ღვინო გვიწილადეს. ყველა დიდად ბედნიერი იყო, უფრო ბედნიერი, ვიდრე შემიძლია

გადმოვცე. მაგრამ როდესაც მატარებელი საბადელის გავლით ბარსელონაში შეგორდა, ჩვენ მოვხვდით სიტუაციაში, რომელიც არანაკლებ უცხო და მტრული აღმოჩნდა, ვიდრე პარიზში ან ლონდონში იქნებოდა.

ყველას, ვინც რამდენიმეთვიანი ინტერვალით ორჯერ სწვევია ბარსელონას ომის პერიოდში, შენიშნული ექნება იქ მომხდარი განსაცვიფრებელი ცვლილებები. და საკმაოდ საგულისხმოა, რომ თუ პირველად აგვისტოში ეწვივნენ, მეორედ კი იანვარში, ან, ჩემსავით, პირველად დეკემბერში, მეორედ კი აპრილში, მაინც ერთსა და იმავეს ამბობდნენ: რევოლუციური ატმოსფერო აღარსად ჩანდაო. ყველას, ვინც იქ მოხვედრილა აგვისტოში, როცა ქუჩებში სისხლი ჯერაც არ გამშრალიყო, მილიცია კი კოხტა სასტუმროებში დაებინავებინათ, დეკემბრის ბარსელონა უდავოდ ბურჟუაზიული მოეჩვენებოდა. მე – ინგლისიდან ახალჩამოსულმა – ბარსელონა

მუშების ქალაქს უფრო მივამსგავსე, ვიდრე ნებისმიერ სხვა რამეს ამქვეყნად. ახლა კი ტალღა უკუქცეულიყო. ბარსელონა კიდევ ერთხელ დამსგავსებოდა ჩვეულებრივ ქალაქს, ომისგან ოდნავ დაკაწრულ-გაფრცქვნილს, რომელსაც არაფრით აღარ ეტყობოდა მუშათა კლასის ზეობა.

მასის იერი გამაოგნებლად შეცვლილიყო. თითქმის აღარსად ჩანდა მილიციის უნიფორმა და ლურჯი სპეცტანსაცმელი. თითქოსდა ყველას ჩაეცვა მოხდენილი საზაფხულო კოსტიუმი – ესპანელი თერძების დახელოვნების შედეგი. ყველგან თვალში გხვდებოდა ჩასუქებული შეძლებული კაცები, ელეგანტური ქალები და პრიალა ავტომანქანები (ერთი შეხედვით, ჯერ კიდევ არ არსებობდა საკუთარი ავტომობილი. მიუხედავად ამისა, ყველას, ვინც «წარმოადგენდა რაღაცას», თითქოს შეეძლო ჰყოლოდა ის თავის საკუთრებაში). ამჯერად განსაცვიფრებელი რაოდენობით ირეოდნენ ახალი სახალხო არმიის ოფიცრები, – ეს სახეობა არც კი შემიმჩნევია მაშინ, როცა ბარსელონა დავტოვე. სახალხო არმიაში ყოველ ათ კაცზე თითო ოფიცერი მოდიოდა. ამ ოფიცერთა გარკვეულ ნაწილს უკვე ემსახურა მილიციაში, მერე კი ფრონტიდან უკან გამოეხმოთ ტექნიკური ინსტრუქციების მისაცემად, თუმცა მათი

უმრავლესობა, ვინც ომის სკოლაში წავიდა და მილიციაში შესვლა ამჯობინა, ახალგაზრდები იყვნენ. მათი მიმართება თავიანთ ჯარისკაცებთან ზუსტად ისეთი არ იყო, როგორიც ბურჟუაზიულ ჯარშია, მაგრამ არსებობდა განსაზღვრული სოციალური სხვაობა, რომელიც გამოიხატებოდა ხელფასისა და უნიფორმის სხვაობაში. ჯარისკაცებს ეცვათ ერთგვარი უხეში ყავისფერი სპეცტანსაცმელი, ოფიცრებს – ხაკის ელეგანტური უნიფორმა კარგად მომჯდარი წელით, როგორც ბრიტანული არმიის ოფიცერს აქვს, ოღონდ – ცოტა უფრო მეტად მოტკეცილი. არა მგონია, მათ შორის ყოველ ოც კაცში ერთზე მეტს ჰქონოდა ფრონტი გამოვლილი, თუმცა ყველას ავტომატური პისტოლეტი ეკიდა ქამარზე. ჩვენ ფრონტზე ვერასგზით ვერ ვიშოვიდით პისტოლეტებს. ქუჩას რომ გავუყევით, შევნიშნე, როგორ გვიყურებდა ხალხი ჩვენ და ჩვენს აბრანძულობას. რაღა თქმა უნდა, იმ ყველასავით, რამდენიმე თვე რომ გაუტარებია ფრონტზე,

ჩვენც საზარელი შესახედავები ვიყავით. ვაცნობიერებდი, რომ საფრთხობელას ვგავარ. ტყავის ქურთუკი დამფხრეწოდა, შალის ქუდს თავისი ფორმა დაჰკარგვოდა და გამუდმებით ცალ თვალზე მეფხატებოდა, ჩექმებისგან კი თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო მოფლაშული ზედა ნაწილების გარდა. ყველას სამოსი მეტ-ნაკლებად ასეთ მდგომარეობაში იყო. ამას ემატებოდა ჩვენი დაუბანელობა და

გაუპარსაობა. რაღა გასაკვირი იყო, თუ ხალხი გვაცქერდებოდა. თუმცა ეს მე დიდად არ მადარდებდა, მხოლოდ მაგრძნობინებდა, რომ უკანასკნელ სამ თვეში უცნაური ამბები მომხდარიყო.

მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში უამრავმა ნიშანმა მამცნო, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილება მცდარი არ ყოფილა. ქალაქი სიღრმისეულად შეცვლილიყო. ორი ფაქტი გამოდგებოდა ყოველივე დანარჩენის გასაღებად: პირველი ის, რომ ხალხს – სამოქალაქო მოსახლეობას – ომი თითქმის აღარ აინტერესებდა, მეორე კი ის, რომ საზოგადოების ნორმალური დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, ზედა და ქვედა კლასებად ისევ ამცნობდა თავის თავს.

საყოველთაო გულგრილობა ომის მიმართ მოულოდნელი იყო, უფრო კი – გულისამრევი. ამან შეაძრწუნა ადამიანები, რომლებიც ბარსელონაში მადრიდიდან ან თვით ვალენსიადან ჩამოვიდნენ. ნაწილობრივ ეს განაპირობა ბარსელონას სიშორემ რეალური ბრძოლის ასპარეზიდან. ერთი თვის შემდეგ იგივე შევნიშნე ტარაგონაში, სადაც ამ კოხტა ზღვისპირა ქალაქის ჩვეულებრივი ცხოვრება თითქმის უცვლელად

გრძელდებოდა. მაგრამ ნიშანდობლივი ის იყო, რომ, იანვრის შემდეგ, მოხალისურმა ჩაწერამ სამხედრო სამსახურში თვალში საცემად იკლო მთელი ესპანეთის მასშტაბით. კატალონიაში, თებერვლის თვეში, ენთუზიაზმის ტალღა აგორდა სახალხო არმიის პირველ დიდ მობილიზებასთან დაკავშირებით, თუმცა ამას მაინც არ მოჰყვა წვევამდელთა ნაკადის შესამჩნევი ზრდა. ომი სულ ექვსიოდე თვის დაწყებული იყო, რომ ესპანეთის მთავრობა იძულებული გახდა მიემართა სამხედრო სამსახურში სავალდებული გაწვევისთვის, რაც ბუნებრივი იქნებოდა უცხო ქვეყანასთან ომში, მაგრამ არა სამოქალაქოში. ეს უეჭველად ებმოდა გულისაცრუებას რევოლუციურ იმედებში, რომლითაც ეს ომი დაიწყო. ტრედუნიონების წევრებმა, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მილიციებად და ფაშისტები ისევ სარაგოსაში შეყარეს ომის პირველივე კვირებში, იმიტომ მოიმოქმედეს ეს, რომ თვითონვე სწამდათ და სჯეროდათ: მუშათა კლასის ზეობისთვის ვიბრძვითო. მაგრამ სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ეს უიმედო საქმე იყო და რომ ჩვეულებრივ ხალხს, განსაკუთრებით – ქალაქის პროლეტარიატს, რომელმაც უნდა შეავსოს ჯარისკაცთა რიგები ნებისმიერ – სამოქალაქო თუ სამამულო – ომში, ვერ ვუსაყვედურებთ გარკვეულ აპათიას, რომელმაც ისინი მოიცვა. ომის წაგება არავის სურდა, მაგრამ

უმრავლესობას მაინც ის უფრო სწადდა, რომ ომი დამთავრებულიყო. ამას ყველგან ამჩნევდი, სადაც უნდა წასულიყავი. ყველგან აწყდებოდი დაუდევარ შენიშვნას: «ომი საშინელებაა, არა? როდის დამთავრდება?» პოლიტიკურად შეგნებულ ადამიანებს გაცილებით უფრო მეტად ჰქონდათ გათვითცნობიერებული შიდაპარტიული შუღლი ანარქისტებსა და კომუნისტებს შორის, ვიდრე დაპირისპირება ფრანკოსთან. ადამიანთა მასას ყველაზე მეტად საკვების ნაკლებობა ედარდებოდა. «ფრონტი» მოიაზრებოდა, როგორც მისტიკურ-შორეული ადგილი, სადაც ახალგაზრდები მიდიოდნენ და საიდანაც ან აღარ ბრუნდებოდნენ, ან ბრუნდებოდნენ სამი-ოთხი თვის შემდეგ დიდძალი ფულით ჯიბეში (როგორც წესი, მილიციელი ანაზღაურებას ომიდან წამოსვლისას იღებდა). დაჭრილებს, თვით მაშინაც კი, როცა ყავარჯნებით დაჩლახუნობდნენ, არავითარი განსაკუთრებული ანაზღაურება არ ეძლეოდათ. მილიციაში ყოფნა მოდაში აღარ იყო. მაღაზიები – მუდამ ადამიანთა გემოვნების ბარომეტრები – ცხადად აჩვენებდნენ ამას. ჩემი პირველი ჩასვლისას ბარსელონაში, მაღაზიები – თუნდაც ისეთი მწირი და უბადრუკი – სპეციალიზებული იყო მილიციელის აღჭურვილობაზე. ყველა ვიტრინაში მოჩანდა პილოტკები, ელვაშესაკრავიანი ქურთუკები, სემ ბრაუნის ქამრები, მონადირის დანები, მათარები,

რევოლვერების ბუდეები. ამჟამად მაღაზიები თვალში საცემად უფრო გალამაზებულიყო, ომმა კი კულისებში გადაინაცვლა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ როდესაც საჭირო ნივთების ყიდვა დავაპირე ფრონტზე დაბრუნების წინ, ზოგიერთი ფრიად საჭირო საგანი უძნელესი საშოვნი გამხდარიყო.

ამასობაში მიმდინარეობდა სისტემატური პროპაგანდა მილიციების წინააღმდეგ და სახალხო არმიის სასარგებლოდ. უჩვეულო სიტუაცია იყო. თებერვლიდან მოყოლებული, მთელი შეიარაღებული ძალები თეორიულად სახალხო არმიაში გაერთიანდნენ და მილიციებმაც, ფორმალურად, ისევ განაგრძეს არსებობა სახალხო არმიასთან ერთად თავიანთი ინდივიდუალური სახელფასო განაკვეთებით, რანგებით და ა.შ. დივიზიები შედგებოდა «შერეული ბრიგადებისგან», ანუ უნდა ყოფილიყო ფორმირებული ნაწილობრივ სახალხო არმიის ჯარებისგან, ნაწილობრივ – მილიციისგან. მაგრამ ერთადერთი ცვლილება, რომელიც რეალურად მოხდა, იყო სახელის შეცვლა. მაგალითად, მომპ-ის ჯარები – ყოფილი «ლენინური დივიზია» – ახლა ცნობილი გახდა 29-ე დივიზიის სახელით. ივნისის თვემდე სახალხო არმიის ძალზე ცოტა ჯარმა თუ მიაღწია არაგონის ფრონტამდე, რის გამოც მილიციებმა შეძლეს

თავიანთი განცალკევებული სტრუქტურისა და საგანგებო პროფილის შენარჩუნება. თუმცა ყოველ კედელზე ხელისუფლების აგენტები ტრაფარეტით წერდნენ: «ჩვენ გვჭირდება სახალხო არმია». რადიოშიც და კომუნისტურ პრესაშიც მიდიოდა განუწყვეტელი და ზოგჯერ ძალზე ღვარძლიანი გადაკვრები მილიციის მისამართით, რომლებსაც ახასიათებდნენ, როგორც ცუდად გაწვრთნილ, უდისციპლინო და ა.შ. ფორმირებებს. სახალხო არმიას კი

მუდამ «გმირულად» მოიხსენიებდნენ. ამ პროპაგანდის უდიდესი ნაწილის შემხედვარეს, შთაბეჭდილება გრჩებოდა, რომ იყო რაღაც სამარცხვინო ფრონტზე მოხალისედ წასვლაში და რაღაც სანაქებო – გაწვევის მოლოდინში. ასე იყო თუ ისე, ფრონტის ხაზს მილიცია აკავებდა. ამ დროს კი ზურგში დარჩენილი სახალხო არმია წვრთნას გადიოდა და ეს ფაქტი რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გახმაურებულიყო. მილიციის რაზმები, რომლებიც ფრონტზე ბრუნდებოდნენ, აღარ მიაბიჯებდნენ ქუჩებში ბარაბნების გრიალისა და დროშების ფრიალის თანხლებით. ისინი მალულად მიჰყავდათ მატარებლით ან სატვირთო მანქანებით დილის ხუთ საათზე. სახალხო არმიის რამდენიმე რაზმი ახლაღა იწყებდა ფრონტისკენ სვლას და, როგორც ყოველთვის, ახლაც ცერემონიულად მიაბიჯებდა ქუჩებში. თუმცა თვით მათაც კი, ომისადმი საერთო გაგულგრილების წყალობით, შედარებით ნაკლები

ენთუზიაზმით ხვდებოდნენ. ის ფაქტი, რომ მილიციის ჯარები ფორმალურად სახალხო არმიის ჯარებიც იყვნენ, ოსტატურად გამოიყენა პროპაგანდისტულმა პრესამ. ნებისმიერი დამსახურება ავტომატურად მიეწერებოდა სახალხო არმიას, ხოლო მთელი ბრალეულობა – მილიციებს. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე ჯარებს უქებდნენ ერთ უნარს და უძაგებდნენ მეორეს.

მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად, ჩანდა გამაოგნებელი ცვლილება სოციალურ ვითარებაში, – რაღაც ისეთი, რისი წარმოდგენაც ძნელია, სანამ პირადად არ გამოცდი შენს თავზე. როცა პირველად ჩავედი ბარსელონაში, ისეთ ქალაქად მივიჩნიე, სადაც არ არსებობდა კლასობრივი განსხვავებები და დიდი ქონებრივი უთანასწორობა. ნამდვილად ასეთი სურათი ჩანდა. «მოხდენილი» სამოსი ანორმალური იყო, არავინ პირფერობდა და არავინ იღებდა ფეხის ქირას. ოფიციანტები, მეყვავილე ქალები და ფეხსაცმლის მწმენდავები თვალებში გიყურებდნენ და «ამხანაგს» გიწოდებდნენ. მაშინ ვერ მოვიხელთე, რომ ეს მხოლოდ იმედისა და ნიღბის ნარევი იყო. მუშათა კლასს სჯეროდა რევოლუციის, რომელიც დაიწყო, მაგრამ არასოდეს განმტკიცებულა, დამფრთხალმა ბურჟუაზიამ კი მუშების ნიღბები მოირგო. რევოლუციის პირველ

თვეებში, როგორც ჩანს, ათასობით ადამიანმა ჩაიცვა სპეცტანსაცმელი და რევოლუციური ლოზუნგების ყვირილი დაიწყო, რათა ამნაირად გადაერჩინა ტყავი. ამჟამად ყველაფერი თავის ნორმალურ კალაპოტს უბრუნდებოდა. ფეშენებელური რესტორნები და სასტუმროები სავსე იყო მდიდრებით. იმავდროულად, მუშა მოსახლეობისთვის საკვების ფასები წარმოუდგენლად გაიზარდა, ისე, რომ ხელფასები, შესაბამისად, არ გაზრდილა. ყველაფრის სიძვირის გარდა, მუდმივად არსებობდა ხან ამის და ხან იმის დეფიციტი, რაც, რასაკვირველია, ყოველთვის ღარიბების კისერზე გადადიოდა და არა მდიდრების. რესტორნებსა და სასტუმროებს, როგორც ჩანდა, მაინცდამაინც არ უძნელდებოდათ ყოველივე იმის შოვნა, რაც სჭირდებოდათ, მუშათა კლასის კვარტალებში კი რიგები პურზე, ზეითუნის ზეთსა და სხვა საჭიროებებზე

ასობით იარდზე იწელებოდა. უწინ ბარსელონაში გამაოგნა მათხოვრების არარსებობამ, ახლა კი უამრავ ღატაკს ვხედავდი. რამბლასის დასაწყისში ჩამწკრივებულ დელიკატესების მაღაზიებთან ფეხშიშველი ბავშვების გუნდები მუდამ უცდიდნენ იქიდან გამოსულ ადამიანს, რათა ჭყივილით მოეთხოვათ საკვების ნამცეცები. მეტყველების «რევოლუციური» ფორმები ხმარებიდან გამოდიოდა. უცნობები უკვე იშვიათად მოგმართავდნენ სიტყვებით tъ ან camarada, არამედ

ჩვეულებრივ-უწინდებურად: secor და Usted. Buenos dias უკვე იწყებდა salud-ის შეცვლას. ოფიციანტები თავის გამოხარშულ პერანგებს დაუბრუნდნენ, მაღაზიის მორიგე ადმინისტრატორები კი მათთვის ჩვეული მანერით ეპირფერებოდნენ პოტენციურ მუშტრებს. რამბლასზე მე და ჩემი ცოლი ტრიკოტაჟის მაღაზიაში შევედით ქალის წინდების შესაძენად. გამყიდველმა თავი დახარა და ხელები მოიფშვნიტა, რასაც დღესდღეობით თვით ინგლისშიც კი აღარავინ შვრება, თუმცა ასე იქცეოდნენ ოცი-ოცდაათი წლის წინ. მალვით და არაპირდაპირ, ისევ ფეხს იკიდებდა ფეხისქირის მიცემის ჩვეულება. მუშათა პატრულებს გაუჩინარება უბრძანეს და ქუჩებშიც ისევ გამოჩნდა ომამდელი პოლიციური ძალები. ამას ერთ-ერთ შედეგად მოჰყვა ის, რომ სწრაფად გაიხსნა ღამის კაბარეები და მაღალი კლასის საროსკიპოები, რომელთა უმრავლესობა მუშათა პატრულებმა დახურეს[15]. პატარა, მაგრამ ნიშანდობლივი მაგალითი იმისა, თუ როგორ იყო ყველაფერი ორიენტირებული უფრო შეძლებულ კლასებზე, ჩანს თამბაქოს დეფიციტში. ადამიანთა მასებისთვის ეს დეფიციტი იმდენად სასოწარმკვეთი იყო, რომ ქუჩებში ძირტკბილას დანაკუწებული ფესვით გატენილი პაპიროსი იყიდებოდა. ერთხელ მეც გავსინჯე ასეთი (ბევრმა გასინჯა ერთხელ). კანარის კუნძულებს, სადაც მთელი ესპანური თამბაქო იზრდება, ფრანკო

დაჰპატრონებოდა. შესაბამისად, თამბაქოს ერთადერთი მარაგი, რომელიც რჩებოდა ხელისუფლებას, იყო იგივე, რაც ომამდეც არსებობდა. ეს რესურსები იმდენად შემცირებული იყო, რომ მეთამბაქოები თავიანთ მაღაზიებს მხოლოდ კვირაში ერთხელ აღებდნენ. თუ იღბლიანი იყავი, გრძელ რიგში ორსაათიანი დგომის შემდეგ შეიძლებოდა სამი მეოთხედი უნციის[16] წონის თამბაქოს პაკეტი გრგებოდა. თეორიულად, მთავრობა არ იძლეოდა საზღვარგარეთიდან თამბაქოს შემოტანის ნებას, რადგანაც ეს იარაღისა და სხვა საჭიროებებისთვის აუცილებელი ოქროს რეზერვის შემცირებას ნიშნავდა. სინამდვილეში კი მუდმივად შემოდიოდა უფრო ძვირად ღირებული კონტრაბანდული საქონელი, «ლაქი სტრაიკ» და სხვა ამდაგვარი, რაც დიდ პერსპექტივებს უხსნიდა სპეკულაციას. შეგეძლო ღიად შეგეძინა კონტრაბანდული სიგარეტი ფეშენებელურ სასტუმროებში და თითქმის ისევე ღიად – ქუჩებში, იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ კოლოფზე ათი პესეტა უნდა გადაგეხადა (მილიციელის დღიური ხელფასი). კონტრაბანდა მომგებიანი იყო მდიდრებისთვის და ამიტომაც ხელისუფლება ამაზე თვალებს ხუჭავდა. თუ საკმარისი ფული გქონდა, არ არსებობდა რამე, რასაც ნებისმიერი რაოდენობით

არ იშოვიდი, შესაძლოა – პურის გარდა, მკაცრად შეზღუდული რაოდენობით რომ ნაწილდებოდა. ეს ღია კონტრასტი

სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის შეუძლებელი იყო რამდენიმე თვით ადრე, როდესაც მუშათა კლასი ჯერ კიდევ აკონტროლებდა ან თითქოსდა აკონტროლებდა სიტუაციას. მაგრამ უპრიანი არ იქნებოდა, ეს ცვლილება მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების შეცვლისთვის მიგვეწერა. ნაწილობრივ ეს ამბავი მოიყოლა ცხოვრების უსაფრთხოებამ ბარსელონაში, სადაც ბევრი არაფერი გახსენებდა ომს, იშვიათი საჰაერო რეიდების გარდა. ყველა, ვისაც მადრიდი მოენახულებინა, ამბობდა: იქ სრულებით განსხვავებული ვითარება არისო. საერთო საფრთხე იქ თითქმის ყველა ფენის ადამიანს თავისებურ ამხანაგობაში აერთიანებდა. მსუქანი კაცი, რომელიც მწყრის ხორცს იღმურძლება, და ბავშვები, რომლებიც პურს თხოულობენ, ამაზრზენი სანახავია. მაგრამ გაცილებით ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ასეთ სურათს შეესწრო იქ, სადაც შაშხანების ხმა ისმის.

მახსოვს, ქუჩებში გამართული ბრძოლების შეწყვეტიდან ორიოდე დღის შემდეგ როგორ მივდიოდი ერთ ფეშენებელურ ქუჩაზე, სადაც წავაწყდი საკონდიტრო მაღაზიას, რომლის ვიტრინა სავსე იყო უდახვეწილესი ნამცხვრებითა და კანფეტებით. ფასები – ყოვლად თავბრუდამხვევი. ასეთ მაღაზიას ბონდსტრიტზე ან რუ-დე-ლა-პეზე

თუ შეხვდები. მახსოვს, როგორ შემიპყრო ყრუ საშინელებისა და განცვიფრების განცდამ, რომ ფული მაინც შეიძლება იფანტებოდეს ასეთი რამეებისთვის მშიერ, ომით გაჩანაგებულ ქვეყანაში. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, რომ პრეტენზიას ვაცხადებდე რაიმე პიროვნულ აღმატებაზე. რამდენიმეთვიანი უკმარობისა და დისკომფორტის შემდეგ ფრიად დახარბებული ვიყავი რიგიან საკვებსა და ღვინოს, კოქტეილებს, ამერიკულ სიგარეტებსა და ყოველივე ამდაგვარს და ვაღიარებ, რომ გულიანად ვიყურყუმელავე ყველანაირ ფუფუნებაში, რისი ყიდვაც შევძელი. იმ პირველი კვირის განმავლობაში, სანამ ქუჩების ბრძოლები დაიწყებოდა, დაკავებული ვიყავი უცნაურად ურთიერთზემოქმედი რამდენიმე საქმიანობით. პირველ ყოვლისა, როგორც ვთქვი, შეძლებისამებრ დიდ კომფორტს ვუქმნიდი საკუთარ თავს. შემდეგ, გადაჭარბებული ჭამა-სმის წყალობით, რამდენამდე გამოვედი წყობიდან მთელი იმ კვირის განმავლობაში. ცოტათი უქეიფოდ მყოფი, ნახევარ დღეს საწოლში ვატარებდი, მერე ვდგებოდი, ისევ ზედმეტს ვჭამდი და ისევ ცუდად ვხდებოდი. იმავდროულად, ვაწარმოებდი საიდუმლო მოლაპარაკებას რევოლვერის შეძენის მიზნით. სასტიკად მსურდა, მქონოდა რევოლვერი, რომელიც გაცილებით უფრო მეტად გამოდგებოდა სანგრულ ბრძოლებში, ვიდრე შაშხანა, თუმცა ძალიან ძნელი საშოვნიც იყო. მთავრობა

რევოლვერებით აღჭურვავდა პოლიციელებსა და სახალხო არმიის ოფიცრებს, მილიციას კი უარს ეუბნებოდა. არალეგალურად უნდა გეყიდა ანარქისტების საიდუმლო მაღაზიებში. ბევრი დავიდარაბისა და უსიამოვნების შემდეგ ერთმა

ჩემმა ანარქისტმა მეგობარმა მოახერხა და მიშოვა პაწია 26-დუიმიანი ავტომატური პისტოლეტი – უვარგისი იარაღი, რომელიც გამოუსადეგარი იყო ხუთ იარდზე უფრო შორ დისტანციაზე, მაგრამ არაფერს მაინც ჯობდა. გარდა ამისა, თადარიგს ვიჭერდი მომპ-ის მილიციის რიგების დასატოვებლად და სხვა ქვეყდანაყოფში გადასასვლელად, რომელიც უზრუნველყოფდა ჩემს გაგზავნას მადრიდის ფრონტზე.

დიდი ხნის წინ მქონდა ყველასთვის ნათქვამი, რომ მომპ-იდან გასვლას ვაპირებდი. რაც შეეხებოდა პირწმინდად ჩემს საკუთარ პრიორიტეტებს, მე ანარქისტებთან შეერთება მინდოდა. თუ შეკ[17]-ის წევრი გახდებოდი, მაშინ იაფ[18]-ის მილიციაში შესვლასაც შეძლებდი, თუმცა მითხრეს: იაფ ტერუელში უფრო გაგგზავნის, ვიდრე მადრიდშიო. თუკი მადრიდში მსურდა მოხვედრა, მაშინ ინტერბრიგადაში უნდა შევსულიყავი, რაც ნიშნავდა რეკომენდაციის მიღებას კომუნისტური პარტიის რომელიმე წევრისგან. გამოვძებნე კომუნისტი მეგობარი, რომელიც ჩართული იყო

ესპანურ სამედიცინო დახმარებაში, და ჩემი მდგომარეობა ავუხსენი. ძალიან ააღელვა ჯარში ჩემი გაწვევის იდეამ და მთხოვა, დამერწმუნებინა დლპ[19]-ის სხვა ინგლისელებიც, რომ ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ. უკეთეს ჯანზე რომ ვყოფილიყავი, ალბათ იქვე და მაშინვე დავეთანხმებოდი. დღეს ძნელი სათქმელია, რა განსხვავებას მომცემდა ეს თანხმობა. სავსებით შესაძლებელია, რომ გავეგზავნეთ ალბასეტში, სანამ ბარსელონაში ბრძოლა დაიწყებოდა. ასეთ შემთხვევაში, რაკი მე თვითონ არ შევესწრებოდი ამ ბრძოლას, იქნებ, მისი ოფიციალური ვერსია დამეჯერებინა. მეორე მხრივ, თუ ბრძოლის დროს ბარსელონაში ვიქნებოდი კომუნისტების დროშის ქვეშ, თუმცა მაინც ლოიალობის გრძნობით მომპ-ის ამხანაგების მიმართ, მაშინ ჩემი პოზიცია შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ კიდევ ერთკვირიანი შვებულება მქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და უკიდურესად მინდოდა ფორმაში ჩადგომა, სანამ ფრონტზე დავბრუნდებოდი. გარდა ამისა (არსებითი დეტალი, რომელიც მუდამ წყვეტს ადამიანის ბედ-იღბალს), უნდა დავლოდებოდი, სანამ მეწაღეები ახალ ჩექმებს შემიკერავდნენ (ესპანეთის მთელმა არმიამ ვერ მოახერხა ჩემი ზომის ჩექმების გამოშვება). კომუნისტ მეგობარს მივუგე, მოგვიანებით ვიზრუნებ მაგ ყველაფერზე-მეთქი. მანამდე ჯერ დასვენება მინდოდა.

იმასაც კი ვფიქრობდი, რომ ჩვენ – ჩემი ცოლი და მე – ორი-სამი დღით ზღვაზე წავსულიყავით. რა იდეაა! პოლიტიკურ ვითარებას უნდა გავეფრთხილებინე, რომ ამჟამად ასეთი რამის განხორციელება შეუძლებელი იყო.

ქალაქის გარეგანი იერის, მისი ფუფუნებისა და მზარდი სიღატაკის მიღმა, ქუჩების მოჩვენებითი მხიარულების, ყვავილებიანი კიოსკების, მრავალფეროვანი დროშების, პროპაგანდისტული პლაკატებისა და მოფუთფუთე ბრბოების უკან პოლიტიკური მეტოქეობისა და სიძულვილის შეუმცდარი, საზარელი შეგრძნება იდგა. ყველანაირი მრწამსის ადამიანი ავი

წინათგრძნობით ამბობდა: «მალე რაღაც უბედურება დატრიალდება». საფრთხე სრულებით უბრალო და გასაგები იყო: ანტაგონიზმი რევოლუციის გაგრძელების და მისი შეზღუდვისა თუ შეჩერების მომხრეთა, ანუ, საბოლოო ჯამში, კომუნისტებსა და ანარქისტებს შორის. პოლიტიკურად, კატალონიაში ამჟამად არავითარი ხელისუფლება არ იყო კგსპ-ისა და მათ ლიბერალურ მოკავშირეთა გარდა. მაგრამ ამას უპირისპირდებოდა შეკ-ის გაურკვეველი ძალა, მეტოქეზე უფრო ცუდად შეიარაღებული და უფრო ცუდად მცოდნე იმისა, თუ რას ესწრაფოდა, მაგრამ მაინც ძალმოსილი თავისი წევრების რაოდენობისა და თავისი

დომინირების გამო სხვადასხვა ძირითად ინდუსტრიაში. საბოლოოდ, ძალები ისე განლაგდნენ, რომ კონფლიქტი გარდაუვალი იყო. კგსპ-ის მიერ კონტროლირებული ჟენერალიდადის[20] თვალთახედვით, მისი პოზიციის უსაფრთხოებისთვის უპირველეს საჭიროებას შეადგენდა შეკ-ის მუშების განიარაღება. როგორც ზემოთ აღვნიშნე[21], მილიციების დაშლა, არსებითად, აქეთკენ მიმართული მანევრი იყო. ამავე დროს, ისევ დაბრუნდა და გაძლიერებულად შეიარაღდა ომამდელი პერიოდის პოლიციური ძალები, სამოქალაქო დაცვა და სხვა მისთანა. ამას ერთადერთი აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა. კერძოდ, სამოქალაქო დაცვა წარმოადგენდა ჩვეულებრივი კონტინენტური ტიპის ჟანდარმერიას, რომელიც დაახლოებით ერთი საუკუნის წინ მოქმედებდა, როგორც მესაკუთრეთა კლასის პირადი დაცვა. ამასობაში გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც კერძო პირებს უნდა ჩაებარებინათ მათ საკუთრებაში არსებული ყველა ცეცხლსასროლი იარაღი. ბუნებრივია, ამ ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ცხადია, ანარქისტებს იარაღს მხოლოდ ძალის გამოყენებით თუ ჩამოართმევდნენ. იმ პერიოდში დადიოდა ხმები (მუდამ ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო – საგაზეთო ცენზურის წყალობით) მთელ კატალონიაში მომხდარი პატარ-პატარა შეჯახებების შესახებ. სხვადასხვა ადგილას შეიარაღებულმა

პოლიციამ იერიში მიიტანა ანარქისტების გამაგრებულ პუნქტებზე. პუგსერდაში, საფრანგეთის საზღვარზე, მესაზღვრეთა ჯგუფი გაგზავნეს უწინ ანარქისტების მიერ კონტროლირებული საბაჟო კანტორის ასაღებად. ამ ოპერაციის დროს მოკლეს ცნობილი ანარქისტი ანტონიო მარტინი. ასეთივე ინციდენტები მოხდა ფუერასა და, ვგონებ, ტარაგონაშიც. ბარსელონას მუშათა კლასით დასახლებულ გარეუბნებში ჩატარდა მეტ-ნაკლებად არაოფიციალური კინკლაობებისა და შეხლა-შემოხლის მთელი სერია. რამდენიმე ხნის წინ შეკ-ისა და მსკ[22]-ის წევრები ერთმანეთს ხოცავდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ამ მკვლელობებს მოჰყვა პროვოკაციულად ცერემონიული დიდი დაკრძალვები, რომელთა მიზანი იყო პოლიტიკური სიძულვილის გაღვივება. ცოტა ხნით ადრე შეკ-ის ერთ-ერთი წევრი მოკლეს. დამკრძალავ კორტეჟს ასიათასობით კომუნისტი დაესწრო. აპრილის ბოლოს, ბარსელონაში უშუალოდ ჩემი ჩასვლის შემდეგ, მოკლეს როლდან კორტადა, მსკ-ის გამოჩენილი წევრი. სავარაუდოა, რომ მკვლელი რომელიღაც შეკ-ელი იყო. ხელისუფლებამ ყველა მაღაზია

დააკეტვინა და უზარმაზარი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო სახალხო არმიის ჯარების აქტიური მონაწილეობით, რამაც მთელ ორ საათს გასტანა. უენთუზიაზმოდ ვუყურებდი ამ პროცესს სასტუმროს ფანჯრიდან. ცხადია,

ეგრეთ წოდებული დაკრძალვა მხოლოდ ძალის დემონსტრირება იყო. ცოტა მეტი რომ მომხდარიყო, შესაძლოა სისხლის ღვრასაც არ დაეგვიანა. იმავე ღამეს მე და ჩემი ცოლი გაგვაღვიძა სროლის ხმამ, რომელიც პლასა დე კატალუნიას მხრიდან ისმოდა, ჩვენი სასტუმროდან ასი თუ ორასი იარდის მანძილზე. მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ ამჯერად შეკ-ის კაცი გაესაღებინა ვიღაცას მსკ-დან. შესაძლოა, რომ ყველა ეს მკვლელობა პროვოკატორ აგენტებს ჩაედინათ. საზღვარგარეთის კაპიტალისტური პრესის მიმართება კომუნისტებისა და ანარქისტების შუღლთან შეიძლება გაიზომოს იმ ფაქტით, რომ როლდან კორტადას მკვლელობას ფართო გამოხმაურება მიეცა, ხოლო საპასუხო მკვლელობას ფრთხილი დუმილით უვლიდნენ გვერდს.

ახლოვდებოდა პირველი მაისი. ლაპარაკობდნენ არნახული მასშტაბის დემონსტრაციაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა ორივე მხარე. შეკ-ის ლიდერები – უფრო ზომიერები, ვიდრე მრავალი მათი მიმდევარი – დიდი ხანია მუშაობდნენ მსკ-თან შერიგებაზე. მართლაცდა, მათი პოლიტიკის ძირითად მომენტს შეადგენდა ორი ბლოკის ერთ ვეებერთელა კოალიციად გაერთიანების მცდელობა. იდეა ის იყო, რომ ამ მსვლელობაში მათ გვერდიგვერდ უნდა ევლოთ და სოლიდარობა

ეჩვენებინათ. მაგრამ უკანასკნელ მომენტში დემონსტრაცია გადაიდო. აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ ეს მხოლოდ არეულობას მოიტანდა. ასე რომ, პირველ მაისს არაფერი მომხდარა. ყოვლად საეჭვო ვითარება იყო. ბარსელონა – ეგრეთ წოდებული რევოლუციური ქალაქი – აღმოჩნდა ერთადერთი მთელ არაფაშისტურ ევროპაში, სადაც ამ დღეს არაფერი უზეიმიათ. თუმცა, ვაღიარებ, მე პირადად გულზე მომეშვა. თუ დემონსტრაცია ჩატარდებოდა, დლპ-ის კონტინგენტს მომპ-ის სექციაში უნდა ევლო და აქედან ყველა დავიდარაბას ელოდა. თუ რამე არ მსურდა ამქვეყნად, ეს იყო მონაწილეობის მიღება ქუჩის უაზრო შეტაკებაში. საზეიმო სვლა ამაღლებულლოზუნგებიანი წითელი დროშების ქვეშ და უცებ – სიცოცხლესთან დამშვიდობება რომელიმე მაღალი სართულის ფანჯრიდან მავანი უცნობის ხელით ნასროლი ტყვიის წყალობით. არა, ეს არ შეესაბამება ჩემს წარმოდგენას სასარგებლო სიკვდილზე.

თავი IX

3 მაისს, დღის 12 საათისთვის სასტუმროს ჰოლი მეგობარმა გადმოჭრა და მითხრა: «რაღაც მომხდარა სატელეფონო კვანძში». რატომღაც იმ მომენტში ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია.

იმავე ნაშუადღევს, სამიდან ოთხ საათამდე, შუა რამბლასამდე მისულს უკნიდან რამდენიმე გასროლა მომესმა. მოვტრიალდი და შაშხანებიანი ახალგაზრდები დავინახე, რომლებსაც ყელზე ანარქისტების შავ-წითელი ყელსახვევები ეკეთათ და მალვით უახლოვდებოდნენ რამბლასს იმ ქუჩიდან, მისგან ჩრდილოეთის მიმართულებით რომ განშტოვდება. აშკარად მაღალ რვაკუთხა კოშკში ესროდნენ ვიღაცას, – ეკლესიაში, რომელიც ამ განშტოების დასაწყისში იდგა, – საიდანაც საპასუხო სროლებს იღებდნენ. «დაიწყო!», გამიელვა იმწამსვე. თუმცა ეს მაინცდამაინც დიდი მოულოდნელობის განცდით არ მიფიქრია. ბოლო დღეებში ყველა ელოდა «ამის» დაწყებას ნებისმიერ წამს. მივხვდი, რომ დაუყოვნებლივ უნდა დავბრუნდე სასტუმროში და ვნახო, ხომ არაფერი უჭირს ჩემს ცოლს. მაგრამ ანარქისტების მწკრივი

ქუჩა-განშტოებასთან იდგა და ხალხს ანიშნებდა: უკან წადით, ცეცხლის ხაზს ნუ გადმოკვეთთო. ისევ გაისმა რამდენიმე გასროლა. კოშკიდან მომფრინავი ტყვიები ქუჩას კვეთდა და პანიკაში ჩავარდნილი ადამიანები სირბილით მიუყვებოდნენ რამბლასს ზევითაც და ქვევითაც. პარალელურად ლითონის ხმები ისმოდა: მაღაზიების მეპატრონეები ერთიმეორის მიყოლებით ხურავდნენ ვიტრინების რკინის დარაბებს. თვალი მოვკარი სახალხო არმიის ორ ოფიცერს, ფრთხილად რომ იხევდნენ უკან: ჯერ ერთ ხეს ამოეფარებოდნენ, მერე მეორეს, თავ-თავიანთ რევოლვერზე ხელმიდებულნი. ჩემ პირდაპირ, შუა რამბლასზე, ხალხის ნაკადი მეტროს სადგურის შესასვლელში ეტენებოდა, ვინძლო სადმე თავი შეეფარებინა. მაშინვე გადავწყვიტე, არ მივყოლოდი, რადგანაც ეს, შესაძლოა, მიწის ქვეშ რამდენიმესაათიანი გამომწყვდევით დამთავრებულიყო.

ამ მომენტში ჩემთან ამერიკელმა ექიმმა მოირბინა, რომელიც ფრონტზე ჩვენთან ერთად იყო, და მკლავში ჩამეჭიდა.

– წამოდით, – მითხრა უკიდურესად აღელვებულმა, – სასტუმრო «ფალკონამდე» უნდა

მივიდეთ (ამ თავისებურ პანსიონს, განკუთვნილს შვებულებაში გასული მილიციელებისთვის, მომპ მეურვეობდა). იქ მომპ-ის ხალხი შეიკრიბება. უბედურება იწყება. ერთად უნდა ვიყოთ !

– კი მაგრამ, რა ჯანდაბა ხდება?

ექიმი მკლავზე მექაჩებოდა, და მეტისმეტად აგზნებული იყო საიმისოდ, რომ ნათელი განმარტება მოეცა. აღმოჩნდა, რომ პლასა დე კატალუნიაზე იმ

მომენტში იმყოფებოდა, როცა თავდამსხმელთა რაზმებით[23] სავსე რამდენიმე სატვირთო მანქანა მისულა სატელეფონო კვანძამდე, რომელსაც ძირითადად შეკ-ს მუშები მართავდნენ, და მოულოდნელად დასხმია თავს. შემდეგ მოსულა ანარქისტების გარკვეული ჯგუფი და დიდი ალიაქოთი ამტყდარა. როგორც გავიგე, იმ დღეს, უფრო ადრე, «უბედურება» იმაში გამოიხატა, რომ ხელისუფლებამ მოითხოვა სატელეფონო კვანძის დაბრუნება, რაზეც, რასაკვირველია, უარი მიიღო.

ქუჩას რომ მივუყვებოდით, მოპირდაპირე მხრიდან წამოსულმა სატვირთო მანქანამ ჩაგვიქროლა. მანქანა სავსე იყო შაშხანებიანი ანარქისტებით, წინ დამაგრებულ მსუბუქ

ტყვიამფრქვევთან დაყრილ ლეიბების გროვაზე კი სამოსდაგლეჯილი ჭაბუკი იწვა. როცა რამბლასის ბოლოში მდგარ სასტუმრო «ფალკონამდე» მივედით, ვესტიბიულში უამრავი ხალხი ფუთფუთებდა. დიდი აყალმაყალი იყო. არავინ იცოდა, რა უნდა გვექნა და არავის ჰქონდა იარაღი, ერთი მუჭა შემტევი რაზმის წევრების გარდა, რომლებიც, ჩვეულებრივ ამ შენობას იცავდნენ. მომპ-ის ადგილობრივ კომიტეტს მივაშურე, თითქმის შესასვლელის პირდაპირ განთავსებულს. ზედა სართულზე, სადაც მილიციელები ხელფასს იღებდნენ ხოლმე, ისევ აჩოჩქოლებული ხალხი დამხვდა. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ოცდაათიოდე წლის მაღალი, ფერმკრთალი, კარგი შესახედაობის კაცი წესრიგის დამყარებას ცდილობდა, თან კუთხეში დახვავებული გროვიდან ქამრებს და ვაზნებიან კოლოფებს არიგებდა. შაშხანები ჯერ არ ჩანდა. ამერიკელი ექიმი გაქრა. ვფიქრობ, უკვე იყვნენ დაშავებულები და, შესაბამისად, ექიმის საჭიროებაც გაჩნდა. მაგრამ ამჯერად სხვა ინგლისელი გამოჩნდა. ახლა, მაღალმა კაცმა და კიდევ რამდენიმე სხვამ უკვე შიდა კაბინეტიდან იწყეს შაშხანების გამოტანა და ჩამორიგება. იმ ინგლისელს და მე, როგორც უცხოელებს, ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით გვიყურებდნენ და იმედი არ გვქონდა, რომ იმწუთასვე ვინმე მოგვცემდა იარაღს. შემდეგ მილიციელი მოვიდა, რომელსაც ფრონტიდან ვიცნობდი, იმანაც

დაუყოვნებლივ მიცნო და ამის შედეგად – რამდენადმე უხალისოდ – შაშხანები და რამდენიმე მჭიდი ვაზნა მოგვცეს.

შორიდან სროლის ხმა ისმოდა, ქუჩები კი მთლად დაცარიელდა. ყველა იმას ამბობდა, შეუძლებელია რამბლასზე გავლაო. შემტევმა რაზმმა ცენტრალურ პოზიციებში მდგარი სახლები დაიპყრო და ყველა გამვლელს ესროდა. მაინც გავრისკავდი და ჩემს სასტუმროში დავბრუნდებოდი, მაგრამ არსებობდა ბუნდოვანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი კომიტეტისთვისაც შეიძლებოდა შეეტიათ ნებისმიერ მომენტში და უმჯობესი იქნებოდა აქ ვყოფილიყავით. მთელ შენობაში – კიბეებზეც და გარეთ ქვაფენილზეც – ადამიანთა პატარ-პატარა ჯგუფები იდგნენ და აგზნებულად ლაპარაკობდნენ. თითქოს არავის ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა. მხოლოდ ის მოვიხელთე, რომ შემტევმა რაზმმა იერიშით აიღო

სატელეფონო კვანძი და კიდევ რამდენიმე სტრატეგიული წერტილი, რომლებიდანაც იმართებოდა მუშების კუთვნილი სხვა შენობები. მთლიანობაში, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თავდამსხმელთა რაზმი შეკ-ის და, საერთოდ, მუშათა კლასს ერჩოდა. ისიც შეიმჩნეოდა, რომ, ამ ეტაპზე, არავინ კიცხავდა

ხელისუფლებას. ბარსელონას ღარიბი კლასებისთვის თავდამსხმელთა რაზმი «ბლეკ ენდ ტანსის»[24] მსგავსი რამ იყო და თავისთავად ცხად ამბად ჩანდა, რომ ამ უკანასკნელებმა შეტევა თავისივე ინიციატივით დაიწყეს. როცა შევიტყვე რა ხდებოდა, ოდნავ გულზე მომეშვა. პრობლემა საკმაოდ ნათელი იყო: ერთ მხარეს შეკ-ი, მეორე მხარეს – პოლიცია. დიდად გულზე არ მეხატება იდეალიზებული «მუშა», როგორც ის ბურჟუაზიული კომუნისტის წარმოსახვაში არსებობს, მაგრამ როდესაც ვხედავ რეალურ მუშას, რომელიც მის ბუნებრივ მტერს – პოლიციელს ეჯახება, მაშინ ჩემს თავს არ ვეკითხები, რომელს მივემხრო-მეთქი.

დიდმა დრომ განვლო. თითქოს არაფერი ხდებოდა ქალაქის ამ ნაწილში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. აზრად არ მომსვლია, რომ ჩემს სასტუმროში დარეკვა და ჩემი ცოლის მოკითხვა შემეძლო. თავისთავად მოცემულობად მივიჩნიე, რომ სატელეფონო კვანძი აღარ მუშაობდა. არადა, ფაქტობრივად, სულ ორიოდე საათით შეწყვიტა ფუნქციონირება. ორ შენობაში დაახლოებით სამასამდე კაცი იყო, უპირატესად – უღარიბესი კლასის წარმომადგენლები სანაპირო ზონის შუკებიდან, მათ შორის – ქალები ძუძუთა ბავშვებით და ჩამოძონძილი პატარა ბიჭების ბანდა. როგორც ვხვდები,

წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა ხდებოდა და, უბრალოდ, მომპ-ის შენობებს შეაფარეს თავი. აქვე იყვნენ შვებულებაში გასული მილიციელები და რამდენიმე უცხოელი. ჩემი გამოთვლით, ამდენ ხალხს სულ სამოცამდე შაშხანა გვქონდა. კაბინეტთან, ზედა სართულზე, გამუდმებით ირეოდა შაშხანის მთხოვნელთა ბრბო, რომელსაც მერამდენედ უმეორებდნენ, იარაღი აღარ გვაქვსო. ახალგაზრდა მილიციელი ბიჭები, რომლებიც ამ ყველაფერს ისე უყურებდნენ, როგორც ერთგვარ პიკნიკს, ყველგან დასუნსულებდნენ და ცდილობდნენ, ვინმესთვის შაშხანა გამოეტყუათ ან აეწაპნათ. მალე ერთ-ერთმა ეშმაკური ფანდით ამაცალა შაშხანა და მომენტალურად გაიძურწა. ასე რომ, ისევ უიარაღოდ დავრჩი, თუ არ ჩავთვლით ჩემს პატარა ავტომატურ პისტოლეტს, რომლისთვისაც ვაზნების სულ ერთი მჭიდი მქონდა.

შებინდდა. მშიოდა, «ფალკონში» კი, როგორც ჩანდა, საჭმელი არ ჰქონდათ. მე და ჩემი მეგობარი უჩუმრად გავსხლტით მის სასტუმროში, რომელიც შორს არ იყო. ქუჩები სრულებით ჩაბნელებულ-ჩაჩუმებული იყო. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. ყველა მაღაზიას რკინის დარაბა ეფარა, თუმცა ჯერ ბარიკადები არ ჩანდა. ჩაკეტილ და ჩახერგილ სასტუმროში მხოლოდ დიდი წრიალისა და კინკლაობის შემდეგ შეგვიშვეს.

როცა დავბრუნდით, შევიტყვე, რომ სატელეფონო კვანძი ისევ მუშაობდა და კაბინეტში ავედი ცოლთან დასარეკად. სახასიათოა, რომ შენობაში სატელეფონო წიგნი არ ჰქონდათ, მე კი «კონტინენტალის» ნომერი არ ვიცოდი. მთელ საათს ვეძებე ოთახიდან ოთახამდე, სანამ წავაწყდებოდი წიგნ-მეგზურს, სადაც სასურველი ნომერი ეწერა. ცოლს ვერ დავუკავშირდი, სამაგიეროდ ჯონ მაკნეარი მოვიხელთე – დლპ-ის წარმომადგენელი ბარსელონაში. მითხრა, ყველაფერი რიგზეა, არავინ მოუკლავთო. მერე თავის მხრივ მკითხა: ადგილობრივ კომიტეტში რა ხდებაო. ვუთხარი, კარგად ვიქნებოდით, ცოტაოდენი სიგარეტი რომ გვქონოდა-მეთქი. ჩემი მხრივ, ეს მხოლოდ ხუმრობა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნახევარი საათის შემდეგ თვით მაკნეარი მოგვევლინა ორი ბლოკი «ლაქი სტრაიკით» ხელში. გაბედულად გამოევლო ჩაწყვდიადებული ქუჩები, სადაც ანარქისტი პატრული დაძრწოდა. ორგზის გააჩერეს იარაღიანებმა და საბუთები შეუმოწმეს. არასოდეს დამავიწყდება ეს პატარა გმირობა. ძალიან გაგვიხარდა სიგარეტის მიღება.

ფანჯრებთან შეიარაღებული მცველები დააყენეს, ქვემოთ კი, ქუჩაში, შემტევი რაზმის ხალხი კანტიკუნტ გამვლელს აჩერებდა და კითხვებს უსვამდა. ჩაიარა ანარქისტების

პატრულის მანქანამ, რომლიდანაც იარაღის ტყე ამოჯაგრულიყო, მძღოლის გვერდით მჯდარ თვრამეტ წლამდე ასაკის ლამაზ, შავგვრემან გოგონას კი მუხლებზე მოკლელულიანი თოფ-ავტომატი ერწეოდა. დიდხანს დავხეტიალობდი შენობაში, – დიდ სახეტიალო ადგილას, რომლის არქიტექტურის გაგება შეუძლებელი იყო. ყველგან ეყარა ჩვეულებრივი ნაგავი: დამტვრეული ავეჯი და დაფლეთილი ქაღალდი – თითქოსდა რევოლუციის გარდაუვალი პროდუქტი. ყველგან ადამიანებს ეძინათ. ერთ დერეფანში, გატეხილ დივანზე, მშვიდად ხვრინავდა ორი ღატაკი ქალი. სანამ მომპ დაეპატრონებოდა, მანამდე აქ კაბარე-თეატრი ყოფილა. რამდენიმე ოთახში სასცენო შემაღლებებიც იყო, ერთ-ერთში – მიტოვებული დიდი ფორტეპიანო. ბოლოს და ბოლოს, ვიპოვე, რასაც ვეძებდი: იარაღის საწყობი. არ ვიცოდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და სასტიკად მინდოდა იარაღი. იმდენად ხშირად გამეგონა, რომ ყველა მეტოქე პარტია – მომპ, კგსპ და შეკ-იაფ – თავ-თავის იარაღს ბარსელონაში ინახავდა, ვერ დავიჯერე, რომ მომპ-ის ორ მთავარ შენობაში სულ ის ორმოცდაათი თუ სამოცი შაშხანა ჰქონდათ, რომლებიც მე ვნახე. ოთახს, რომელიც იარაღის საწყობის როლს ასრულებდა, მცველი არ ჰყავდა, კარიც ფარღალალა შეებათ და მე და მეორე ინგლისელმა უპრობლემოდ გავაღეთ. როცა შიგნით შევედით,

აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენთვის სიმართლე უთქვამთ: იქ იარაღი აღარ იყო. ვიპოვეთ მხოლოდ ოცდახუთამდე წვრილკალიბრიანი, მოძველებული მოდელის შაშხანა და რამდენიმე საფანტის თოფი, რომელთაგან არც ერთს არ ახლდა ვაზნები. კაბინეტში ავედი და ვიკითხე, პისტოლეტის ტყვიები ხომ არ მოგეპოვებათ-მეთქი. არ ჰქონდათ. თუმცა ვიპოვეთ ხელყუმბარებით სავსე რამდენიმე ყუთი,

რომლებიც ანარქისტების პატრულის ერთ-ერთმა მანქანამ მოგვიტანა. ორიოდე ყუმბარა ჩემი ვაზნების ყუთში ჩავიდე. დაუხვეწავი ბომბები იყო, ასანთის ხახუნით აალდებოდა ხოლმე და არც თავისთავად აფეთქებაზე ამბობდა უარს.

იატაკზე ადამიანებს ეძინათ. ერთ ოთახში ბავშვი ტიროდა – განუწყვეტლივ. მაისი კი იდგა, მაგრამ ღამღამობით მაინც ციოდა. ერთ-ერთ კაბარე-სცენაზე ფარდა ჯერაც არ ჩამოეწიათ. ჰოდა, დანით ჩამოვჭერი, შიგნით გავეხვიე და რამდენიმე საათით ჩავიძინე. მახსოვს, ძილი დამიფრთხო იმ აზრმა, რომ შეიძლებოდა ჩემსავე ბომბებს ავეტანე ჰაერში, თუ ზედ მეტისმეტად მძიმედ დავაწვებოდი. დილის სამ საათზე მაღალმა კაცმა (როგორც ჩანს – ხელმძღვანელმა) გამაღვიძა, შაშხანა მომცა და ერთ-ერთ ფანჯარასთან დამაყენა. მითხრა: სალასი, რომელიც პასუხისმგებელია სატელეფონო

კვანძზე თავდასხმისთვის, დააპატიმრესო (რეალურად, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ის მხოლოდ პოსტიდან გადააყენეს. ამის მიუხედავად, ამ ამბავმა დაადასტურა, რომ თავდამსხმელთა ჯგუფს თავისი საკუთარი ინიციატივით ემოქმედა). როგორც კი ინათა, ქვემოთ ხალხი ბარიკადების აგებას შეუდგა, ერთის – ადგილობრივი კომიტეტის გარეთ, მეორის – სასტუმრო «ფალკონის» წინ. ბარსელონას ქუჩები მართკუთხა ქვებით არის მოკირწყლული, მათგან თავისუფლად აიგება კედელი, მათ ქვეშ კი დაყრილია ერთგვარი ხრეში, სრულებით შესაფერისი ტომრების გასავსებად. ამ ბარიკადების აგება უცნაური და საოცარი სანახავი იყო. აშკარად გავიღებდი რამეს იმისთვის, რომ ამის დაფიქსირება ფოტოაპარატით შემძლებოდა. მხურვალე ენერგიით, რომელსაც ესპანელები ავლენენ, როცა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი რამის გაკეთება, კაცების, ქალებისა და მთლად პატარა ბავშვების გრძელი მწკრივები ქვაფენილს შლიდნენ, ქვებს სადღაციდან გამოჩხრეკილი ურიკით მიაგორებდნენ და ხრეშიან ტომრებიც ბორძიკ-ბორძიკით მიმოჰქონდათ. ადგილობრივი კომიტეტის შესასვლელ კარში გერმანელ-ებრაელი გოგონა იდგა და ამ პროცესს ღიმილით ადევნებდა თვალს. მილიციელის შარვალი ამოეცვა და მუხლის ღილები კოჭებამდე სწვდებოდა. ორიოდე საათის შემდეგ ბარიკადები ადამიანის

სიმაღლემდე ავიდა, შაშხანიანი კაცებიც უკვე სათოფურებთან იდგნენ, ერთი ბარიკადის უკან კი კოცონი ენთო და კაცები კვერცხს წვავდნენ.

ჩემი შაშხანა ისევ წაიღეს და საქმე თითქოს აღარაფერი მქონდა. მე და მეორე ინგლისელმა ისევ «კონტინენტალში» დაბრუნება გადავწყვიტეთ. შორიდან გახშირებული სროლა ისმოდა, ოღონდ, როგორც ჩანდა, არა რამბლასზე. როგორც კი სასტუმროში შევედით, ზურგს უკან შაშხანების გრიალი ატყდა, ფანჯრის მინებმა ზრიალი გაიღო და ხალხიც უკანა გასასვლელებს მიაწყდა. რამდენიმე კიოსკი მაინც ღია იყო, მოვახერხეთ, რომ თითო ფინჯანი ყავა დაგველია და გვეყიდა თხის ყველი, რომელიც ჩემს ყუმბარებთან ჩავტენე. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ყველმა დიდად მასიამოვნა.

იმ ქუჩის კუთხეში, სადაც წინა დღეს შევესწარი ანარქისტების სროლის დასაწყისს, ახლა ბარიკადა აღმართულიყო. უკნიდან (მე ქუჩის მეორე მხარეს ვიყავი) კაცმა დამიძახა, ფრთხილად იყავიო. ეკლესიაში შემალული რაზმელები განურჩევლად ესროდნენ ყველა გამვლელს. შევყოვნდი, მერე კი სირბილით გადავჭერი ღია ადგილი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტყვიამ ჩამიქროლა – უსიამოვნოდ ახლოს. როცა მომპ-ის აღმასრულებელი კომიტეტის შენობას მივუახლოვდი, ასევე გზის მეორე მხარეს მდგარს, ისევ გაისმა შესასვლელში მყოფ შემტევ რაზმელთა გამაფრთხილებელი ყვირილი, რომელიც იმ მომენტში ვერ გავიგონე. ჩემსა და შენობას შორის ხეები და საგაზეთო ჯიხური იდგა (ასეთი ტიპის ქუჩებს ესპანეთში ფართო ზოლად მიუყვება გამწვანება შუა ადგილას) და ვერ დავინახე, რას უმიზნებდნენ. გზა განვაგრძე «კონტინენტალისკენ», დარწმუნებულმა, რომ ყველაფერი კარგად იყო, პირი დავიბანე და მომპ-ის აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში დავბრუნდი შემდგომი მითითებების მისაღებად. სწორედ ამ დროს შაშხანებისა და ტყვიამფრქვევის ისეთი სროლა ატყდა სხვადასხვა მხრიდან, რომ უკვე გაჩაღებული ბრძოლის გრიალს დაემსგავსა. ის იყო, კოპი ვიპოვე და ვკითხე, ახლა რას ვაპირებთ-მეთქი, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო თავზარდამცემი ბათქაბუთქი. ისეთი გამაყრუებელი ჭახანი იდგა, რომ ეჭვი არ შემპარვია – ვიღაც საველე იარაღით გვესროდა. სინამდვილეში, ეს იყო მხოლოდ ხელყუმბარები, რომელთა აფეთქების ხმას ქვის შენობები აორმაგებდა.

კოპმა ფანჯრიდან გაიხედა, თქვა: «წამო, გავარკვიოთ, რა ხდება» და მისთვის ჩვეული

უდარდელი მანერით დაეშვა კიბეზე. უკან გავყევი. შემოსასვლელში მდგარი მოიერიშეები ისე ისროდნენ ბომბებს, თითქოს კეგლს თამაშობდნენ. ნასროლი ხელყუმბარები ოცი იარდის მოშორებდით სკდებოდა ყოვლად შემაძრწუნებელი, ყურის აპკების გამხეთქავი გრუხუნით, რომელსაც შაშხანების ხმაც ერთვოდა. შუა ქუჩაში მდგარი კიოსკის უკნიდან გამოჩნდა – ზუსტად ბაზრის დახლზე დადებული ქოქოსივით – ჩემი ძველი ნაცნობი ამერიკელი მილიციელის თავი. მაშინღა მივხვდი რა ხდებოდა. მომპ-ის გვერდით კაფე იყო, თავზე სასტუმროთი, სახელად «კაფე მოკა». წინა დღეს ოცი თუ ოცდაათი თავდამსხმელთა რაზმელი შევიდა კაფეში, მერე კი, როცა ბრძოლა დაიწყო, უეცრად აიღო შენობა და ბარიკადად აქცია. სავარაუდოა, რომ ჯერ კაფეს დაპყრობა ჰქონდათ ნაბრძანები, რათა მერე იქიდან მომპ-ის შენობებისთვის შეეტიათ. დილაადრიანად გამოსვლა სცადეს. ატყდა ორმხრივი სროლა. შემტევი რაზმიდან ერთი კაცი მძიმედ დაიჭრა, ერთი თავდამსხმელი კი – სასიკვდილოდ. რაზმელები კაფეში შებრუნდნენ, მაგრამ როდესაც ქუჩაში ამერიკელი გამოჩნდა, თანაც უიარაღო, ცეცხლი მაინც გაუხსნეს. იგი კიოსკს ამოეფარა, სამხედროები კი ყუმბარებს ესროდნენ თავდამსხმელებს, ვინძლო უკან, კაფეში შეერეკათ.

კოპი მეყსეულად მიხვდა რა ხდებოდა, გზა გაიკვლია და უკან გამოათრია წითური გერმანელი მოიერიშე, რომელსაც ის იყო კბილებით უნდა ამოეძრო

ხელყუმბარის ხრახნი. ყველას უყვირა, შიგნით შემოდითო, მერე კი რამდენიმე ენაზე აგვიხსნა, რომ სისხლის ღვრას უნდა მოვრიდებოდით. ბოლოს გარეთ გავიდა, მთელი რაზმის დასანახად პისტოლეტი ამოიღო და მიწაზე დადო. იგივე მოიმოქმედა ორმა ესპანელმა მილიციელმა და სამივე ნელა გაემართა კარისკენ, სადაც თავდამსხმელები შეყუჟულიყვნენ. ამას მე ოცი გირვანქის საფასურადაც არ ვიზამდი. ისინი შეუიარაღებელი მიაბიჯებდნენ შიშით ჭკუიდან გადასული და შაშხანებმომარჯვებული ხალხისკენ. ერთი მათგანი – პერანგის ამარა დარჩენილი და ზაფრით გადაფითრებული – გარეთ გამოვიდა კოპთან მოსალაპარაკებლად. თან აფორიაქებულ თვალს არ აცილებდა ქვაფენილზე დადებულ ორ აუფეთქებელ ბომბს. კოპი დაბრუნდა და გვითხრა, სჯობს, ეს ყუმბარები გააუვნებელყოთ, რაკი ყველა გამვლელს საფრთხეს უქმნისო. ერთმა ყუმბარას შაშხანა ესროლა და ააფეთქა, მეორემ – მეორეს და – ააცილა. ვთხოვე, შაშხანა მოეცა. ჩავიჩოქე და მეორე ყუმბარას ვესროლე. მეც ავაცილე, სამწუხაროდ. ეს იყო ჩემი ერთადერთი გასროლა მთელ იმ არეულობებში. ქვაფენილი «კაფე მოკას» შუშის აბრისა და იქვე გაჩერებული ორი მანქანის მინების

ნამსხვრევებს დაეფარა. აქედან ერთი – კოპის ოფიციალური მანქანა – ტყვიებს დაეცხრილა, ორივე მანქანის საქარე მინები კი ყუმბარების ზათქს ჩაემსხვრია.

კოპმა ისევ ზემოთ ამიყვანა და ვითარება ამიხსნა. თუ შეუტევდნენ, მომპ-ის შენობები უნდა დაგვეცვა, მაგრამ, ხელმძღვანელების მითითებით, თავდაცვით პოზიციაზე უნდა ვმდგარიყავით და ცეცხლი არ გაგვეხსნა, მანამ, როდემდეც შევძლებდით. ზუსტად ჩვენ პირდაპირ იდგა კინოთეატრი «პოლიორამა», მეორე სართულზე – მუზეუმი, სულ ზემოთ კი, დანარჩენ სახურავებზე გაცილებით მაღლა, იყო პატარა, ორგუმბათიანი ობსერვატორია. გუმბათები მთელ ქუჩას გადაჰყურებდა და იქ დაყენებულ რამდენიმე გუშაგს შეეძლო აღეკვეთა ნებისმიერი შეტევა მომპ-ის შენობებზე. კინოთეატრზე შეკ-ის წევრები ზრუნავდნენ და ასვლა-ჩამოსვლაში არ დაგვაბრკოლებდნენ. რაც შეეხება თავდამსხმელთა რაზმს, მათთან საქმე არ გართულდებოდა: არც მათ სურდათ ომი, მხოლოდ ის გაუხარდებოდათ, რომ ეცხოვრათ და სხვისთვის მიეცათ ცხოვრების საშუალება. კოპმა გაიმეორა ხელმძღვანელების ინსტრუქცია: ჩვენ უნდა გვესროლა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ გვესროდნენ ან მომპ-ის შენობებს შეუტევდნენ. მივხვდი (თუმცა ეს კოპს არ უთქვამს): მომპ-ის ლიდერები

განრისხებულები იყვნენ, რომ ამ დაპირისპირებაში ჩაგვითრიეს. თუმცა ვიგრძენი, რომ შეკ-ს განსაცდელში არ მიატოვებდნენ.

ობსერვატორიაში უკვე დაეყენებინათ მცველები. მომდევნო სამი დღე-ღამე ჩამოუსვლელად გავატარე «პოლიორამას» სახურავზე, თუ არ ჩავთვლით მოკლე გასხლტომებს სასტუმროში დასანაყრებლად. არავითარი საფრთხე არ დამმუქრებია შიმშილზე და მოწყენილობაზე უარესი, თუმცა ეს პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე აუტანელი აღმოჩნდა მთელ ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, ბევრი

არაფერი შეიძლება იყოს უფრო მეტად დამაავადებელი, უფრო მეტად განმხიბლავი, დაბოლოს – უფრო ნერვებისდამფლეთი, ვიდრე ქუჩის ბრძოლების შავბნელი დღეები.

ვიჯექი სახურავზე და მაოგნებდა ამ ყოველივეს სიგიჟე. ობსერვატორიის პატარა ფანჯრებიდან მრავალი მილის მანძილზე ჩანდა გარემომცველი სივრცე: პერსპექტივაში ჩამწკრივებული მაღალი შენობები, მინის გუმბათები და ფანტასტიკურად დაგრაგნილი სახურავები მწვანედ და სპილენძისფრად მოციმციმე კრამიტით, აღმოსავლეთით კი – მქრქალლურჯად ალივლივებული ზღვა, რომელსაც

პირველად მოვკარი თვალი ესპანეთში ჩამოსვლის შემდეგ. და მთელი ეს მილიონიანი ქალაქი ჩამწყვდეულიყო ერთგვარ ძალმომრეობით ინერციაში, უმოძრაო ხმაურის კოშმარში. მზიან ქუჩებში არავინ ჭაჭანებდა. არაფერი ხდებოდა, გარდა იმისა, რომ ბარიკადებიდან და ქვიშის ტომრებიანი ფანჯრებიდან ტყვიების ნაკადი მიმოჰქროდა. ერთი მანქანაც კი არ მოძრაობდა. აქა-იქ, რამბლასის გაყოლებაზე, გაქვავებული ტრამვაები იდგნენ, რომელთა ვატმანები სროლის ატეხისთანავე ჩამოხტნენ და თავს უშველეს. ტროპიკულ წვიმასავით უწყვეტად ისმოდა მხოლოდ ჯოჯოხეთური გრიალ-გრუხუნი, რომელიც ექოს ექოზე ავრცელებდა ქვის შენობებში. ზოგჯერ ეს რამდენიმე ცალკეულ გასროლაზე ჩამოდიოდა, ზოგჯერ კი გამაყრუებელ ბათქაბუთქამდე ჩქარდებოდა. თუმცა დღის განმავლობაში არასოდეს წყდებოდა და პუნქტუალურად იწყებოდა ყოველ განთიადთან ერთად.

რა ჯანდაბა ხდებოდა, ვინ ვის ებრძოდა და ვინ იმარჯვებდა: თავიდან ეს ძალზე ძნელი გასარკვევი იყო. ბარსელონელები იმდენად მიჩვეულები არიან ქუჩურ შეტაკებებს და იმდენად კარგად იცნობენ ადგილობრივ გეოგრაფიას, რომ თავისებური ინსტინქტით გრძნობენ, რომელი პოლიტიკური პარტია დაეპატრონება ამა თუ იმ ქუჩას, ამა თუ იმ

შენობას. უცხოელი ადამიანი: აი, უიმედო დაბრკოლება! ობსერვატორიიდან ვხედავდი, რომ რამბლასი – ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა – გამყოფ ხაზს ქმნიდა. მარჯვენა მხარეს მუშათა კლასის მყარად ანარქისტული ორიენტაციის კვარტალები იყო, მარცხნივ არეული ბრძოლები მიმდინარეობდა მიხვეულ-მოხვეულ შუკებში, თუმცა კგსპ და თავდამსხმელთა რაზმი მაინც მეტ-ნაკლებად აკონტროლებდა ვითარებას. რამბლასის ამ ბოლოში, სადაც ჩვენ ვიყავით, ანუ პლასა დე კატალუნიას მიდამოებში იმდენად რთული სიტუაცია იყო, რომ ყოვლად გაურკვეველი სურათი იქნებოდა, თითოეულ შენობას თავისი პარტიის დროშა რომ არ აეფრიალებინა. აქ მთავარი ორიენტირი იყო სასტუმრო «კოლონი» და მასში განთავსებული კგსპ-ის შტაბი, რომელიც მთელ პლასას გადმოჰყურებდა. მთელ შენობაზე გადაჭიმული ვეებერთელა წარწერის – «ოტელ კოლონის» ბოლოსწინა «ო»-ს უახლოეს ფანჯარაში ტყვიამფრქვევი იდგა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მთელ მოედანს გააცამტვერებდა. რამბლასზე, ჩვენგან ასი იარდით მარჯვნივ, ასგ-ის – კგსპ-ის ახალგაზრდულ

ლიგას (ინგლისში მას შეესატყვისება ახალგაზრდა კომუნისტების ლიგა) – დაკავებული ჰქონდა დიდი უნივერმაღი, რომლის გვერდითა, ქვიშის ტომრებიანი ფანჯრები ჩვენს ობსერვატორიას უყურებდა. მათ წითელი დროშა

ჩამოეხსნათ და კატალონიის ეროვნული დროშა აღემართათ. ეს დროშა და ანარქისტების დროშა გვერდიგვერდ ფრიალებდა სატელეფონო კვანძზე – მთელი ამ უბედურების საწყის წერტილზე. ერთგვარი დროებითი კომპრომისის შედეგად, კვანძი დაუბრკოლებლად მუშაობდა და მისი შენობიდანაც არავინ ისროდა.

ჩვენს პოსტზე უცნაური მშვიდობა იდგა. თავდამსხმელთა რაზმმა «მოკას» რკინის დარაბები ჩამოაფარა და კაფეს ავეჯით ბარიკადა ააკოკოლავა. მოგვიანებით თორმეტიოდე მათგანი სახურავზე ამოვიდა, ჩვენ მოპირდაპირე მხარეს, კიდევ ერთი ბარიკადა ლეიბებით ააგო, ზედ კი კატალონიის ეროვნული დროშა აღმართა. თუმცა აშკარად ეტყობოდათ, ომის დაწყების არავითარი სურვილი არ ჰქონდათ. კოპი არაორაზროვნად შეუთანხმდა: თუ თქვენ არ გვესვრით, არც ჩვენ გესვრითო. ამასობაში კოპს მოესწრო მათთან დამეგობრება და უკვე რამდენჯერმე ესტუმრა კიდეც «კაფე მოკაში». ბუნებრივია, მათ უკვე გაეძარცვათ ყველაფერი, რაც კაფეში მოიპოვებოდა, და კოპს თხუთმეტი ბოთლი ლუდი უფეშქაშეს. ამის საპასუხოდ, კოპმა ერთ-ერთი ჩვენი შაშხანა აჩუქა იმ შაშხანის სანაცვლოდ, რომელიც იმათ წინა დღეს რაღაცნაირად დაჰკარგვოდათ. ამის მიუხედავად, უცნაური განცდა იყო იმ სახურავზე ჯდომა.

ხანდახან ყელში ამომდიოდა ეს ყველაფერი, აინუნში აღარ ვაგდებდი მთელ იმ ღრიანცელს და საათობით ვკითხულობდი «პენგუინ ლაიბრერის» წიგნებს, რაღაც იღბლად რომ შევიძინე რამდენიმე დღის წინ. ზოგჯერ სავსებით ცნობიერად ვაფიქსირებდი შეიარაღებულ კაცებს, ორმოცდაათიოდე მეტრის მანძილიდან რომ მიყურებდნენ. ეს ყველაფერი ცოტათი ისევ სანგრებში ყოფნას ჰგავდა. რამდენჯერმე დავიჭირე ჩემი თავი იმაში, რომ, ჩვეულების ძალით, «ფაშისტებად» მოვიხსენიე თავდამსხმელთა რაზმი. მთლიანობაში, სახურავზე ექვსნი ვიყავით, თითო კაცი მეთვალყურედ გვეყენა ობსერვატორიის თითო კოშკში, დანარჩენები კი დაბლა ვისხედით, ტყვიის სახურავზე, სადაც არავითარი საფარი არ გვქონდა, ქვის ზღუდის გარდა. მშვენივრად ვიცოდი, რომ თავდამსხმელ რაზმს ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა მიეღო ცეცხლის გახსნის ბრძანება. ისინი დათანხმდნენ, რომ წინდაწინ გაგვაფრთხილებდნენ, სროლას ვიწყებთო, მაგრამ არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ შეთანხმების პირობებს დაიცავდნენ. თუმცა სულ ერთადერთხელ მოხდა, რომ თითქოსდა ბრძოლის დაწყებას აღარაფერი უკლდა. მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთმა თავდამსხმელმა ჩაიჩოქა და ბარიკადის გადაღმიდან სროლა ატეხა. იმ მომენტში ობსერვატორიაში ვმორიგეობდი. შაშხანა მივუშვირე და გავძახე:

– ჰეი! ჩვენ არ გვესროლო!

– რაა?

– ჩვენ არ გვესროლო, თორემ ჩვენც გესვრით!

– არა, არა! თქვენ არ გესვრით. ქვემოთ ჩაიხედე!

შაშხანით მანიშნა დაბლა, გვერდითა ქუჩისკენ, რომელიც ჩვენი შენობის კიდესთან გადიოდა. იქ, კუთხეში, აშკარად მიყუჟულიყო შაშხანიანი და ლურჯუნიფორმიანი ჭაბუკი. ეტყობოდა, წუთის წინ მართლაც ესროლა სახურავზე მყოფ თავდამსხმელს.

– იმას ვესროლე. პირველმა თვითონ მესროლა.

მჯერა, რომ ასე იყო.

– თქვენთან ომი არ გვინდა. ჩვენ მხოლოდ მუშები ვართ, ისევე, როგორც თქვენ, – მითხრა და ანტიფაშისტური სალამი მომცა. მეც იმავეთი დავუბრუნე და გავძახე:

– ლუდი ხომ არ დაგრჩათ?

– არა, დამთავრდა.

იმავე დღეს, ყოვლად გაუგებარი მიზეზით, ახალგაზრდული ლიგის ერთმა წარმომადგენელმა თოფი ასწია და იმ დროს მესროლა, როცა ფანჯრიდან გადავეყუდე. შესაძლოა, ჩემი მხრივ, საცდუნებელი ნიშანი მივეცი. სროლითვე არ მიპასუხია. ის სულ ასიოდე იარდზე იყო, მაგრამ მისი ნასროლი ობსერვატორიის სახურავსაც კი ასცდა. როგორც ყოველთვის, ახლაც მიზანში სროლის ესპანურმა სტანდარტმა მიხსნა. იმ შენობიდან რამდენჯერმე მესროლეს.

ტყვიების ჯოჯოხეთური ზუზუნი არა და არ წყდებოდა. მაგრამ რამდენადაც ვხედავდი და მესმოდა, ბრძოლა ორივე მხრიდან თავდაცვითი იყო. ადამიანები, უბრალოდ, თავ-თავიანთ შენობებში რჩებოდნენ და მათ პირდაპირ მყოფ სხვა ადამიანებს ესროდნენ. ჩვენგან დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე იყო ქუჩა, რომელზეც შეკ-ის და მსკ-ის ოფისები თითქმის ზუსტად ერთმანეთის პირდაპირ იდგა. იმ მხრიდან საშინელი გრიალი მოდიოდა. ბრძოლის დამთავრების დღეს ის ქუჩა გავიარე. მაღაზიების

ვიტრინები საცრებს დამსგავსებოდა (ბარსელონელ მაღაზიის მფლობელთა უმრავლესობას თავ-თავის ვიტრინებზე გადაჯვარედინებული ქაღალდები გაეკრა, რის გამოც ტყვია მთელ მინას ვეღარ ამსხვრევდა). ზოგჯერ შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ხმებს ხელყუმბარების აფეთქების ხმები ერეოდა. შიგადაშიგ კი, ხანგრძლივი ინტერვალებით, ალბათ, სულ თორმეტიოდეჯერ, შემაძრწუნებლად მძიმე გრუხუნი გაისმა, რაც იმხანად ვერ ავხსენი. თვითმფრინავიდან ჩამოგდებული ბომბების ხმას ჰგავდა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჰაერში ერთი თვითმფრინავიც არ ჩანდა. მოგვიანებით მითხრეს (სრულებით შესაძლებელია, რომ ასეც იყო): პროვოკატორი აგენტები დიდძალ დენთს აფეთქებენ, ვინძლო აურზაურმა და

პანიკამ იმატოსო. თუმცა არტილერიის ხმა არ ისმოდა. ვაყურადებდი, რადგან თუ თოფების სროლა გაისმებოდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ საქმე ნამდვილად სერიოზულად არის (არტილერია განმსაზღვრელი ფაქტორია ქუჩის ბრძოლებში). შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდა მაგარი არაკები ქუჩებში მსროლელ საარტილერიო დივიზიებზე. მაგრამ ვერავინ უჩვენებდა კედელს, რომელსაც თოფის ვაზნა ჰქონდა მოხვედრილი. ყველა შემთხვევაში, ვისაც ყური მიჩვეული აქვს, თოფის ხმა სხვა არაფერში აერევა.

თითქმის თავიდანვე გამოილია საკვები. ძნელად და სიბნელის საფარველქვეშ მოჰქონდათ სასტუმრო «ფალკონიდან» მომპ-ის აღმასრულებელ შენობაში მყოფი თხუთმეტი-ოცი მილიციელისთვის (რაკი თავდამსხმელთა რაზმს მუდმივად მიზანში ჰყავდა ამოღებული რამბლასზე გამვლელი ადამიანები). მაგრამ ეს ყველას არ ჰყოფნიდა და ჩვენც – შეძლებისამებრ ბევრნი – «კონტინენტალში» დავდიოდით საუზმე-სადილისთვის. ჟენერალიდადმა ამ სასტუმროს «კოლექტივიზება» მოახდინა და ამიტომაც, სასტუმროების უმრავლესობისგან განსხვავებით, «კონტინენტალი» ნეიტრალურ ტერიტორიად ითვლებოდა. ომის დაწყებისთანავე სასტუმრო პირთამდე გაივსო ყოვლად ნაირ-ნაირი ხალხით. ესენი იყვნენ უცხოელი ჟურნალისტები, ყველა ჯურის პოლიტიკურად საეჭვო ტიპები, ესპანეთის მთავრობის სამსახურში მყოფი ამერიკელი პილოტი, სხვადასხვა კომუნისტური აგენტი, მათ შორის – ერთი მსუქანი, ჟრუანტელისმომგვრელი რუსი (რომელზეც ამბობდნენ გსპმ[25]-ს აგენტიაო და რომელსაც – მეტსახელად ჩარლი ჩანს – ქამარზე რევოლვერი და პატარა, კოხტა ხელყუმბარა ეკიდა); შეძლებული ესპანელი ოჯახები, რომლებიც თითქოს ფაშისტებს თანაუგრძნობდნენ; ორი თუ სამი დაჭრილი კაცი ინტერბრიგადიდან; სატვირთო მანქანების მძღოლების ჯგუფი რომელიღაც დიდი ფრანგული სატვირთო

კომპანიიდან, ამჟამად ფორთოხალი რომ მიჰქონდათ საფრანგეთში და ამ ომში გაიჭედნენ; სახალხო არმიის რამდენიმე ოფიცერი. რაც შეეხება სახალხო არმიას, ის, როგორც ასეთი, ნეიტრალური რჩებოდა, თუმცა რამდენიმე ჯარისკაცი ყაზარმებიდან გაიპარა და ბრძოლაში ინდივიდუალურად ჩაერთო. სამშაბათ დილით თვალი მოვკარი ორ ასეთ ჯარისკაცს მომპ-ის ბარიკადებთან. დასაწყისში, სანამ საკვების მწვავე ნაკლებობა დაიწყებოდა და გაზეთებიც სიძულვილის გაღვივებას შეუდგებოდნენ, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ყველაფრისთვის, როგორც ხუმრობისთვის, ისე შეეხედათ. ხალხი ამბობდა, ასეთი რამ ბარსელონაში ყოველ წელს ხდებაო. ჯორჯე ტიოლი – იტალიელი ჟურნალისტი, ჩვენი დიდი მეგობარი – სასტუმროში სისხლით გაჟღენთილი შარვლით მოვიდა. იმის სანახავად გასულა, გარეთ რა ხდებოდა, და ქვაფენილზე მწოლარე დაჭრილის შეხვევა დაუწყია. ამ დროს ვიღაცას მისთვის «ხუმრობით» უსვრია ხელყუმბარა. საბედნიეროდ, ტიოლი სერიოზულად არ დაჭრილა. მახსოვს, როგორ თქვა: ბარსელონას ქვაფენილის ქვები სათითაოდ უნდა დაინომროს, რადგან ეს დიდძალ შრომას დაზოგავს ბარიკადების აგება-დაშლაშიო. მახსოვს ორი კაცი ინტერბრიგადიდან, ჩემს ნომერში რომ

დამხვდნენ ღამის საგუშაგოდან დაბრუნებულს – დაქანცულს, მშიერსა და ჭუჭყიანს. მათი პოზიცია

სავსებით ნეიტრალური იყო. კარგი პარტიულები რომ ყოფილიყვნენ, ვფიქრობ, შეეცდებოდნენ, თავისკენ გადავებირებინეთ ან საერთოდაც გავებაწრეთ და ბომბები წაერთმიათ, რომლებითაც სავსე მქონდა ჯიბეები. ამის ნაცვლად, თანამიგრძნეს, ჩემს შვებულებას სახურავზე რომ ვატარებდი. ზოგადი მიმართება ასეთი იყო: «ეს მხოლოდ კინკლაობაა ანარქისტებსა და პოლიციას შორის, სხვა არაფერი». შეტაკების მასშტაბისა და დაჭრილ-მოკლულთა რიცხვის მიუხედავად, ეს უფრო ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ოფიციალური ვერსია, რომელიც ამ ბრძოლას წინასწარ დაგეგმილ ბუნტად წარმოგვიდგენდა.

ოთხშაბათი დღე იქნებოდა, 5 მაისი, როცა საგნებს ცვლილება დაეტყო. დალეწილი ქუჩები საშინელი შესახედავი იყო. რამდენიმე გამვლელი, რაღაც იძულებას რომ გაეყვანა შინიდან, ქუჩებში დაიძურწებოდა თეთრი ცხვირსახოცის ქნევით. რამბლასის ერთ-ერთ, ტყვიებისგან დაცულ წერტილში კი კაცები ყვირილით ამცნობდნენ ცარიელ ქუჩებს ახალი გაზეთების გამოსვლას. სამშაბათის ნომერში ანარქისტულმა «სოლიდარიდად ობრერეამ» სატელეფონო კვანძზე იერიში დაახასიათა, როგორც «ჯოჯოხეთური პროვოკაცია» (თუ რაღაც ამდაგვარი). თუმცა ოთხშაბათს სხვანაირად

აჭიკჭიკდა და ხალხს ხვეწნა დაუწყო, სამუშაოზე გამოდითო. ანარქისტი ლიდერები რადიომაუწყებლობის მეშვეობით ამავე მოწოდებით მიმართავდნენ მოსახლეობას. დაახლოებით იმავე დროს, როცა სატელეფონო კვანძზე მოხდა თავდასხმა, მომპ-ის გაზეთ «ლა ბატალას» ოფისში თავდამსხმელთა რაზმი შეუვარდა. მაგრამ გაზეთი დაიბეჭდა და რამდენიმე ეგზემპლარიც გავრცელდა სხვა მისამართიდან. ის ყველას ბარიკადებთან დარჩენას მოუწოდებდა. ადამიანები აზრობრივად გამიჯნულები იყვნენ და აინტერესებდათ, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. არა მგონია, ვინმეს იმ მომენტისთვის ბარიკადა მიეტოვებინოს, თუმცაღა ყველას ყელში ამოსვლოდა უაზრო ბრძოლა, რომელიც ვერაფერს გადაწყვეტდა, რადგან არავის სურდა ამის გადაზრდა სრულმასშტაბიან სამოქალაქო ომში, რომელიც შეიძლებოდა ფრანკოს მოგებით დამთავრებულიყო. ჩემი ყურით მსმენია, როგორ გამოუთქვამს ასეთი შიში ყველა მხარეს. რამდენადაც შეიძლებოდა ხალხის მაშინდელი ლაპარაკიდან დაგესკვნა, შეკ-ის ძირითად ნაწილს ორად ორი რამ სურდა: სატელეფონო კვანძის დაბრუნება და თავდამსხმელთა განიარაღება. თუკი ჯენერალიდადი ამ ორი მოთხოვნის შესრულებას დაჰპირდებოდა, ამასთან ერთად კი – საკვები პროდუქტებით სპეკულაციის შეწყვეტას, მაშინ დიდად საეჭვო აღარ იყო, რომ ბარიკადებს ორიოდე საათში დაშლიდნენ. მაგრამ

ჯენერალიდადი აშკარად არ აპირებდა დანებებას. უსიამოვნო ხმები დადიოდა: თითქოს ვალენსიის ხელისუფლება ექვსიათას კაცს გზავნიდა ბარსელონას ოკუპირებისთვის, მათთან დასაპირისპირებლად კი არაგონის ფრონტი დაეტოვებინა ხუთი ათას ანარქისტსა და მომპ-ის ჯარებს. ამ ხმებიდან მხოლოდ

პირველი შეეფერებოდა სიმართლეს. ობსერვატორიის კოშკიდან ვხედავდით ნავმისადგომთან მოახლოებული სამხედრო გემების ნაცრისფერ სილუეტებს. დუგლას მოილის – უწინდელი მეზღვაურის – თქმით, ეს გემები ბრიტანულ გამანადგურებლებს ჰგავდნენ. ისინი, ფაქტობრივად, მართლაც ბრიტანული გამანადგურებლები აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ.

საღამოს შევიტყვეთ, რომ პლასა დე ესპანიაზე ოთხასი თავდამსხმელი დანებებულა და თავისი იარაღი ანარქისტებისთვის ჩაუბარებია. გარდა ამისა, ბუნდოვნად გამოჟონა ამბავმა, რომ გარეუბნებში (ძირითადად – მუშათა კლასის რაიონებში) სიტუაციას ფლობდა შეკ. ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ჩვენ ვიმარჯვებდით. მაგრამ იმავე საღამოს კოპმა მიმიხმო და სერიოზული სახით მითხრა: ახლახან მიღებული ინფორმაციით, ხელისუფლება მომპ-ის კანონგარეშე შერაცხვას და მისთვის საომარი

მდგომარეობის გამოცხადებას აპირებსო. ამ სიახლემ თავზარი დამცა. პირველად გამიელვა იმ ინტერპრეტაციამ, რომელიც მოგვიანებით უნდა მისცემოდა ამ ბრძოლას. ბუნდოვნად ვიგრძენი, რომ როცა ყველაფერი დამთავრდებოდა, მთელი ბრალეულობა დაეკისრებოდა მომპ-ს – ყველაზე სუსტ პარტიას და, სწორედ ამის გამო, ყველაზე მეტად შესაფერისს განტევების ვაცის როლისთვის. ამასობაში ჩვენი ლოკალური ნეიტრალიტეტიც მთავრდებოდა. თუკი მთავრობა ომს გვიცხადებდა, მაშინ სხვა გზა აღარ გვრჩებოდა, თავდაცვის გარდა, და აქ, აღმასრულებელ შენობაში მყოფებს შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ თავდამსხმელთა რაზმს ჩვენზე იერიშის მოტანას უბრძანებდნენ. ერთადერთ შანსად გვრჩებოდა, რომ პირველებს შეგვეტია. თავის მხრივ, კოპიც ტელეფონით მოსულ ბრძანებებს ელოდა. თუ არაორაზროვნად შევიტყვეთ, რომ მომპ კანონგარეშედ გამოცხადდა, მაშინ უნდა მოვმზადებულიყავით კიდევაც «კაფე მოკას» ასაღებად.

მახსოვს გრძელი, კოშმარული საღამო, რომელმაც ჩვენი შენობის გამაგრებაში ჩაიარა. რკინის დარაბები წინა შემოსასვლელზე დავუშვით და მათ უკან ბარიკადა ავაგეთ იმ ქვის ფილებით, მუშებს რომ დაეტოვებინათ აქაური სამუშაოების შემდეგ. შევამოწმეთ

იარაღის რესურსი. «პოლიორამას» სახურავზე დატოვებული ექვსი შაშხანის ჩათვლით, სულ ოცდაერთი შაშხანა გვქონდა, აქედან ერთი – დეფექტური, თითო შაშხანაზე ორმოცდაათამდე ვაზნა და რამდენიმე ათეული ხელყუმბარა. სხვა არაფერი, რამდენიმე პისტოლეტისა და რევოლვერის გარდა. თორმეტამდე კაცმა, ძირითადად გერმანელებმა, «კაფე მოკაზე» შეტევის სურვილი გამოთქვეს, თუკი ეს შეტევა საერთოდ შედგებოდა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ სახურავიდან უნდა შეგვეტია რომელიღაც მომენტში და მტერი მოულოდნელი იერიშით დაგვემარცხებინა. ისინი უფრო ბევრნი იყვნენ, მაგრამ ჩვენი მორალი მათსას აღემატებოდა და ობიექტს უეჭველად ავიღებდით, თუმცა ადამიანთა მოკვლას ვერ ავცდებოდით. შენობაში არავითარი საკვები არ გვქონდა, რამდენიმე ფილა

შოკოლადის გარდა. გავრცელდა ხმები, რომ «ისინი» წყლის გადაკეტვასაც გვიპირებდნენ. არავინ იცოდა, ვინ იყვნენ «ისინი»: შესაძლოა ხელისუფლება, რომელიც წყლის სამუშაოებს აკონტროლებდა, ან შეკ, – ეს არავინ უწყოდა). დიდი დრო დავხარჯეთ იმაში, რომ ტუალეტებში წყლით გავავსეთ ყველა აბაზანა, თითოეული ვედრო, რომელზეც ხელი მიგვიწვდებოდა, და ბოლოს – ლუდის ამჟამად ცარიელი თხუთმეტივე ბოთლი, თავდამსხმელებმა რომ აჩუქეს კოპს.

საშინელ განწყობაზე და ილაჯგაწყვეტილი ვიყავი იმის გამო, რიგიანი ძილი რომ არ მეღირსა ბოლო სამოცი საათის განმავლობაში. ახლა გვიანი ღამე იდგა. ჩვენებს ქვემოთ ეძინათ, ბარიკადის უკან იატაკზე დაყრილებს. მაღლა ერთი პატარა ოთახი იყო, ოთახში – დივანი, რომელსაც გადასახვევ პუნქტად გამოყენებას ვუპირებდით. თუმცა თქმაც აღარ სჭირდება, რომ შენობაში ვერც იოდი ვიპოვეთ და ვერ დოლბანდი. სასტუმროდან ჩემი ცოლი მოვიდა იმ შემთხვევისთვის, თუ ექთანი დაგვჭირდებოდა. დივანზე მივწექი ნახევარსაათიანი ძილისთვის «მოკაზე» შეტევის წინ, რომელშიც ალბათ მომკლავდნენ. მახსოვს აუტანელი დისკომფორტი – ქამარზე მიმაგრებული პისტოლეტით გამოწვეული ჩხვლეტა წელის არეში. მომდევნო, რაც მახსოვს, ის იყო, რომ ბიძგით გამეღვიძა. დივანთან ჩემი ცოლი იდგა, ირგვლივ კი – სრული დღის სინათლე. არაფერი არ მომხდარიყო. არც მთავრობას გამოეცხადებინა ომი მომპ-ისთვის და არც წყალი გადაეკეტათ. ქუჩებში მიმდინარე კანტიკუნტი სროლების გარდა, სხვა ყველაფერი ნორმაში იყო. ცოლმა მითხრა: ისე გეძინა, ვერ გაგაღვიძებდიო. თვითონ სავარძელში სძინებოდა ერთ-ერთ წინა ოთახში.

იმ ნაშუადღევს თითქოს საომარი მოქმედებები შეწყდა. სროლა მიჩუმდა და ქუჩებიც

მოულოდნელი სისწრაფით გაივსო ხალხით. რამდენიმე მაღაზიამ დარაბების აწევაც დაიწყო, ბაზარი კი საკვების მთხოვნელთა ვეებერთელა გროვამ დატბორა, თუმცა დახლებზე თითქმის არაფერი იდო. მაგრამ თვალში საცემი ის იყო, რომ ტრამვაებს მოძრაობა ჯერ არ დაეწყოთ. თავდამსხმელთა რაზმი ისევ თავისი ბარიკადების უკან შეყუჟულიყო «მოკაში», რომლის ორივე მხარეს გამაგრებულ-ევაკუირებული შენობები იდგა. ყველა მიმორბოდა და საკვების შოვნას ცდილობდა. ყველგან ერთი და იგივე კითხვა ისმოდა: «როგორ ფიქრობ, დამთავრდა თუ არა ეს? ისევ დაიწყება თუ არა?» «ამას», ანუ საომარ მოქმედებებს, ამჟამად ისე უყურებდნენ, როგორც სტიქიურ უბედურებას, ქარიშხალს ან მიწისძვრას, რომელიც ყველას გვატყდებოდა თავს და რომელსაც ვერანაირად ვერ შევაჩერებდით. და მალე, თითქმის მაშინვე (ვფიქრობ, რამდენიმესაათიანი სიმშვიდის შემდეგ, თუმცა ეს საათები წუთებად აღიქმებოდა), უცაბედად იფეთქა შაშხანების ცეცხლმა, როგორც თავსხმამ ივნისის ღრუბლებიდან, და ყველა მეყსეულად გააქც-გამოაქცია. რკინის დარაბები ისევ ჟღრიალით დაიკეტა, ქუჩები ისე დაცარიელდა, თითქოს

ჯადოსნური ჯოხი აუქნიესო, ყველა თავ-თავის ბარიკადაზე დაბრუნდა და «ეს» ისევ დაიწყო.

ინტენსიური ზიზღისა და სიშმაგის გრძნობით ატანილი, ჩემს პოსტს დავუბრუნდი სახურავზე. როდესაც ასეთ მოვლენებში მონაწილეობ, მაშინ გარკვეულწილად ქმნი ისტორიას და თავს კანონიერად უნდა გრძნობდე ისტორიულ პირად. არადა, ეს გრძნობა არასოდეს გიჩნდება, რადგან ასეთ დროს ფიზიკური დეტალები სხვა ყველაფერს გადაწონის. მთელი ამ შეტაკების განმავლობაში არასოდეს გამიკეთებია სიტუაციის სწორი «ანალიზი», ასე ენამჭევრად რომ აკეთებდნენ ჟურნალისტები ბარსელონადან ასობით მილის დაშორებით. ძირითადად ვფიქრობდი არა ამ საბრალო შინაომის ცუდ-კარგზე, არამედ, უბრალოდ, აუტანელ სახურავზე დილიდან დილამდე ჯდომით გამოწვეულ დისკომფორტსა და გულისგაწყალებაზე, ამასთან ერთად კი – უფრო და უფრო გამწვავებულ შიმშილზე, რაკი, ორშაბათიდან მოყოლებული, არც ერთ ჩვენგანს არ უჭამია რიგიანად. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ როგორც კი ეს შეჯახება დამთავრდებოდა, ისევ ფრონტზე დავბრუნდებოდი. ამ ამბავს ჭკუიდან გადავყავდი. ას თხუთმეტი დღე გავატარე ფრონტზე, რის შემდეგაც ბარსელონაში ჩამოვედი ცოტაოდენ დასვენებასა და კომფორტს მოწყურებული. ამის სანაცვლოდ კი მომიწია სახურავზე ჯდომამ თავდამსხმელთა რაზმის მოპირდაპირე მხარეს, რაზმისა, რომლის წევრებსაც ჩემსავით ყელში ამოსვლოდათ ეს ყველაფერი და

რომლებიც დროდადრო ხელს მიქნევდნენ და მარწმუნებდნენ, «მუშები» ვართო (რაშიც გულისხმობდნენ იმედს, რომ მე არ ვესროდი), მაგრამ რომლებიც უთუოდ გაგვიხსნიდნენ ცეცხლს, თუ შესაბამის ბრძანებას მიიღებდნენ. არა, არ იგრძნობოდა, რომ ეს იყო ისტორია. უფრო მაგონებდა ფრონტზე ყოფნის ცუდ პერიოდს, როდესაც ხალხი არ გვყოფნიდა და საგუშაგოზე არანორმალური რეჟიმით უნდა ვმდგარიყავით. ნაცვლად იმისა, რომ გმირულად გემოქმედა, უნდა დარჩენილიყავი შენს პოსტზე, უძილობისგან არაქათგამოცლილი და სრულებით ინტერესდაკარგული ყოველივეს მიმართ, რაც ხდებოდა.

სასტუმროს მრავალფეროვან ბრბოში, რომლის უმრავლესობა ცხვირის გაყოფასაც ვერ ბედავდა გარეთ, ეჭვის საზარელმა ატმოსფერომ დაისადგურა. ჯაშუშობის მანიით მოწამლული ზოგიერთი ადამიანი დადიოდა და ჩურჩულებდა, ყველა აქაური მკვიდრი კომუნისტების, ტროცკისტების, ანარქისტების და სხვა ასეთების ჯაშუშიაო. მსუქანი რუსი აგენტი ყველა უცხოელ ლტოლვილს სათითაოდ იმარტოხელებდა და გულითადი იერით უხსნიდა, ეს ყველაფერი ანარქისტების დაგეგმილიაო. გარკვეული ინტერესით ვუთვალთვალებდი ამ კაცს, რადგან პირველად ვხედავდი ადამიანს (თუ

ჟურნალისტებს არ ჩავთვლით), რომელსაც პროფესიად ამოერჩია ტყუილების თქმა. იყო რაღაც ამაზრზენი ფეშენებელური სასტუმროს ცხოვრების ამ პაროდიაში, რომელიც მაინც გრძელდებოდა დამსხვრეული ვიტრინებისა და შაშხანების გრიალის ფონზე. წინა სასადილო ოთახი მიატოვეს მას შემდეგ, რაც

ფანჯრიდან შემოვარდნილმა ტყვიამ ქვის სვეტი «აქერცლა». სტუმრები შენობის უკანა მხარეს შეიყუჟნენ, ბინდბუნდიან ოთახში, სადაც არასოდეს ჰყოფნიდათ მაგიდები. ოფიციანტების რიცხვი შემცირდა (ზოგი მათგანი შეკ-ის წევრი იყო და საერთო ბრძოლას შეუერთდა), დარჩენილებმა კი თავიანთი გამოხარშული პერანგები გაიხადეს. თუმცა კერძები მაინც ცერემონიული აპლომბით მოჰქონდათ. არადა, პრაქტიკულად, არაფერი იყო საჭმელი. იმ ხუთშაბათ საღამოს მთავარ კერძს წარმოდგენდა თითო სარდინი თითო ადამიანზე. უკანასკნელად პური რამდენიმე დღის წინ ვჭამეთ და თვით ღვინომაც კი იმდენად იკლო, რომ სულ უფრო ძველ და უფრო ძვირად ღირებულ ღვინოებს ვსვამდით. საკვების დეფიციტი ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა კიდევ რამდენიმე დღეს. მახსოვს, მე და ჩემმა ცოლმა სამ დღეს ზედიზედ ვისაუზმეთ თხის ყველის პატარა ნაჭრით, რომელსაც არც პური ახლდა და არც რამე დასალევი. ერთადერთი, რაც ყოველთვის უხვად გვქონდა, ფორთოხალი იყო. ფრანგ მძღოლებს უამრავი

ფორთოხალი მოჰქონდათ სასტუმროში. კაცების ამ შეკრულ გუნდს თან ახლდნენ ფერხორციანი ესპანელი გოგონები და ერთი ზორბა, შავბლუზიანი მებარგული. ნებისმიერ სხვა დროს ტანმორჩილი სნობი – სასტუმროს მენეჯერი – ყველაფერს იზამდა იმისთვის, რომ ამ ხალხს თავი უხერხულად და არაკომფორტულად ეგრძნო, არსებითად – უარსაც კი ეტყოდა დაბინავებაზე. მაგრამ ამჟამად ისინი პოპულარობით სარგებლობდნენ, რადგანაც, ყველა ჩვენგანისაგან განსხვავებით, მათ საკუთარი პურის მაღაზია ჰქონდათ და, შესაბამისად, ყველა ცოტაოდენ პურს მათხოვრობდა მათგან.

ის ბოლო ღამე სახურავზე გავატარე. მეორე დღეს კი ნამდვილად ისე გამოიყურებოდა ყველაფერი, თითქოს ბრძოლა მართლაცდა მთავრდებოდა. არა მგონია, იმ დღეს – პარასკევს – მაინცდამაინც ბევრი გაესროლოს ვისმე. არავინ იცოდა დანამდვილებით, მოდიოდნენ თუ არა ჯარები ვალენსიიდან. არადა, სწორედ იმ საღამოს ჩამოვიდნენ. ხელისუფლება ნახევრად დამამშვიდებელ, მუქარანარევ შეტყობინებებს ავრცელებდა, ყველას შინ წასვლას სთხოვდა და ამბობდა, გარკვეული დროის შემდეგ ვისაც იარაღიანს ვნახავთ, დავაპატიმრებთო. სამთავრობო გადაცემებს დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, თუმცა ადამიანები უკვე ყველგან ტოვებდნენ ბარიკადებს და შინ

ბრუნდებოდნენ. ეჭვი არ მეპარება, რომ ახლა ყველაფერზე მთავარი საკვების დეფიციტი იყო. ყოველი მხრიდან ერთი და იგივე სიტყვები გესმოდა: «საჭმელი აღარ გვაქვს, სამუშაოს უნდა დავუბრუნდეთ». მეორე მხრივ, თავდასხმელთა ჯგუფს, რომელსაც თავისი რაციონის იმედი ჰქონდა, სანამ ქალაქში საკვები იშოვებოდა, შეეძლო თავისი საგუშაგო არ მიეტოვებინა. შუადღისათვის ქუჩებს თითქმის ნორმალური იერი დაუბრუნდა, თუმცა დაცარიელებული ბარიკადები ისევ ისე იდგა. რამბლასზე უამრავი ხალხი ირეოდა, თითქმის ყველა მაღაზია გაეღოთ და, რაც ყველაზე გამამხნევებელი იყო, აქამდე გაქვავებული ტრამვაები ნჯღრევა-ნჯღრევით დაიძრნენ და ლიანდაგებზე გასრიალდნენ.

თავდამსხმელთა რაზმი ისევ «კაფე მოკაში» იყო და არც ბარიკადები მოეხსნა, თუმცა ზოგ რაზმელს სკამი გამოეტანა, ტროტუარზე დაედგა, ზედ დამჯდარიყო და შაშხანა მუხლებზე დაედო. ტროტუარზე მიმავალმა ერთ-ერთს თვალი ჩავუკარი და არც მისგან მიმიღია არამეგობრული ღიმილი. მიცნო, რასაკვირველია. სატელეფონო კვანძიდან ანარქისტების დროშა ჩამოეხსნათ და მხოლოდ კატალონიის დროშა ფრიალებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მუშები საბოლოოდ დამარცხდნენ. მივხვდი (თუმცა – ჩემი პოლიტიკური უმეცრების გამო – არცთუ ისე ნათლად): როცა ხელისუფლება უფრო მყარად იგრძნობდა თავს, რეპრესიებიც არ

დაახანებდა. თუმცა საგანთა ეს მხარე არ მაინტერესებდა. ღრმა შვებას მხოლოდ იმის გამო ვგრძნობდი, რომ სროლის ჯოჯოხეთური გრიალი დამთავრდა და საკვების შოვნა შეიძლებოდა, ისევე, როგორც ცოტა მოსვენება და მშვიდობა, სანამ ფრონტს დავუბრუნდებოდი.

გვიანი ღამე იქნებოდა, როცა ბარსელონას ქუჩებში ვალენსიიდან ჩამოსული ჯარები გამოჩნდნენ. ეს თავდამსხმელთა რაზმები იყო, ანუ აქაური რაზმების მსგავსი სხვა ფორმირებები, საძულველი სამოქალაქო რაზმები და კარაბინერები (ანუ, თავდაპირველად, პოლიციური სამსახურისთვის შექმნილი ფორმირება) და რესპუბლიკის რჩეული ჯარები. თითქოს მიწიდან ამოვიდნენ სრულებით მოულოდნელად. ქუჩებში ყველგან ხედავდი მათ ათკაციან პატრულებს: ნაცრისფერ ან ლურჯ უნიფორმიან მაღალ ჯარისკაცებს მხარზე გადაკიდებული გრძელი შაშხანებით, თითო ჯგუფზე – თითო თოფ-ავტომატით.

ამასობაში დელიკატური საქმე გამოგვიჩნდა. ის ექვსი შაშხანა, ობსერვატორიის კოშკებში რომ ვიყენებდით, იქვე ეწყო და რაღაცნაირად უნდა დაგვებრუნებინა მომპ-ის

შენობაში. მთავარი პრობლემა ქუჩაზე გადატანა იყო. ეს შაშხანები შენობის რეგულარული შეიარაღების ნაწილს შეადგენდა, მაგრამ მათი გამოჩენა ქუჩაში ხელისუფლების ბრძანების დარღვევას უდრიდა და ვინმეს რომ მოვეხელთებინეთ შაშხანებით ხელში, ციხე არ აგვცდებოდა. მეტიც: შაშხანების კონფისკაციას მოახდენდნენ და მომპ-ის შენობაში არსებული ოცდაერთი შაშხანიდან ექვსის დაკარგვას ნამდვილად ვერ დავუშვებდით. საუკეთესო გზის მოძებნასთან დაკავშირებული ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მე და წითურთმიანი ესპანელი ბიჭი შაშხანების გამოტანას შევუდექით. ვალენსიელ თავდამსხმელთა პატრულის გვერდის ავლა ადვილი საქმე იყო, საფრთხეს «მოკაში» მყოფი ადგილობრივი თავდამსხმელები შეადგენდნენ. მშვენივრად იცოდნენ, რომ ობსერვატორიაში შაშხანები გვქონდა, და შეეძლოთ დავებეზღებინეთ, თუ ხელში ატატებული იარაღით დაგვინახავდნენ. ორივემ ნაწილობრივ გავიხადეთ სამოსი და თითო შაშხანა მარცხენა მკლავზე გადავიკიდეთ, კონდახი იღლიის ქვეშ მოვიქციეთ, ლულა – შარვლის ტოტში. საუბედუროდ, ეს შაშხანები გრძელი მაუზერები იყო. თვით ჩემსიმაღლე კაციც კი ვერ ჩაიყოფს მაუზერის ლულას შარვლის ტოტში დისკომფორტის გარეშე.

აუტანელი იყო ობსერვატორიის სპირალურ კიბეზე ჩამოსვლა სრულებით გაშეშებული მარცხენა

ფეხით. ქუჩაში გასულებმა აღმოვაჩინეთ: მოძრაობის ერთადერთი გზა უკიდურესად ნელი მოძრაობაა, იმდენად ნელი, რომ მუხლების მოხრა არ დაგვჭირდეს. კინოთეატრთან დავინახე ადამიანები, რომლებიც დიდი ინტერესით მიყურებდნენ კუს ნაბიჯებით მიმავალს. ხშირად მიფიქრია: «ნეტავ რა იფიქრეს – რა სჭირსო?» ალბათ ის, რომ ომში დავიჭერი. ასე იყო თუ ისე, ყველა შაშხანამ ინციდენტის გარეშე გადაინაცვლა ქუჩის მეორე მხარეს.

მომდევნო დღეს ვალენსიელი თავდამსხმელები ყველგან იყვნენ. დამპყრობლებივით დაიარებოდნენ ქუჩებში. ხელისუფლება უდავოდ ძალის დემონსტრირებას ახდენდა, რათა შიშნეული მოწიწება ჩაენერგა მოსახლეობაში, რომელიც უამისოდაც აღარ გაუწევდა წინააღმდეგობას. ნამდვილად რომ ეარსება ახალი ჯანყის საშიშროებას, ვალენსიელ თავდამსხმელთა რაზმებს ყაზარმებში იყოლიებდნენ და ასეთ პატარ-პატარა ჯგუფებად არ დაქსაქსავდნენ ქუჩებში. ბრწყინვალე ჯარები იყო, თითქმის საუკეთესო მათ შორის, რაც ესპანეთში მინახავს. და, მართალია, გარკვეული აზრით ისინი «მტერს» წარმოადგენდნენ, მაინც არ შემეძლო მოწონებით არ მედევნებინა თვალი მათთვის. ერთგვარი განცვიფრებით ვუმზერდი ქუჩებში მოსეირნეებს.

მიჩვეული ვიყავი არაგონის ფრონტის აბრანძულ, თითქმის შეუიარაღებელ მილიციას და არც კი ვიცოდი, რომ რესპუბლიკას ასეთი ჯარები ჰყავდა. არა, მათი ფიზიკური იერი არ მატყვევებდა, ყველაზე მეტად მათმა იარაღმა გამაოგნა. ყველანი აღჭურვილები იყვნენ ახალთახალი შაშხანებით, რომლებიც «რუსული შაშხანის» სახელით იყო ცნობილი (ეს იარაღი ესპანეთს საბჭოთა კავშირმა გამოუგზავნა, თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ ამერიკაში დამზადდა). ერთი შაშხანა დავათვალიერე. სრულყოფილებისგან შორს იდგა, მაგრამ გაცილებით სჯობდა იმ ძველ, საშინელ მუშკეტებს, ფრონტზე რომ ვიყენებდით. ვალენსიელ მოიერიშეთა რაზმებს ყოველ ათ კაცზე ერთი თოფ-ავტომატი ჰქონდათ, ავტომატური პისტოლეტი კი – სათითაოდ ყველას. ფრონტზე ჩვენ ერთ ტყვიამფრქვევს ვფლობდით დაახლოებით ორმოცდაათ კაცზე, ხოლო რაც შეეხება პისტოლეტებს და რევოლვერებს, მათ არალეგალურად თუ იშოვიდი. ფაქტობრივად, – თუმცა ახლა პირველად შევამჩნიე, – ყველგან იგივე სურათი იყო. არცთუ ფრონტისათვის განკუთვნილ თავდამსხმელთა რაზმებსა და კარაბინერებს ჩვენზე უკეთესი იარაღი ჰქონდათ და გაცილებით უკეთესი სამოსი. ვგონებ, ასეა ყველა ომში, ყველგან იგივე კონტრასტია ზურგში დარჩენილ, გაწკიპინებულ პოლიციელებსა და ფრონტზე გაშვებულ ჩამოფლეთილ ჯარისკაცებს

შორის. მთლიანობაში, ერთი-ორი დღის შემდეგ, ვალენსიელთა რაზმები მშვენივრად შეეთავსნენ ბარსელონას მოსახლეობას. პირველ დღეს მოხდა გარკვეული უსიამოვნებები, რადგან ზოგიერთი ვალენსიელი (ვფიქრობ, წინასწარი დავალებით) პროვოკაციულად მოიქცა. გუნდურად ადიოდნენ

ტრამვაიში, მგზავრებს ამოწმებდნენ და თუ რომელიმეს შეკ-ის საწევრო ბილეთს უპოვიდნენ, ხევდნენ და ფეხით თელავდნენ. ამას მოჰყვებოდა ხოლმე ჩხუბი შეიარაღებულ ანარქისტებთან, რამაც ერთი-ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა, სულ მალე, ვალენსიელმა თავდამსხმელებმა დამპყრობლური იერი მოიშორეს და ურთიერთობებიც უფრო მეგობრული გახდა. ისიც გამოჩნდა, რომ ერთი-ორი დღის შემდეგ მათმა უმრავლესობამ თავ-თავისი გოგონა გაიჩინა.

ბარსელონას ომმა ვალენსიის ხელისუფლებას მისცა დიდი ხნის სასურველი საბაბი – უფრო სრულად ეკონტროლებინა კატალონია. მუშათა მილიციები უნდა დაშლილიყო და სახალხო არმიას შერეოდა. პირველად ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ, ესპანეთის რესპუბლიკის დროშა მთელ ბარსელონაზე ფრიალებდა, ფაშისტების სანგრების გარდა[26]. მუშათა კლასის კვარტალებში ბარიკადები დაშალეს, ოღონდ – ნაწილობრივ,

რადგან გაცილებით უფრო იოლია ბარიკადის აგება აყრილი ქვაფენილით, ვიდრე იმ ქვების ჩაბრუნება თავ-თავის ადგილზე. კგსპ-ის შენობებთან ბარიკადები ოფიციალურად დაუშვეს და, მართლაც, ბევრი მათგანი ივნისამდეც კი დარჩა. მოიერიშეთა რაზმებს ჯერ კიდევ ეკავათ სტრატეგიული წერტილები. შეკ-ის ფორტიფიკაციებიდან დიდძალი იარაღი ამოიღეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი იარაღი გადაურჩა ამ კონფისკაციას. «ლა ბატალა» ჯერ კიდევ იბეჭდებოდა, თუმცა – ცენზურით, მანამდე, სანამ პირველი გვერდი მთლიანად ცარიელი არ გამოვიდა. კგსპ-ის ცენზურაგაუვლელი გაზეთები ბეჭდავდნენ ამგზნებ წერილებს, რომლებიც მომპ-ის გაუქმებას ითხოვდნენ. ეს უკანასკნელი შენიღბულ ფაშისტურ ორგანიზაციად ცხადდებოდა. კგსპ-ს აგენტები მთელ ქალაქში ავრცელებდნენ კარიკატურას – მომპ-ის სახებას, რომელსაც ეხდებოდა ნამგლით და უროთი აღბეჭდილი ნიღაბი და მის ქვეშიდან ჩნდებოდა საზიზღარი, მანიაკური, სვასტიკიანი სახე. ეს თვალნათლივ განასახიერებდა ბარსელონას ომის ოფიციალურ ვერსიას: «მეხუთე კოლონის» ფაშისტურ ამბოხს, ცალსახად მომპ-ის ჩაფიქრებულსა და დაგეგმილს.

ახლა, როდესაც ბრძოლა დამთავრდა, სასტუმროში ეჭვისა და მტრობის შემაძრწუნებელმა ატმოსფერომ იმატა. ყოველმხრივ გადმოფრქვეული ბრალდებების წინაშე შეუძლებელი იყო ნეიტრალურ პოზიციაზე დარჩენა. ფოსტები ისევ ამუშავდა და უკვე დაიწყო შემოსვლა უცხოურმა კომუნისტურმა პრესამ, სადაც დაბეჭდილი ანგარიშები არა მხოლოდ ღრმად პარტიზანული იყო, არამედ, რაღა თქმა უნდა, ყოვლად უწესრიგოც ფაქტების გადმოცემაში. ვფიქრობ მოვლენების თვითმხილველ ზოგიერთ კომუნისტზე, რომლებიც შეაშინა ამ მოვლენათა მიმდინარე ინტერპრეტაციამ, მაგრამ რომლებიც, ბუნებრივია, მტკიცედ უნდა დარჩენილიყვნენ თავის პოზიციაზე. ჩვენი კომუნისტი მეგობარი კიდევ ერთხელ მომიახლოვდა და მკითხა, ინტერბრიგადაში ხომ არ გადმოხვალო.

გამიკვირდა:

– თქვენი გაზეთები მე ფაშისტს მიწოდებენ. ამიტომაც – მომპ-იდან წამოსული – პოლიტიკურად საეჭვო უნდა ვიყო.

– ოჰ, ეგ უმნიშვნელოა. ყოველივეს შემდეგ, შენ მხოლოდ ბრძანებებს ემორჩილებოდი.

ვალდებული ვიყავი, ამეხსნა, რომ ამ ყოველივეს შემდეგ ვეღარ შევუერთდებოდი კომუნისტების ხელმძღვანელობით მართულ რომელიმე დაჯგუფებას. რადგან ადრე თუ გვიან ესპანური მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ გამომიყენებდნენ. ვერავინ იტყოდა, როდის განახლდებოდა ეს დაპირისპირება, და თუ საერთოდ უნდა ამეღო ხელში შაშხანა, მაშინ მერჩივნა, რომ მუშათა Aკლასისთვის მებრძოლა და არა მის საწინააღმდეგოდ. ამაზე კომუნისტ მეგობარს ერთობ მოკრძალებული რეაქცია ჰქონდა. მაგრამ ამიერიდან მთელი ატმოსფერო შეიცვალა. უწინდებურად ვეღარ «შეთანხმდებოდი იმაზე, რომ განსხვავებულები იყავით» და ვეღარ დალევდი იმ კაცთან, რომელიც შენს პოლიტიკურ ოპონენტად მოიაზრებოდა. სასტუმროს ჰოლში აუტანელი კამათი იმართებოდა. ამასობაში ციხეები გაივსო და გადაივსო. ბრძოლის დამთავრების შემდეგ ანარქისტებმა, რა თქმა უნდა, თავიანთი პატიმრები გაათავისუფლეს, მაგრამ არა თავდამსხმელებმა, რომლებმაც ეჭვმიტანილთა უმრავლესობა გაუსამართლებლად ჩაყარეს ციხეებში, ბევრ შემთხვევაში – რამდენიმე თვით. როგორც წესი, ადამიანებს პოლიციის უხეში შეცდომების გამო აპატიმრებდნენ. უფრო ადრე ვთქვი: დუგლას თომპსონი აპრილის დასაწყისში დაიჭრა-მეთქი. შემდეგ მისი ასავალ-დასავალი დავკარგეთ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ადამიანის

დაჭრის შემთხვევაში, რადგან ასეთები ხშირად გადაჰყავდათ ერთი საავადმყოფოდან მეორეში. თავიდან ის ტარაგონას საავადმყოფოში იწვა, მერე კი, სწორედ შეტაკების დაწყების მომენტში, ბარსელონაში გადმოიყვანეს. სამშაბათ დილით დუგლასს ქუჩაში შევხვდი. გვარიანად გაოგნებული იყო ირგვლივ ამტყდარი ჭახაჭუხით. მანაც იგივე იკითხა, რასაც ყველანი კითხულობდნენ:

– რა ჯანდაბა ხდება?

შეძლებისამებრ ავუხსენი. თომპსონმა სწრაფად დამიბრუნა:

– უნდა გავეცალო აქაურობას. ჭრილობა ჯერ კიდევ ცუდად მაქვს. სასტუმროში დავბრუნდები და იქ ვიქნები.

ასეც მოიქცა, მაგრამ, საუბედუროდ (რაოდენ მნიშვნელოვანია ადგილობრივი გეოგრაფიის ცოდნა ქუჩური შეტაკებების დროს!), მისი სასტუმრო ქალაქის იმ ნაწილში აღმოჩნდა, რომელსაც მოიერიშე რაზმები აკონტროლებდნენ. იქაურობას თავს დაესხნენ, თომპსონი დააპატიმრეს, საკანში ჩააგდეს და იქ რვა დღე ამყოფეს იმდენ

ადამიანთან ერთად, რომ იატაკზე დასაწოლი ადგილიც კი არ იყო. ბევრი ასეთი შემთხვევა მოხდა. მრავალ უცხოელს, რომლებსაც საეჭვო პოლიტიკური ჩანაწერები ჰქონდათ და საცხოვრებელ ადგილებს იცვლიდნენ, პოლიცია კვალში ედგა და ისინიც ერთთავად დაბეზღების შიშს აეტანა. ყველაზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ იტალიელები და გერმანელები, რომლებსაც არავითარი პასპორტი არ ჰქონდათ და რომლებსაც თავ-თავიანთ სამშობლოშიც ეძებდნენ. ესპანეთში დაჭერილები, ექვემდებარებოდნენ დეპორტირებას საფრანგეთში, საიდანაც მათ უკვე იტალიაში ან გერმანიაში გადაგზავნიდნენ, სადაც ღმერთმა უწყის, თუ რა საშინელებები ელოდათ. ერთი-ორი უცხოელი ქალი სიტუაციიდან იოლად გამოძვრა ესპანელზე ფიქტიური დაქორწინებით. ერთმა გერმანელმა ქალიშვილმა, რომელსაც არავითარი საბუთი არ ჰქონდა, პოლიცია იმით გააცუცურაკა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში მავანი კაცის საყვარლის როლი ითამაშა. მახსოვს ამ საბრალოს სახეზე აღბეჭდილი სირცხვილი და უბედურება, როცა შემთხვევით შევეჩეხე იმ კაცის საწოლი ოთახიდან გამოსვლისას. რა თქმა უნდა, ის მისი საყვარელი არ იყო, მაგრამ იფიქრა, რომ მე ასე მივიჩნევდი. მთელ იმ პერიოდში არ გშორდებოდა სამაგელი განცდა, რომ ვინმეს – აქამდე შენს მეგობარს – შეიძლებოდა საიდუმლო პოლიციაში დაებეზღებინე.

ბრძოლამ, ხმაურმა, საკვებისა და ძილის ნაკლებობამ, სახურავზე ჯდომის დამაბულობამ და იმავდროულად, თავგაბეზრებამ, ფიქრმა, რომ მომდევნო წუთში ტყვია მომხვდებოდა ან იძულებული ვიქნებოდი, მე თვითონ მესროლა ვინმესთვის, – ყველაფერმა ამან ჩემი ნერვები დაწყვეტამდე მიიყვანა. იქამდე მივედი, რომ კარის ყოველ გაჯახუნებაზე ხელს პისტოლეტზე ვივლებდი. შაბათ დილით ქუჩაში ერთი სროლა და ბათქაბუთქი ატყდა. «ისევ იწყება!», გაჰყვიროდა ყველა. გარეთ გავვარდი და აღმოვაჩინე, რომ სხვა არაფერი ხდებოდა, გარდა იმისა, რომ რამდენიმე ვალენსიელი თავდამსხმელი ცოფიან ძაღლს ცხრილავდა. ვერავინ, ვინც იმ პერიოდში ან თვეების შემდეგ ბარსელონაში იყო, ვერ დაივიწყებს საზარელ ატმოსფეროს, რომელიც ჩამოაყალიბა შიშმა, ეჭვმა, სიძულვილმა, ცენზურაგავლილმა გაზეთებმა, გადატენილმა საკნებმა, უზარმაზარმა რიგებმა საკვებისთვის და შეიარაღებული კაცების მოსუნსულე ბანდებმა.

ვცადე, შეძლებისდაგვარად გადმომეცა, რა განცდა იყო ბარსელონას ომში მონაწილეობა. ვგონებ, მაინცდამაინც ვერ მოვახერხე იმ პერიოდის უცნაურობათა აღწერა. ერთ-ერთი რამ, რაც უკან მოხედვისას გონებიდან არ მცილდება, ის უნებლიე

ურთიერთობებია, რომლებშიც იმხანად გვიხდებოდა შესვლა; ბრძოლაში არამონაწილე ადამიანების უცაბედი გაელვებები, – იმათი, ვისთვისაც ეს ომი მხოლოდ უაზრო ალიაქოთი იყო. მახსოვს მოდურად ჩაცმული ქალი, რომელიც რამბლასზე დავინახე: მხარზე საყიდლების კალათა ეკიდა და თეთრ პუდელს მიასეირნებდა, ერთი-ორი ქუჩის იქით კი შაშხანას შაშხანაზე ცლიდნენ.

სავარაუდოდ, ქალს არ ესმოდა. მახსოვს, როგორ გადარბოდა კაცი პლასა დე კატალუნიაზე და ორივე ხელით თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდა. მახსოვს თალხით მოსილ ადამიანთა დიდი ჯგუფი, მთელი საათის განმავლობაში რომ ცდილობდა პლასა დე კატალუნიას გადაჭრას და ვერაფრით ვერ მოეხერხებინა. ყოველ ჯერზე, როცა გვერდითა ქუჩის კუთხეში გამოჩნდებოდნენ, მაშინვე კგსპ-ის ტყვიამფრქვევი აკაკანდებოდა სასტუმრო «კოლონიდან» და უკანვე შეყრიდა ქუჩის სიღრმეში. არ ვიცი, რატომ ხდებოდა ეს, როცა ისინი აშკარად შეუიარაღებელნი იყვნენ. მას შემდეგ არაერთგზის მიფიქრია, რომ ისინი სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეები იყვნენ. მახსოვს პატარა კაცი, მეთვალყურის ფუნქციას რომ ასრულებდა მუზეუმში და ამ ყველაფერს ლამის ისე უყურებდა, როგორც საზოგადოებრივ ღონისძიებას. ფრიად ნასიამოვნები იყო, რომ ინგლისელები სტუმრობდნენ. ინგლისელები ისეთი simpбtico არიანო, ამბობდა.

იმედოვნებდა, რომ როცა ყველაფერი დამთავრდებოდა, ისევ ჩამოვიდოდით და მოვინახულებდით. სხვათა შორის, მართლაც წავედი და ვინახულე. მეორე ჩიაკაცმა, რომელიც შესასვლელში იმალებოდა, სიამოვნებით გაიქნია თავი პლასა დე კატალუნიაზე გამართული ჯოჯოხეთისკენ და თქვა (თითქოს აღნიშნა, რა მშვენიერი დილააო): «ასე რომ, ისევ დაგვიდგა ცხრამეტი ივლისი!» მახსოვს ფეხსაცმლის მაღაზიის მეწაღეები, რომლებიც ჩექმებს მიკეთებდნენ. იქ ბრძოლის დაწყებამდეც მივედი, მის შემდეგაც და 5 მაისის ხანმოკლე დაზავების მომენტშიც. ეს ძვირი მაღაზია დაკომპლექტებული იყო მსკ-ის და, შესაძლოა, კგსპ-ის ანუ, ყველა შემთხვევაში, საპირისპირო ბანაკის ხალხით და მათ იცოდნენ, რომ მე მომპ-ს ვემსახურებოდი. მიუხედავად ამისა, სრულებით გულგრილად უყურებდნენ ამ ამბავს. «რა საწყენია ასეთი რამეები, არა? საქმესაც როგორ ვნებს. რა დასანანია, რომ არ მთავრდება! თითქოს ეს ყველაფერი ფრონტზე არ კმაროდა!» და ა.შ. ალბათ უამრავ ხალხს, შესაძლოა – ბარსელონას მოსახლეობის უმრავლესობასაც კი, ომი და ბრძოლა ოდნავადაც არ აინტერესებდა, ან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც, ვთქვათ, საჰაერო თავდასხმა დააინტერესებდათ.

ამ თავში მხოლოდ ჩემი პირადი გამოცდილება აღვწერე. მეორე დანართში კი შეძლებისამებრ განვიხილავ უფრო მნიშვნელოვან საკითხებს – თუ რა მოხდა სინამდვილეში და რა შედეგები მოჰყვა ყველაფერ ამას; რა იყო სიმართლე და გამოგონილი ამ მოვლენებში; ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა (თუ ვინმეს ეკისრებოდა საერთოდ). იმდენი პოლიტიკური კაპიტალი გამოდნა ბარსელონას ომიდან, რომ მნიშვნელოვანია ვცადო მისი დაბალანსებული დანახვა. ამ თემაზე იმდენი დაიწერა, მრავალ ტომს გაავსებდა, მაგრამ არა მგონია, ვაჭარბებდე, თუკი ვიტყვი, რომ ცხრა მეათედი ამ ნაწერებისა არასარწმუნოა. მაშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებული თითქმის ყველა ანგარიში ჟურნალისტების შეთითხნილია, – არა მხოლოდ ფაქტებს ამახინჯებს, არამედ განზრახ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში. როგორც წესი, ფართო პუბლიკამდე ამ საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს უშვებდნენ. იმხანად ბარსელონაში მყოფი ყველა სხვა

ადამიანივით, მეც მხოლოდ იმას ვხედავდი, რაც უშუალოდ ჩემ გარშემო ხდებოდა, თუმცა მაინც საკმარისად ბევრს ვხედავდი და მესმოდა, რათა იმდენ გავრცელებულ სიცრუეს დავპირისპირებოდი.

თავი X

ფრონტზე რომ დავბრუნდით, ბარსელონას ომის დამთავრებიდან სამი დღე იქნებოდა გასული. ამ ბრძოლის და, განსაკუთრებით, გაზეთებში დაბეჭდილი კინკლაობების შემდეგ ძნელი იყო ომზე ფიქრი ისევე იდეალისტურად, როგორც მანამდე. არა მგონია, ვინმეს დაეყოს რამდენიმე კვირაზე მეტი დრო ესპანეთში ისე, რომ ნაწილობრივ მაინც არ გაფანტვოდეს ილუზიები. გონებაში ისევ ის საგაზეთო კორესპონდენტი ამომიტივტივდა, ბარსელონაში ჩემი ყოფნის პირველ დღეს რომ შემხვდა და მითხრა: «ეს ომიც ისეთივე გამომძალველობაა, როგორიც ყველა სხვა». ამ შენიშვნამ ღრმად შემარყია და იმ მომენტისთვის (დეკემბრის თვეში) არ მჯეროდა, რომ ეს სიმართლეს შეეფერებოდა. ეს არც ახლა – მაისში – არ იყო სიმართლე, თუმცა თანდათანობით სიმართლეს ემსგავსებოდა. ფაქტი ისაა, რომ, თვეების სვლასთან ერთად, ყველა ომში ხდება დეგრადაცია, რადგანაც ისეთი რამეები, როგორებიცაა ინდივიდუალური თავისუფლება და გულწრფელი პრესა, უბრალოდ, შეუთავსებელია სამხედრო ქმედითობასთან.

ახლა უკვე შეიძლებოდა დაგეწყო იმის მიხვედრა, თურმე სინამდვილეში რა ხდებოდა. ადვილი დასანახი იყო, რომ კაბალეროს მთავრობა დაემხობოდა და შეიცვლებოდა უფრო მემარჯვენე ხელისუფლებით, რომელსაც უფრო ძლიერი კომუნისტური ზეგავლენა ექნებოდა (ეს ერთი-ორი კვირის შემდეგ მოხდა) და რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გააცამტვერებდა ტრედუნიონებს. მერე კი, როცა ფრანკო დამარცხდა, წინ არცთუ ვარდისფერი პერსპექტივა გადაიშალა (თვით ესპანეთის რეორგანიზაციის დიდი პრობლემების გარეშეც კი). რაც შეეხება საგაზეთო ყბედობას: «ეს არის ომი დემოკრატიისთვის», – აი, ნამდვილი მონაჩმახი. არც ერთი ჭკუათამყოფელი არ იფიქრებდა, რომ არსებობდა დემოკრატიის რაიმე იმედი (როგორც ის თუნდაც ინგლისში ან საფრანგეთში გვესმის) ისეთ დანაწევრებულ და გამოფიტულ ქვეყანაში, როგორიც ესპანეთი იქნებოდა ომის დამთავრების შემდეგ. ეს უნდა ყოფილიყო დიქტატურა. ეგაა, მუშათა კლასის დიქტატურას უკვე არავითარი შანსი აღარ ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძირითადი ნაბიჯები ფაშიზმის რომელიღაც ფორმისკენ გადაიდგმებოდა. ამ შემთხვევაში, ფაშიზმს, ეჭვი არაა, უფრო რბილი სახელი ერქმეოდა და, რადგანაც საქმე ესპანეთთან გვაქვს, უფრო ადამიანური და ნაკლებად აქტიური იქნებოდა, ვიდრე მისი გერმანული ან იტალიური სახესხვაობები. ამის ალტერნატივა

იქნებოდა მხოლოდ ფრანკოს უსასრულოდ უფრო უარესი დიქტატურა, ან (როგორც მარადიული შესაძლებლობა) ესპანეთის დაშლა ოლქებად ან ეკონომიკურ ზონებად.

რა კუთხითაც უნდა შეგეხედა, დამთრგუნველი პერსპექტივა მოჩანდა. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობდა, რომ არსებული ხელისუფლება არ იმსახურებდა მხარდაჭერას ფრანკოსა და ჰიტლერის უფრო ხილული და აშკარა ფაშიზმის

წინააღმდეგ. რა შეცდომებიც უნდა ჰქონოდა ომის შემდგომ ხელისუფლებას, ფრანკოს რეჟიმი უდავოდ უფრო უარესი იქნებოდა. მუშებისთვის, ანუ ქალაქის პროლეტარიატისთვის, დიდი სხვაობა არ იყო იმაში, თუ ვინ გაიმარჯვებდა ამ ბრძოლაში, მაგრამ ესპანეთი, უწინარეს ყოვლისა, აგრარული ქვეყანაა და თითქმის უეჭველია, რომ ხელისუფლების გამარჯვებით გლეხები მოიგებდნენ. ზოგიერთი მითვისებული მიწა კვლავაც მათ მფლობელობაში დარჩებოდა. ასეთ შემთხვევაში, აქამდე ფრანკოს განკარგულებაში მყოფი მიწები ისევ და ისევ გლეხებს დაუნაწილდებოდა, ხოლო ესპანეთის ზოგიერთ ნაწილში შემორჩენილი ბატონყმობა, როგორც ჩანს, ვეღარ აღორძინდებოდა. ფაქტობრივი ხელისუფლება ომის დამთავრების შემდეგ უეჭველად ანტიკლერიკალური და ანტიფეოდალური იქნებოდა, ეკლესიას გააკონტროლებდა

(დროის იმ მონაკვეთში მაინც) და მოახდენდა ქვეყნის მოდერნიზებას: გაიყვანდა გზებს, ხელს შეუწყობდა სახალხო განათლებასა და ჯანდაცვას. ამ მიმართულებით რაღაც-რაღაცები თვით ომის დროსაც გაკეთდა. მეორე მხრივ, ფრანკო (რამდენადაც იგი არ წარმოადგენდა მხოლოდ იტალიელების ან გერმანელების თოჯინას) დამოკიდებული იყო დიდ ფეოდალურ მემამულეებზე და ჩახუთულ-რეაქციონერული, კლერიკალურ-სამხედრო პოზიცია ეჭირა. სახალხო ფრონტი შესაძლოა სიცრუე ყოფილიყო, მაგრამ ფრანკო მაინც ანაქრონიზმი იყო. მის გამარჯვებას მხოლოდ მილიონერები და რომანტიკოსები თუ ისურვებდნენ.

მეტიც: იდგა ფაშიზმის საერთაშორისო პრესტიჟის საკითხი, რომელიც უკანასკნელ ორ წელს კოშმარივით ყველგან თან მდევდა. 1930 წლიდან, ფაშიზმმა ყველა ბრძოლა მოიგო და უკვე დრო იყო, ვინმესგან მოხვედროდა, – სულერთია, ვისგან. თუ შევძლებდით, რომ ფრანკო და მისი დაქირავებული უცხოელები ზღვაში გაგვეყარა, ამით, შესაძლოა, დიდი ნაბიჯი გადადგმულიყო მსოფლიოს განვითარებაში, თუნდაც თვით ესპანეთს სულისშემხუთველ დიქტატურაში ამოეყო თავი, მის საუკეთესო შვილებს კი – ციხეებში. თუნდაც ამისთვის ღირდა ომის მოგება.

ასე ვხედავდი საგნებს იმ პერიოდში. შემიძლია ვთქვა, რომ ახლა გაცილებით უფრო მაღალი აზრის ვარ ნეგრინის[27] ხელისუფლებაზე, ვიდრე მისი მოსვლის მომენტში. მძიმე ბრძოლა გამოიარა ქედმოუხრელი სიმამაცით, მერე კი მოსალოდნელზე უფრო დიდი პოლიტიკური ტოლერანტობაც გამოიჩინა. მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ – თუ ესპანეთი არ დაიშალა და ამ დაშლის შესაბამისი შედეგებიც არ მოიყოლა – ომის შემდგომი ხელისუფლება იძულებული იქნება, იყოს ფაშისტური. კიდევ ერთხელ ვყინავ ამ თვალსაზრისს და ვსარგებლობ შანსით, რომ დრომ იგივე დამმართოს, რასაც წინასწარმეტყველთა უმრავლესობას მართებს.

ის იყო, ფრონტამდე მივედით, რომ ინგლისისაკენ მიმავალი ბობ სმაილი საზღვარზე დააპატიმრეს, ვალენსიაში წაიყვანეს და ციხეში ჩაამწყვდიეს. სმაილი წინა წლის ოქტომბრიდან ესპანეთში იმყოფებოდა. რამდენიმე თვეს

მომპ-ის ოფისში იმუშავა და როცა დლპ-ის სხვა წევრებიც ჩამოვიდნენ, მილიციის რიგებში შევიდა იმ შეთანხმებით, რომ სამ თვეს ფრონტზე დაჰყოფდა, მერე კი ინგლისში დაბრუნდებოდა პროპაგანდისტულ ტურნეში მონაწილეობის მისაღებად. განსაზღვრული დრო დასჭირდა იმის დადგენას, რომ სმაილი დააპატიმრეს. ჩაემწყვდიათ incommunicado[28],

ისე, რომ თვით იურისტიც ვერ ნახულობდა. ესპანეთში არ არსებობს არავითარი სასამართლო დაცვა, ყოველ შემთხვევაში – პრაქტიკულად. შეიძლება ბრალიც კი არ დაგდონ, ისე გაყურყუტონ ციხეში რამდენიმე თვის განმავლობაში (რომ არაფერი ვთქვათ გასამართლებაზე). ბოლოს, განთავისუფლებული პატიმრისგან შევიტყვეთ, რომ სმაილი «იარაღის ტარებისთვის» დაეჭირათ. ეს «იარაღი» წარმოადგენდა პრიმიტიული ტიპის ორ ხელყუმბარას, ომის დასაწყისში რომ იყენებდნენ, სმაილის კი შინ მიჰქონდა თავის ლექციებზე საჩვენებლად, ნაღმის ნამსხვრევებთან და სხვა სუვენირებთან ერთად. ხელყუმბარებიდან დენთი ამოეღოთ, საცობებიც მოხსნილი ჰქონდა, დარჩენილიყო სრულებით უვნებელი რკინის ცილინდრები. რა ბევრი მიხვედრა უნდა, რომ ეს მხოლოდ საბაბად გამოიყენეს და, სინამდვილეში, სმაილი მომპ-თან კავშირისთვის დაიჭირეს. ბარსელონას ომი სულ ახალი დამთავრებული იყო და ხელისუფლებაც მეტისმეტად ღელავდა, რომ არავინ გაეშვა ესპანეთიდან ისეთი, ვინც არ იზიარებდა სამხედრო კონფლიქტის ოფიციალურ ვერსიას. ამის შედეგად, ადამიანებს საზღვარზე მეტ-ნაკლებად თვითნებური მიზეზებით აპატიმრებდნენ. სავსებით შესაძლებელია, რომ თავდაპირველად სმაილის სულ რამდენიმე დღით უპირებდნენ დაკავებას. მაგრამ უბედურება ისაა, რომ რაკი ერთხელ მოხვდები ესპანეთის ციხეში, იქვე რჩები გასამართლებით თუ გაუსამართლებლად.

ჩვენ ისევ ჰუესკასთან ვიდექით, ოღონდ უწინდელზე უფრო მარჯვნივ განგვათავსეს, ფაშისტების რედუტის პირდაპირ, დროებით რომ დავიპყარით რამდენიმე კვირის წინ. ამჯერად teniene ვიყავი, რაც შეესატყვისება ბრიტანული არმიის უმცროს ლეიტენანტს, და ოცდაათამდე კაცს – ინგლისელსა და ესპანელს – ვმეთაურობდი. ჩემი სახელი განაცხადში შეიტანეს რეგულარული ჩინის მისანიჭებლად. გაურკვეველი ის იყო, უნდა მიმეღო თუ არა ეს უკანასკნელი. უწინ მილიციის ოფიცრები უარს ამბობდნენ რეგულარული წოდების მიღებაზე, რაც ნიშნავდა დამატებით ხელფასს და ეწინააღმდეგებოდა მილიციის თანასწორუფლებიანობის იდეას. ახლა კი იძულებული იყვნენ მიეღოთ. ბენჯამინს უკვე კაპიტნის წოდება ჰქონდა, კოპი კი მაიორად გახდომის პროცესში იყო. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას სჭირდებოდა მილიციის ოფიცრები, თუმცა არც ერთისთვის არ მიუნიჭებია მაიორზე უფრო მაღალი რანგი, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მაღალი ჩინები რეგულარული არმიის ოფიცრებისთვის და საომარი სკოლის ახალი ოფიცრებისთვის ჰქონდა შემონახული. ამის შედეგად, ჩვენს 29-ე დივიზიაშიც და, ეჭვი არაა, ბევრ სხვაშიც არსებობდა უცნაურ-დროებითი წოდებები: დივიზიის მეთაური, ბრიგადების მეთაურები და ბატალიონის მეთაურები – ყველა ერთნაირად მაიორები.

ფრონტზე ბევრი არაფერი ხდებოდა. ხაკას გზის ირგვლივ გამართული ბრძოლა მიწყნარდა და შუა ივნისამდე არ განახლებულა. ჩვენს პოზიციაში მთავარ პრობლემას შეადგენდნენ სნაიპერები. ფაშისტების სანგრები ასორმოცდაათ იარდზე უფრო შორს იყო, თუმცა – უფრო შემაღლებულ ადგილას და, თანაც, ორივე მხარეს, ისე, რომ ჩვენი განლაგება მართკუთხა სოლივით იჭრებოდა მათ პოზიციაში. ამ სოლის წვეტი – სახიფათო ადგილი – იმთავითვე სნაიპერების სამიზნეს წარმოადგენდა. დროდადრო, ფაშისტები იყენებდნენ ყუმბარის მსროლელ შაშხანას ან რომელიმე ასეთ იარაღს. საზარლად, დამარეტიანებლად გიფეთქდებოდა გვერდით, რადგანაც მომფრინავი ყუმბარის ხმა არ გესმოდა, რათა დროულად ჩაგერგო თავი მიწაში. თუმცა ნამდვილად სახიფათო არ იყო და არც მიწაში ტოვებდა წყლის ნიჟარაზე უფრო დიდ ორმოს. საამურად თბილი ღამეები იდგა, დღეები თაკარა მზის ქვეშ ენაცვლებოდა ერთმანეთს, კოღოები მოსვენებას არ გვაძლევდნენ და, ბარსელონადან წამოღებული სუფთა ტანსაცმლის მიუხედავად, ჩამოსვლისთანავე დავტილიანდით. ნეიტრალურ ტერიტორიებზე, მიტოვებულ ბაღებში ალუბლის ხეები ყვაოდა. ორ დღეს ზედიზედ კოკისპირულად წვიმდა, მიწურები დაიტბორა და მიწაყრილმაც ერთი ფუტით დაბლა დაიწია. ამას მოჰყვა წებოვან-თიხიანი მიწის თხრა უბადრუკი ესპანური ნიჩბებით, რომლებსაც ტარი არ აქვს და თუნუქის კოვზებივით იღუნება.

ჩვენს ბატალიონს ნაღმსატყორცნს დაჰპირდნენ. ერთი სული მქონდა, როდის მოგვიტანდნენ. ღამღამობით, ჩვეულებისამებრ, ვპატრულირებდით. თუმცა ამჯერად ეს უწინდელზე უფრო სახიფათო იყო, რადგანაც ფაშისტებს სანგრები უკეთ დაეკომპლექტებინათ და უფრო ფხიზლადაც იყვნენ. თუნუქის ქილებიც მიმოეფანტათ თავიანთ მავთულხლართთან და პირველივე გაჟღრიალებას ტყვიამფრქვევით პასუხობდნენ. დღისით ჩვენ ნეიტრალური ტერიტორიებიდან ვისროდით. ას იარდზე თუ გახოხდებოდი, მაღალ ბალახებს ამოფარებულ თხრილში ხვდებოდი, საიდანაც მოჩანდა ნაპრალი ფაშისტების მიწაყრილში. იმ თხრილში შაშხანის დასაყრდენი აღვმართეთ. თუ საკმარისად დიდხანს დაელოდებოდი, უთუოდ მოჰკრავდი თვალს მიწაყრილის ნაპრალში სწრაფად გადარბენილ ხაკისსამოსიან ფიგურას. პირადად მე რამდენჯერმე ვისროლე. არ ვიცი, მოვარტყი თუ არა ვინმეს. რაღაც არა მგონია. ძალიან ცუდად ვისვრი შაშხანით. მაგრამ ეს კარგი გასართობი იყო, ფაშისტები ვერ ხვდებოდნენ, საიდან ვესროდით და მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან ვინმეს მოვარტყამდი. საბოლოოდ კი პირიქით მოხდა: იმათი სნაიპერის ტყვიამ მიწია. ეს ჩემი ფრონტზე ყოფნის მეათე დღეს მოხდა. ტყვიის მოხვედრის გამოცდილება ძალზე საინტერესოა და, ვფიქრობ, დეტალურ აღწერას იმსახურებს.

ეს მოხდა მიწაყრილის კუთხეში, დილის ხუთ საათზე – მარად სახიფათო ჟამს, რადგან ამ დროს ჩვენ ზურგს უკან გათენება იწყებოდა და თუ თავს მიწაყრილიდან ამოყოფდი, მკაფიოდ გამოჩნდებოდი ცის ფონზე. გუშაგებს ვესაუბრებოდი მათი შეცვლის წინა წუთებში. უეცრად, შუა ლაპარაკში,

ვიგრძენი, რომ... ძნელი სათქმელია, რა ვიგრძენი, თუმცა ეს უაღრესად ცოცხლად მახსოვს.

უხეშად თუ ვიტყვი, ეს იყო აფეთქების ცენტრში ყოფნის შეგრძნება. თითქოს რაღაც ხმამაღლა გასკდა და სინათლემაც დამაბრმავებლად გაანათა გარშემო. საშინელი შერყევა ვიგრძენი, – არა ტკივილი, არამედ შეზანზარება, ისეთი, როგორსაც დენის დარტყმის წამს იღებ. ამას მეყსეულად მოჰყვა უკიდურესი სისუსტისა და მომჩვარვის შეგრძნება. ჩემ წინ დაწყობილმა ქვიშის ტომრებმა სადღაც შორს, შორს გადაინაცვლა. ვფიქრობ, მსგავსი შეგრძნება იქნებოდა, მეხს რომ დაერტყა. იმწამსვე მივხვდი, რომ ტყვია მომხვდა, მაგრამ მოჩვენებითმა აფეთქებამ და განათებამ მაფიქრებინა, რომ აქვე დადებული შაშხანა შემთხვევით გავარდა და მომხვდა. ამ ყველაფერს ერთ წამზე გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდა. მეორე წამს მუხლი მომეკვეთა, ჩაკეცვა დავიწყე და დავეცი. თავი მიწას მაგრად დავარტყი, თუმცა, ჩემდა სანუგეშოდ, არ მტკენია.

ვგრძნობდი გაშეშებას და გაოგნებას, მქონდა ძალიან მძიმედ დაშავების განცდა, თუმცა – არავითარი ტკივილი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით.

ამერიკელი გუშაგი, რომელსაც ვესაუბრებოდი, შემკრთალი მოდგა წინ: «ჯანდაბას! მოგარტყეს?» გარშემო ხალხი შეჯგუფდა. ჩვეულებრივი ჩოჩქოლი ატყდა: «ასწიეთ! პერანგი გაუხსენით!» და ა.შ. ამერიკელმა დანა მოითხოვა ჩემი პერანგის გასაჭრელად. ვიცოდი, რომ დანა ჯიბეში მედო, და ამოღება ვცადე. მაგრამ აღმოვაჩინე, რომ მარჯვენა მკლავი პარალიზებული მქონდა. ტკივილს არ ვგრძნობდი, მხოლოდ ყრუ კმაყოფილებას. ეს ჩემს ცოლს ესიამოვნება-მეთქი, ვფიქრობდი. ყოველთვის უნდოდა, რომ დავჭრილიყავი, რადგან ეს სიკვდილისგან მიხსნიდა, როდესაც დიდი ომი დაიწყებოდა. ახლაღა დავინტერესდი, სად და რამდენად მძიმედ დავიჭერი. ვერაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ვაცნობიერებდი, რომ ტყვია სხეულს წინიდან მოხვდა. დალაპარაკება ვცადე, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ხმა აღარ მქონდა, მხოლოდ წრიპინი აღმომხდა. თუმცა მეორე მცდელობაზე მოვახერხე მეკითხა, სად დავიჭერი-მეთქი. ყელშიო, მითხრეს. ჰარი ვებს – ჩვენს მესაკაცეს – უკვე მოეტანა დოლბანდი და სპირტიანი ბოთლი, საველე გადახვევებისთვის რომ გვაძლევდნენ. როცა ამწიეს,

პირიდან დიდძალი სისხლი გადმომივიდა, ზურგს უკან კი გავიგონე ესპანელის ნათქვამი: ტყვია მეორე მხარეს გასულაო. ყელში სპირტის გემო ვიგრძენი. სხვა შემთხვევაში სასტიკად დამწვავდა, ახლა კი საამურ სიგრილედ გადამეფინა ჭრილობაზე.

ისევ მიწაზე დამაწვინეს, სანამ ვინმე საკაცეს მოიტანდა. როცა შევიტყვე, რომ ტყვია მეორე მხარეს გასულიყო, თავისთავად ცხად ამბად მივიჩნიე: ჩემი საქმე გათავებულია-მეთქი. არასოდეს მსმენოდა ადამიანზე ან ცხოველზე, ტყვიით ყელი გახვრეტოდეს და გადარჩენილიყოს. ტუჩის კუთხიდან სისხლის წვრილი ნაკადი მდიოდა. «არტერიაში გაიარა», ვფიქრობდი. მაინტერესებდა, რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი საძილე არტერიის გახეთქვის შემდეგ. ალბათ, სულ

რამდენიმე წუთს. ირგვლივ ყველაფერი ძალიან გაბუნდოვანდა. დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ მომკლეს. და ესეც საინტერესო იყო, ანუ საინტერესოა იმის ცოდნა, როგორი აზრები მოგდის ასეთ დროს. ჩემი პირველი აზრი – საკმაოდ პირობითად – ჩემს ცოლზე იყო. მეორე აზრი წარმოადგენდა ძლიერ განაწყენებას, რომ ვტოვებდი წუთისოფელს, რომელიც, ყოველივეს შემდეგ, ასე ზედგამოჭრილი იყო ჩემთვის. უცოცხლესად

მოვასწარი ამის განცდა და ყოვლად ბრიყვულმა უიღბლობამ გამაშმაგა. ჰო, გამაცოფა ამ ამბის უაზრობამ და ცხოვრებიდან გავარდნამ, – სიკვდილმა არა ნამდვილ ბრძოლაში, არამედ ამ ჩახუთულ სანგრებში, რამდენიმეწამიანი მოდუნებულობის გამო! ვფიქრობდი იმ კაცზეც, რომელმაც მესროლა, მაინტერესებდა, როგორია, ესპანელია თუ უცხოელი, იცის თუ არა, რომ მომარტყა, და ა.შ. არავითარ აღშფოთებას არ ვგრძნობდი მის მიმართ. გავიაზრე, რომ რადგან ფაშისტი იყო, შეიძლებოდა მომეკლა, თუ შანსი მომეცემოდა. მაგრამ თუკი ტყვედ აიყვანდნენ და ამ მომენტში წინ ჩამომიტარებდნენ, კარგი მსროლელი ხარ-მეთქი, მივულოცავდი. თუმცა როდესაც მართლა კვდები, შეიძლება სრულებით სხვა ფიქრები გქონდეს და არა ასეთები.

დამაწვინეს საკაცეზე, სადაც პარალიზებული მარჯვენა მკლავი «გაცოცხლდა» და სასტიკად ამტკივდა. იმ მომენტისთვის მეგონა, რომ დაცემისას მოვიტეხე. მაგრამ ტკივილმა გამამხნევა, რადგან ვიცოდი, რომ კვდომის მომენტში გრძნობები არ მწვავდება. თავი უფრო და უფრო ნორმალურად ვიგრძენი და შემებრალა ის ოთხი საბრალო, რომლებსაც ჩემი საკაცე მხრებზე გაედოთ და, ოფლიანები და ფეხებასრიალებულები, გაჭირვებით მიმაჩაქჩაქებდნენ. სასწრაფო დახმარებამდე

მილ-ნახევარი ოკრობოკრო, სრიალა გზა იყო გასავლელი. ვიცოდი, რა ჭაპანწყვეტას უდრიდა ეს, რაკი ორიოდე დღით ადრე მე თვითონ მივიღე მონაწილეობა დაჭრილი კაცის გადაყვანაში. ამჯერად, ზოგ ადგილას, ზედ ჩვენს სანგრებთან მდგარი ვერცხლისფერი ალვების ფოთლები სახეზე მელამუნებოდა. რა მშვენიერია იმ დედამიწაზე ცხოვრება, სადაც ვერცხლისფერი ალვები იზრდებიან-მეთქი, ვფიქრობდი. თუმცა მთელი ამ ხნის განმავლობაში მკლავი ჯოჯოხეთურად მტკიოდა, ტკივილისგან ვიგინებოდი, მერე კი ვცდილობდი არ შემეგინა, რადგანაც ყოველ ჯერზე, როცა მეტისმეტად მძიმედ ვსუნთქავდი, პირიდან ბუყბუყით გადმომდიოდა სისხლი.

ექიმმა ჭრილობა კიდევ ერთხელ შემიხვია, მორფინი შემიშხაპუნა და სიეტამოში გამგზავნა. სიეტამოს ლაზარეთები წარმოადგენდა ფაცხაფუცხით ნაშენებ ხის ქოხებს, სადაც დაჭრილებს, როგორც წესი, სულ რამდენიმე საათით აჩერებდნენ, სანამ ბარბასტროში ან ლერიდაში გადაგზავნიდნენ. მორფინმა მომადუნა, მაგრამ თავს მაინც ძალიან მძიმედ ვგრძნობდი, პრაქტიკულად, ვერ ვინძრეოდი და სისხლსაც გამუდმებით ვყლაპავდი. ესპანური ლაზარეთებისთვის დამახასიათებელი მეთოდით,

სანამ ამ მდგომარეობაში ვიყავი, გამოუცდელი ექთანი შეეცადა ჩაეტენა ჩემს ყელში ლაზარეთისთვის დადგენილი ვეებერთელა ულუფა – სუპი, კვერცხები, ცხიმიანი ხორცი და ა.შ. – და გაკვირვებული დარჩა, რომ უარი ვთქვი საკვებზე და სიგარეტი ვითხოვე. მაგრამ თამბაქოს მორიგი დეფიციტის პერიოდი იდგა და იმ ლაზარეთში ერთი სიგარეტიც არ მოიპოვებოდა. ამჯერად ჩემს საწოლთან აღმოჩნდა ორი ამხანაგი, ფრონტიდან რომ გამოეშვათ რამდენიმე საათით.

– სალამი! ცოცხალი ხარ, ჰო? კარგია. შენი საათი, რევოლვერი და ფარანი გვინდა. შენი დანაც, თუ გაქვს.

ეს ყველაფერი მოხიკეს და გაიძურწნენ. ასე ხდებოდა მუდამ, როცა ადამიანი იჭრებოდა: მეყსეულად ინაწილებდნენ მთელ მის მოძრავ ავლადიდებას. და სავსებით მართებულადაც, რადგან საათი, რევოლვერი და სხვა ამდაგვარი ყოვლად ძვირფასი ნივთებია საიმისოდ, რომ ფრონტზე დაჭრილი კაცის ბარგში ჩარჩეს. მაინც მომპარავდნენ სადმე გზაში.

საღამოსთვის საკმაოდ ბევრი დაჭრილ-დაშავებული დაგროვდა და რამდენიმე

სასწრაფო დახმარების მანქანა გაივსო, რის შემდეგაც ყველანი ბარბასტროში გადაგვგზავნეს. აი, მოგზაურობა! როგორც ამბობდნენ, ამ ომში არაფერი გიჭირდა, თუ რომელიმე კიდურში დაიჭრებოდი, მაგრამ ყოველთვის კვდებოდი, თუ ტყვია მუცელში მოგხვდებოდა. ახლაღა მივხვდი, რატომაც. ვერავინ, ვისაც შინაგანი სისხლდენა ჰქონდა, ვერ გაუძლებდა ხტუნვას სატვირთო მანქანებისგან დანგრეულ-დანაკუწებულ ამ გზებზე, რომლებიც არასოდეს შეკეთებულიყო ომის დაწყების შემდეგ. ამ ბრაგუნ-ჯაყჯაყმა ადრეულ ბავშვობაში გადამისროლა, იმ საშინელ რამესთან, რასაც «საქანაო» ერქვა თეთრი ქალაქის გამოფენაზე. ამ მგზავრობის დროს დაავიწყდათ, რომ საკაცეებზე მივებით. საკმარისი ძალა შემრჩენოდა მარცხენა მკლავში, რათა საკაცეს ჩავბღაუჭებოდი. მაგრამ ერთი საბრალო თავისი საკაციდან გადმოვარდა და, ღმერთმა უწყის, რა გაუსაძლის სატანჯველში იკლაკნებოდა. მეორე – მოსიარულე ავადმყოფი – კუთხეში იჯდა და მთელ სალონში არწყევდა.

ბარბასტროს ლაზარეთი მთლად გადავსებული დაგვხვდა. საწოლები ისე ახლო-ახლოს იდგა, რომ თითქმის ერთმანეთს ეხებოდა. მომდევნო დილას ბევრი ჩვენგანი მატარებელში ჩასხეს და ლერიდას გზას გაუყენეს.

ხუთი თუ ექვსი დღე დავყავი ლერიდას დიდ საავადმყოფოში, სადაც ომში დაჭრილებიც იწვნენ და ჩვეულებრივი სამოქალაქო პაციენტებიც, მეტ-ნაკლებად ერთმანეთში არეულები. ჩემს პალატაში ზოგ პაციენტს საშინელი ჭრილობები ჰქონდა. მეზობელ საწოლზე იწვა შავტუხა ბიჭი, რომელსაც რაღაც ავადმყოფობა სჭირდა და ისეთ წამალს ასმევდნენ, რომ ზურმუხტისფრად შარდავდა. ამის გამო მისი ღამის ბოთლი პალატის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა. ინგლისურად მოლაპარაკე დანიელი კომუნისტი, რომელმაც შეიტყო, რომ პალატაში ინგლისელი იწვა, დამიმეგობრდა და ინგლისური გაზეთებიც მოატანინა ჩემთვის. მძიმედ დაჭრილა ოქტომბრის ბრძოლაში,

შემდეგ, რაღაცნაირად, ლერიდას საავადმყოფოში მოხვედრილა და ერთ-ერთი ექთანი შეურთავს ცოლად. ჭრილობის გამო, ერთი ფეხი დაპატარავებოდა და ჩემი მკლავის სისქისა გახდომოდა. შვებულებაში გასული ორი მილიციელი, რომლებიც ფრონტზე ჩემი ყოფნის პირველ კვირას გავიცანი, თავიანთი დაჭრილი მეგობრის სანახავად მოვიდნენ და შეხედვისთანავე მიცნეს. თვრამეტიოდე წლის ბიჭები იყვნენ, უხერხულად იდგნენ ჩემი საწოლის გვერდით, ცდილობდნენ, რაღაც ეთქვათ, მერე კი, უეცრად, ასე გამოხატეს გულდაწყვეტა ჩემი დაჭრილობის გამო: ამოიღეს მთელი თამბაქო, რაც ჯიბეებში ჰქონდათ, გვერდით დამიდეს და, სანამ

უკან დავუბრუნებდი, პალატიდან გაცვივდნენ. რაოდენ სახასიათოდ ესპანური საქციელია! მოგვიანებით შევიტყვე, რომ ლერიდაში თამბაქო არსად იშოვებოდა და ის, რაც მათ მომცეს, მთელი კვირის ულუფა იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ შევძელი წამოდგომა და გავლა-გამოვლა ღვედზე დაკიდებული მკლავით. რატომღაც ქვემოთ დაშვებული გაცილებით უფრო მტკიოდა. გარდა ამისა, იმ დღეებში, სანგარში დაცემის გამო, გვარიანად მტკიოდა შიგნეული და ხმაც თითქმის მთლიანად გამქრობოდა. თუმცა არასოდეს ერთი წამითაც არ მიგრძნია საკუთრივ ნატყვიარის ტკივილი. როგორც ჩანს, საერთოდ ასეთია მსგავსი ჭრილობების ბუნება. ტყვიის მოხვედრის უზარმაზარი შოკი აუქმებს ლოკალურ შეგრძნებას. ნაღმის ან ბომბის ნამსხვრევი, რომელიც პერიფერიულად გხვდება, ალბათ, ჯოჯოხეთურ ტკივილს გაყენებს. საავადმყოფოს ჰქონდა სასიამოვნო ბაღი, ბაღში იყო გუბე, გუბეში – ოქროსთევზები და კიდევ რაღაც პატარა მუქნაცრისფერი თევზები, ვგონებ, თაღლითა. საათობით ვიჯექი და თვალს ვადევნებდი. ლერიდას საავადმყოფოს შიდა წეს-წყობილებამ წარმოდგენა შემიქმნა არაგონის ფრონტის ლაზარეთების სისტემაზე, რომელიც, არ ვიცი, იყო თუ არა იგივე სხვა ფრონტებზეც.

გარკვეულწილად, ძალიან კარგი საავადმყოფოები იყო. უნარიანი ექიმები ჰყავდათ და არც წამლებისა და სამედიცინო ტექნიკის ნაკლებობას განიცდიდნენ. თუმცა არსებობდა ორი მძიმე ნაკლოვანება, რომელთა გამოც, ეჭვი არ მეპარება, ასიათასობით კაცი დაიღუპა, არადა, შეიძლებოდა გადარჩენილიყვნენ.

პირველი ის იყო, რომ ფრონტის სიახლოვეს არსებული ნებისმიერი ლაზარეთი მეტ-ნაკლებად გამოიყენებოდა საევაკუაციო პუნქტად. ამის შედეგად, თუ მეტისმეტად მძიმედ დაჭრილი არ იყავი, არ გმკურნალობდნენ. თეორიულად, დაჭრილთა უმრავლესობას პირდაპირ ბარსელონაში ან ტარაგონაში გზავნიდნენ. მაგრამ უტრანსპორტობის გამო, იქამდე მიყვანას მთელ კვირას ან ათ დღეს უნდებოდნენ, მანამდე კი ამ საბრალოებს აყურყუტებდნენ სიეტამოში, ბარბასტროში, მონსონში, ლერიდაში და სხვა ადგილებში, სადაც არანაირად არ მკურნალობდნენ, გარდა იმისა, რომ ხანდახან სახვევს უცვლიდნენ, სხვა დროს კი – არც ამას აკეთებდნენ. აფეთქებული ნაღმისგან საშინლად დაჭრილ-

დაჩეხილი, ძვლებდამსხვრეული ადამიანები დოლბანდისა და ფრანგული ლეიკოპლასტირის კამუფლაჟში შეფუთულები იწვნენ, რომელსაც გარედან ფანქრით ეწერა ჭრილობის აღწერილობა და რომელსაც, როგორც

წესი, მაშინ ხსნიდნენ, როცა ბარსელონაში ან ტარაგონაში ჩაიყვანდნენ, ათი დღის შემდეგ. თითქმის შეუძლებელი იყო ჭრილობის ნახვა გზადაგზა. რამდენიმე ექიმი ამ საქმეს ვერ აუდიოდა. მხოლოდ აჩქარებით ჩაივლიდნენ საწოლთან და ამბობდნენ: «ჰო, ჰო, ბარსელონაში მოგხედავენ». ლაზარეთში მუდამ ვრცელდებოდა ხმები, ბარსელონას მატარებელი macana გავაო.

მეორე ხარვეზი იყო კომპეტენტური ექთნების არარსებობა. ესპანეთს, როგორც ჩანს, არ ჰყავდა გამოცდილი საექთნო პერსონალი, შესაძლოა იმიტომ, რომ ომამდე ამ საქმეს, ძირითადად, მონაზვნები უძღვებოდნენ. არაფერს ვუჩივი ესპანელ ექთნებს: ისინი მუდამ საოცარი სიკეთით მეპყრობოდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ საშინლად უმეცრები იყვნენ თავიანთ საქმეში. ყველა მათგანმა იცოდა, როგორ გაეზომა სიცხე, ზოგიერთმა – სახვევის დადებაც, მეტი არაფერი. ამის შედეგად, ისეთებს, ვისაც მეტისმეტი დაუძლურებულობის გამო თავისი თავის მიხედვა არ ძალუძდა, ხშირად სამარცხვინოდ მიგდებულს ტოვებდნენ. ექთნებს ხშირად ყურადღება არ მიუქცევიათ კაცისთვის, რომელსაც მთელი კვირის მანძილზე ყაბზობა აწუხებდა. იშვიათად ბანდნენ იმას, ვისაც თვითონ არ შეეძლო ბანაობა. თვით საწოლებსაც კი არ ალაგებდნენ

დღიდან დღემდე. საკვები ყველა საავადმყოფოში კარგი იყო, ნამდვილად ძალიან კარგი. ესპანეთში (კიდევ უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან) ტრადიციად ჰქონდათ პაციენტების გამოტენვა ბლომად სასმელ-საჭმლით. ლერიდაში გულშემაღონებელი ჭამა-სმა გვქონდა. საუზმე (დაახლოებით დილის ექვს საათზე) შედგებოდა სუპის, ომლეტის, შებოლილი ხორცის, პურის, თეთრი ღვინისა და ყავისგან, ლანჩზე კიდევ უფრო მეტი რამე მოჰქონდათ. და ეს მაშინ, როცა სამოქალაქო მოსახლეობის დიდ ნაწილს სერიოზულად აკლდა საკვები. ესპანელები თითქოს არ ცნობენ ისეთ რამეს, როგორიცაა მსუბუქი დიეტა, სნეულებს სთავაზობენ იმავეს, რასაც ჯანმრთელებს, იმავე მდიდარ, ცხიმიან სამზარეულოს, სადაც ყველაფერი ზეითუნის ზეთშია ჩამბალი.

ერთ დილას გვაუწყეს, რომ დაჭრილები ჩვენი პალატიდან ბარსელონაში გადაჰყავდათ. მოვახერხე და ცოლთან დეპეშა ვაფრინე, დღეს მოვდივარ-მეთქი. ამჯერად ავტობუსებში შეგვტენეს და რკინიგზის სადგურამდე მიგვიყვანეს. და მხოლოდ მატარებლის დაძვრის მომენტშიღა წამოსცდა ჩვენს თანმხლებ სანიტარს, ბარსელონაში კი არა, ტარაგონაში მივდივართო. ვფიქრობ, გეზის შეცვლა თვით მატარებლის ვატმანმა გადაწყვიტა. «როგორც ესპანეთს შეჰფერის!», გამიელვა იმ წამს. თუმცა ისიც

ღრმად ესპანური ამბავია, რომ დამთანხმდნენ და მატარებელი შეაჩერეს, სანამ კიდევ ერთ დეპეშას გავგზავნიდი, და კიდევაც უფრო ესპანურად მოხდა, რომ ამ დეპეშას არასოდეს ჩაუღწევია დანიშნულების ადგილამდე.

მესამე კლასის, ხისსკამებიან ჩვეულებრივ ვაგონებში ჩაგვსვეს. ბევრი მძიმედ დაჭრილი იმ დილას წამომდგარიყო პირველად. სულ მალე, სიცხისა და რყევისგან, მათ ნახევარს სრულებით გაუწყდა არაქათი. რამდენიმემ ვაგონის იატაკზეც არწყია. ლაზარეთის სანიტარი იატაკზე დაყრილ დაჭრილებს, როგორც გვამებს, ისე აბიჯებდა, ხელში თხის ტყავის მათარა ეჭირა და ხან ერთ პირში ასხამდა წყალს და ხან მეორეში. საძაგელი წყალი იყო. დღემდე მახსოვს მისი გემო. როცა მზე ჰორიზონტს მიუახლოვდა, ტარაგონაში შევედით. რკინიგზა ქვის სასროლ მანძილზე მიუყვებოდა ზღვის ნაპირს. როდესაც ჩვენი მატარებელი სადგურში შევიდა, იქიდან უკვე გამოდიოდა ინტერბრიგადით სავსე სამხედრო მატარებელი. ხიდზე შეჯგუფებული ხალხი ხელს უქნევდა მის შიგნით მყოფებს. უგრძესი შემადგენლობა გადატენილიყო ადამიანებით, ღია სატვირთო ვაგონებზე დაბმული საველე ქვემეხებითა და მათ ირგვლივ დახუნძლული კაცებით. განსაკუთრებით ცოცხლად ჩამრჩა მეხსიერებაში

საღამოს ყვითელ სინათლეში მიმავალი ამ მატარებლის სახება, ერთმანეთს მიყოლებული ბნელი ფანჯრები, მოღიმარი სახეები, ქვემეხების გრძელი ლულები, მოფრიალე ალისფერი ლენტები... ეს ყველაფერი ნელა მისრიალებდა ფირუზისფერი ზღვის ფონზე.

– Extranjeros – უცხოელები, – თქვა ვიღაცამ, – იტალიელები არიან.

აშკარად იტალიელები იყვნენ. სხვა ვერავინ შეჯგუფდებოდა ასე ხატოვნად და ვერავინ დააბრუნებდა სალამს ასეთი გრაციით, რომელსაც ისიც არ ამცირებდა, რომ მათი ნახევარი პირდაპირ ტუჩზე მიდებული ბოთლებიდან წრუპავდა ღვინოს. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ეს იყო ნაწილი იმ ჯარისა, რომელმაც დიდი გამარჯვება მოიპოვა გვადალახარაში მარტის თვეში. ახლა შვებულებიდან ბრუნდებოდნენ არაგონის ფრონტზე. ეჰა, რომ მათი უმრავლესობა ჰუესკას ფრონტზე დაიღუპა სულ რამდენიმე კვირის შემდეგ. ჩვენი კაცები, რომლებიც საკმაოდ კარგად გრძნობდნენ თავს და სიარული შეეძლოთ, ვაგონს შიგნიდან გაუყვნენ, რათა მისალმებოდნენ იტალიელებს შემხვედრი მიმართულებით მიმავალ მატარებელში. ფანჯრიდან გაშვერილი

ყავარჯნის ქნევა, წითელი სალმის მიმცემი დოლბანდიანი მკლავები – ეს ომის ალეგორიული სურათივით იყო: ჯანმრთელ-დასვენებული კაცებით სავსე მთელი მატარებელი, ამაყად რომ მიუყვებოდა ლიანდაგს ერთი მიმართულებით, და დასახიჩრებული კაცებით დაკომპლექტებული და საპირისპიროდ მსვლელი მეორე შემადგენლობა. და სანამ ეს ორი ტრანსპორტი ერთმანეთს გასცდებოდა, ქვემეხების შიშველი ლულები, როგორც ყოველთვის, ახლაც გულს გვიფრთხიალებდა მათ შემხედვარეთ და აღორძინებდა იმ დამღუპველ გრძნობას, ესოდენ ძნელად მოსაშორებელს, რომ, ყოველივეს შემდეგ, ომი მაინც დიდებული რამ არის.

ტარაგონას უზარმაზარი ჰოსპიტალი სავსე იყო ყველა ფრონტიდან ჩამოყვანილი დაჭრილებით. რა ჭრილობებს აღარ ნახავდი აქ! ზოგიერთს ისეთი

მეთოდებით მკურნალობდნენ, რომლებიც, ვფიქრობ, უკანასკნელ სამედიცინო პრაქტიკას შეესატყვისებოდა, თუმცა, იმავდროულად, საზარელი სანახავი იყო: ჭრილობას ღიად ტოვებდნენ, მხოლოდ ბუზებისგან იცავდნენ მავთულებზე გადაჭიმული დოლბანდით, რომლის ქვეშ ნახევრად შეხორცებული ჭრილობა წითელ ჟელესავით მოჩანდა. ერთ კაცს – სახეში და ყელში დაჭრილს – თავი გამომწყვდეული ჰქონდა დოლბანდის

ერთგვარ სფერულ ჩაჩქანში, ჩაკეტილ პირში კი მილაკი ედო, რომლითაც სუნთქავდა. ეს საბრალო უკიდურესად მარტოხელა ჩანდა, ბოლთას სცემდა, დოლბანდის საკნიდან გიყურებდა და ხმას ვერ იღებდა. ტარაგონაში სამი თუ ოთხი დღე დავყავი. ძალა მიბრუნდებოდა. ერთ დღეს კი, ნელ-ნელა, ზღვის ნაპირამდეც ჩავედი. უცნაური სანახავი იყო, რომ ზღვის სანაპიროს ცხოვრება თითქმის უცვლელად მიმდინარეობდა. კოხტა კაფეები სასეირნო ხეივნის გაყოლებაზე, ფერხორციანი ადგილობრივი ბურჟუაზია, რომელიც ბანაობდა და შეზლონგებზე ირუჯებოდა, თითქოს არავინ ომობდა აქედან ათასი მილის რადიუსში. მიუხედავად ამისა, დავინახე, როგორ დაიხრჩო ერთი მობანავე, რაც ამ თავთხელ და ნელთბილ წყალში თითქოს შეუძლებელი ჩანდა.

ბოლოს, ფრონტიდან წამოსვლის მერვე თუ მეცხრე დღეს, ჩემი ჭრილობაც გასინჯეს. გადასახვევ პუნქტებში ფრონტის ხაზს უკან ქირურგიულ კაბინეტში, სადაც ახალმოსულებს სინჯავდნენ, ექიმები დიდი მაკრატლებით ჭრიდნენ თაბაშირის ჯავშნებს, რომლებშიც ნეკნებჩამტვრეული და კისერმოტეხილი კაცები იყვნენ «ჩამწყვდეულები»; მკერდზე დადებული უხეში თაბაშირიდან აფორიაქებული, ჭუჭყიანი, ერთი კვირის გაუპარსავი სახეები ამოჩრილიყო.

ექიმმა – ოცდაათიოდე წლის მკვირცხლმა, სასიამოვნო შესახედაობის კაცმა – სკამზე დამსვა, ენაზე უხეში დოლბანდის ნაჭრით ჩამავლო, ბოლომდე გამომიწია, ყელში დანტისტის სარკე ჩამჩურთა და «ე» თქვიო, მითხრა. ამის შემდეგ, სანამ ენიდან სისხლი მდიოდა, თვალებიდან – წყალი, ამიხსნა, ხმის ერთი იოგი პარალიზებული გაქვსო.

– ხმა როდის დამიბრუნდება? – ვკითხე.

– ხმაა? ოჰ, ხმა აღარასდროს დაგიბრუნდება, – თქვა მხიარულად.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ცდებოდა. დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ჩურჩულზე ოდნავ ხმამაღლა თუ ვმეტყველებდი, მაგრამ ამის შემდეგ ხმა უცბად დამირეგულირდა, რაკი, როგორც ჩანს, მოხდა დაზიანებული იოგის «კომპენსირება». მკლავის ტკივილი გამოიწვია ტყვიით ნერვების კონის გახვრეტამ კისრის არეში. მწიწკნავი ტკივილი იყო, როგორც ნევრალგიის დროს, და მთელ თვეს გრძელდებოდა, ისე, რომ რიგიან ძილს ვერ ვეღირსე. ასევე ნახევრად პარალიზებული მქონდა მარჯვენა ხელის თითები. თვით ახლაც – ხუთი თვის შემდეგ – საჩვენებელი თითი ისევ

დაბუჟებული მაქვს. აი, უცნაური შედეგი ყელში მოხვედრილი ტყვიისა!

ჭრილობა, გარკვეულწილად, უცნაურობას წარმოადგენდა. სხვადასხვა ექიმმა გამსინჯა ენის წკლაპუნითა და «რა ბედია, რა ბედიას» ძახილით. ერთმა მათგანმა ავტორიტეტული იერით მითხრა, ტყვია არტერიას «დაახლოებით ერთი მილიმეტრით» ასცდაო. არ ვიცი, როგორ დაადგინა. უკლებლივ ყველა შემხვედრი – ექიმები, ექთნები, პრაქტიკანტები თუ მოძმე პაციენტები – მარწმუნებდა, რომ კაცი, რომელსაც ტყვია ყელში გაუვლის და გადარჩება, უიღბლიანესი არსებაა დედამიწაზე. მე კი თავს ვერ ვიკავებდი ფიქრისგან, რომ კიდევ უფრო მეტი იღბალი იქნებოდა, რომ საერთოდ არ მომხვედროდა ეს ტყვია.

თავი XI

იქ გატარებულ ბოლო კვირებში ბარსელონას გამორჩეულად ავბედითი აურა დასტრიალებდა – ეჭვის, შიშის, გაურკვევლობისა და შენიღბული სიძულვილის ატმოსფერო. მაისის ბრძოლამ აღმოუფხვრელი ნაკვალევი დატოვა. კაბალეროს მთავრობის დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში არაორაზროვნად მოვიდნენ კომუნისტები, შინაგანი წესრიგის ტვირთი მათ მინისტრებს გადაეცათ და ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ მომენტალურად გასრესდნენ თავიანთ პოლიტიკურ მეტოქეებს, როგორც კი ამის მეოთხედი შანსი მიეცემოდათ. ჯერ არაფერი ხდებოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. და მაინც: ჰაერში მუდმივად იგრძნობოდა საშიშროების მუხტი, რაღაც ცუდისმომასწავებელი ბუნდოვანება. თითქოს მთელ დროს იმაში ატარებდი, რომ კაფეს კუთხეში იჯექი, ჩურჩულებდი და გაინტერესებდა, ჯაშუშია თუ არა მეზობელ მაგიდასთან მიმჯდარი ადამიანი.

პრესის ცენზურის წყალობით, ირგვლივ ძრწოლისმომგვრელი ხმები დადიოდა. ერთი ის იყო, რომ ნეგრინ-პრიეტოს მთავრობა ომის კომპრომეტირებას გეგმავდა. იმხანად

განწყობილი ვიყავი, დამეჯერებინა ეს, რადგანაც ფაშისტები ბილბაოს უახლოვდებოდნენ, ხელისუფლება კი არაფერს აკეთებდა მის გადასარჩენად. მთელი ქალაქის თავზე ბასკური დროშები ფრიალებდა, გოგონები ფულის შესაგროვებელ ყუთებს აჩხრიალებდნენ კაფეებში და მიდიოდა ჩვეულებრივი რადიოგადაცემები «გმირ დამცველებზე». არადა, რეალურად, ბასკებს არავინ ეხმარებოდა. იყო ცდუნება იმის დაჯერებისა, რომ ხელისუფლება ორმაგ თამაშს თამაშობდა. უფრო გვიანდელმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ამ საკითხში ვცდებოდი. თუმცა თითქოს ბილბაო შეიძლებოდა გადარჩენილიყო, თუ ცოტაოდენ მარიფათს კიდევ გამოიჩენდნენ. შეტევის წამოწყება არაგონის ფრონტზე, თუნდაც წარუმატებლის, ფრანკოს აიძულებდა გაეყვანა თავისი ჯარის ნაწილი. ხელისუფლება კი მაშინღა გადავიდა შეტევაზე, როცა, მართლაცდა, უკვე მეტისმეტად დაგვიანებული იყო, ანუ დაახლოებით იმ პერიოდში, როცა ბილბაო დაეცა. შეკ ავრცელებდა პროკლამაციებს: «ფრთხილად იყავით!» და მიანიშნებდა: «გარკვეული პარტია» (იგულისხმებოდა კომუნისტები) coup d’état[29]-ს გეგმავსო. ფართოდ მოდებულიყო ის შიშიც, რომ კატალონიას დაიპყრობდნენ. უფრო ადრე, როცა ფრონტზე დავბრუნდით, ვნახე ფრონტის ხაზამდე მრავალი მილით აქეთ აგებული ძალუმი ფორტიფიკაციები, ხოლო ბარსელონას მთელ ტერიტორიაზე

ბომბგაუმტარი თავშესაფრები გაითხარა. ხშირი იყო საჰაერო და საზღვაო რეიდებისგან გამოწვეული პანიკა, კიდევ უფრო ხშირი – ცრუ განგაშები. თუმცა ყოველ ჯერზე სირენები მაინც აქრობდნენ სინათლეებს, ქალაქი რამდენიმე საათს ზედიზედ ჩაწყვდიადებული რჩებოდა, დამფრთხალი ადამიანები კი

სარდაფებში იმალებოდნენ. ყველგან დაძრწოდნენ პოლიციის ჯაშუშები. ციხეებში ჯერაც ისხდნენ მაისის ბრძოლის შემდეგ დარჩენილი ტუსაღები, სხვებს კი (რასაკვირველია, მუდამ ანარქისტებს და მომპ-ის ხალხს) თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად იჭერდნენ და ციხეებში ამწყვდევდნენ. რამდენადაც შეიძლებოდა ამის გარკვევა, დაპატიმრებულთაგან არც ერთი არ იყო გასამართლებული, თვით მსჯავრდადებულიც კი ისეთი განსაზღვრული რამით, როგორიცაა «ტროცკიზმი». უბრალოდ, ჩაგაგდებდნენ ციხეში და იქ გაყურყუტებდნენ, როგორც წესი – incommunicado. ბობ სმაილი ისევ ვალენსიის ციხეში იჯდა. ვერაფერს მივაგენით, გარდა იმისა, რომ არც დლპ-ის იქაურ წარმომადგენელს და არც ამ საქმით დაკავებულ იურისტს სმაილის ნახვის უფლება არ მისცეს. უცხოელები ინტერბრიგადიდან თუ სხვა მილიციებიდან უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ხვდებოდნენ ესპანურ ციხეებში. ჩვეულებრივ, მათ ისე აპატიმრებდნენ, როგორც დეზერტირებს. მთლიანი ვითარებისთვის ტიპური

იყო, რომ არავინ იცოდა დანამდვილებით, მილიციელს მოხალისის სტატუსი ჰქონდა თუ რეგულარული ჯარისკაცის. რამდენიმე თვის წინ მილიციაში ჩაწერილ ნებისმიერ კაცს უთხრეს: «შენ მოხალისე ხარ და, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეგიძლია განთავისუფლდე». შემდეგ ხელისუფლებამ აზრი შეიცვალა: მილიციელი რეგულარული ჯარისკაცი იყო და დეზერტირად მიიჩნეოდა, თუ შინ წასვლას შეეცდებოდა. თუმცა თვით ამასაც კი ვერავინ იტყოდა დარწმუნებით. ფრონტის ზოგიერთ ნაწილში ხელისუფლება მაინც უშვებდა სამხედრო სამსახურიდან წასვლას. ფრონტზე ეს ხანდახან მისაღები იყო, ხანდახან – არა. თუ არ იყო და, მაშინვე გაპატიმრებდნენ. მოგვიანებით, უცხოელი «დეზერტირების» რიცხვი ციხეში რამდენიმე ასეულამდე ავიდა. თუმცა როდესაც მათ ქვეყნებში ჩოჩქოლი ატყდა ესპანეთში დატუსაღებულ თანამემამულეთა გამო, მათი უმრავლესობა რეპატრიაციას ეღირსა.

ქუჩებში ყველგან ვალენსიელ თავდასხმელთა რაზმები დაძრწოდნენ, ადგილობრივ თავდამსხმელებს ისევ დაკავებული ჰქონდათ კაფეები და სტრატეგიულ წერტილებში მდგარი სხვა ნაგებობები, ბევრ კგსპ-ს შენობასთან კი ჯერაც არ აეღოთ ქვიშის ტომრები

და ბარიკადები. ქალაქის სხვადასხვა ადგილებში იყო პოსტები, რომლებზეც ადგილობრივი მოიერიშეები ან კარაბინერები იდგნენ. ისინი გამვლელებს აჩერებდნენ და საბუთებს უმოწმებდნენ. ყველამ გამაფრთხილა: შენი მომპ-ის მოწმობა არ უჩვენო, მხოლოდ შენი პასპორტი და საავადმყოფოს ბილეთიო. თვით იმის ცოდნა, რომ ოდესღაც მომპ-ში გემსახურა, რამდენადმე სახიფათო იყო. მომპ-ის მილიციელები, რომლებიც დაიჭრნენ ან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლდნენ, პატარ-პატარა რაღაცებში ჯარიმდებოდნენ: მაგალითად, გაჭირვებით იღებდნენ კუთვნილ ხელფასებს. ისევ გამოდიოდა «ლა ბატალა», თუმცა ისეთი ცენზურით, რომ მისგან თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

«სოლიდარიდადი» და სხვა ანარქისტული გაზეთებიც მძიმე ცენზურას გადიოდა. არსებობდა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც გაზეთების ცენზურაგავლილი ნაწილები ცარიელი კი არ უნდა დარჩენილიყო, არამედ სხვა მასალებით შეევსოთ. ამის შედეგად თითქმის ვერ გამოიცნობდი, როდის რა იყო ამოჭრილი.

საკვების დეფიციტი, რომელიც არათანაბრად მოქმედებდა მთელი ომის მანძილზე, ამჟამად თავის ერთ-ერთ უმძიმეს სტადიას გადიოდა. პური ძნელად იშოვებოდა, მის

უფრო იაფ სახეობებში კი ბრინჯს ურევდნენ. ის პური კი, რომელსაც ჯარისკაცები იღებდნენ ბარაკებში, საგოზავის მსგავსი რაღაც საშინელება იყო. რძე და შაქარი იშვიათად იშოვებოდა, თამბაქო – თითქმის არასდროს (ძვირად ღირებული კონტრაბანდული სიგარეტის გარდა). იყო მწვავე ნაკლებობა ზეითუნის ზეთისა, რომელსაც ესპანელები უამრავი მიზნით იყენებდნენ. მის შესაძენად დამდგარი ქალების გრძელ რიგებს აკონტროლებდნენ ცხენოსანი თავდამსხმელები, რომლებიც იმით ერთობოდნენ, რომ ცდილობდნენ, ცხენებს ქალების ფეხებზე დაებიჯებინათ. იმ პერიოდის კიდევ ერთი პატარა უკმარისობა წვრილი ფულის უქონლობა იყო. ხურდა ფული ბრუნვიდან ამოიღეს, ახალი ხურდა კი ჯერ არ გამოეშვათ, რის გამოც არავითარი შუალედური ფული არ არსებობდა ათსანტიმიან მონეტასა და ორ-ნახევარპესეტიან ქაღალდის ფულს შორის. საერთოდ, ათპესეტიანზე ნაკლები ყველა ბანკნოტი დიდი იშვიათობა იყო[30]. უღარიბესი ხალხისთვის ეს საკვების დეფიციტის გაუარესებას ნიშნავდა. ქალი, რომელსაც მხოლოდ ათპესეტიანი ბანკნოტი ჰქონდა, შეიძლებოდა საათობით მდგარიყო რიგში საბაყლო მაღაზიასთან და მაინც ვერაფერი ეყიდა, რადგან ბაყალი ამ ბანკნოტს ვერ უხურდავებდა, ქალს კი თავისი თავისთვის ამდენი ფულის ერთბაშად დახარჯვის უფლება ვერ მიეცა.

ადვილი საქმე არ არის იმ დროის კოშმარული ატმოსფეროს გადმოცემა, იმ განსაკუთრებული უხერხულობის, რომელსაც ქმნიდა მარად ცვალებადი მითქმა-მოთქმა, ცენზურაგამოვლილი გაზეთები და მუდმივად იარაღასხმული კაცები. ადვილი არ არის, რადგან დღევანდელ ინგლისში იმ სიტუაციის ანალოგი არ მოიძებნება. ინგლისში პოლიტიკური შეუწყნარებლობა თავისთავად ცხად ამბად არ მიიჩნევა. არსებობს მცირე პოლიტიკური დევნა. ქვანახშირის მემაღაროე რომ ვიყო, აინუნშიც არ ჩავაგდებდი, თუ ჩემი ბოსი ჩემს კომუნისტობას შეიტყობდა. მაგრამ «კარგი პარტიული», კონტინენტური პოლიტიკის განგსტერ-გრამოფონი იშვიათობაა და «ლიკვიდირება» ან «აღმოფხვრა» იმისა, ვინც არ გეთანხმება, ჯერ მაინც არ მიიჩნევა ბუნებრივად. «სტალინელები» ზეობდნენ და ამიტომაც, რაღა თქმა უნდა, თითოეული «ტროცკისტი» საფრთხეში იყო. ის, რისიც ყველას ეშინოდა, საბოლოოდ არ მოხდა: შეტაკება ქუჩებში (რაც, უწინდელივით, ახლაც მომპ-სა და ანარქისტებს დაბრალდებოდა). იყო მომენტები, როცა დავაფიქსირე, რომ გაფაციცებული

ვაყურადებდი, როდის გაისმებოდა პირველი გასროლები. თითქოსდა ქალაქს რომელიღაც ბოროტი გოლიათი დაჰყურებდა თავზე. ამას ყველა ამჩნევდა, ყველა აღნიშნავდა და უცნაურია, რომ ყველა თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით

გამოხატავდა: «აქაური ატმოსფერო საშინელებაა, საგიჟეთში ყოფნას ჰგავს». თუმცა ალბათ «ყველა» არ უნდა მეთქვა. ზოგმა ინგლისელმა სტუმარმა, სწრაფად რომ გაიფარფატეს ერთი ესპანური სასტუმროდან მეორემდე, თითქოს ვერ შეამჩნიეს, რომ რაღაც ისე ვერ იყო საერთო ატმოსფეროში. ათოლის ჰერცოგის მეუღლე წერს («სანდეი ექსპრესის» 1937 წლის 17 ოქტომბრის ნომერში):

«მოვინახულე ვალენსია, მადრიდი და ბარსელონა... სამივე ქალაქში სრულყოფილი წესრიგია, ძალის არავითარი გამოვლინება არ შეიმჩნევა. ყველა სასტუმრო, რომლებშიც გავჩერდი, არათუ მხოლოდ «ნორმალური» და «წესიერია», არამედ უაღრესად კომფორტულიც, კარაქისა და ყავის დეფიციტის მიუხედავად».

ინგლისელ მოგზაურთა თავისებურებაა, რომ რეალურად არ სჯერათ სხვა რამის არსებობა, კოხტა სასტუმროების კედლებს გარეთ. ვიმედოვნებ, ათოლის ჰერცოგის მეუღლეს ცოტაოდენი კარაქი უშოვეს.

სანატორიუმ «მაურინში» ვიყავი, – ერთ-ერთ ისეთში, რომელსაც მომპ მეურვეობდა. ტიბიდაბოს შემოგარენში დგას, უცნაურ მთასთან, ფრიალოდ რომ აღმართულა

ბარსელონას უკან და ტრადიციულად მიიჩნევა იმ მთად, რომლიდანაც სატანამ იესოს დედამიწის ქვეყნები დაანახა. ეს შენობა უწინ ერთ მდიდარ ბურჟუას ეკუთვნოდა, რევოლუციის დროს კი მომპ-ის ხელში გადმოვიდა. მის ბინადართა უმრავლესობას შეადგენდნენ ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ფრონტიდან განთავისუფლებული სუბიექტები, ან სამუდამოდ დახეიბრებულნი – კიდურებამპუტირებულნი და სხვა ამდაგვარი. იქ რამდენიმე სხვა ინგლისელიც იყო: ფეხდაშავებული უილიამსი; სტაფორდ კოტმენი – თვრამეტი წლის ბიჭი, რომელიც, ტუბერკულოზით დაავადებაში ეჭვმიტანილი, ფრონტიდან გამოაბრუნეს; ართურ კლინტონი, რომელსაც ის დაფშვნილი მარცხენა მკლავი ჯერაც აკრული ჰქონდა მავთულისგან დამზადებული და «აეროპლანად» მონათლული ეშმაკური გამოგონებით, ესპანურ ლაზარეთებში რომ გამოიყენებოდა. ჩემი ცოლი ისევ «კონტინენტალში» იყო, მე კი ბარსელონაში დღისით ჩავდიოდი. დილაობით, საერთო საავადმყოფოში, ელექტროთერაპიას მიტარებდნენ დაზიანებულ მკლავზე. უცნაური რამ იყო მჩხვლეტავი ელექტროშოკის ეს სერია, რომელიც ზემოთ-ქვემოთ ახტუნავებდა სხვადასხვა კუნთს, მაგრამ მაინც რაღაც სიკეთეს სჩადიოდა. თითებში მგრძნობიარობა აღმიდგა და ტკივილიც შემისუსტდა. ორივემ გადავწყვიტეთ, რომ უკეთესს ვერაფერს

ვიზამდით, თუ არა იმას, რომ ერთად დავბრუნებულიყავით ინგლისში, შეძლებისამებრ მალე. ძალიან დასუსტებული ვიყავი, ხმა დაკარგული მქონდა – თითქოსდა სამუდამოდ. ექიმების თქმით, უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე თვე მჭირდებოდა იმისთვის, რომ ისევ მზად ვყოფილიყავი ომში წასასვლელად. ადრე თუ გვიან ფულის შოვნა უნდა დამეწყო და დიდი აზრი აღარ ჰქონდა ესპანეთში დარჩენას და იმ ნუზლის მირთმევას, რომელიც სხვებს უფრო სჭირდებოდათ. თუმცა ჩემი მოტივები უპირატესად ეგოისტური გახლდათ. გაუსაძლისად მსურდა, გავცლოდი ამ ყველაფერს, გავცლოდი პოლიტიკური ეჭვისა და სიძულვილის ამ შემაძრწუნებელ ატმოსფეროს, იარაღიანი კაცებით გაკონტროლებულ ქუჩებს, საჰაერო რეიდებს, სანგრებს, ტყვიამფრქვევებს, მწივანა ტრამვაებს, ურძეო ჩაის, ზეთზე დამზადებულ კერძებს, სიგარეტის დეფიციტს, ანუ თითქმის ყველაფერს, რაც ჩემთვის ესპანეთთან ასოცირდებოდა.

საერთო საავადმყოფოს ექიმებმა სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარად მიმიჩნიეს, მაგრამ სამხედრო სამსახურიდან დასათხოვად უნდა მომენახულებინა რომელიმე ჰოსპიტლის სამედიცინო კოლეგია ფრონტის სიახლოვეში, მერე კი

სიეტამოში ჩავსულიყავი და მომპ-ის შტაბიდან ჩემი საბუთები წამომეღო. კოპი სულ ახალი ჩამოსული იყო ფრონტიდან, მხიარული და მოზეიმე. პირდაპირ ბრძოლიდან მოდიოდა და თქვა: ბოლოს და ბოლოს, ჰუესკა მალე დაეცემაო. მთავრობას მადრიდის ფრონტიდან ჯარები ჩამოეყვანა და ახლა ოცდაათი ათასი კაცის მობილიზებას ახდენდა უამრავი თვითმფრინავის თანხლებით. ტარაგონადან მომავალ იტალიელებს, გზად რომ შემომხვდნენ, ხაკას გზისათვის შეეტიათ, მაგრამ მძიმე დანაკარგები ჰქონდათ და ორი ტანკიც მოჰკლებოდათ. მიუხედავად ამისა, ქალაქი იძულებულია, დანებდესო, თქვა კოპმა (ეჰა, რომ არ დანებებულა! შეტევა – საშინელი დომხალი – არაფრით არ დაგვირგვინდა, გაზეთებში დატრიალებული სიცრუის ორგიის გარდა). ამასობაში კოპი ვალენსიაში უნდა ჩასულიყო ინტერვიუს მისაცემად ომის სამინისტროში. ხელთ ჰქონდა სარეკომენდაციო წერილი გენერალ პოსასისგან, რომელიც ამჟამად აღმოსავლეთის არმიას მეთაურობდა. ამ ყოვლად ჩვეულებრივ წერილში კოპი დახასიათებული იყო, როგორც «ყოველმხრივ სანდო პიროვნება», და შუამდგომლობა ეწეოდა საგანგებო თანამდებობაზე დასანიშნად საინჟინრო განყოფილებაში (სამოქალაქო ცხოვრებაში კოპი ინჟინერი იყო). იმავე დღეს გაემგზავრა ვალენსიაში, რა დღესაც მე – სიეტამოში.

იქ ხუთი დღე დავყავი. ხალხით სავსე სატვირთო მანქანა შუაღამისას ჩავიდა სიეტამოში. მომპ-ის შტაბში მისვლისთანავე გაგვამწკრივეს და, ჯერ სახელებიც კი არ ეკითხათ, ისე დაიწყეს შაშხანებისა და ვაზნების ჩამორიგება. ეტყობოდა, შეტევა იწყებოდა და ისინიც ნებისმიერ წუთში ელოდნენ რეზერვებს. მე ჩემი ლაზარეთის ბილეთი მქონდა, მაგრამ საკმაოდ რიხიანად ვერ ვთქვი უარი სხვებთან ერთად წასვლაზე. მიწაზე მივწექი დასაძინებლად და თავქვეშ ვაზნების ყუთი ამოვიდე. აფორიაქებული ვიყავი. მიღებული ჭრილობისგან

იმხანად ნერვები მქონდა გაფუჭებული (ვგონებ, საერთოდ ასე ხდება) და ისევ ქარცეცხლში მოხვედრის პერსპექტივამ თავზარი დამცა. თუმცაღა, როგორც ყოველთვის, ახლაც ცოტაოდენი macana მოხდა. მაშინვე აღარ წაგვიყვანეს, მეორე დილით კი ლაზარეთის ბილეთი ვუჩვენე და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის პროცესს მივყევი, ანუ არეულ-დარეულ, დამღლელ მგზავრობათა სერიას. როგორც წესი, ისინი ერთი ლაზარეთიდან მეორეში გგზავნიდნენ: სიეტამო, ბარბასტრო, მონსონი, ისევ სიეტამო, სადაც ჩემი დათხოვნის ფურცლისთვის ბეჭედი უნდა დაერტყათ. მერე ისევ ბარბასტრო და ლერიდა. ჯარების თავმოყრას ჰუესკასთან მოჰყვა მთელი ტრანსპორტის მონოპოლიზება და ყველაფრის არევ-დარევა. მახსოვს, როგორ მეძინა უცნაურ

ადგილებში: ერთხელ ლაზარეთის საწოლში, მეორედ – თხრილში, მესამედ – ისეთ ვიწრო მერხზე, რომ შუაღამისას ჩამოვვარდი; ერთხელაც – ბარბასტროს მუნიციპალურ ბინაში. როგორც კი რკინიგზას შორდებოდი, მგზავრობის არავითარი საშუალება აღარ რჩებოდა, შემთხვევით გამოვლილი სატვირთო მანქანის გარდა. საათობით უნდა გეცადა გზის პირას, ზოგჯერ – სამ თუ ოთხ საათს ზედიზედ. ხედავდი გლეხების დაღვრემილ ჯგუფებს, იხვები და კურდღლები რომ მიჰყავდათ და თითოეულ ჩავლილ სატვირთო მანქანას ხელს უქნევდნენ. ბოლოს და ბოლოს, გიჩერებდა მანქანა, რომელიც პირთამდე სავსე არ იყო ადამიანებით, პურით ან ტყვია-წამლით, მაგრამ დანგრეულ გზებზე ჯანჯღარი გულ-მუცელს გიტრიალებდა და ხორცის გუნდად გაქცევდა. არც ერთ ცხენს არასოდეს ავუსროლივარ ისე მაღლა, როგორც იმ სატვირთოებს. მგზავრობის ერთადერთ საშუალებად რჩებოდა ერთად დაჯდომა და ერთმანეთზე მიკვრა. ჩემდა სამარცხვინოდ, აღმოვაჩინე, რომ ჯერაც მეტისმეტად სუსტად ვიყავი საიმისოდ, რომ სხვის დაუხმარებლად ავმძვრალიყავი ძარაზე.

ერთი ღამე მონსონის ჰოსპიტალში გავატარე, სადაც სამედიცინო კვლევის გასავლელად მივედი. მეზობელ საწოლზე იწვა მარცხენა თვალს ზემოთ დაჭრილი

გვარდიელი, რომელმაც, მეგობრულად განწყობილმა, სიგარეტები მომცა. ალბათ, ბარსელონაში ერთმანეთს ვესროდით-მეთქი, ვუთხარი და ორივემ ვიხარხარეთ ამაზე. უცნაურია, რაოდენ იცვლებოდა საერთო განწყობა, როცა ფრონტის ხაზს უახლოვდებოდი. პოლიტიკური პარტიების ყოველგვარი ან თითქმის ყოველგვარი ურთიერთსიძულვილი უკვალოდ ორთქლდებოდა. ფრონტზე ყოფნის მთელი იმ პერიოდის განმავლობაში არ მახსოვს ერთი შემთხვევაც კი, როცა კგსპ-ს რომელიმე მომხრეს მტრული თვალით შეეხედოს ჩემთვის მხოლოდ იმისთვის, რომ მე მომპ-ელი ვიყავი. ასეთი რამეები ბარსელონაშიც ხდებოდა და ომიდან კიდევ უფრო დაშორებულ ადგილებშიც. სიეტამოში ბევრი თავდამსხმელი შემხვდა, ბარსელონადან გამოეგზავნათ ჰუესკაზე შეტევაში მონაწილეობის მისაღებად. მოიერიშე რაზმებს იმთავითვე ფრონტზე გაგზავნას არ უპირებდნენ და ბევრი მათგანი მანამდე არასოდეს

მოხვედრილიყო ომის ქარცეცხლში. ბარსელონაში ისინი ქუჩების ბატონ-პატრონები იყვნენ, აქ კი ახალწვეულების როლში გამოდიოდნენ და თავს აბეზრებდნენ თხუთმეტი წლის მილიციელ ბიჭებს, უკვე რამდენიმე თვის ნამყოფებს ფრონტზე.

მონსონის ჰოსპიტალში ექიმმა, ჩვეულებრისამებრ, ენა გამომაყოფინა და სარკეც

ჩამჩურთა ყელში, მერე კი სხვა ექიმებივით მახარა, რომ აღარასდროს მექნებოდა ხმა, და სერტიფიკატზეც ხელი მომიწერა. სანამ გასინჯვას ველოდებოდი, ქირურგიულ განყოფილებაში რაღაც საზარელი ოპერაცია მიმდინარეობდა, ანესთეზიის გარეშე. რატომ უანესთეზიოდ? – არ ვიცი. ყვირილს ყვირილი მოსდევდა... მერე კი, როცა იქ შევედი, იატაკზე მიყრილ-მოყრილი სკამები და სისხლისა და შარდის გუბეები დამხვდა.

იმ ბოლო მოგზაურობის დეტალები უცნაურად მკაფიოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. სხვა განწყობაზე ვიყავი, უფრო დაკვირვებული, ვიდრე წინა თვეებში. სამხედრო სამსახურიდან გავთავისუფლდი, 29-ე დივიზიის ბეჭედი მქონდა ჩარტყმული და ექიმის სერტიფიკატი, რომელშიც «გამოუსადეგარად» ვცხადდებოდი. ახლა აღარაფერი მიშლიდა ინგლისში დაბრუნებას. შემდეგ ვიგრძენი, – თითქმის პირველად, – რომ შემეძლო ესპანეთისთვის შემეხედა. ერთი დღე მქონდა ბარბასტროში გასატარებლად, რადგან დღეში სულ ერთადერთი მატარებელი გადიოდა. მანამდე ეს ქალაქი გაელვებით თუ მენახა და მხოლოდ ომის ერთ ნაწილად მომეჩვენა, ნაცრისფერ, ტალახიან, ცივ, აღმუვლებული სატვირთო მანქანებითა და სამოსდაფლეთილი

ჯარებით სავსე ადგილად. ახლა ყველაფერი უცნაურად განსხვავებულად გამოიყურებოდა. დავხეტიალობდი და ვეცნობოდი საამურად მიმოკლაკნილ ქუჩებს, ქვის ძველ ხიდებს, ღვინის მაღაზიებს და შიგ მდგარ დიდ, დაცვარულ, ადამიანის სიმაღლის კასრებს, ნახევრად მიწის ქვეშ მოქცეულ, დამაინტრიგებელ ქუჩებს, სადაც კაცები აკეთებდნენ ურმის თვლებს, ხანჯლებს, ხის კოვზებს და წყლის ბოთლებს თხის ტყავისგან. ვუყურე ასეთი ბოთლის ხელოსნის მუშაობას და დიდი ინტერესით აღმოვაჩინე ის, რაც აქამდე არასოდეს მცოდნია: რომ ასეთ ბოთლებს შიგნიდან ბეწვი აქვთ და ამ ბეწვს არასოდეს აშორებენ, ანუ, რეალურად, თხის გამოხდილ ბეწვს «ვსვამთ». თვეების მანძილზე ვსვამდი ამ ბოთლებიდან ისე, რომ არც კი ვიცოდი ეს ამბავი. ქალაქის უკანა მხარეს მიედინებოდა მოყვითალო-მომწვანო-მოცისფრო მდინარე, რომლიდანაც ფრიალო კლდოვანი მასივი ამოზრდილიყო, ზედ კი სახლები დაეშენებინათ, ისე, რომ პირდაპირ ფანჯრიდან შეგეძლო გადაგეფურთხებინა ასი ფუტით ქვემოთ გამდინარე ნაკადში. ამ კლდეში უთვალავი მტრედი ბინადრობდა. ლერიდაში იდგა ძველი, დაშლის პირას მისული ნაგებობები, რომელთა შვერილებზე ათასობით მერცხალს აეგო ბუდე. გარკვეული მანძილიდან ბუდეების ეს ქერქიანი ფიგურები როკოკოს პერიოდის ყვავილოვან ორნამენტს გაგონებდა. უცნაური იყო, რომ

სულ რაღაც ექვსიოდე თვის წინ ჩემი მზერა ბრმა იყო მსგავსი საგნების მიმართ. ბეჭედდარტყმული საბუთები ჯიბეში მედო, თავს ისევ ადამიანად ვგრძნობდი და ცოტათი ტურისტადაც. რადგან თითქმის პირველად ვიგრძენი, რომ ესპანეთში ვიყავი, ანუ ქვეყანაში, რომლის მონახულებასაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიველტვოდი. ლერიდასა და ბარბასტროს წყნარ შუკებში თითქოს მოვიხელთე იმ ესპანეთის მეყსეული გაელვება, ერთგვარი შორეული ხმა, ყველას წარმოსახვაში რომ ჩაბუდებულა. თეთრი მთაგრეხილები, თხის ფარები, ინკვიზიციის დროინდელი დილეგები, მავრული სასახლეები, შავად მიმოკლაკნილი ჯორების მწკრივები, ნაცრისფერი ზეთისხილის ხეები და ლიმონების ტევრები, შავ მანტილებში გამოწყობილი გოგონები, მალაგასა და ალიკანტეს ღვინოები, კათედრალები, კარდინალები, ხარების ბრძოლა, ბოშები, სერენადები, მოკლედ – ესპანეთი, ქვეყანა, რომელიც ყველაზე მეტად ატყვევებდა ჩემს წარმოსახვას ევროპის სხვა ქვეყნებს შორის. საწყენი იყო, რომ როცა, ბოლოს და ბოლოს, მოვახერხე აქ ჩამოსვლა, მხოლოდ ჩრდილო აღმოსავლეთი კუთხე მოვინახულე შუა საომარ მოქმედებებში და, უპირატესად, ზამთრის პერიოდში.

ბარსელონაში გვიან ღამით ჩავედი. ტაქსი არსად ჩანდა. აზრი არ ჰქონდა სანატორიუმ «მაურინამდე» მიღწევის, ანუ ქალაქგარეთ გასვლის მცდელობას. ამიტომაც გეზი სასტუმრო «კონტინენტალისკენ» ავიღე, გზად კი ვახშმისთვის შევჩერდი. მახსოვს საუბარი მამისტოლა ოფიციანტთან სპილენძით შემოსალტული მუხის დოქების შესახებ, რომლებითაც ღვინო მოჰქონდათ. ასეთი დოქების კომპლექტის წაღება მინდა-მეთქი ინგლისში. ლამაზია, ჰო? მაგრამ ამჟამად აღარ იშოვება, აღარავინ აკეთებს მსგავს ჭურჭელს. ეს ომი კი რა გულდასაწყვეტია! შევთანხმდით, რომ ომი საწყენია და გულდასაწყვეტი. კიდევ ერთხელ შევიგრძნე თავი ტურისტად. ესპანეთი თუ მოგეწონათო, მკითხა ოფიციანტმა რბილად. ოჰ, კი, უნდა დავბრუნდე-მეთქი. ეს მშვიდი საუბარი მეხსიერებაში ჩამრჩა იმის გამო, რაც ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა.

სასტუმროში მისულს ცოლი ვესტიბიულის სავარძელში მჯდარი დამხვდა. დანახვისთანავე წამოდგა, ჩემკენ გამაოგნებლად უცნაური მანერით წამოვიდა, ტკბილად მოღიმარი კისერზე შემომეხვია იქ მყოფთა დასანახად და სასეიროდ და ყურში ჩამსისინა:

– წადი აქედან!

– რაა?

– ამწამსვე გადი აქედან!

– რას მეუბნები?

– ნუ დგახარ აქ! სასწრაფოდ უნდა წახვიდე!

– რატომ? რა ხდება?

ხელი მკლავში ჩამჭიდა და კიბისკენ წამიყვანა. შუა კიბეზე შემოგვხვდა ფრანგი, რომლის სახელსაც არ ვიტყვი, რადგან, მართალია, მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მომპ-თან, მაინც ყველა ჩვენგანთან მეგობრობდა მთელი ამ ომიანობის განმავლობაში. მან შეწუხებული სახით შემომხედა:

– მომისმინე! აქ არ უნდა გამოჩნდე. წადი აქედან, სანამ პოლიციას დაურეკავენ.

აი, კიბის ძირში, სასტუმროს მომსახურე პერსონალის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მომპ-ის წევრი (რის თაობაზეც, ვგონებ, აქაურმა ადმინისტრაციამ არაფერი იცოდა), ლიფტიდან ფეხაკრეფით გამოვიდა და დამტვრეული ინგლისურით მითხრა, აქაურობას მოშორდიო. მაინც ვერ გავიგე, რა ხდებოდა.

– რა ჯანდაბა ხდება? – ვიკითხე მაშინვე, როგორც კი ტროტუარზე აღმოვჩნდით.

– არაფერი გსმენია?

– არა. რა უნდა მსმენოდა? არაფერი მსმენია.

– მომპ აკრძალეს. ყველა მათი შენობა აიღეს. პრაქტიკულად ყველა დაჭერილია. როგორც ამბობენ, უკვე დახვრეტებიც დაიწყო.

აი, რა ყოფილა. სადღაც უნდა გველაპარაკა. ყველა დიდი კაფე რამბლასზე პოლიციელებს გაევსოთ. თუმცა გვერდითა ქუჩაზე მაინც მივაგენით მშვიდ კაფეს. ცოლმა ამიხსნა, რა მოხდა ჩემი აქ არყოფნის დღეებში.

15 ივნისს პოლიციამ უეცრად აიყვანა ანდრეს ნინი თავისი კაბინეტიდან, იმავე ღამეს კი სასტუმრო «ფალკონს» დაესხა და მისი ყველა ბინადარი დააპატიმრა, მეტწილად – შვებულებაში მყოფი მილიციელები. სასტუმრო მეყსეულად გადაიქცა ციხედ და ცოტა ხანში პირთამდე გაივსო ყველა ჯურის პატიმრებით. მომდევნო დღეს მომპ გამოცხადდა არალეგალურ ორგანიზაციად და ერთბაშად ჩამოერთვა ყველა ოფისი, წიგნების კიოსკი, სანატორიუმი, წითელი დახმარების ცენტრი და სხვა ამდაგვარი. ამასობაში პოლიცია აპატიმრებდა ყველას, ვისაც რაიმე აკავშირებდა მომპ-თან. ერთ თუ ორ დღეში აღმასრულებელი კომიტეტის თითქმის_ორმოცივე წევრი დაიჭირეს. შესაძლოა, სულ ერთი ან ორი დაიმალა. მაგრამ პოლიცია მიმართავდა ეშმაკობას (ფართოდ გამოყენებულს ამ ომის ორივე მოწინააღმდეგის მიერ): თუ თვითონ კაცი დაიმალებოდა, მძევლად მისი ცოლი აჰყავდათ. ვერანაირად ვერ შეიტყობდი, მაინც რამდენი კაცი იყო დაჭერილი. ჩემი ცოლის ინფორმაციით, მხოლოდ ბარსელონაში ოთხასამდე კაცი აეყვანათ. ვფიქრობ, იმ მომენტისთვის ეს რიცხვი კიდევაც უნდა გაზრდილიყო. ყველაზე ფანტასტიკური ადამიანები დაიჭირეს. ზოგჯერ პოლიციას თვით დაჭრილი მილიციელები გამოჰყავდა ჰოსპიტლებიდან.

ეს ყოვლად დამთრგუნველი იყო. რა ჯანდაბა ხდებოდა, ბოლოს და ბოლოს? შემეძლო გამეგო მომპ-ის აკრძალვა, მაგრამ რისთვის აპატიმრებდნენ ადამიანებს? რამდენადაც შეიძლებოდა გარკვევა – არაფრისთვის. როგორც ჩანს,

მომპ-ის აკრძალვა წარსულზეც ვრცელდებოდა: ის აიკრძალა და, შესაბამისად, წარსულში მისი წევრი უკვე კანონგარეშედ ცხადდებოდა. როგორც ყოველთვის, არც ახლა წაუყენებიათ ბრალი რომელიმე დაჭერილისთვის. ამასობაში ვალენსიის კომუნისტურ გაზეთებში გიზგიზებდა დიდი «ფაშისტური შეთქმულება», რადიოკავშირი მტერთან, უხილავი მელნით ხელმოწერილი დოკუმენტები და ა.შ. ამ მომენტს უფრო მეტად განვავრცობ მეორე დანართში. ნიშანდობლივი ის იყო, რომ ეს მხოლოდ ვალენსიურ გაზეთებში იბეჭდებოდა. ვფიქრობ, მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ საკუთრივ ბარსელონას არც ერთ გაზეთში – კომუნისტურში, ანარქისტულსა თუ რესპუბლიკურში – ერთი სიტყვაც არ დაბეჭდილა «შეთქმულების» ან მომპ-ის აკრძალვის შესახებ. თავდაპირველად მომპ-ის ლიდერების მიმართ წაყენებული ბრალდებები შევიტყვეთ არა რომელიმე ესპანური გაზეთიდან, არამედ ინგლისურიდან, რომელმაც ბარსელონაში ერთი-ორი დღის შემდეგ ჩამოაღწია. იმ მომენტისთვის ჩვენ არ შეიძლებოდა გვცოდნოდა, რომ ხელისუფლება პასუხისმგებელი არ იყო ღალატისა და

ჯაშუშობის ბრალდებისათვის და მისი წევრები მოგვიანებით უკუაგდებდნენ ამას. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით ბუნდოვნად, რომ მომპ-ის ლიდერებს და, სავარაუდოა, ყველა ჩვენგანს ბრალდებოდა ფაშისტების დაქირავებულ აგენტებად ყოფნა. უკვე გავრცელდა ხმები, რომ ადამიანებს ციხეში ხვრეტდნენ. ბევრი გაზვიადება იყო ამაში, მაგრამ ზოგჯერ ეს უეჭველად ხდებოდა და არც ისაა დიდად სათუო, რომ სწორედ ეს მოხდა ნინის შემთხვევაში. დაპატიმრების შემდეგ ნინი ჯერ ვალენსიაში გადაგზავნეს, შემდეგ მადრიდში და უკვე 21 ივნისს ბარსელონამდე მოაღწია ხმამ მისი დახვრეტის შესახებ. მოგვიანებით ამ ხმებმა უფრო კონკრეტული ფორმა მიიღო: ნინი ციხეში მოკლა საიდუმლო პოლიციამ, რის შემდეგაც მისი სხეული ქუჩაში დააგდეს. ეს ამბავი რამდენიმე წყაროდან მოვიდა, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ხელისუფლების ყოფილი წევრი, ფედერიკა მონცენი. იმ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე ნინის ცოცხლად ყოფნაზე აღარაფერი თქმულა. მოგვიანებით, როცა ხელისუფლებას კითხვები დაუსვეს სხვადასხვა ქვეყნების დელეგატებმა, იმან მიუკიბ-მოუკიბა და მხოლოდ ის უთხრა: ნინი გაქრა და მისი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი ვიცითო. ზოგიერთ გაზეთში ზღაპარი დაიბეჭდა: ნინი გაქცეულია და ამჟამად თავს ფაშისტების ტერიტორიას აფარებსო. ამის დასადასტურებლად არავითარი სამხილი არ მოჰყავდათ,

ხოლო ირუხომ, იუსტიციის მინისტრმა, მოგვიანებით განაცხადა: ახალი ამბების ესპანურმა სააგენტომ გააყალბა ჩემი ოფიციალური კომუნიკე[31]. ყველა შემთხვევაში, ძალზე არამართლმაგვარი ჩანს, რომ ნინის მნიშვნელობის პოლიტიკური პატიმარი ციხიდან გაქცეულიყო. თუ ახლო მომავალში არ გამოჩნდება, ვფიქრობ, უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი ციხეში მოკლეს.

დაპატიმრებები თვიდან თვემდე გრძელდებოდა და გრძელდებოდა, სანამ პატიმართა რიცხვმა – ფაშისტებს თუ არ ჩავთვლით – ათასებს მიაღწია. ერთ

აღსანიშნავ მომენტს წარმოადგენს პოლიციის უფრო დაბალი რანგების ავტონომია. არაერთი დაპატიმრება, მართლაცდა, არალეგალურად ხდებოდა: პოლიციის მეთაურის ბრძანებით გათავისუფლებულ სხვადასხვა ადამიანებს ციხის კარიბჭესთანვე იჭერდნენ და «საიდუმლო ციხეებში» გზავნიდნენ. ამის თვალსაჩინო მაგალითია კურტ ლანდაუ და მისი მეუღლე. ისინი დაახლოებით 17 ივნისს დაიჭირეს, რის შემდეგაც ლანდაუ მეყსეულად «გაქრა». ხუთი თვის შემდეგ მისი მეუღლე ჯერ კიდევ ციხეში იჯდა, გაუსამართლებელი და ქმრის ხვედრის არმცოდნე. მან შიმშილობა გამოაცხადა, რის შემდეგაც იუსტიციის მინისტრმა შეატყობინა, თქვენი მეუღლე მკვდარიაო. ცოტა ხნის

შემდეგ ქალი გაათავისუფლეს, თუმცა თითქმის მაშინვე დაიჭირეს და ისევ ციხეში ჩასვეს. შესამჩნევი იყო, რომ პოლიცია (ყოველ შემთხვევაში – თავიდან) სრულებით განურჩეველი იყო იმის მიმართ, თუ რა ზემოქმედება შეიძლებოდა მოეხდინა მათ მოქმედებებს საკუთრივ ომის მსვლელობაზე. ულაპარაკოდ მზად იყვნენ დაეპატიმრებინათ მაღალჩინოსანი სამხედრო ოფიცრები წინასწარ მოპოვებული ნებართვის გარეშე. ივნისის მიწურულს, 29-ე დივიზიის მეთაური, გენერალი ხოზე როვირა სადღაც ფრონტის მიდამოებში აიყვანა .

ბარსელონადან ჩასულმა პოლიციელთა ჯგუფმა. გენერლის ხელქვეითებმა საპროტესტო დელეგაცია გაგზავნეს ომის სამინისტროში. აღმოჩნდა, რომ არც მინისტრს და არც პოლიციის შეფს არაფერი სმენოდა გენერლის დატყვევების შესახებ. ამ ყველაფრიდან ყველაზე მეტად ის მეჩხირება ყელში (თუნდაც ეს დიდად მნიშვნელოვანი არ იყოს), რომ ფრონტზე მოქმედ ჯარებს არავითარი ახალი ამბები არ მისდიოდათ. როგორც დაინახეთ, არც მე და არც სხვამ არაფერი ვიცოდით მომპ-ის აკრძალვის შესახებ. ჩვეულებრივად ფუნქციონირებდნენ მომპ-ის მილიციის მთელი შტაბი, წითელი დახმარება თუ სხვა სექტორები. თვით 20 ივნისისთვისაც კი – თან ისე

შორ წერტილამდე, როგორიც იყო ლერიდა – არავინ იცოდა, რა ხდებოდა. არც ერთი სიტყვა არ თქმულა ამაზე ბარსელონას გაზეთებში (ვალენსიური გაზეთები, რომლებშიც ჯაშუშობის ამბები იბეჭდებოდა, არაგონის ფრონტამდე ვერ აღწევდა). რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი მომპ-ის იმ მილიციელთა დასაპატიმრებლად, შვებულების დღეებს ბარსელონაში რომ ატარებდნენ, ის იყო, რომ ასეთებს ახალი ამბები არ ჩაეტანათ ფრონტზე. რაზმი, რომელთან ერთადაც გავედი ფრონტზე 15 ივნისს, როგორც ჩანს, უკანასკნელი იყო. ჯერაც მოწადინებული ვარ, შევიტყო, როგორ შეინახეს ეს ამბავი საიდუმლოდ. სხვადასხვა რესურსით მომმარაგებელი სატვირთო მანქანები ხომ ჯერ კიდევ მიდი-მოდიოდნენ. მაგრამ საიდუმლო ნამდვილად არ გახმაურდა და, როგორც ბევრი ადამიანისგან გავიგე, ფრონტზე მყოფებმა მომპ-ის კანონგარეშე გამოცხადების ამბავი რამდენიმე დღის შემდეგღა შეიტყვეს. ამის მოტივაცია საკმაოდ ნათელია. იწყებოდა შეტევა ჰუესკაზე, მომპ-ის მილიცია ჯერაც განყენებული ერთეული იყო და, როგორც ჩანს, თუ ფრონტზე მყოფები შეიტყობდნენ რა ხდებოდა, უარს იტყოდნენ ბრძოლაზე. არადა, როცა ახალმა

ამბავმა ფრონტამდე მიაღწია, მსგავსი არაფერი მოხდა. ამასობაში უამრავი კაცი ისე დაიხოცებოდა, არც კი ეცოდინებოდა, რომ ზურგში ფაშისტებს უწოდებდნენ. ასეთი რამის პატიება ცოტა არ

იყოს, ძნელია. ვიცი, ჩვეულებრივი პოლიტიკა გულისხმობს ცუდი ამბების დამალვას ჯარებისგან და, შესაძლოა, როგორც კანონი, ეს გამართლებულიცაა. მაგრამ სულ სხვა რამეა ადამიანთა გაგზავნა ომში და, იმავდროულად, იმის დამალვა, რომ ზურგს უკან მათი პარტია გააუქმეს, მათ ლიდერებს ღალატი დასწამეს, მათი მეგობრები და ნათესავები დააპატიმრეს.

ჩემმა ცოლმა დაიწყო იმის მოყოლა, თუ რა დაემართათ ჩვენს სხვადასხვა მეგობარს. ზოგი ინგლისელი და უცხოელი საზღვარზე გადავიდა. უილიამსი და სტაფორდ კოტმენი არ დაუჭერიათ, როცა სანატორიუმი «მაურინი» აიღეს, და ამჟამად სადღაც იმალებოდნენ. ასევე იყო ჯონ მაკნეარიც, რომელიც საფრანგეთში იმყოფებოდა და ისევ ესპანეთში დაბრუნდა, როცა მომპ კანონგარეშე გამოცხადდა, ანუ – დაუდევრად მოიქცა. ეს კია, რომ არაფრად ჩააგდო სამშვიდობოზე ყოფნა მაშინ, როდესაც მისი მეგობრები საფრთხეში აღმოჩნდნენ. დანარჩენებისთვის, უბრალოდ, არსებობდა ქრონიკა: «მათ ესა და ეს აიყვანეს, ესა და ეს დაიჭირეს». მათ თითქმის ყველა «აეყვანათ». გულშემოყრილი უკუვიქეცი, როცა გავიგე, რომ ჯორჯ კოპიც დაეჭირათ.

– რაა? კოპიც?! მე ის ვალენსიაში მეგონა.

აღმოჩნდა, რომ კოპი ბარსელონაში დაბრუნებულიყო. წერილი მოჰქონდა ომის სამინისტროდან იმ პოლკოვნიკისთვის, რომელიც საინჟინრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ ფრონტზე. რასაკვირველია, იცოდა მომპ-ის აკრძალვის ამბავი, მაგრამ ვერ წარმოიდგინა, რომ პოლიცია იმდენად ბრიყვი აღმოჩნდებოდა – სასწრაფო სამხედრო მისიით ფრონტზე მიმავალი კოპიც კი დაეჭირა. «კონტინენტალში» შეევლო თავისი ნივთების ასაღებად. იმ მომენტში ჩემი ცოლი გასული ყოფილა, სასტუმროს ხალხს მოუხერხებია კოპის შეჩერება ცრუ ამბების მოყოლით, ამასობაში კი პოლიციაში დაურეკავთ. ვაღიარებ, ფრიად განმარისხა კოპის დაპატიმრების ამბავმა. ის იყო ჩემი პირადი მეგობარი, ვისი ხელმძღვანელობის ქვეშ მე თვეები გავატარე, ვისთან ერთადაც ვიომე და ვისი ისტორიაც ზეპირად ვიცოდი. ეს იყო კაცი, რომელმაც შესწირა ყველაფერი – ოჯახი, ეროვნება, საარსებო წყარო, შესწირა მხოლოდ იმისთვის, რომ ესპანეთში ჩამოსულიყო და ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლა. იმის გამო, რომ უნებართვოდ დატოვა ბელგია და უცხო არმიას შეუერთდა მაშინ, როდესაც ბელგიის ჯარის რეზერვში იმყოფებოდა, და კიდევ იმ მიზეზით, რომ უფრო ადრე, არალეგალურად მონაწილეობდა სამხედრო რესურსების დამზადებაში ესპანური მთავრობის დასახმარებლად, – ამით მან არა ერთი და ორი საციხო წელი

დაიგროვა, თუ ოდესმე დაბრუნდებოდა სამშობლოში. ფრონტს არ მოსცილებია 1936 წლიდან, მილიციელობიდან მაიორობამდე ავიდა, არც კი ვიცი, რამდენ

ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ერთხელ დაიჭრა კიდეც. მაისის ბრძოლის დროს, როგორც ჩემი თვალით ვნახე, ლოკალურ შეტაკებას წინ აღუდგა და ამ მოქმედებით, ალბათ, ათი თუ ოცი კაცის სიცოცხლე იხსნა. და ამის პასუხად მათ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ციხეში ჩასვეს! გაბრაზება დროის ამაო ფლანგვაა, მაგრამ ასეთი ბრიყვული ღვარძლიანობა მოთმინების ფიალას ავსებს.

ამის მიუხედავად, მათ ჩემი ცოლი არ «აუყვანიათ». მართალია, ისევ «კონტინენტალში» რჩებოდა, მაგრამ პოლიციას არაფერი უქნია მის დასაჭერად. აშკარა იყო, რომ სატყუარად იყენებდნენ. თუმცა ორიოდე დღის წინ, გამთენიისას, ექვსი გადაცმული პოლიციელი ჩვენს ნომერში შეჭრილა და ძირფესვიანად გაუჩხრეკია. წაუღიათ ქაღალდის ყველა ნაგლეჯი, რაც კი იპოვეს. საბედნიეროდ, ხელი არ ახლეს ჩვენს პასპორტებსა და ჩეკების წიგნაკს. წაიღეს ჩემი დღიურები, ყველა წიგნი, ყველა ამონაჭერი ჟურნალ-გაზეთებიდან, თვეობით რომ გვეწყო აკოკოლავებული (ხშირად გამკვირვებია, ნეტავ რაში გამოადგებოდათ-მეთქი), მთელი ჩემი მოგონებები ომზე,

ყველა ჩვენი წერილი (სხვათა შორის, წაიღეს მკითხველებისგან გამოგზავნილი ბევრი წერილი. მათგან ზოგიერთისთვის პასუხი არ მქონდა გაცემული და, რა თქმა უნდა, არც მისამართები მქონდა. იქნებ რომელიმე მათგანმა, ვინც ჩემს ბოლო წიგნთან დაკავშირებით მომწერა და პასუხი არ მიიღო, კეთილი ინებოს და ეს სტრიქონები მობოდიშებად ჩამითვალოს?). მოგვიანებით შევიტყვე, რომ პოლიციას წაუღია ის ნივთებიც, რომლებიც სანატორიუმ «მაურინში» დამრჩა. ჩემი გასარეცხი თეთრეულის ფუთაც კი წაიღეს. ხომ არ იფიქრეს: უხილავი მელნით იქნება ზედ რამე დაწერილიო?

ჩემი ცოლისთვის აშკარად უფრო უსაფრთხო იქნებოდა სასტუმროში დარჩენა, ყოველ შემთხვევაში – ამჯერად. გაუჩინარება რომ ეცადა, მაშინვე დაედევნებოდნენ. აი, მე კი დაუყოვნებლივ უნდა დავმალულიყავი. ასეთი პერსპექტივა მაჯანყებდა. უთვალავი დაპატიმრებების მიუხედავად, მაინც თითქმის წარმოუდგენლად მიმაჩნდა, რომ საფრთხე მემუქრებოდა. მეტისმეტად უაზრო ჩანდა ეს ყველაფერი. ასევე უარვყოფდი, სერიოზულად მიმეღო ის იდიოტური თავდასხმა, რამაც კოპს ციხეში ამოაყოფინა თავი. ისევ ამას ვიმეორებდი: მაინც რატომ უნდა სურდეთ ჩემი დაპატიმრება-მეთქი? რა ჩავიდინე? თვით მომპ-ის წევრიც კი არ ვიყავი. რასაკვირველია, მაისის ბრძოლის

დროს იარაღი გადავიტანე, მაგრამ, რამდენადაც ვხვდები, ასე მოიქცა ორმოცი თუ ორმოცდაათი ათასი კაცი. გარდა ამისა, გვარიანი გამოძინება მჭირდებოდა. მინდოდა, გამერისკა და ისევ სასტუმროში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ჩემმა ცოლმა ამის გაგონებაც არ მოისურვა. მოთმინებით ამიხსნა სიტუაცია: მნიშვნელობა არა აქვს, ჩადენილი გაქვს რამე თუ არაო; ამჟამად კრიმინალებს კი არ დასდევენ, მხოლოდ ტერორის ზეობა არისო. ჰო, არაფერი კონკრეტული არ ჩამიდენია, მხოლოდ «ტროცკიზმი» მბრალდებოდა. ის ფაქტი, რომ მომპ-ის მილიციაში ვიყავი ნამსახურები, სრულებით კმაროდა ჩემს დასაჭერად. აზრი არ ჰქონდა ჩამოკიდებას ინგლისურ გაგებაზე: დაცული ხარ, სანამ კანონს არ

არღვევ. პრაქტიკულად, ახლა ესპანეთში კანონი ის იყო, რასაც პოლიცია აირჩევდა კანონად. ისღა დამრჩენოდა, რომ თავჩახრილს მევლო და დამემალა ფაქტი, რომ ოდესღაც რაიმე მესაქმებოდა მომპ-თან. ჩემი საბუთები გადავსინჯეთ, რის შემდეგაც ცოლმა მილიციელის ბარათი დამახევინა, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა მომპ, აგრეთვე ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იყო მილიციელთა ჯგუფი ზურგს უკან მოფრიალე მომპ-ის დროშით. ამგვარ ნივთმტკიცებას დღეს ციხეში მიჰყავდი. აი, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საბუთები კი უნდა შემენახა. თუმცა ესეც საშიში იყო, რადგან ამ

ქაღალდებს 29-ე დივიზიის ბეჭედი ერტყა და, ალბათ, პოლიციას ეცოდინებოდა, რომ ეს დივიზია მომპ-ს წარმოადგენდა. მაგრამ, ამ საბუთების გარეშე დეზერტირობისთვის დამიჭერდნენ.

ახლა იმასღა ვფიქრობდით, როგორ გაგვეღწია ესპანეთიდან. აზრი არ ჰქონდა აქ დარჩენას, რაკი ადრე თუ გვიან დაპატიმრებას ვერ ავცდებოდი. ისე, მეც და ჩემი ცოლიც დიდად ვისურვებდით გვენახა, რა მოხდებოდა. მაგრამ, ჩემი წარმოდგენით, ესპანური ციხეები ტილებით იქნებოდა სავსე (რეალურად, ისინი გაცილებით უარესი ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა). ერთხელ ციხეში თუ მოხვედრილხარ, არასოდეს იცი, როდის გამოაღწევ იქიდან. ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი, მტკივანი მკლავის გარდა, სავალალო იყო. მეორე დღისთვის შეხვედრა დავთქვით ბრიტანეთის საკონსულოსთან, სადაც კოტმენი და მაკნეარიც მოვიდოდნენ. ალბათ, ორიოდე დღეE დასჭირდებოდა ჩვენი პასპორტების მოწესრიგებას. სანამ ესპანეთს დატოვებდი, სამ ვინმეს უნდა ჩაერტყა ბეჭედი: პოლიციის შეფს, ფრანგ კონსულს და კატალონიის ემიგრაციულ ხელისუფლებას. პოლიციის შეფი, რა თქმა უნდა, საფრთხეს წარმოადგენდა. მაგრამ იქნებ ბრიტანელ კონსულს ისე მოეგვარებინა ყველაფერი,

თითქოს არასოდეს არაფერი გვქონია საერთო მომპ-თან. აშკარად უნდა ეარსება უცხოელი «ტროცკისტების» სიას და სავსებით მოსალოდნელია, რომ ამ სიაში ჩვენი გვარებიც ყოფილიყო. მაგრამ, თუ იღბალი შეგვეწეოდა, საზღვრამდე ამ სიაზე უფრო ადრე მივაღწევდით. უთუოდ იქნებოდა ბევრი დომხალი და macana. საბედნიეროდ, ესპანეთთან გვქონდა საქმე და არა გერმანიასთან. თავისი სულისკვეთებით, ესპანური საიდუმლო პოლიცია გესტაპოს წააგავდა, მაგრამ ამ უკანასკნელის კომპეტენცია არ ჰქონდა.

ასე დავშორდით ერთმანეთს ქუჩაში. ჩემი ცოლი სასტუმროში დაბრუნდა, მე კი სიბნელეს შევერიე, ვინძლო სადმე დასაძინებელი ადგილი მენახა. მახსოვს, როგორი გულმოსული და თავგაბეზრებული ვიყავი, როგორ მინდოდა საწოლში მოსვენება! ვერსად წავიდოდი, ვერც ერთ სახლს ვერ შევეფარებოდი. პრაქტიკულად, მომპ-ს არავითარი მიწისქვეშა ორგანიზაცია არ ჰყავდა. ეჭვი არაა, მისი ლიდერები ყოველთვის ხვდებოდნენ, რომ პარტიას აკრძალვა ემუქრებოდა, მაგრამ არასდროს დაუშვიათ ასეთი სრულმასშტაბიანი დევნა.

არსებითად, ისე ნაკლებად ელოდნენ ამას, რომ რეალურად განაგრძობდნენ მომპ-ის შენობების გადაკეთებას თვით მათი

აკრძალვის დღემდე (სხვა ცვლილებათა შორის, აკეთებდნენ კინოთეატრს აღმასრულებელ შენობაში – უწინდელ ბანკში). ამის შედეგად შეხვედრისა თუ დამალვის ადგილები, რასაც ნებისმიერი რევოლუციური პარტია უდავოდ უნდა ფლობდეს, ახლა არ არსებობდა. ღმერთმა უწყის, რამდენ ადამიანს, რომელთა სახლებს პოლიცია დაეცა, გარეთ ეძინა იმ ღამეს. ხუთი დღე განუწყვეტელ მოგზაურობებში გავატარე, შეუძლებელ ადგილებში მეძინა, მკლავის ტკივილი არა და არ მეშვებოდა, ეს ბრიყვები კი კუდში დამსდევდნენ და მეც ისევ მიწაზე მიგდებულს უნდა დამეძინა. ჩემი ფიქრები მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდა. არავითარი პოლიტიკური აზრები არ მაწუხებდა. საერთოდ, ასე ხდება ხოლმე, ამგვარი აზრები თავში არასოდეს მომდის მოვლენების მიმდინარეობისას. თითქოს ყოველთვის ერთი და იგივე ხდება, როდესაც ომში ან პოლიტიკაში ვერევი: სხვას ვერაფერს ვაცნობიერებ, ფიზიკური დისკომფორტის გარდა, და კიდევ ღრმა სურვილს – დამთავრდეს, ბოლოს და ბოლოს, ეს წყეული უაზრობა. მოგვიანებით ვაფასებ მოვლენათა მნიშვნელობას, მაგრამ უშუალოდ მათი მოხდენის პერიოდში, უბრალოდ, მათგან თავის დაღწევა მინდა. ეს, შესაძლოა, სამარცხვინო შტრიხადაც ჩამეთვალოს.

დიდი გზა გავიარე და სადღაც საერთო საავადმყოფოსთან აღმოვჩნდი. ისეთი ადგილი მსურდა, სადაც მოსუნსულე პოლიციელი ვერ მომაგნებდა და საბუთებს ვერ მომთხოვდა. საჰაერო თავდასხმის საწინააღმდეგო თავშესაფარი მოვსინჯე, მაგრამ ახალგათხრილი და სინესტით გაჟღენთილი აღმოჩნდა. მერე წავაწყდი რევოლუციის დროს გაძარცულ-გადამწვარი ეკლესიის ნანგრევებს. ოთხი უსახურავო კედელი გარს შემორტყმოდა ქვების გროვას. ნახევარსიბნელეში ხელისცეცებით მივაგენი ერთგვარ ღრმულს, სადაც შემეძლო ჩავწოლილიყავი. ჩამონგრეული კედლის ნარჩენები დიდი ვერაფერიშვილი სარეცელია, მაგრამ, ჩემდა ბედად, თბილი ღამე იყო და რამდენიმე საათით ჩაძინება მოვახერხე.

თავი XII

როცა პოლიცია დაგეძებს ისეთ ქალაქში, როგორიცაა ბარსელონა, ყველაზე უარესი ის არის, რომ ყველაფერი გვიან იღება. ღია ცის ქვეშ ჩაძინებულს ყოველთვის გათენებისას გეღვიძება, ბარსელონაში კი არც ერთი კაფე არ იღება დილის ცხრა საათზე ბევრად უფრო ადრე. რამდენიმე საათი გავიდა, სანამ ყავას დავლევდი და გავიპარსავდი. უცნაურად მოჩანდა სადალაქოს კედელზე შერჩენილი ანარქისტული უწყება, ფეხის ქირის მიცემა აკრძალულიაო. «რევოლუციამ ჯაჭვები ჩამოგვხსნა», ამბობდა იგივე უწყება. მომინდა, დალაქებისთვის მეთქვა: ჯაჭვები მალე დაგიბრუნდებათ, თუ ფრთხილად არ იქნებით-მეთქი.

ქალაქის ცენტრში დავბრუნდი. მომპ-ის შენობებიდან წითელი დროშები ჩამოეხიათ და მათ ადგილებზე რესპუბლიკური დროშები ფრიალებდა, შესასვლელებში კი მოიერიშეთა რაზმის ჯგუფები ირეოდნენ. წითელი დახმარების ცენტრის შენობაზე, პლასა დე კატალუნიას კუთხეში, პოლიციას თავი იმით შეექცია, რომ ფანჯრების უმრავლესობა ჩაემსხვრია. მომპ-ის კიოსკებში წიგნები აღარ ეწყო, უფრო მოშორებით

კი, განცხადებების დაფაზე ანტი-მომპ-ური კარიკატურა გაეკრათ: ნიღაბი, რომლის ქვეშ ფაშისტური სახე მოჩანდა. რამბლასის ბოლოში, სანაპიროსთან ახლოს, უცნაურ სანახაობას გადავაწყდი: ფრონტიდან დაბრუნებულ, ტალახიან და ჩამოფლეთილ მილიციელთა მწკრივი არაქაგათმოცლილი მიყრილიყო ფეხსაცმლის მწმენდავებისთვის განკუთვნილ სკამებზე. ვიცოდი, ვინ იყვნენ. ერთ-ერთი ნამდვილად ვიცანი. ისინი – მომპ-ის მილიციელები – წინა დღეს ჩამოსულიყვნენ ფრონტიდან, რათა აღმოეჩინათ, რომ მომპ აღარ არსებობს და ღამე გარეთ უნდა გაათიონ, რადგან თავიანთი სახლები გაპარტახებული დახვდათ. იმხანად ბარსელონაში დაბრუნებულ მომპ-ის ნებისმიერ მილიციელს ორი არჩევანი ჰქონდა: ან პირდაპირ სამალავში წასულიყო, ან ციხეში. არცთუ მაინცდამაინც საამური მიღებაა ფრონტზე გატარებული სამი-ოთხი თვის შემდეგ.

უცნაურ სიტუაციაში ვიყავით: ღამით დევნილები დღისით თითქმის ნორმალური ცხოვრებით ვცხოვრობდით. თითოეულ სახლს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც მომპ-ის მომხრეთა თავშესაფარი, უთვალთვალებდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, თითქოსდა უთვალთვალებდნენ. შეუძლებელი იყო სასტუმროში ან პანსიონში მისვლა,

რადგან არსებობდა ბრძანება, რომლის მიხედვითაც სასტუმროს მფლობელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა პოლიციისთვის უცხოელის გამოჩენა. მეორე მხრივ, დღისით, ბარსელონასხელა ქალაქში, არავითარი ხიფათი არ გემუქრებოდა. ქუჩებში გუნდ-გუნდად დაიარებოდნენ ადგილობრივი და ვალენსიელი თავდამსხმელები, კარაბინერები და ჩვეულებრივი პოლიცია, მათ

გვერდით კი, ღმერთმა უწყის, რამდენი ჯაშუში დაძრწოდა სამოქალაქო ფორმაში გადაცმული. მიუხედავად ამისა, თითოეულ გამვლელს მაინც ვერ აჩერებდნენ და თუ ნორმალურად გამოიყურებოდი, შეიძლებოდა ვერავის შეემჩნიე. უნდა მორიდებოდი მომპ-ის შენობების სიახლოვეში ბოდიალს, შესვლას ისეთ კაფეებში და რესტორნებში, სადაც ოფიციანტები სახით გიცნობდნენ. იმ დღის და მომდევნო დღის დიდი ნაწილი ერთ-ერთ სახალხო აბანოში გავატარე. ეს დროის გაყვანის და თან შეფარვით ყოფნის კარგ საშუალებად მეჩვენა. სამწუხაროდ, იგივე იდეა ბევრ სხვასაც მოსვლოდა, რის გამოც, ბარსელონადან ჩემი წასვლის შემდეგ პოლიცია ერთ-ერთ სახალხო აბანოს დასცემოდა და რამდენიმე «ტროცკისტი» აეყვანა დედიშობილა მდგომარეობაში.

შუა რამბლასზე ერთ-ერთ დაჭრილ კაცს შევეჩეხე სანატორიუმ «მაურინიდან».

თითქმის უხილავი თვალის ჩაკვრები გავცვალეთ, როგორსაც მაშინ ცვლიდნენ ხოლმე, და სასხვათაშორისოდ მოვახერხეთ კაფეში შეხვედრა იმავე ქუჩაზე. როცა «მაურინიში» პოლიცია შეჭრილა, ამ კაცს გაქცევა მოუხერხებია. თუმცა, სხვებივით, ქუჩაში დარჩენილა. პერანგის ამარა იყო, უპიჯაკოდ მოუწია გაქცევამ, გროშიც არ ებადა ჯიბეში. ამიწერა, როგორ ჩამოგლიჯა ერთ-ერთმა თავდამსხმელმა კედლიდან მაურინის დიდი ფერადი პორტრეტი და ნაფლეთებად აქცია. მაურინი – მომპ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი – ფაშისტების ტყვეობაში იყო და იმ მომენტისთვის უკვე მათ მიერ მოკლულად მიიჩნეოდა.

ათ საათზე ჩემს ცოლს შევხვდი ბრიტანულ საკონსულოსთან. ცოტა ხნის შემდეგ მაკნეარი და კოტმენიც გამოჩნდნენ. ბობ სმაილი მკვდარიაო, პირველად ეს მითხრეს. ვალენსიის ციხეში მომკვდარა. როგორ? არავინ იცოდა დანამდვილებით. მაშინვე დაუმარხავთ, დლპ-ის წარმომადგენელ დეივიდ მურეისთვის კი მისი სხეულის ნახვის უფლება არ მიუციათ.

რაღა თქმა უნდა, მაშინვე დავასკვენი, რომ სმაილი დახვრიტეს. იმხანად ყველა ასე

ფიქრობდა. მაგრამ შემდგომში გავიაზრე, რომ შესაძლოა ვცდებოდი. მოგვიანებით სმაილის გარდაცვალების მიზეზად დასახელდა აპენდიციტი, მერე კი ერთ-ერთი განთავისუფლებული პატიმრისგან შევიტყვეთ, რომ ციხეში სმაილი ავად იყო. ესე იგი, აპენდიციტის ამბავი ეგებ სიმართლესაც შეეფერებოდა. სმაილის ცხედარი მურეის, შესაძლოა, პირწმინდად ჯიბრით არ უჩვენეს. თუმცა უნდა ვთქვა, რომ სულ ოცდაორი წლის ბობ სმაილი ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე მკვრივი აღნაგობის ადამიანი იყო მათ შორის, ვინც კი ოდესმე მენახა; ერთადერთი პიროვნება ინგლისელებშიც და ესპანელებშიც, ვინც ისე გაატარა სამი თვე სანგრებში, ერთხელაც არ უავადმყოფია. ასეთი მკვრივი აგებულების ადამიანებს, როგორც წესი, ბრმანაწლავი არ კლავს, თუკი რიგიანად მიხედავენ. მაგრამ როდესაც ხედავდი, რას ჰგავდა ესპანური ციხეები, – პოლიტიკური პატიმრებისთვის განკუთვნილი

დროებითი საპყრობილეები, – მაშინ ხვდებოდი, რა შანსი ჰქონდა ავადმყოფს, მიეღო სათანადო ზრუნვა და ყურადღება. ამ ციხეებს სხვანაირად ვერ დაახასიათებდი, თუ არა როგორც დილეგებს. მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში უნდა დაბრუნებულიყავი, რამე ამდაგვარი რომ გენახა. ადამიანები შეერეკათ პატარა ოთახებში, სადაც იატაკზე დაწოლაც კი ჭირდა. ხშირად სარდაფებსა და სხვა ბნელ ადგილებში ჰყავდათ დამწყვდეული. და ეს დროებით ზომას

არ წარმოადგენდა: ტუსაღებს მთელი ოთხი-ხუთი თვე თითქმის უსინათლოდ ამყოფებდნენ. ჭამითაც ამაზრზენ დიეტაზე ჰყავდათ: ყოველდღიურად ორი თეფში სუპი და ორი ნაჭერი პური (რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს რაციონი ოდნავ გაუმჯობესდა). არაფერს ვაზვიადებ. შეგიძლიათ ჰკითხოთ ესპანეთში დაპატიმრებულ ნებისმიერ პოლიტიკურ ეჭვმიტანილს. ინფორმაცია ესპანურ ციხეებზე რამდენიმე დამოუკიდებელი წყაროდან მაქვს მოპოვებული და ყველა ეს წყარო მეტისმეტად კარგად თანხვდება ერთმანეთს საიმისოდ, რომ არ დაეჯერებოდეს. გარდა ამისა, რამდენჯერმე მე თვითონ შევიჭყიტე ესპანურ ციხეში. მოგვიანებით დაპატიმრებული სხვა ინგლისელი მეგობარი წერს, რომ მისი პირადი გამოცდილება «უფრო ადვილად ხსნის სმაილის შემთხვევას». ამ ბიჭის სიკვდილს მე ადვილად ვერავის ვაპატიებ. ნიჭიერმა და გაბედულმა ჭაბუკმა უარი თქვა თავის კარიერაზე გლაზგოს უნივერსიტეტში, რათა ესპანეთში ჩასულიყო და ფაშიზმის წინააღმდეგ ებრძოლა. ჩემი თვალით ვნახე, როგორი უმწიკვლო სიმამაცითა და ხალისით აკეთა თავისი საქმე ფრონტზე. იმათ კი სხვა ვერაფერი მიაგეს, გარდა იმისა, რომ საპყრობილეში ჩააგდეს და სიკვდილს მიანებეს რომელიღაც უარყოფილი ცხოველივით. ვიცი, რომ სისხლისმღვრელი ომის დროს აზრი არა აქვს დიდი განგაშის ატეხას ცალკეული

ადამიანის სიკვდილის გამო. ხალხმრავალ ქუჩაში თვითმფრინავიდან ჩამოგდებული ერთი ბომბი მეტ უბედურებას იწვევს, ვიდრე მრავალი პოლიტიკური დევნა. მაგრამ ასეთი სიკვდილის შემხედვარე, წყობიდან გამოჰყავხარ მის უკიდურეს უაზრობას. ბრძოლაში სიკვდილი დიახაც მოსალოდნელია. მაგრამ ციხეში ჩაგდება არაფრის გულისთვის, მხოლოდ ბრმა და ჩლუნგი ღვარძლის კარნახით, და იქვე გაწირვა მარტოობაში სიკვდილისთვის, – ეს სხვა საქმეა. არ მესმის, – და სმაილის შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა, – როგორ შეეძლო ამნაირ რამეს მოეახლოებინა გამარჯვება.

იმ ნაშუადღევს მე და ჩემმა ცოლმა კოპი მოვინახულეთ. დაშვებული იყო იმ პატიმართა ნახვა, რომლებიც არ იყვნენ იზოლაციაში, ანუ incommunicado. თუმცა ამის გაკეთება მეორედ ან მესამედ უკვე სახიფათო ხდებოდა. პოლიცია უთვალთვალებდა პატიმრებთან მოსულ ხალხს და თუ ციხეში მეტისმეტად მოუხშირებდი სიარულს, მაშინ საკუთარ თავს «ტროცკისტების» მეგობრად დააფიქსირებდი და, შესაძლოა, თვითონაც ციხეში ამოგეყო თავი. ეს უკვე არა ერთ და ორ ადამიანს დაემართა.

კოპი არ იყო incommunicado და ჩვენც უპრობლემოდ მივიღეთ მისი მონახულების

ნებართვა. როცა ფოლადის კარის გავლით ციხეში შეგვიყვანეს, ორ თავდამსხმელს ესპანელი მილიციელი – ჩემი ფრონტელი ნაცნობი – გამოჰყავდა გარეთ. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ისევ თვალის ორმხრივ-შეუმჩნეველი ჩაკვრა. შიგნით შეხვედრილი პირველი ადამიანი კი იყო ამერიკელი მილიციელი, თითქოს სამშობლოში რომ გაემგზავრა რამდენიმე დღის წინ. საბუთები წესრიგში ჰქონდა, მაგრამ მაინც დააკავეს საზღვარზე, ალბათ, იმიტომ, რომ ველვეტის ბრიჯები ეცვა და ამ დეტალით მასში მილიციელი ამოიცნეს. სრულებით უცნობებივით ჩავუარეთ ერთმანეთს. საშინელი შეგრძნება იყო. მე მას თვეების განმავლობაში ვიცნობდი, ერთ მიწურში ვცხოვრობდით და, როცა დავიჭერი, იგი მონაწილეობას იღებდა ჩემს გადაყვანაში. ეჰა, რომ ამჯერად სხვას ვერაფერს ვიზამდით. ყველგან ლურჯუნიფორმიანი მცველები დაძრწოდნენ. საბედისწერო იქნებოდა მეტისმეტად ბევრი ადამიანის ამოცნობა.

ეგრეთ წოდებული ციხე, სინამდვილეში, მაღაზიის პირველი სართული იყო. მის ორ ოთახში, რომელთაგან თითოეული ოც კვადრატულ ფუტს არ აღემატებოდა, ას კაცამდე შეეყარათ. აქაურობას ნამდვილად მეთვრამეტე საუკუნის ნიუგეიტის აღწერის შესახედაობა ჰქონდა თავისი დახშული უჰაერობით, ადამიანთა სხეულების გროვითა

და უავეჯობით. მხოლოდ ცარიელი ქვის იატაკი, ერთი მერხი, რამდენიმე დაძენძილი გადასაფარებელი და ბინდბუნდი, რაკი ფანჯრებზე რკინის ნაკეცებიანი დარაბები ჩამოეფარებინათ. ჭვარტლიან კედლებზე ამოფხეკილი იყო ძველი რევოლუციური ლოზუნგები «Visca POUM!», «Viva la Revoluciyn!» და სხვები. ბოლო თვეებში ამ ადგილს პოლიტპატიმრების დასამწყვდევ ჯურღმულად იყენებდნენ. ყურისწამღები ყაყანი იდგა. ვიზიტების დრო იყო და აქაურობა ხალხს ისე გადაეტენა, რომ გავლა ჭირდა. თითქმის ყველანი უღატაკესი მუშათა კლასის მოსახლეობიდან იყვნენ. ხედავდი ქალებს და მათ მოტანილ უბადრუკ ფუთებს, საიდანაც საკვები ამოჰქონდათ თავიანთი დაპატიმრებული კაცებისთვის. პატიმრებს შორის სანატორიუმ «მაურინიდან» მოყვანილი რამდენიმე დაჭრილიც ერია. ორ მათგანს თითო ფეხი აკლდა. ერთი უყავარჯნოდ მოეყვანათ და ახლა ცალ ფეხზე დახტოდა. იყო ბიჭუნაც არა უმეტეს თორმეტი წლისა. როგორც ჩანს, ბავშვებსაც აპატიმრებდნენ. აქაურობა ისე ყარდა, როგორც პირუტყვის სადგომი და როგორც ყოველთვის ხდება, როცა უამრავ ხალხს ერთად უყრიან თავს სათანადო სანიტარიული ზომების გაუტარებლად.

კოპმა იდაყვით გამოიკვალა გზა ჩვენს შესახვედრად. მისი ცინცხალი, ხორციანი სახე

თითქმის ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, უნიფორმაც სუფთად შეენარჩუნებინა ამ ჭუჭყიან სოროში და პირის გაპარსვაც მოეხერხებინა.

პატიმართა შორის ერია სხვა უნიფორმიანი ოფიცერიც სახალხო არმიიდან. ის და კოპი მიესალმნენ, როცა ჯიკავ-ჯიკავით ჩაუარეს ერთმანეთს. ამ ჟესტს რაღაცნაირად პათეტიკური იერი დაჰკრავდა. კოპი შესანიშნავ ხასიათზე ჩანდა. «ვფიქრობ, ყველას დაგვხვრეტენ», თქვა ხალისიანად. სიტყვაზე «დაგვხვრეტენ» შინაგანად გამაჟრჟოლა. ცოტა ხნის წინ სხეულში ტყვიამ გამიარა და ეს შეგრძნება ცოცხლად ჩამრჩენოდა მეხსიერებაში. ცუდია ამის წარმოდგენა ვინმე ისეთთან დაკავშირებით, ვისაც კარგად იცნობ. მაშინ ხომ თავისთავად ცხად ამბად მიმაჩნდა, რომ მომპ-ის ძირითად ხალხს, მათ შორის – კოპსაც, დახვრეტა ელოდა. უკვე გავრცელებულიყო პირველი მითქმა-მოთქმა ნინის სიკვდილთან დაკავშირებით და ვიცოდით, რომ მომპ-ს ბრალად ედებოდა ღალატი და ჯაშუშობა. ყველაფერი მიანიშნებდა დიდ სასამართლო ინსცენირებაზე, რომელსაც «ტროცკისტების» ჟლეტა მოჰყვებოდა. საშინელებაა მეგობრის ნახვა ციხეში და საკუთარი უმწეობის გაცნობიერება. ამ სიტუაციაში ხომ ვერაფერს გააწყობდი. თვით ბელგიის ხელისუფლებასაც კი ვერ მივმართავდით, რადგანაც კოპმა აქ ჩამოსვლით თავისი ქვეყნის კანონი დაარღვია. საუბრის დიდი ნაწილი ცოლს გადავულოცე, რაკი ამ

გნიასში ჩემი წრიპინა ხმა არ ისმინებოდა. კოპი გვიყვებოდა მეგობრებზე, სხვა ტუსაღებს შორის რომ შეიძინა; მცველებზე, რომლებშიც კარგი ჯეელებიც ერია, თუმცა ზოგი მათგანი შეურაცხყოფდა და სცემდა უფრო მორიდებულ პატიმრებს; აქაურ საკვებს «ნარეცხ წყლად» იხსენიებდა. საბედნიეროდ, აქეთობისას მოგვაფიქრდა, რომ ერთი ფუთა საკვები და სიგარეტები წამოგვეღო. შემდეგ კოპი შეეხო დოკუმენტებს, დაპატიმრებისას რომ ჩამოართვეს. მათ შორის იყო ომის სამინისტროს სარეკომენდაციო წერილი მიმართული პოლკოვნიკისადმი, რომელიც ხელმძღვანელობდა საინჟინრო ოპერაციებს აღმოსავლეთის ფრონტზე. პოლიციამ ეს წერილი წაართვა და უარს ამბობდა მის დაბრუნებაზე. ამჟამად, როგორც ამბობდნენ, წერილი პოლიციის შეფის კაბინეტში იდო. შეიძლებოდა სრულებით განსხვავებული რამ მომხდარიყო, თუ კოპი წერილს უკან დაიბრუნებდა.

მომენტალურად გავიაზრე, რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს. ამ დონის ოფიციალური წერილი, რომელიც წარმოადგენდა ომის სამინისტროსა და გენერალ პოსასის რეკომენდაციას, დაადასტურებდა კოპის სიმართლესა და კეთილსინდისიერებას. მაგრამ ყველაფრის თავიდათავი იმის დამტკიცება იყო, რომ

ასეთი წერილი ნამდვილად არსებობდა. თუ ის პოლიციის შეფის ოფისში გაიხსნებოდა, მაშინ უთუოდ განადგურდებოდა კიდეც რომელიმე ადგილობრივი ინფორმატორის ხელით. არსებობდა ერთადერთი ვინმე, ვისაც შეეძლო მისი უკან დაბრუნება, სახელდობრ – ის ოფიცერი, ვისაც ამ წერილს სწერდნენ. კოპს უკვე ეფიქრა ამაზე და დაეწერა წერილი, რომელიც სურდა, რომ ჩუმად გამეტანა ციხიდან და ფოსტით გამეგზავნა. არადა, უეჭველად უფრო სწრაფი და სარწმუნო გზა იყო პირადად წასვლა. კოპს ჩემი ცოლი შევატოვე,

გარეთ გავვარდი და ტაქსი გავაჩერე. ვიცოდი: ახლა ყველაფერს დრო წყვეტდა. ექვსის ნახევარი იყო, პოლკოვნიკი თავის კაბინეტს ალბათ ექვსზე ტოვებდა, ხვალ კი წერილი, ღმერთმა უწყის, სად იქნებოდა: ან განადგურდებოდა, ან დოკუმენტების ქაოსში ჩაიკარგებოდა, გროვად რომ ზვინდებოდა ეჭვმიტანილთა დაპატიმრების კვალდაკვალ. პოლკოვნიკის კაბინეტი ომის დეპარტამენტში იყო, ანუ ნავმისადგომთან. როცა აჩქარებით ავყევი კიბეს, კართან მდგარი მორიგე თავდამსხმელი გრძელი ხიშტით გადამეღობა წინ და «საბუთები» მომთხოვა. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის მოწმობა ავუფრიალე. აშკარად არ იცოდა კითხვა და გამატარა, «საბუთების» ბუნდოვანი იდუმალებით შეძრულმა. შიგნით იყო ვეებერთელა რთული ნაგებობა შიდა ეზოთი და ასობით ოთახით

თითოეულ სართულზე. და რაკი ესპანეთში ვიმყოფებოდი, არავინ იცოდა, სად იყო ჩემთვის სასურველი ოთახი. ისევ და ისევ ვუმეორებდი: «El coronel–, jefe de ingenieros, Ejército del Este![32]» ადამიანები იღიმებოდნენ და მოხდენილად იჩეჩდნენ მხრებს. ყველა, ვისაც თავისი მოსაზრება ჰქონდა, განსხვავებული მიმართულებით მგზავნიდა: ზემოთ იმ კიბით, ქვემოთ ამით, დაუსრულებელი დერეფნების გავლით, ჩიხით რომ მთავრდებოდა ბოლოს. დრო კი თვალსა და ხელსშუა ილეოდა. კოშმარში ყოფნის ყოვლად უცნაური შეგრძნება მქონდა: არბენ-ჩამორბენა კიბეზე და კიბის უჯრედებზე, იდუმალად შემავალ-გამომავალი ადამიანები, გაღებულ კართა მიღმა თვალმოკრული არეული კაბინეტები ყველგან მიმოფანტული ფურცლებითა და მოკაკუნე საბეჭდი მანქანებით, ამასობაში კი – თითებშორის გამსხლტარი დრო და, შესაძლოა, სასწორზე შეგდებული სიცოცხლე.

მიუხედავად ამისა, მაინც მივასწარი და, ჩემდა გასაკვირად, მომისმინეს კიდეც. თვით პოლკოვნიკი არ მინახავს, მაგრამ მისი ადიუტანტი თუ მდივანი – კოხტა უნიფორმიანი პატარა ოფიცერი, რომლის დიდი თვალები ალმაცერად იყურებოდნენ, წინკარში გამოვიდა ჩემს გამოსაკითხად. ჩემი ისტორია გადმოვალაგე: მოვედი უფროსი

ოფიცრის, მაიორ ხორხე კოპის სანაცვლოდ, რომელსაც სასწრაფო მისია აქვს ფრონტზე და შეცდომით დააპატიმრეს, პოლკოვნიკისთვის განკუთვნილი წერილი კონფიდენციალური ხასიათისაა და დაუყოვნებლივ უნდა დააბრუნონ. რამდენიმე თვე დავყავი კოპთან – უმაღლესი დონის ოფიცერთან, რომლის დაპატიმრება აშკარად შეცდომაა, პოლიციას ის რომელიღაც სხვა პირში აერია და ა. შ და ა.შ. დაჟინებით ვიმეორებდი, რომ კოპს ფრონტზე გადაუდებელი მისია ჰქონდა შესასრულებელი, ვიმეორებდი, რადგან ვიცოდი, რომ სწორედ ეს იყო ყველაზე მთავარი და ძლიერი არგუმენტი. მაგრამ უცნაური მოსასმენი უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი ჩემი ესპანურით, რომელიც ყოველ კრიზისულ მომენტში ფრანგულისკენ სხლტებოდა. მაგრამ ყველაზე უარესი იყო ჩემი ხმა, რომელიც თითქმის ლაპარაკის დაწყებისთანავე ჩამიწყდა და მხოლოდ დიდი დაძაბულობით გამოვცემდი ხრინწიან ბგერას. მზარავდა იმის გაფიქრება, რომ

ესეც შეიძლებოდა გამქრალიყო და პატარა ოფიცერს არაქათი გამოსცლოდა ჩემი მოსმენით. ხშირად გამკვირვებია, ნეტავ რას ფიქრობდა – რა სჭირს ამის ხმას, მხოლოდ მთვრალია თუ დამძიმებული სინდისი აწუხებსო.

ყოველივეს შემდეგ, მოთმინებით მისმენდა, არაერთგზის დამიკრა თავი და

კეთილგონივრულად დაეთანხმა ჩემს ნათქვამს. ჰო, ეს ისე ჟღერდა, რომ, მართლაცდა, შეცდომა უნდა ყოფილიყო და ამ საქმეს აშკარად მიხედავდნენ. Macana... – მე გავაპროტესტე: არავითარი macana! საქმე გადადებას ვერ იტანს, კოპი უკვე ფრონტზე უნდა იყოს. ოფიცერი თითქოს ისევ დამეთანხმა. შემდეგ დაისვა კითხვა, რომელსაც ძრწოლით ველოდი:

– რა ძალებში მსახურობდა მაიორი კოპი?

– მომპ-ის მილიციაში, – გაისმა საზარელი სიტყვა.

– მომპ-ის!?

ვისურვებდი, გადმომეცა გაოგნებული განგაში მის ხმაში. ამისთვის უნდა გაიხსენოთ, როგორ უყურებდნენ მომპ-ს იმხანად. ჯაშუშების შიში თავის ზენიტში იყო. ალბათ ყველა კარგ რესპუბლიკელს ერთ-ორ დღეს მაინც ნამდვილად სწამდა, რომ მომპ გერმანიის მიერ დაქირავებული ვეებერთელა ჯაშუშური ორგანიზაციაა. ასეთი რამის თქმა სახალხო არმიის ოფიცრისთვის იგივე იყო, რაც კავალერიის კლუბში მისვლა

უშუალოდ წითელი წერილის[33] საყოველთაო ტერორის შემდეგ და თავის გამოცხადება კომუნისტად. ოფიცრის შავი თვალები ირიბად ჩაუყვა ჩემს სახეს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნელა წარმოთქვა:

– და თქვენ ამბობთ, რომ მასთან ერთად იბრძოდით ფრონტზე... ესე იგი, თქვენც მომპ-ის მილიციაში იყავით?

– დიახ.

იგი მიბრუნდა და პოლკოვნიკის ოთახში გაუჩინარდა. იქიდან აღელვებული საუბრის ხმა მომესმა. «ყველაფერი დამთავრდა», გავიფიქრე. ვეღარასოდეს დავიბრუნებთ კოპის წერილს. მეტიც: მე იძულებული შევიქენი, მეღიარებინა, რომ თვითონაც მომპ-ში ვმსახურობდი. ეჭვი არაა, პოლიციაში დარეკავენ და დამაპატიმრებენ, ვინძლო კიდევ ერთი ტროცკისტი მიუმატონ საერთო ტომარას... თუმცა, ამჯერად, ოფიცერი დაბრუნდა. ქუდს თავზე ისწორებდა, როცა მანიშნა, მომყევიო. პოლიციის შეფის კაბინეტს მივაშურეთ. გრძელი გზა იყო, ოცი წუთის სასიარულო. ჩია ოფიცერი სამხედრო ნაბიჯით მიმიძღოდა წინ. სანამ მივდიოდით, ერთი სიტყვაც არ

გაგვიცვლია. პოლიციის შეფის კაბინეტის კართან აშკარად პოლიციის მაბეზღარების, ჯაშუშების, ინფორმატორების ყოვლად ამაზრზენი შესახედაობის ჯგრო ირეოდა. ჩია ოფიცერი შიგნით შევიდა. ამას მოჰყვა

ხანგრძლივი, დაძაბული საუბარი. ისმოდა მძვინვარედ ზეაწეული ხმები. ამის გამგონე კაცი წარმოიდგენდა ძალუმ ჟესტებს, მხრების აჩეჩას, მაგიდაზე დარტყმულ მუშტს. პოლიცია აშკარად უარს ამბობდა წერილის დაბრუნებაზე. ბოლოს და ბოლოს, ოფიცერი მაინც გამოჩნდა – სახეაჭარხლებული, თუმცა დიდი, ოფიციალური კონვერტით ხელში. ეს კოპის წერილი იყო. პატარა გამარჯვება მოვიპოვეთ, რომელსაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. წერილი დანიშნულების ადგილამდე მივიდა, მაგრამ კოპის სამხედრო ხელმძღვანელობამ ვერაფრით შეძლო ციხიდან მისი გამოხსნა.

ოფიცერი შემპირდა, წერილი თავის ადგილზე მივაო. კოპს რა მოელის-მეთქი, ვკითხე. ვერ გავათავისუფლებთ? ოფიცერმა მხრები აიჩეჩა, ეგ სხვა საკითხია, ჩვენ არ ვიცით, რისთვის დააპატიმრესო. მხოლოდ ის მითხრა, ამ საქმეს სათანადოდ გამოვიძიებთო. სათქმელი აღარაფერი დარჩა. ჩემი წასვლის დრო დადგა. ორივემ თავი დავუკარით ერთმანეთს... მერე კი უცნაური და გულისშემძვრელი რამ მოხდა: ჩია ოფიცერი ოდნავ შეყოყმანდა, მერე მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

არ ვიცი, შემიძლია თუ არა გადმოგცეთ, რაოდენ ღრმად შემძრა ამ ჟესტმა. თითქოს ბევრი არაფერი მომხდარა, არადა მოხდა. უნდა ხვდებოდეთ, რა დროში ვცხოვრობდით, სიძულვილისა და ეჭვის რა ატმოსფეროში, ყველგან მოდებულ სიცრუესა და მითქმა-მოთქმაში, პლაკატებში, რომლებიც მთელ ხმაზე გაჰყვიროდნენ, რომ მე და ყველა ჩემისთანა – ფაშისტი ჯაშუშია. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ჩვენ პოლიციის შეფის კაბინეტის გარეთ ვიდექით, ჩამშვებებისა და პროვოკატორების ბინძურ ჯგროსთან, რომლის ნებისმიერ წარმომადგენელს შეეძლო სცოდნოდა, რომ მე პოლიცია «დამეძებს». ეს იმას ჰგავდა, საჯაროდ რომ ჩამოგერთმია ხელი გერმანელისთვის. ვგონებ, ოფიცერი მიხვდა, რომ ჯაშუში არ ვიყავი და ამგვარი სიმბოლური ჟესტით გამოხატა თავისი დამოკიდებულება.

რაოდენ ტრივიალურადაც უნდა ჟღერდეს, ამას იმიტომ ვწერ, რომ ტიპურად ესპანურ ამბად მიმაჩნია, ანუ დიდსულოვნების იმ გაელვებებად, რაც ესპანელებისგან შეიძლება მიიღო ყველაზე უარეს გარემოებებში. ესპანეთთან ყველაზე უარესი მოგონებები მაკავშირებს, თუმცა თვით ესპანელებისგან სულ რამდენიმე ცუდი რამ მახსოვს. ესპანელს სულ ორად ორჯერ თუ გავუბრაზებივარ სერიოზულად და ორივეჯერ –

როცა უკან ვიყურები – ჩემივე ბრალითა და შეცდომით. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ მათ მოსდგამთ ისეთი სულგრძელობა და კეთილშობილება, როგორიც, არსებითად, არ ახასიათებს მეოცე საუკუნეს. სწორედ ეს აიმედებს ადამიანს, რომ ესპანეთში თვით ფაშიზმსაც კი შედარებით თავისუფალი და ასატანი ფორმები ჰქონდეს. ცოტაოდენ ესპანელს თუ გააჩნია ისეთი ქმედითობა და თანმიმდევრულობა, როგორსაც თანამედროვე ფაშიზმი ითხოვს. ამის პატარა და უცნაური ილუსტრირება მოხდა რამდენიმე ღამის წინ, როცა პოლიციამ ჩემი ცოლის ოთახი გაჩხრიკა. არსებითად, ეს ჩხრეკა ერთობ საინტერესო საქმიანობა

გახლდათ და აშკარად ვისურვებდი, მეც დავსწრებოდი. თუმცა, მე მგონი, ჯობდა არ დავსწრებოდი: შეიძლებოდა თავი ვერ მომეთოკა.

პოლიციამ ჩხრეკა ოგპუ-სა თუ გესტაპოს სტილში ჩაატარა. გათენებისას კარზე ბრახუნი გაისმა, ოთახში ექვსი კაცი შემოვიდა, სინათლე აანთო და მაშინვე თავისებურად განლაგდა ოთახში, რაზეც, ცხადია, წინდაწინ იყვნენ შეთანხმებული. ორივე ოთახი (ზედ მიბმული სააბაზანოთი) გაუგონარი გამოწვლილვით გაჩხრიკეს. კედლებს უკაკუნებდნენ, ნოხები აიღეს, იატაკი შეამოწმეს, თითებით მოსინჯეს

ფარდები, აბაზანის და რადიატორის ქვეშ შეიხედეს, ყველა უჯრა და ჩემოდანი დაცალეს, ყველა სამოსი დაათვალიერეს და სინათლეზე გახედეს, ყველა ფურცელი შეაგროვეს, დაჭმუჭნილ-გადაყრილი ფურცლების კალათის შიგთავსის ჩათვლით, ისევე როგორც უკლებლივ ყველა ჩვენი წიგნი. ისინი ეჭვის ექსტაზში ჩააგდო ამ წიგნებს შორის ჰიტლერისეული «ჩემი ბრძოლის» ფრანგული თარგმანის აღმოჩენამ. მხოლოდ ეს წიგნი რომ აღმოეჩინათ, ჩვენი ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. განა სრულებით ნათელი არ არის, რომ ადამიანი, რომელიც «ჩემს ბრძოლას» კითხულობს, ფაშისტია. მაგრამ მომდევნო მომენტში წააწყდნენ სტალინის პამფლეტს «ტროცკისტთა და სხვა ორსახოვანთა ლიკვიდირების გზები». ამან ისინი ცოტათი დააშოშმინა. ერთ-ერთ უჯრაში რამდენიმე შეკვრა სიგარეტის ქაღალდი იპოვეს. სათითაოდ ამოიღეს შეკვრები, გახსნეს და თითოეული ქაღალდი გასინჯეს, ზედ რამე შეტყობინებები ხომ არ წერიაო. მთლიანობაში, თავიანთ საქმეს თითქმის ორ საათს მოუნდნენ. ჰო, მთელი ამ დროის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუჩხრეკიათ საწოლი, რომელშიც ჩემი ცოლი იწვა და რომლის ქვეშაც ნახევარი დუჟინი თოფ-ავტომატი მაინც შეიძლებოდა ყოფილიყო გადამალული, რომ აღარაფერი ვთქვა ტროცკისტული დოკუმენტების მთელ ბიბლიოთეკაზე ბალიშის ქვეშ. ამის მიუხედავად, დეტექტივებს ერთი ნაბიჯიც

არ გადაუდგამთ საწოლისკენ, მის ქვეშაც კი არ შეუხედავთ. ვერ დავიჯერებ, რომ ეს ოგპუ-ს რუტინის ჩვეულებრივი შტრიხია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიციას თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ კომუნისტები და ეს კაცები, ალბათ, თვითონაც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ. მაგრამ, ამასთანავე, ისინი ესპანელებიც იყვნენ და ქალის წამოგდება საწოლიდან მათთვის მეტისმეტი იქნებოდა. საქმის ეს ნაწილი უსიტყვოდ გამოტოვეს, რამაც მთელ ჩხრეკას აზრი დაუკარგა.

ის ღამე მაკნეარმა, კოტმენმა და მე რომელიღაც მშენებარე უბნის მაღალ ბალახში გავატარეთ. წელიწადის ამ პერიოდისთვის საკმაოდ ცივი ღამე აღმოჩნდა და არც ერთ ჩვენგანს არ სძინებია დიდხანს. მახსოვს ბოდიალი გრძელი, მოღუშული საათების განმავლობაში, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ფინჯან ყავას დავლევდი. ბარსელონაში ჩამოსვლის შემდეგ პირველად წავედი კათედრალის მოსანახულებლად, – თანამედროვე კათედრალის, ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი შენობის დღევანდელ მსოფლიოში. კედლებში ზუსტად

რეინვეინის[34] ბოთლის ფორმის ოთხი წვეტიანი კოშკურა დაეტანებინათ. ბარსელონას ეკლესიების უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს კათედრალი რევოლუციას არ დაეზიანებინა. თავისი «მხატვრული ღირებულების»

გამო დაინდესო, ამბობდა ხალხი. ვფიქრობ, ანარქისტებმა ცუდი გემოვნება გამოამჟღავნეს, რომ ეს შენობა არ ააფეთქეს, როდესაც ამის შანსი ჰქონდათ. თუმცა მის კოშკურებს შორის მათი შავ-წითელი დროშა ეკიდა. იმ ნაშუადღევს მე და ჩემი ცოლი უკანასკნელად წავედით კოპის სანახავად. ვეღარაფრით დავეხმარებოდით, აბსოლუტურად ვერაფრით, გარდა იმისა, რომ დავმშვიდობებოდით და ფული დაგვეტოვებინა ესპანელი მეგობრებისთვის, რომლებიც მას საკვებითა და სიგარეტით მოამარაგებდნენ. ბარსელონადან ჩვენი წასვლის შემდეგ კოპი incommunicado მოათავსეს და უკვე საკვების მიწოდებაც შეუძლებელი გახდა. იმ ღამეს რამბლასზე მოვხვდით და ჩავუარეთ კაფე «მოკას», რომელშიც ისევ გამაგრებულიყვნენ მოიერიშეები. იმპულსურად შევედი და დაველაპარაკე ორ მათგანს, დახლს რომ მიყრდნობოდნენ მხარზე თოფგადაკიდებულები. ხომ არ იცოდნენ, მათი რომელი ამხანაგი იდგა საგუშაგოზე მაისის ბრძოლის დღეებში? არა, არ იცოდნენ და, ჩვეულებრივ-ესპანური ბუნდოვანებით, არც ის იცოდნენ, როგორ მოეძიათ ეს. ვუთხარი: ჩემი მეგობარი, ხორხე კოპი, ციხეში ზის და, ალბათ, გაასამართლებენ რაღაც ისეთი ბრალდებით, რაც მაისის ბრძოლას უკავშირდება, იმ დღეებში საგუშაგოზე მდგარ კაცებს კი ეცოდინებათ, რომ კოპმა შეტაკება აღკვეთა და ამით ზოგიერთი მათგანის სიცოცხლე იხსნა-მეთქი. ჰოდა,

მათ ხმა უნდა ამოეღოთ და სათანადო ჩვენება მიეცათ. ამ ორიდან ერთ-ერთი – ჩლუნგი და მძიმე შესახედაობის კაცი – ისევ თავს იქნევდა, რადგან ტრანსპორტის მოძრაობაში ჩემი ხმა არ ესმოდა. მაგრამ მეორე თავდამსხმელი სხვანაირი აღმოჩნდა. ჩემი ამხანაგებისგან გამიგონია კოპის საქციელის შესახებ, ის buen chico (კარგი ჯეელი) არისო. მაგრამ უკვე მაშინვე ვიცოდი, რაოდენ უსარგებლო იყო ეს ყველაფერი. თუ კოპს გაასამართლებდნენ, მაშინ ესეც ყველა სხვა მსგავს გასამართლებასავით ცრუ ჩვენებით წარიმართებოდა. თუ ის დახვრიტეს (ვშიშობ, რომ სწორედ ასე მოხდა), მისი ეპიტაფია იქნებოდა შემდეგი სიტყვები: მოიერიშეთა რაზმის buen chico, რომელიც იყო ბინძური სისტემის ნაწილი, თუმცა საკმაოდ ადამიანური დარჩა, რათა ერთმანეთისგან გაერჩია კარგი და ცუდი.

ჩვენ უჩვეულო, არანორმალურ ცხოვრებას ვეწეოდით. ღამით კრიმინალები ვიყავით, დღისით – დროის კარგად გამტარებელი ინგლისელი სტუმრები. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პოზა გვეჭირა. თვით ღია ცის ქვეშ გატარებული ღამის შემდეგაც კი, გაპარსვა, ბანაობა და ფეხსაცმლის გაპრიალება სასწაულებს ახდენდა ჩვენს გარეგნობაში, რომელიც შეძლებისდაგვარად ბურჟუაზიული უნდა გვქონოდა. აი, რა იყო ამჟამად

ყველაზე გადამრჩენელი. ვსეირნობდით ქალაქის ფეშენებელურ რაიონში, სადაც ვერ გვცნობდნენ, შევდიოდით ძვირად ღირებულ რესტორნებში და ძალზე

ინგლისურად ვიქცეოდით ოფიციანტებთან. ცხოვრებაში პირველად დავიწყე წერა კედლებზე. რამდენიმე კარგი რესტორნის შესასვლელში შემლებისდაგვარად დიდი ასოებით მივაჯღაბნე «Visca POUM!». მართალია, ვიმალებოდი, მაგრამ თავს მაინც არ ვგრძნობდი საფრთხეში. ეს ყველაფერი მეტისმეტად აბსურდული ჩანდა. ისევ ვატარებდი ამოუძირკვავ ინგლისურ რწმენას, რომ «ისინი» ვერ დაგაპატიმრებენ, სანამ კანონი არ დაგირღვევია. ეს ყველაზე სახიფათო რწმენაა პოლიტიკური პოგრომის დროს. არსებობდა ორდერი მაკნეარის დასაპატიმრებლად და შანსები, რომ დასაჭერთა სიაში ჩვენ ორნიც ვფიგურირებდით. რეიდები, ჩხრეკები, დაპატიმრებები არ წყდებოდა. პრაქტიკულად ყველა ჩვენი ნაცნობი, ჯერ კიდევ ფრონტზე მყოფების გარდა, დაჭერილი იყო. პოლიცია ადიოდა თვით ფრანგულ გემებზე, რომლებსაც პერიოდულად ლტოლვილები მიჰყავდა, და იქვე აპატიმრებდა ეჭვმიტანილ «ტროცკისტებს».

ბრიტანეთის კონსულის წყალობით, რომელიც იმ კვირაში ტიტანურ სამუშაოს

გაუმკლავდა, ჩვენი პასპორტები წესრიგში მოვიყვანეთ. რაც უფრო მალე დავტოვებდით ესპანეთს, მით უკეთესი იქნებოდა. ერთი მატარებელი საღამოს რვის ნახევარზე გადიოდა პორტ ბუსკენ, ანუ – რეალურად – ცხრის ნახევარზე. შევთანხმდით, რომ ჩემი ცოლი წინდაწინ შეუკვეთავდა ტაქსის, მერე თავის ბარგს ჩააწყობდა, სასტუმროს ქირას გადაიხდიდა და შენობიდან შემლებისამებრ გვიან გავიდოდა. თუ სასტუმროს ხალხს ძალიან შეეჩხირებოდა თვალში, ისინი მის წასვლას პოლიციას ამცნობდნენ. როცა სადგურში გავედი, მატარებელი უკვე წასული დამხვდა. შვიდს რომ ათი დააკლდა, მაშინ გასულა. როგორც ყოველთვის, ვატმანს სხვა აზრი მოსვლია თავში. საბედნიეროდ, მოვახერხეთ, რომ ეს ამბავი დროულად შეგვეტყობინებინა ჩემი ცოლისთვის. მეორე დილით, ადრიანად, სხვა მატარებელი გადიოდა. მაკნეარმა, კოტმენმა და მე ვისადილეთ პატარა რესტორანში, სადაც ფრთხილი გამოკითხვით შევიტყვეთ, რომ რესტორნის მფლობელი მეგობრულად განწყობილი შეკ-ის წევრი იყო. მან სამკაციანი ნომერი დაგვითმო, პოლიციის გაფრთხილება კი გადაავიწყდა. ბოლო ხუთი ღამის განმავლობაში პირველად დავიძინე უტანსაცმლოდ.

მომდევნო დილას ჩემი ცოლი მოხერხებულად გასხლტა სასტუმროდან. მატარებელი ერთი საათით გვიან გავიდა. ეს დრო იმით შევავსე, რომ გრძელი წერილი მივწერე ომის სამინისტროს. კოპის ამბავს ვწერდი, – იმას, რომ იგი უეჭველად შეცდომით დაიჭირეს; რომ ეს კაცი სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ფრონტს; რომ უთვალავი ადამიანი დაადასტურებდა მის უცოდველობას და ა.შ. და ა.შ. მაინტერესებდა, ვინმე თუ წაიკითხავდა უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცლებზე მერყევი ხელით (თითები ნაწილობრივ ისევ პარალიზებული მქონდა) და კიდევ უფრო მერყევი ესპანურით დაწერილ წერილს. ასე იყო თუ ისე, ვერც ამ წერილმა და ვერც ვერაფერმა შედეგი ვერ გამოიღო. ახლა, იმ მოვლენებიდან ექვსი თვის შემდეგ, კოპი თუ დახვრეტილი არ არის, მაშინ ისევ

ციხეში ზის, გაუსამართლებელი და ბრალდაუდებელი. თავიდან ორი-სამი წერილი მოგვივიდა მისგან, განთავისუფლებული პატიმრების გამოპარებული და საფრანგეთში გამოგზავნილი. ყველა წერილი ერთსა და იმავეს გვიამბობდა: უსუფთაო, ბნელ დილეგებში ყოფნას, ცუდ და არასაკმარის კვებას, სერიოზულ ავადმყოფობას პატიმრობის ცუდი პირობებიდან გამომდინარე და მიუხედაობას სამედიცინო თვალსაზრისით. ეს ყველაფერი სხვადასხვა ინგლისური და ფრანგული წყაროებიდან დამიდასტურდა. ცოტა ხნის წინ კოპი გაუჩინარდა ერთ-ერთ «საიდუმლო ციხეში»,

რომელთანაც შეუძლებელია რამენაირი კომუნიკაციის დამყარება. მისი ხვედრი ასობით სხვა უცხოელისა და, არავინ იცის, რამდენი ათასი ესპანელის ხვედრია.

ბოლოს და ბოლოს, უინციდენტოდ გადავკვეთეთ საზღვარი. მატარებელს ჰქონდა პირველი კლასის კუპე და ვაგონ-რესტორანი, რომელიც პირველად ვნახე ესპანეთში. ცოტა ხნის წინ კატალონიის მატარებლებს ერთადერთი კლასის ვაგონები ჰქონდათ. მატარებელში ორი დეტექტივი ამოვიდა. უცხოელების სახელებს აგროვებდნენ, მაგრამ როდესაც ვაგონ-რესტორანში დაგვინახეს, თითქოს დაკმაყოფილდნენ ჩვენი რესპექტაბელური იერსახით. უცნაურად შეიცვალა ყველაფერი. სულ რაღაც ექვსი თვის წინ, როცა ანარქისტები მეფობდნენ, რესპექტაბელურს ის გხდიდა, რომ პროლეტარის შესახედაობა გქონოდა. იმხანად იყო, რომ ფრანგმა კომერციულმა მოგზაურმა ყოვლად საზეიმოდ მითხრა: «ესპანეთში ასე ნუ ჩახვალთ, საყელოთი და ჰალსტუხით. ორივეს ჩამოგახევენ ბარსელონაში». აზვიადებდა, მაგრამ ამ სიტყვებში ჩანდა, რა თვალით უყურებდნენ კატალონიას. მაგალითად, საზღვარზე ანარქისტმა მესაზღვრემ ზურგი შეაქცია კოხტად გამოწყობილ ფრანგ ცოლ-ქმარს, ვგონებ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მეტისმეტად ბურჟუაზიულად გამოიყურებოდნენ. ახლა სხვა დრო დადგა:

ბურჟუაზიული იერი ერთადერთი ხსნა იყო. საპასპორტო ბიუროში ჩვენი გვარები ეჭვმიტანილთა სიაში ჩამოწერილ გვარებს შეუდარეს. მაგრამ პოლიციის არაქმედითობის მიზეზით, ეს გვარები იქ არ აღმოჩნდა, თვით მაკნეარისაც კი. თხემით ტერფამდე გაგვჩხრიკეს და მამხილებელი ვერაფერი გვიპოვეს, ჯარიდან ჩემი განთავისუფლების დოკუმენტის გარდა. მაგრამ კარაბინერებმა არ იცოდნენ, რომ 29-ე დივიზია მომპ-ს ეკუთვნოდა. ასე გადავცდით საზღვარს და სულ ექვსიოდე თვის შემდეგ ისევ ფრანგულ მიწაზე ვიდექი. ესპანეთიდან გამოყოლილ ჩემს მოგონებებს შეადგენდა მხოლოდ თხის ტყავის ბოთლი და პაწაწინა თუნუქის ლამპა, რომელშიც არაგონელი გლეხები ზეითუნის ზეთს წვავდნენ, რომელიც ძალიან წააგავდა რომაელების მიერ ორი ათასი წლის წინ გამოყენებულ ტერაკოტას ლამპებს და რომელიც ერთ-ერთი დანგრეული ქოხიდან წამოვიღე, მერე კი, რაღაცნაირად, ჩემს ბარგში ჩარჩა.

ყოველივეს შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, ესპანეთს არცთუ მაინცდამაინც სწრაფად გამოვრიდებივართ. პირველივე გაზეთი, რომელიც ვნახეთ,

იუწყებოდა მაკნეარის დაპატიმრებას ჯაშუშობისთვის. ესპანურმა ხელისუფლებამ ცოტა არ იყოს იჩქარა ამის

გამოცხადება. საბედნიეროდ, ქვეყნიდან გაქცეულ ადამიანს უკან არ დააბრუნებენ «ტროცკისტობისთვის».

მაინტერესებს, რა არის პირველი შესაფერისი მოქმედება, როდესაც ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნიდან გამოდიხარ და ფეხს მიწაზე თავისუფლად დგამ. პირადად მე, უწინარეს ყოვლისა, თამბაქოს კიოსკს მივვარდი და იმდენი სიგარა ვიყიდე, რამდენიც ჩამეტეოდა ჯიბეებში. შემდეგ ყველანი ბუფეტში შევედით, ჯერ ყავა დავლიეთ, მერე ჩაი ახალი რძით – პირველი ჩაი მრავალი ბოლო თვის განმავლობაში. არა ერთი და ორი დღე დამჭირდა იმ აზრის მისაჩვევად, რომ სიგარეტი შემეძლო მეყიდა ყველგან, სადაც ვისურვებდი. სულ იმას ველოდი, რომ თამბაქოს მაღაზიის კარი ჩახერგილი დამხვდებოდა, ფანჯრიდან კი ამკრძალავი წარწერა მეტყოდა: «თამბაქო არ არის».

მაკნეარმა და კოტმენმა პარიზისაკენ განაგრძეს გზა, მე და ჩემი ცოლი კი ბანიულსში ჩამოვედით, რადგან ვიგრძენით, რომ სული უნდა მოგვეთქვა. იქ არც ისე კარგად მიგვიღეს, როცა შეიტყვეს, რომ ბარსელონადან მოვდიოდით. არაერთგზის ჩამითრიეს

ერთსა და იმავე საუბარში: «ესპანეთიდან მოდიხართ? ვის მხარეს იბრძოდით? მთავრობის? ოჰ!» – ამთავრებდნენ ხაზგასმული სიცივით. ეს პატარა ქალაქი მტკიცედ პროფრანკოული ჩანდა, უთუოდ სხვადასხვა ესპანელი ლტოლვილის გამო, აქ რომ ჩამოდიოდნენ დროდადრო. იმ კაფეშიც, სადაც მე დავდიოდი, მუშაობდა ფრანკოს მომხრე ესპანელი ოფიციანტი, რომელიც აპერიტივის მოტანისას ბნელ მზერას მესროდა. რაც შეეხება პერპინანს, იქაურობა სწორედაც სახელისუფლებო პარტიზანებს გაევსოთ და სხვადასხვა ფრაქცია თითქმის ისეთივე ინტრიგებს უწყობდა ერთმანეთს, როგორც ბარსელონაში. იქ იყო ერთი კაფე, რომელშიც სიტყვა მომპ დაუყოვნებლივ უზრუნველგყოფდა ფრანგი მეგობრებითა და ოფიციანტის ღიმილით.

რამდენადაც მახსოვს, ბანიულსში სამ დღეს შევჩერდით. უცნაურად მოუსვენარი დრო იდგა. ამ პატარა თევზსარეწ ქალაქში, ბომბების, ტყვიამფრქვევების, საკვებზე დამდგარი რიგების, პროპაგანდისა და ინტრიგისგან შორს, ჩვენ ღრმა შვება და მადლიერება უნდა გვეგრძნო. არადა, მსგავსი არაფერი გვიგრძნია. ის, რაც ესპანეთში ვნახეთ, არ უკუქცეულა და პროპორციებში არ ჩამჯდარა, რაკი იქიდან შორს ვიყავით. ამის სანაცვლოდ, ის ყველაფერი უკანვე მოგვაწყდა, თანაც – უწინდელზე გაცილებით

ცოცხლად. გამუდმებით ესპანეთზე ვფიქრობდით, ვლაპარაკობდით, გვესიზმრებოდა. მანამდე – თვიდან თვემდე – საკუთარ თავს ვუჩიჩინებდით: როგორც კი ესპანეთს გავეცლებით, სადმე ხმელთაშუა ზღვის პირას გავალთ, ერთხანს მშვიდად ვიქნებით და იქნებ ცოტა წავითევზაოთ კიდეცო. ახლა კი, როცა უკვე აქ ვიყავით, მხოლოდ მოწყენას და გულისაცრუებას ვგრძნობდით.

სუსხიანი ამინდი იყო, დაუდგრომელი ზღვაური ჰქროდა, ამღვრეულ წყალს ჭავლი მოესხა, ნავმისადგომის კიდეს გამორიყული ნარჩენების, ტივტივებისა და თევზის შიგნეულის ქაფი ეხლებოდა. სიგიჟედ ჟღერს, მაგრამ ორივეს ისევ ესპანეთში დაბრუნება მოგვინდა. მართალია, ეს არავის მოუტანდა სიკეთეს, ნამდვილად სერიოზულად შეიძლებოდა ევნო ყველასთვის, მაგრამ ორივემ მაინც ვისურვეთ, სხვებთან ერთად დავრჩენილიყავით ციხეში. ვფიქრობ, საკმაოდ დამაკლდა იმის გადმოცემა, რას ნიშნავდა ესპანეთში გატარებული თვეები ჩემთვის. ზოგიერთი გარეგანი ამბავი ჩავწერე, თუმცა ვერ შევძელი იმ განცდის დაფიქსირება, იქ გატარებულმა თვეებმა რომ მომივლინა. ეს განცდა გადაჯაჭვულია ლანდშაფტებთან, სუნებთან და ბგერებთან, რომლებიც ვერ გადმოიცემა წერილობით: სანგრების სუნი, მთებზე მომდგარი, წარმოუდგენელ მანძილებზე გავრცობილი ცისკარი, ტყვიების სუსხიანი შხუილი, ბომბების გრუხუნი და ნათება, ბარსელონური დილების

გამჭვირვალე, ცივი სინათლე, ჩექმების ბრაგაბრუგი ყაზარმის წინ დეკემბრის თვეში, როცა ადამიანებს ჯერ კიდევ სწამდათ რევოლუციის; რიგები საკვებზე, შავ-წითელი დროშები და ესპანელ მილიციელთა სახეები, ჰო, უწინარეს ყოვლისა, მილიციელთა სახეები, იმათი, ვისაც ფრონტზე ვიცნობდი და ვინც ახლა, უფალმა უწყის, სად მიმოფანტულან: ზოგი მოკლული იქნება, ზოგი დასახიჩრებული, ზოგიც – უმრავლესობა – ციხეში, სადაც, ვიმედოვნებ, მტკიცედ და დაცულად არიან. ნურც ერთი ნუ მიეტოვებინოს იღბალს. ვიმედოვნებ, მათ ომი მოიგეს და ყველა უცხოელი გარეკეს ესპანეთიდან, ყველა ერთნაირად – გერმანელები, რუსები თუ იტალიელები. ამ ომმა, რომელშიც ესოდენ უმნიშვნელო როლი ვითამაშე, უმეტესწილად ავი მოგონებები დამიტოვა, მაგრამ მაინც არ ვისურვებდი, რომ ავცდენოდი. როდესაც თვალი მოგიკრავს ასეთი უბედურებისთვის (რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს, ესპანური ომი მაინც საშინელ უბედურებად დარჩება ხოცვა-ჟლეტისა და ფიზიკური ტანჯვის გარეშეც), ეს თავის აუცილებელ შედეგად მაინცდამაინც განხიბვლასა და ცინიზმს არ მოიყოლებს. საკმაოდ უცნაურია, მაგრამ იმ დროს მიღებულმა გამოცდილებამ დამიტოვა არათუ ნაკლები, არამედ უფრო მეტი რწმენა ადამიანთა კეთილსინდისიერებაში. და, ვიმედოვნებ, ეს ჩემი ანგარიში მეტისმეტად დიდ

ცდომილებაში შემყვანი არ არის. მჯერა, ამდაგვარ უთანხმოებაში არავინ არის ან ვერავინ იქნება ბოლომდე მართალი. ძნელია, დარწმუნებული იყო რაიმეში, გარდა იმისა, რაც საკუთარი თვალით გინახავს. ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ყველა პარტიზანივით წერს. იმ შემთხვევაში, თუ ეს უფრო ადრე არ მითქვამს, ახლა ვიტყვი: უფრთხილდით ჩემს პარტიზანობას, ჩემეულ შეცდომებსა და გამრუდებებს, თავისებურად გარდაუვალს იმის გამო, რომ მხოლოდ ერთი კუთხით დავინახე საგნები. და ზუსტად ამასვე უფრთხილდით იმ პერიოდის ესპანურ ომზე დაწერილ ნებისმიერ სხვა წიგნშიც.

იმ გრძნობის კარნახით, რომ რაღაცას უნდა ვაკეთებდეთ, არადა, რეალურად, არაფერი იყო საკეთებელი, ბანიულსი იმაზე უფრო ადრე დავტოვეთ, ვიდრე განზრახული გვქონდა. ჩრდილოეთისკენ ყოველ მილის გავლასთან ერთად საფრანგეთი სულ უფრო და უფრო მწვანდებოდა და რბილდებოდა. ვშორდებოდით მთებსა და ვენახებს, ვუბრუნდებოდით მდელოებსა და თელადუმებს. როცა ესპანეთისკენ მიმავალმა პარიზი გავიარე, უღიმღამო და ამოღამებული მეჩვენა, ანუ ძალზე განსხვავებული რვა წლის წინანდელი პარიზისგან, როცა ცხოვრება იაფი იყო და ჰიტლერზეც არავის

არაფერი სმენოდა. კაფეების ნახევარი დაკეტილი დამხვდა კლიენტურის დიდი ნაკლებობის მიზეზით; ყველა დაეფრთხო ცხოვრების მაღალ ფასებსა და ომის შიშს. ახლა კი, ღარიბი ესპანეთის შემდეგ, თვით პარიზიც კი მხიარული და ცხოვრებისგან დამტკბარი მეჩვენა. კინოთეატრები მთელი მასშტაბით მოქმედებდნენ, თუმცა მოვახერხეთ და თავიდან ავიცდინეთ იქ მისვლა.

მერე გამოჩნდა ინგლისი, სამხრეთ ინგლისი, შესაძლოა – ყველაზე ზომიერი ლანდშაფტით დედამიწის ზურგზე. როცა ამ გზას გადიხარ და, განსაკუთრებით, როდესაც მშვიდად იკურნები სნეულებისგან გემისკენ მიმავალი მატარებლის ბალიშებზე გადაწოლილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამქვეყნად სადმე რამე ხდება. მიწისძვრები იაპონიაში, შიმშილი ჩინეთში, რევოლუცია მექსიკაში? ნუ ღელავ: ხვალ დილით კართან ახალი რძე დაგხვდება, პარასკევს კი «ნიუ სტეიტსმენი» გამოვა. ინდუსტრიული ქალაქები შორს დარჩა, კვამლსა და უბედურებას დედამიწის რელიეფი ფარავდა. აქ ისევ ინგლისი იყო, ბავშვობიდან ნაცნობი ინგლისი: ველური ყვავილებით გადასწორებული რკინიგზის ნარჩენები, ღრმა მდელოები, რომლებზეც ფიქრიანად დაბალახობენ დიდი, მანათობელი ცხენები, ნელა მიდინებული, ნაპირებზე

ტირიფებჩამწკრივებული ნაკადები, თელების მწვანე მკერდები, კოტეჯების ეზოებში აყვავებული დეზურები, მერე კი – გარე ლონდონის მშვიდი უდაბურება, მღვრიე მდინარეზე მოცურავე ბარჟები, ნაცნობი ქუჩები, კრიკეტის მატჩების ან სამეფო ქორწინებების მაუწყებელი პლაკატები, ცილინდრიანი კაცები, მტრედები ტრაფალგარის მოედანზე, წითელი ავტობუსები, ლურჯი პოლისმენები – ყველაფერი, რასაც ინგლისის ღრმა, ღრმა ძილით სძინავს, ძილით, რომლისგანაც, ვშიშობ, მხოლოდ ბომბების გრიალი თუ გამოგვაღვიძებს.

დანართი I

V თავის პირველი აბზაცის შემდეგ

(უწინ – პირველი გამოცემის მეხუთე თავი, ჩასმული წინამდებარე გამოცემის მეოთხე და მეხუთე თავებს შორის)

თავიდან არ ვიცოდი, რა იყო ამ ომის პოლიტიკური მხარე, რომელიც ახლაღა მაიძულებს, ყურადღება მივაპყრო. თუ არ გაინტერესებთ პარტიების პოლიტიკის საშინელებები, გთხოვთ გამოტოვოთ ეს მონაკვეთი. სწორედ ამ მიზნით ვცდილობ, ჩემი თხრობის ეს ნაწილი ცალკე თავებში მოვაქციო. თუმცა, იმავდროულად, სრულებით შეუძლებელი იქნებოდა წერა ესპანურ ომზე წმინდად სამხედრო კუთხიდან. ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ომი იყო. მის ვერც ერთ მოვლენას ვერ გავიგებთ (ყოველ შემთხვევაში – ომის პირველი წლის ხდომილებებიდან), თუ წარმოდგენა არ გვაქვს პარტიათა შორის ბრძოლაზე, რომელიც სამთავრობო ხაზების მიღმა მიმდინარეობდა.

როცა ესპანეთში ჩავედი (და ერთხანს – ჩასვლის შემდეგაც), არათუ მხოლოდ არ მაინტერესებდა პოლიტიკური სიტუაცია, არამედ არც ვიცნობდი მას. ვიცოდი, რომ ომი მიმდინარეობდა, თუმცა არ ვიცოდი, რანაირი ომი იყო ეს. თუ მკითხავდით, რატომ შეუერთდი მილიციასო, გიპასუხებდით: «ფაშიზმთან საბრძოლველად». და თუ მკითხავდით, რისთვის ვიბრძოდი, გეტყოდით: «საყოველთაო წესიერებისთვის». მიღებული მქონდა ომის ის ვერსია, რომელსაც «ნიუს ქრონიკლ-ნიუ სტეიტსმენი» ავრცელებდა: ცივილიზაციის დაცვა ჰიტლერის მიერ დაქირავებული პოლკოვნიკ ბლიმპსის არმიის მანიაკალური გამოხდომის წინააღმდეგ. ბარსელონას რევოლუციურმა ატმოსფერომ ღრმად ჩამითრია, თუმცა არაფერი მიღონია მის ჩასაწვდომად. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიებისა და ტრედუნიონების კალეიდოსკოპსა და მათ დამღლელ სახელებს, – კგსპ, მომპ, შეკ, დლპ, მსკ, – ასეთებს მხოლოდ წყობიდან გამოვყავდი. ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ესპანეთს ინიციალების სახადი შეჰყროდა. ვიცოდი: ვმსახურობდი რაღაცაში სახელად მომპ (მხოლოდ იმიტომ შევუერთდი მომპ-ის მილიციას, რომ ბარსელონაში დლპ-ის პროგრამით ჩავედი), თუმცა არ მესმოდა, რომ არსებობს სერიოზული განსხვავებები პოლიტიკურ პარტიებს შორის. მონტე პოსეროში, როცა ჩვენს მარცხნივ

მყოფ პოზიციაზე მიგვითითეს და გვითხრეს: «ეგენი სოციალისტები არიან» (გულისხმობდნენ კგსპ-ს), შევფიქრიანდი და ვთქვი: «განა ყველანი სოციალისტები არ ვართ?» იდიოტობად მიმაჩნდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ მებრძოლ ადამიანებს ცალ-ცალკე პარტიები ჰქონდათ. ჩემი მიმართება ყოველთვის ასეთი იყო: «იქნებ თავი დავანებოთ მთელ ამ პოლიტიკურ უაზრობას და ომი დავაჩქაროთ?» ეს, რა თქმა უნდა, სწორედ «ანტიფაშისტური» მიმართება იყო, ფრთხილად რომ ავრცელებდნენ

ინგლისური გაზეთები ძირითადად იმ მიზნით, რომ ადამიანებს ვერ მოეხელთებინათ ბრძოლის რეალური ბუნება. თუმცა ესპანეთში (განსაკუთრებით – კატალონიაში) ამ მიმართებას ვერავინ ან არავინ ატარებდა განუსაზღვრელად. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველას, ადრე თუ გვიან, რომელიღაც მხარე უნდა აერჩია. რადგან, შესაძლოა, მავანს არანაირად არ ანაღვლებდა პოლიტიკური პარტიები და მათი კონფლიქტური «მიმართულებები», მაინც მეტისმეტად აშკარა იყო, რომ საქმე უშუალოდ ეხებოდა მის პირად ბედს. როგორც მილიციელი, ჯარისკაცი უპირისპირდებოდა ფრანკოს, თუმცა, იმავდროულად, ის იყო პაიკი ვეებერთელა ბრძოლაში, რომელიც ორ პოლიტიკურ თეორიას შორის მიმდინარეობდა. როცა მე მისხლობით ვაგროვებდი შეშას მთის ფერდობზე და ვფიქრობდი, ეს ნამდვილად ომია თუ «ნიუს ქრონიკლმა»

გამოიგონა-მეთქი; როცა ვემალებოდი კომუნისტების ტყვიამფრქვევს ბარსელონას შეტაკებებში; როცა საბოლოოდ დავუსხლტი დადევნებულ პოლიციას და ესპანეთი დავტოვე, – ეს ყველაფერი იმიტომ გადამხდა თავს, რომ მომპ-ის მილიციაში ვმსახურობდი და არა კგსპ-ში. აი, რამხელა სხვაობა ყოფილა ინიციალების ამ ორ მწკრივს შორის!

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა იყო სახელისუფლებო დაჯგუფება, უნდა გავიხსენოთ, როგორ დაიწყო ომი. 18 ივლისს, როდესაც ბრძოლამ იფეთქა, ალბათ ნებისმიერმა ანტიფაშისტმა ევროპაში იმედის ციალი იგრძნო. აქ, როგორც ჩანდა, ფაშიზმს წინ აღუდგა დემოკრატია. ბოლო წლებში, ეგრეთ წოდებული დემოკრატიული ქვეყნები ყოველ ნაბიჯზე ნებდებოდნენ ფაშიზმს. იაპონელები თავიანთ ნებაზე ნავარდობდნენ მანჯურიაში. ჰიტლერს ძალაუფლება მიეცა და ერთიმეორის მიყოლებით ანადგურებდა ყველა ჯურის პოლიტიკურ ოპონენტს. მუსოლინიმ დაბომბა აბისინიელები, მაშინ, როდესაც ორმოცდაცამეტი ერი (ჩემი გამოთვლით) განგებას შველას ევედრებოდა. მაგრამ როდესაც ფრანკო შეეცადა დაემხო ზომიერად მემარცხენე მთავრობა, ესპანელი ხალხი ყოვლად მოულოდნელად წინ აღუდგა. ეს ტალღის შემობრუნებას ჰგავდა და, ალბათ, იყო კიდევაც.

თუმცა რამდენიმე მომენტი მაინც მხედველობიდან გამორჩა საყოველთაო ყურადღებას. პირველი ის, რომ ფრანკოს სწორხაზოვნად ვერ დააწყვილებდი ჰიტლერთან ან მუსოლინისთან. მისი აღზევება წარმოადგენდა სამხედრო ბუნტს, რომელსაც მხარს უჭერდა არისტოკრატია და ეკლესია და, უპირატესად (განსაკუთრებით – დასაწყისში), ესწრაფოდა არა იმდენად ფაშიზმის დამკვიდრებას, რამდენადაც ფეოდალიზმის აღდგენას. ეს ნიშნავდა, რომ ფრანკო იმხედრებდა არა მხოლოდ მუშათა კლასს, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიის სხვადასხვა სექტორსაც, ანუ ზუსტად იმათ, რომლებსაც ეყრდნობა ფაშიზმი, როცა ეს უკანასკნელი უფრო თანამედროვე ფორმით ვლინდება. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ესპანური მუშათა კლასი არ ეწინააღმდეგებოდა ფრანკოს «დემოკრატიისა» და status quo-ს სახელით

(როგორც ამას, ვთქვათ, ინგლისში ვიზამდით), არამედ ამ წინააღმდეგობას ახლდა განსაზღვრული რევოლუციური აფეთქება, თითქმის საკუთრივ ამ აფეთქებისგან შედგებოდა. მიწას გლეხები დაეპატრონენ, მრავალ ქარხანასა და ტრანსპორტის დიდ ნაწილს – ტრედუნიონები, ეკლესიები დაარბიეს, მღვდლები გამოყარეს ან დახოცეს. კათოლიკური სამღვდელოების მისალმებათა შორის, «დეილი მეილმა» შეძლო, წარმოედგინა ფრანკო იმ პატრიოტად, რომელიც თავის ქვეყანას ეშმაკეული «წითლებისგან» ათავისუფლებდა.

ომის პირველ რამდენიმე თვეში ფრანკოს რეალური მოწინააღმდეგე იყო არა იმდენად ესპანეთის მთავრობა, რამდენადაც ტრედუნიონები. ამბოხების დაწყებისთანავე ორგანიზებულად მოქმედმა ქალაქის მუშებმა მას იმით უპასუხეს, რომ ჯერ საყოველთაო გაფიცვა მოაწყვეს, მერე კი მოითხოვეს და არცთუ უბრძოლველად მიიღეს საბრძოლო იარაღი სახალხო არსენალიდან. სპონტანურად და მეტ-ნაკლებად დაქსაქსულად რომ არ ემოქმედათ, სავსებით დასაშვებია, რომ ფრანკო მათ ვეღარ გამკლავებოდა. რა თქმა უნდა, დანამდვილებით ვერ იტყვი, მაგრამ, სულ ცოტა, მიზეზი მაინც არსებობს ამის საფიქრელად. მთავრობას თითქმის არავითარი მცდელობა არ ჰქონია, აღეკვეთა ფრანკოს ამბოხი, რომელიც დიდი ხნით ადრე განჭვრიტეს. და როცა ის დაიწყო, ხელისუფლებამ იმდენად სუსტი და მერყევი პოზიცია დაიჭირა, რომ ესპანეთს ერთსა და იმავე დღეს სამი პრემიერმინისტრი ჰყავდა (კიროგა, ბარიო და გირალი, რომელთაგან პირველმა ორმა უარი თქვა იარაღის მიცემაზე ტრედუნიონებისთვის). მეტიც: ერთი ნაბიჯი, რომელსაც შეეძლო გადაერჩინა ეს სიტუაცია – მუშათა შეიარაღება – მხოლოდ უხალისოდ გადადგეს და ისიც – ხალხის დაჟინებული მოთხოვნის საპასუხოდ. ასე იყო თუ ისე, იარაღი დარიგდა და აღმოსავლეთ ესპანეთის დიდ ქალაქებში ფაშისტები დაამარცხა ძირითადად მუშათა

კლასმა, რომელსაც მხარში ედგნენ გარკვეული – ჯერ კიდევ ლოიალურად განწყობილი – შეიარაღებული ძალებიც (მოიერიშეთა რაზმები და ა.შ.). ასეთი ძალისხმევით ბრძოლა შეეძლო მხოლოდ რევოლუციურად განწყობილ ხალხს, ანუ იმათ, ვისაც სწამდა, რომ იბრძოდა საგანთა არსებულ წესრიგზე უფრო უკეთესი რამისთვის. ამბოხების სხვადასხვა ცენტრებში მიჩნეულია, რომ სულ ერთ დღეში სამი ათასამდე კაცი დაიხოცა ქუჩებში. დინამიტის კოჭებით შეიარაღებული მამაკაცები და ქალები ღია მოედნებს მოედვნენ და შეუტიეს ქვის შენობებს, სადაც გაწვრთნილი ჯარისკაცები გამაგრებულიყვნენ თავიანთი ტყვიამფრქვევებით. ფაშისტების მიერ სტრატეგიულ წერტილებში განთავსებული ტყვიამფრქვევების ბუდეები საათში სამოცი მილის სისწრაფით მომქროლავმა ტაქსებმა გადაანგრიეს. არაფერი რომ არ გვსმენოდა გლეხების მიერ მიწის დასაკუთრებაზე, ადგილობრივი საბჭოების დაფუძნებაზე და ა.შ., ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ანარქისტები და სოციალისტები – წინააღმდეგობის ხერხემალი – ასე მოქმედებდნენ კაპიტალისტური

დემოკრატიის დასაცავად, ანუ იმის, რაც (განსაკუთრებით ანარქისტების თვალში) სხვა არაფერი იყო, თუ არა თაღლითობის ცენტრალიზებული მანქანა.

ამასობაში მუშებს ხელში იარაღი ეჭირათ და ამ ეტაპზე დანებებას არ აპირებდნენ (როგორც გამოითვალეს, თვით ერთი წლის შემდეგაც კი კატალონიელ ანარქო-სინდიკალისტებს 30 000 შაშხანა ჰქონდათ). პროფაშისტური დიდი მემამულეების ქონება ბევრგან გლეხებმა დაიტაცეს. ინდუსტრიისა და ტრანსპორტის კოლექტივიზაციასთან ერთად, განხორციელდა მცდელობა, ჩამოეყალიბებინათ მუშური მმართველობის ზოგადი საწყისები ადგილობრივი კომიტეტების საფუძველზე, მუშათა პატრულებს შეეცვალათ ძველი, პროკაპიტალისტური პოლიციური ძალები, მილიციები დაყრდნობოდა ტრედუნიონებს და ა.შ. რასაკვირველია, ეს არაერთგვაროვანი პროცესი ყველაზე შორს კატალონიაში წავიდა. იყო რაიონები, სადაც ადგილობრივი მთავრობის ინსტიტუტები თითქმის ხელუხლებელი დარჩა, და ისეთებიც, სადაც ეს ინსტიტუტები რევოლუციური კომიტეტების გევრდით განაგრძობდა ფუნქციონირებას. ზოგან დაფუძნდა დამოუკიდებელი ანარქისტული თემები, რომელთაგან ზოგმა მთელ წელიწადს გასტანა, სანამ ხელისუფლება ძალდატანებით ჩაახშობდა. პირველ რამდენიმე თვეს კატალონიაში რეალური ძალაუფლების დიდ ნაწილს ფლობდნენ ანარქო-სინდიკალისტები, რომლებიც ძირითად ინდუსტრიებს განაგებდნენ. ის, რაც

ესპანეთში მოხდა, ფაქტობრივად, მხოლოდ სამოქალაქო ომი კი არ იყო, არამედ რევოლუციის დასაწყისი. სწორედ ეს ფაქტია, რომელსაც საგანგებოდ ჩქმალავდა და აჩუმათებდა ესპანეთის გარეთ გამომავალი ანტიფაშისტური პრესა. ყველაფერი დაჰყავდათ ფორმულაზე «ფაშიზმი დემოკრატიის წინააღმდეგ», ხოლო რევოლუციურ ასპექტს შეძლებისდაგვარად ჩქმალავდნენ. ინგლისში, სადაც პრესა უფრო ცენტრალიზებულია და პუბლიკაც უფრო ადვილად ტყუვდება, ვიდრე სადმე სხვაგან, ესპანეთის ომის სულ ორად ორი ვერსია გამოქვეყნდა: ქრისტიანი პატრიოტების მემარჯვენე ფრთა სისხლისმსმელი ბოლშევიკების წინააღმდეგ და ჯენტლმენ რესპუბლიკელთა მემარცხენე ფრთა, რომელიც ახშობდა სამხედრო ბუნტს. ცენტრალური პრობლემა წარმატებით მიიჩქმალა.

ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, ჩადენილ სისასტიკეებთან დაკავშირებით გულზეშემომყრელ ტყუილებს ავრცელებდა პროფაშისტური პრესა, ხოლო ყოვლად კეთილგანმზრახველი პროპაგანდისტები უეჭველად ფიქრობდნენ, რომ ეხმარებოდნენ ესპანურ მთავრობას, როცა უარყოფდნენ ესპანეთის «გაწითლებას». მაგრამ უმთავრესი მიზეზი სხვა იყო: პატარა

რევოლუციური დაჯგუფებების გამოკლებით, ყველა ქვეყანაში რომ არსებობს, მთელი ქვეყნიერება არაორაზროვნად ეწინააღმდეგებოდა რევოლუციის მოხდენას ესპანეთში, განსაკუთრებით – კომუნისტური პარტია და მის უკან მდგარი საბჭოთა რუსეთი. ეს უკანასკნელი მთელი სიმძიმით დაუპირისპირდა

რევოლუციას. კომუნისტური თეზისის მიხედვით, ამ ეტაპზე რევოლუცია საბედისწერო იქნებოდა და, შესაბამისად, ესპანეთშიც უნდა დამყარებულიყო არა მუშების ზეობა, არამედ ბურჟუაზიული დემოკრატია. არავითარი საჭიროება არ არის აღინიშნოს, რატომ აიღო იგივე კურსი «ლიბერალურმა» კაპიტალისტურმა თვალსაზრისმაც. დიდძალი უცხოური კაპიტალი ჩაიდო ესპანეთში. მაგალითად, «ბარსელონას წევის კომპანიაში» ათობით მილიონი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი იდო. ამასობაში კი ტრედუნიონებმა ხელთ იგდეს კატალონიის მთელი ტრანსპორტი. თუ რევოლუცია წინ წავიდოდა, მაშინ არავითარი კომპენსაცია არ მოხდებოდა, ანდა – სულ მცირე. თუ ესპანეთი კაპიტალისტურ რესპუბლიკად ჩამოყალიბდებოდა, უცხოურ კაპიტალს არაფერი ემუქრებოდა. და რაკი რევოლუცია დამარცხდა, ამან ფრიად გაამარტივა ყველაფრის ისე ჩვენება, თითქოს არავითარი რევოლუცია არ მომხდარა. ამ გზით, ნებისმიერი მოვლენის ნამდვილი მნიშვნელობა მიიჩქმალებოდა. ძალაუფლების ყოველი გადანაცვლება

ტრედუნიონებიდან ცენტრალური ხელისუფლებისკენ წარმოიდგინებოდა, როგორც აუცილებელი ნაბიჯი სამხედრო რეორგანიცაზიაში. უკიდურესად საინტერესო ვითარება შეიქმნა. ესპანეთის გარეთ ცოტა ვინმემ თუ მოიხელთა, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, მის საზღვრებს შიგნით ამაში არავინ დაეჭვებულა. თვით კგსპ-ს გაზეთებიც კი – კომუნისტების გაკონტროლებული და მეტ-ნაკლებად გამტარებელი ანტირევოლუციური პოლიტიკის – ლაპარაკობდნენ «ჩვენს დიდებულ რევოლუციაზე». ამასობაში უცხოეთის ქვეყნების კომუნისტური პრესა გაჰყვიროდა, არსად რევოლუციის არავითარი ნიშანი არ ჩანსო. ხოლო იმას, რაც მოხდა ან რაც არ მომხდარა, ანუ ქარხნების დაკავებას, მუშათა კომიტეტების დაარსებას, «არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა». «დეილი უორკერის» 1936 წლის 6 აგვისტოს ნომრის მიხედვით, ყველა, ვინც ამბობდა, რომ ესპანელი ხალხი იბრძვის სოციალური რევოლუციისთვის ან კიდევ რაიმე სხვისთვის, ბურჟუაზიული დემოკრატიის გარდა, «პირწმინდად მატყუარა არამზადა» იყო. მეორე მხრივ, ხუან ლოპესმა, ვალენსიის ხელისუფლების წევრმა, 1937 წლის თებერვალში განაცხადა: «ესპანელი ხალხი სისხლს ღვრის არა დემოკრატიული რესპუბლიკის ან მისი ქაღალდის კონსტიტუციის, არამედ... რევოლუციის სახელით». აქედან გამომდინარე, «პირწმინდად მატყუარა

არამზადებში» შედიოდნენ წევრები ხელისუფლებისა, რომლისთვისაც ჩვენ უნდა გვებრძოლა. ზოგიერთი უცხოური ანტიფაშისტური პრესა იმ შესაბრალის ტყუილამდეც დაეშვა, რომ თურმე ეკლესიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უტევდნენ, როცა ისინი ფაშისტებს თავიანთ ციხესიმაგრეებად ჰქონდათ გადაქცეული. სინამდვილეში, ეკლესიებს ყველგან და უკანმოუხედავად ძარცვავდნენ, რადგან მშვენივრად ესმოდათ, რომ ესპანური ეკლესია კაპიტალისტური რეკეტის განუყოფელი ნაწილი იყო. ესპანეთში გატარებული ექვსი თვის მანძილზე სულ ორად ორი დაუზიანებელი ეკლესია ვნახე. მხოლოდ

1937 წლის ივლისშიღა დაუშვეს ეკლესიების ისევ ამოქმედება და წირვის ჩატარება, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ პროტესტანტულ ეკლესიას მადრიდში.

თუმცა, ყოველივეს შემდეგ, ეს რევოლუციის მხოლოდ დასაწყისი იყო და არა მთელი რევოლუცია. როდესაც მუშებს (კატალონიაში – უდავოდ და, შესაძლოა, სხვაგანაც) ჰქონდათ ამის განხორციელების საშუალება, მათ არ დაუმხიათ ან მთლიანად არ შეუცვლიათ ხელისუფლება. როგორც ჩანს, ვერ იზამდნენ ამას, როდესაც ფრანკო კარზე უბრახუნებდა, საშუალო ფენის სხვადასხვა ნაწილები კი მის მხარეზე იყვნენ. ქვეყანა

გარდამავალ საფეხურზე იდგა: ან სოციალიზმისკენ უნდა წასულიყო, ან ჩვეულებრივ კაპიტალისტურ რესპუბლიკას დაბრუნებოდა. მიწის უდიდესი ნაწილი გლეხების ხელში იყო და, ალბათ, მათვე დარჩებოდა, თუ ფრანკო ვერ გაიმარჯვებდა. მოხდა ყველა დიდი ინდუსტრიის კოლექტივიზება, თუმცა მომავალშიც ასევე დარჩებოდა, თუ ისევ კაპიტალიზმი დაბრუნდებოდა – საბოლოოდ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ადამიანთა რომელი ჯგუფი მოვიდოდა ხელისუფლებაში. თავდაპირველად, ორივე – მთავრობაცა და კატალონიის ჟენერალიდადიც – არაორაზროვნად წარმოადგენდა მუშათა კლასს. მთავრობას სათავეში ედგა კაბალიერო, მემარცხენე სოციალისტი, მინისტრებად კი ჰყავდა პიროვნებები სოციალისტური ტრედუნიონებიდან და ანარქისტების მიერ გაკონტროლებული სინდიკალისტური კავშირებიდან. კატალონიის ჟენერალიდადი ერთხანს პრაქტიკულად შეცვალა ანტიფაშისტურმა თავდაცვის კომიტეტმა, რომლის დეპუტატები, ძირითადად, ტრედუნიონების წარმომადგენლები იყვნენ. შემდგომში თავდაცვის კომიტეტი დაიშალა და აღორძინდა ჟენერალიდადი, ისე, რომ ტრედუნიონებიც წარმოედგინა და სხვადასხვა მემარცხენე პარტიებიც. მაგრამ ხელისუფლების ყოველი მომდევნო შემადგენლობა იყო სვლა მარჯვნისაკენ. ჯერ მომპ გამოირიცხა ჟენერალიდადიდან, ექვსი თვის შემდეგ

კაბალიერო შეცვალა მემარჯვენე სოციალისტმა ნეგრინმა, ცოტა ხნის შემდეგ შეკ-იც ამოვარდა, მერე – მსკ-იც. ბოლოს, ომისა და რევოლუციის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, დარჩა მთავრობა, რომელიც მთლიანად შედგებოდა მემარჯვენე სოციალისტების, ლიბერალებისა და კომუნისტებისგან.

მემარჯვენეობისკენ გადახრა თარიღდება 1936 წლის ოქტომბერ-ნოემბრით, როცა საბჭოთა კავშირმა დაიწყო იარაღის მიწოდება ესპანეთის მთავრობისათვის, ძალაუფლებამ კი – გადასვლა ანარქისტებისგან კომუნისტებისკენ. რუსეთისა და მექსიკის გარდა, არც ერთ ქვეყანას არ აღმოაჩნდა კეთილსინდისიერება, დახმარებოდა ესპანეთის ხელისუფლებას. გასაგები მიზეზების გამო, მექსიკა ვერ გამოგზავნიდა დიდი რაოდენობის იარაღს. შესაბამისად, რუსები აღმოჩნდნენ იმ პოზიციაზე, რომ შეეძლოთ პირობები თავად დაედგინათ. საეჭვო არ არის, რომ ეს პირობები, არსებითად, მდგომარეობდა შემდეგში: «აღკვეთეთ რევოლუცია, თორემ იარაღს ვერ მიიღებთ», და რომ პირველი სვლა რევოლუციური ელემენტების

საწინააღმდეგოდ – მომპ-ის გამოთიშვა კატალონიის ჟენერალიდადიდან – საბჭოთა კავშირის მითითებით მოხდა. უარყოფდნენ: არავითარი პირდაპირი ზეწოლა არ ყოფილა საბჭოთა

ხელისუფლების მხრიდანო, მაგრამ ეს უმნიშვნელოა, რადგან ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიას შეგვიძლია შევხედოთ, როგორც რუსული პოლიტიკის გამტარებელს, და არავინ უარყოფს, რომ სწორედ კომუნისტურმა პარტიამ გადადგა მთავარი ნაბიჯები ჯერ მომპ-ის, შემდეგ – ანარქისტებისა და სოციალისტების კაბალიეროსეული ფრთისა და, საერთოდ, რევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ჩარევის შემდეგ კომუნისტური პარტიის გამარჯვებაც გარანტირებული იყო. პირველ ყოვლისა, მადლიერებამ რუსეთის მიმართ მოწოდებული იარაღისთვის და იმ ფაქტმა, რომ კომუნისტური პარტია (განსაკუთრებით – ესპანეთში ინტერბრიგადების ჩასვლის შემდეგ) მომავალ ომში გამარჯვებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უკიდურესად გაზარდა კომუნისტების პრესტიჟი. მეორე ის, რომ რუსული იარაღი შემოდიოდა კომუნისტური პარტიისა და მისი მოკავშირე პარტიების გავლით, რომლებიც ზრუნავდნენ, რომ ეს იარაღი რაც შეიძლება ნაკლებად ჩავარდნოდა ხელში მათ პოლიტიკურ ოპონენტებს (ამიტომაც იყო ასე ცოტა რუსული იარაღი არაგონის ფრონტზე, სადაც, უპირატესად, ანარქისტული ჯარები იყვნენ. 1937 წლის აპრილამდე, ერთადერთი რუსული იარაღი, რომელიც მე ვნახე, იყო მოკლე თოფ-ავტომატი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ თვითმფრინავს,

რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ან არ ყოფილიყო რუსული). მესამე ის, რომ თავიანთი ანტირევოლუციური პოლიტიკით კომუნისტებმა შეძლეს ფეხი მოეკიდებინათ ყველაში, ვისიც ექსტრემისტებს ეშინოდათ. ძნელი არ იყო, მაგალითად, შეძლებული გლეხების ამხედრება ანარქისტების კოლექტივიზაციური პოლიტიკის წინააღმდეგ. კომუნისტურმა პარტიამ განსაცვიფრებლად იმატა რიცხობრივად და ამ ნაკადის დიდი ნაწილი საშუალო კლასიდან მოდიოდა: მაღაზიის მეპატრონეები, მოხელეები, არმიის ოფიცრები, შეძლებული გლეხები და ა.შ. არსებითად, ომი სამკუთხა ბრძოლას წარმოადგენდა. ფრანკოსთან ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ იმავდროულად მთავრობის მიზანი იყო, დაებრუნებინა ისეთი ძალაუფლება, როგორიც უწინდებურად რჩებოდათ ტრედუნიონებს. ეს განხორციელდა პატარ-პატარა სვლების სერიით («ქინძისთავების ჩხვლეტით», როგორც ვიღაცამ უწოდა) და, მთლიანობაში, ძალზე ჭკვიანურად. არ მომხდარა არავითარი კონტრრევოლუციური სვლა და, 1937 წლის მაისამდე, არც ძალა გამოუყენებიათ. მუშების დამორჩილება ყოველთვის შეიძლებოდა იმ არგუმენტით, რომელიც იმდენად თვალსაჩინოა, რომ თითქმის არც კი სჭირდება გამოთქმა: «თუ ამას, ამას და ამას არ მოიმოქმედებთ, ომს წავაგებთ». ყოველ მორიგ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა, რომ სამხედრო

აუცილებლობით ნაკარნახევი საჭიროება გულისხმობდა რაღაც ისეთის დათმობას, რაც მუშებმა ბრძოლით მოიპოვეს 1936-ში. არადა, არგუმენტი შეუდავებელი იყო, რადგანაც რევოლუციურ პარტიებს ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად ომის წაგება სურდათ. თუკი ეს მოხდებოდა, მაშინ სიტყვები «დემოკრატია» და «რევოლუცია», «სოციალიზმი» და «ანარქიზმი» შინაარსისგან იცლებოდა. ანარქისტები – ანგარიშგასაწევად მრავალრიცხოვანი ერთადერთი რევოლუციური პარტია – იძულებული იყვნენ ნაბიჯ-ნაბიჯ წასულიყვნენ დათმობებზე. კოლექტივიზაციის პროცესი შეჩერდა, ადგილობრივი კომიტეტები თავიდან მოიშორეს, მუშათა პატრულები გაუქმდა და მათ ნაცვლად აღდგა ომამდელი პერიოდის ერთობ გაძლიერებული და მძიმედ შეიარაღებული პოლიციური ძალები. ხოლო აქამდე ტრედუნიონების მიერ მართული სხვადასხვა ინდუსტრია მთავრობამ გადაიბარა (ბარსელონას სატელეფონო კვანძის დაკავება, რომელიც მაისის შეტაკებაში გადაიზარდა, ამ პროცესის ერთ მომენტს შეადგენდა). დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: ტრედუნიონებზე დაყრდნობით შექმნილი მუშათა მილიციები ნელ-ნელა დაიშალა და შეუერთდა სახალხო არმიას – ნახევრად ბურჟუაზიული წყობის «არაპოლიტიკურ არმიას», რომელსაც ხელფასებიც დიფერენცირებული ჰქონდა, პრივილეგირებულ ოფიცერთა კასტაც ჰყავდა და ა.შ.

საგანგებო ვითარებაში ეს იყო ნამდვილად გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც ყველა სხვა რეგიონზე გვიან გადაიდგა კატალონიაში, რაკი მას რევოლუციური პარტიები ყველა სხვაზე ძლიერი ჰყავდა. როგორც ჩანს, ერთადერთი გარანტია იმისა, რომ მუშებს თავიანთი მონაპოვარი შეენარჩუნებინათ, იყო გარკვეული შეიარაღებული ძალების ყოლა. ჩვეულებრივ, მილიციების დაშლა ხდებოდა სამხედრო საჭიროების სახელით და ვერც ვერავინ უარყოფდა სამხედრო რეორგანიზაციის აუცილებლობას. თუმცა სავსებით შესაძლებელი იქნებოდა მილიციების რეორგანიზება და მათი ქმედითობის გაზრდა, იმის ნაცვლად, რომ ისინი უშუალოდ დაექვემდებარებინათ ტრედუნიონებისთვის. ამ ცვლილების მთავარი მიზანი ხომ იმის გარანტირება იყო, რომ ანარქისტებს არ ჰყოლოდათ საკუთარი ჯარი. მეტიც: მილიციების დემოკრატიული სული მათ ნოყიერ ნიადაგად აქცევდა რევოლუციური იდეების გასამრავლებლად. კომუნისტებმა ეს კარგად იცოდნენ, გამუდმებით ესხმოდნენ თავს მომპ-ისა და ანარქისტების პრინციპს – თანაბარ ხელფასს ყველა ჩინისთვის. მიმდინარეობდა პირველი რამდენიმე თვის თანასწორობის სულის საერთო «გაბურჟუება» და შეგნებული დესტრუქცია. ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ადამიანები, რომლებიც რამდენიმეთვიანი ინტერვალით ხვდებოდნენ ესპანეთში,

აცხადებდნენ: გვეჩვენებოდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ჩავდიოდითო. ის, რაც ზედაპირზე და მცირე დროის განმავლობაში მუშათა სახელმწიფოდ გამოჩნდა, თვალსა და ხელსშუა ყალიბდებოდა ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რესპუბლიკად და მდიდარ-ღარიბის ნორმალურ დაყოფად. 1937 წლის შემოდგომაზე «სოციალისტი» ნეგრინი სახალხო მოხსენებებში აცხადებდა: «ჩვენ პატივს

ვცემთ კერძო საკუთრებას», ხოლო ფაშისტურ სიმპათიებში ეჭვმიტანილი და ქვეყნიდან გაქცეული კორტესის[35] წევრები ახლა უკანვე ბრუნდებოდნენ.

მთელი ეს პროცესი ადვილი გასაგებია, თუ გვახსოვს, რომ ის გამომდინარეობს დროებითი კავშირიდან, რომელსაც ფაშიზმი გარკვეულ ფორმებში თავს ახვევს ბურჟუაზიასა და მუშას. «სახალხო ფრონტად» ცნობილი ეს ალიანსი, არსებითად, მტერთა ალიანსია და თითქოს მოსალოდნელია, რომ ყოველთვის ერთის მიერ მეორის გადაყლაპვით დამთავრდეს. ერთადერთი მოულოდნელი შტრიხი ესპანურ სიტუაციაში, შტრიხი, რომელსაც დიდი გაუგებრობები მოჰყვა მის საზღვრებს გარეთ, ის იყო, რომ მთავრობის მომხრე პარტიებს შორის კომუნისტებს უკიდურესად მემარცხენე პოზიცია კი არ ეჭირათ, არამედ უკიდურესად მემარჯვენე. სინამდვილეში,

ეს არავითარ მოულოდნელობას არ მოიტანდა, რადგან კომუნისტური პარტიის ტაქტიკამ ყველგან და, განსაკუთრებით, საფრანგეთში გამოააშკარავა, რომ ოფიციალური კომუნიზმი უნდა განიხილებოდეს (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც), როგორც ანტირევოლუციური ძალა. კომინტერნის მთელი პოლიტიკა ამჟამად ექვემდებარება (რაც მას მიეტევება, თუკი მსოფლიო ვითარებას გავითვალისწინებთ) საბჭოთა კავშირის თავდაცვას, რაც, თავის მხრივ, სამხედრო ალიანსების სისტემას ეყრდნობა. საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულ ალიანსშია საფრანგეთთან – კაპიტალისტურ-იმპერიალისტურ ქვეყანასთან. ეს ალიანსი ბევრად არაფრად გამოადგება რუსეთს, თუ ფრანგული კაპიტალიზმი ძლიერი არ იქნება. ამიტომაც კომუნისტური პოლიტიკა საფრანგეთში ანტირევოლუციურია. ეს მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ფრანგი კომუნისტები ამჟამად სამფეროვანი დროშის უკან მიაბიჯებდნენ და მარსელიოზას მღეროდნენ, არამედ ამაზე უფრო მნიშვნელოვანს: – მათ თავი უნდა დაენებებინათ ყოველგვარი ქმედითი აგიტაციისთვის ფრანგულ კოლონიებში. ჯერ სამი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ტორესი – საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი – აცხადებდა, რომ ფრანგ მუშებს არასოდეს შეიტყუებენ ბრძოლაში თავიანთი გერმანელი ამხანაგების წინააღმდეგ. ახლა ის საფრანგეთის ერთ-ერთი

ყველაზე გახმაურებული პატრიოტია. ნებისმიერი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ქცევის გასაღები მოიძიება ამ ქვეყნის სამხედრო – რეალურ თუ პოტენციურ – ქცევაში საბჭოთა კავშირთან მიმართებით. მაგალითად, ინგლისს ჯერაც გაურკვეველი პოზიცია უჭირავს, რის გამოც ინგლისის კომუნისტური პარტია ისევ მტრულ მიმართებაშია ეროვნულ ხელისუფლებასთან და ვითომდა ეწინააღმდეგება ხელახალ შეიარაღებას. მაგრამ თუ დიდი ბრიტანეთი მაინც შევა ალიანსში ან სამხედრო ურთიერთგაგებაში საბჭოთა კავშირთან, მაშინ – ფრანგი კომუნისტისა არ იყოს – აღარც ინგლისელ კომუნისტს დარჩება არჩევანი, გარდა იმისა, რომ კარგ პატრიოტად და იმპერიალისტად იქცეს. უკვე არსებობს ამის წინამაუწყებელი ნიშნები. ესპანეთში კომუნისტურ სვლაზე უდავოდ იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ საფრანგეთი – რუსეთის მოკავშირე – დიდი

პროტესტით განეწყობოდა რევოლუციური მეზობლის მიმართ და ქვეყანას შეყრიდა, რათა აღეკვეთა ესპანური მაროკოს ლიბერალიზაცია. «დეილი მეილს» და მის ზღაპრებს მოსკოვის მიერ დაფინანსებული წითელი რევოლუციის შესახებ ჩვეულებრივზე კიდევ უფრო მეტად აებნა გზა-კვალი. სინამდვილეში, სხვა ყველაზე მეტად ესპანურ რევოლუციას კომუნისტები ეღობებოდნენ წინ. მოგვიანებით, როცა მემარჯვენე ძალები სრული კონტროლის ქვეშ მოექცნენ, კომუნისტებმა

გაცილებით მეტი მოწადინებით დაუწყეს დევნა რევოლუციის ლიდერებს, ვიდრე ლიბერალებმა.

ვცადე, მომეხაზა ესპანური რევოლუციის პირველი წელი, რადგან ეს უფრო ადვილად გასაგებს ხდის მაშინდელი ვითარების ნებისმიერ მომენტს. თუმცა იმის თქმა არ მსურს, რომ თებერვალში უკვე გაცნობიერებული მქონდა ზემოთ მოყვანილი ყველა შეხედულება. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ის მოვლენები, რამაც ყველაზე მეტად გამინათა გონება, ჯერ არ იყო მომხდარი და, ყველა შემთხვევაში, ჩემი მაშინდელი სიმპათიები გარკვეულწილად განსხვავდებოდა ახლანდელისგან. ეს იმიტომ, რომ ომის პოლიტიკური მხარე თავს მაბეზრებდა და ბუნებრივ რეაქციას ვიძლეოდი იმ თვალსაზრისზე, რომელიც ყველაზე ხშირად მესმოდა, ანუ მომპ-დლპ თვალსაზრისზე. ინგლისელები, რომელთა შორისაც ვიყავი, უმეტესწილად დლპ-ის წევრები იყვნენ (მათ შორის – რამდენიმე კომუნისტი), მეტწილად ჩემზე უფრო განათლებული ხალხი. კვირიდან კვირამდე, იმ მოდუნებულ პერიოდში, როცა ჰუესკას ირგვლივ არაფერი ხდებოდა, თავი ამოვყავი შუა პოლიტიკურ დისკუსიაში, რომელიც, პრაქტიკულად, არასდროს მთავრდებოდა. ფარღალალა, მყრალსუნიან ბეღელში, სადაც

ჩვენ განგვათავსეს, მიწურების ჩახუთულ სიბნელეში, შუაღამის სუსხში მიწაყრილის უკან, ისევ და ისევ ვკამათობდით სხვადასხვა პარტიების «მიმართულებებზე». იმავეს აკეთებდნენ ესპანელები. ხოლო გაზეთების უმრავლესობას თავის ძირითად თემად პარტიათშორისი ქიშპი ამოერჩია. ყრუ ან იმბეცილი უნდა ყოფილიყავი, რომ წარმოდგენა მაინც არ შეგქმნოდა იმაზე, თუ რა კურსი ჰქონდა აღებული თითოეულ პარტიას.

პოლიტიკური თეორიის თვალსაზრისით, არსებობდა სამად სამი მნიშვნელოვანი პარტია: კგსპ, მომპ და ანარქისტებად წოდებული შეკ-იაფ. პირველს ვახსენებ კგსპ-ს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს. ამ პარტიამ საბოლოოდ გაიმარჯვა და თვით ამ დროშიც კი თვალნათლივ მიიწევდა ზემოთ.

აუცილებლად უნდა განიმარტოს, რომ კგსპ-ს «მიმართულებაზე» ლაპარაკი, სინამდვილეში, ნიშნავს ლაპარაკს კომუნისტური პარტიის «მიმართულებაზე». კგსპ, ანუ კატალონიის სოციალისტური პარტია ომის დასაწყისში ჩამოყალიბდა სხვადასხვა მარქსისტული პარტიების ურთიერთშერევით, რომელთა შორისაც იყო კატალონიის

კომუნისტური პარტია. ამჟამად ის მთლიანად იმართებოდა კომუნისტების მიერ და შედიოდა მესამე ინტერნაციონალში. არსად ესპანეთში სოციალისტები და კომუნისტები ოფიციალურად არ გაერთიანებულან, მაგრამ კომუნისტებისა და მემარჯვენე სოციალისტების თვალსაზრისი, ფაქტობრივად, იდენტურად მიიჩნეოდა. უხეშად თუ ვიტყვით, კგსპ იყო მსკ-ს, სოციალისტური ტრედუნიონების პოლიტიკური ორგანო. ეს გაერთიანებები ესპანეთში დაახლოებით მილიონ-ნახევარ ადამიანს ითვლიდა, მათ შორის – ფიზიკურად მშრომელი მუშების არაერთ სექტორს. თუმცა ომის დაწყებასთან ერთად მათი რიცხვი მკვეთრად გაზარდა საშუალო კლასის წარმომადგენელთა დიდმა ნაკადმა, რადგან რევოლუციის პირველ პერიოდში ყველანაირმა ხალხმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეერთებოდა მსკ-ს ან შეკ-ს. ეს ორი გაერთიანება ნაწილობრივ თანხვდებოდა ერთმანეთს, თუმცა შეკ უფრო ხაზგასმულად მუშათა ორგანიზაცია იყო. ამიტომაც კგსპ-ში შედიოდნენ როგორც მუშები, ისე წვრილი ბურჟუაზია, ანუ მაღაზიის მეპატრონეები, მოხელეები, შეძლებული გლეხები.

კგსპ-ს «მიმართულება», რომელიც იქადაგებოდა კომუნისტურ და პროკომუნისტურ პრესაში, დაახლოებით ასეთი იყო: «ამჟამად ერთადერთი რამ არის მნიშვნელოვანი:

ომის მოგება. ომის მოუგებლად ყველაფერს აზრი ეკარგება. ამიტომ ახლა ის მომენტი არ არის, რომ რევოლუცია დაჩქარდეს. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ გლეხები გავიუცხოოთ მათთვის კოლექტივიზაციის დაძალებით, ისევე, როგორ ვერ დავაფრთხობთ საშუალო კლასებს, რომლებიც ჩვენს მხარეზე იბრძვიან. უწინარეს ყოვლისა, ქმედითობის შესანარჩუნებლად, უნდა ჩავაცხროთ რევოლუციური ქაოსი. ადგილობრივი კომიტეტების ნაცვლად ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება გვჭირდება; გვჭირდება კარგად გაწვრთნილი და მთლიანად აღჭურვილი არმია, რომელსაც ეყოლება ერთიანი ხელმძღვანელობა. მუშათა კონტროლის ფრაგმენტებზე ჩამოკიდება და რევოლუციური ფრაზების სროლა უსარგებლოზე უარესია: არა მხოლოდ დამაბრკოლებელი, არამედ კონტრრევოლუციურიც კი, რადგანაც მას მივყავართ დაყოფამდე, რითაც ისარგებლებენ ფაშისტები. ამ ეტაპზე პროლეტარიატის დიქტატურისთვის კი არ ვიბრძვით, არამედ საპარლამენტო დემოკრატიისთვის. ყველა, ვინც ცდილობს, სამოქალაქო ომი აქციოს სოციალურ რევოლუციად, წყალს ფაშისტების წისქვილზე ასხამს და შეგნებული თუ არა, უნებლიე მოღალატე მაინც გამოდის.»

მომპ-ის «მიმართულება» ყველა პუნქტში განსხვავებული იყო, რასაკვირველია, ომის მოგების მნიშვნელოვნების გარდა. მომპ წარმოადგენდა ერთ-ერთს იმ დისიდენტური პარტიებიდან, ბევრ ქვეყანაში რომ გამოჩნდნენ უკანასკნელ წლებში, «სტალინიზმთან» ანუ კომუნისტურ პოლიტიკაში მომხდარ რეალურ თუ მოჩვენებით გადახრასთან დაპირისპირების შედეგად. ის, ნაწილობრივ, შედგებოდა ექსკომუნისტებისგან, ნაწილობრივ კი უფრო ადრეული

პარტიისგან, მუშათა და გლეხთა ბლოკისგან. რიცხობრივად ეს მცირე პარტია იყო[36], დიდი გავლენა არ ჰქონდა კატალონიის გარეთ და მის წონას, ძირითადად, პოლიტიკურად შეგნებულ წევრთა უჩვეულოდ მაღალი კოეფიციენტი განსაზღვრავდა. კატალონიაში მომპ-ის მთავარი ფორტი იყო ლერიდა. ეს პარტია არ წარმოადგენდა ტრედუნიონების რომელიმე ბლოკს, მისი მილიციელები კი, ძირითადად, შეკ-ის წევრები იყვნენ, თუმცა პარტიის რეალური წევრები მსკ-ს ეკუთვნოდნენ. საბოლოოდ, მომპ-ს მხოლოდ შეკ-ზე ჰქონდა გარკვეული გავლენა. მომპ-ის «მიმართულება» დაახლოებით ასეთი იყო:

«უაზრობაა ლაპარაკი ბურჟუაზიული «დემოკრატიის» დაპირისპირებაზე ფაშიზმთან. ასეთი «დემოკრატია» სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზმის მეორე სახელი.

ფაშიზმთან ბრძოლა «დემოკრატიის» მეშვეობით არის კაპიტალიზმის ერთი ფორმის ბრძოლა მის მეორე ფორმასთან, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაიზარდოს პირველში. ფაშიზმის ერთადერთი რეალური ალტერნატივა მუშათა მმართველობაა. თუ ამაზე ნაკლებს დაისახავ მიზნად, მაშინ გამარჯვებას ან ფრანკოს გადაულოცავ, ან – უკეთეს შემთხვევაში – ფაშიზმს უკანა კარიდან შემოუშვებ. ამასობაში მუშებმა ხელიდან არ უნდა გაუშვან არც ერთი მისხალი თავისი მონაპოვრიდან. თუ რამეს დაუთმობენ ნახევრად ბურჟუაზიულ მთავრობას, დიდი შანსი უჩნდებათ, რომ მოტყუებულები დარჩნენ. მუშათა მილიციები და პოლიციური ძალები უნდა დარჩნენ თავიანთ ამჟამინდელ ფორმაში. წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს მათი «გაბურჟუებისკენ» მიმართულ ნებისმიერ ძალისხმევას. თუ მუშები არ აკონტროლებენ შეიარაღებულ ძალებს, მაშინ შეიარაღებული ძალები გააკონტროლებენ მუშებს. ომი და რევოლუცია განუყოფელია».

ანარქისტების თვალსაზრისი უფრო ძნელად განისაზღვრება. ყველა შემთხვევაში, თავისუფალ ტერმინ «ანარქისტების» უკან დგას ცვლადი შეხედულებების მქონე ადამიანთა სიმრავლე. გაერთიანებების ვეებერთელა ბლოკს, რომელიც ქმნის შეკ-ს და

მის ორ მილიონამდე წევრს, თავიანთ პოლიტიკურ ორგანოდ აქვთ იაფ – რეალურად ანარქისტული ორგანიზაცია. მაგრამ თვით მისი წევრებიც კი, თუნდაც ანარქისტული ფილოსოფიით დაფერილები (როგორც, ალბათ, ყველა ესპანელი), მაინც არ იყვნენ აუცილებლად ანარქისტები ამ სიტყვის აბსოლუტური აზრით. ომის დაწყებისთანავე ისინი ჩვეულებრივი სოციალიზმისკენ წავიდნენ, რადგან გარემოებებმა აიძულა, მონაწილეობა მიეღოთ ცენტრალიზებულ მართვაში და საერთოდ დაერღვიათ საკუთარი პრინციპები მთავრობაში შესვლით. ამის მიუხედავად, ისინი ძირეულად განსხვავდებოდნენ კომუნისტებისგან იმდენად, რომ, მომპ-ის არ იყოს, მუშათა მმართველობას უმიზნებდნენ და არა საპარლამენტო დემოკრატიას. მათ მიიღეს

მომპ-ის მოწოდება: «ომი და რევოლუცია განუყოფელია», თუმცა ნაკლებ დოგმატურობას იჩენდნენ ამაში. უხეშად თუ გამოვთქვამთ შეკ-იაფ-ის მრწამსს:

1) ინდუსტრია – ტრანსპორტი, საქსოვი ფაბრიკები და ა.შ. – უშუალოდ უნდა ეკონტროლებინათ ინდუსტრიის ამ სახეობებში ჩართულ მუშებს; 2) უნდა ეარსება ადგილობრივი კომიტეტების მმართველობას და შეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალიზებული ავტორიტარიზმის ნებისმიერ ფორმას; 3) უკომპრომისო მტრობა უნდა გამოეცხადებინათ ბურჟუაზიისა და ეკლესიისთვის.

ეს ბოლო პუნქტი, თუნდაც ყველაზე ნაკლებად დაზუსტებული, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ანარქისტები ეგრეთ წოდებულ რევოლუციონერთა სრული ანტიპოდები იყვნენ, იმდენად, რომ, თავიანთი პრინციპების ბუნდოვანების მიუხედავად, პრივილეგიისა და უსამართლობის მათეული სიძულვილი არანაირ ეჭვს არ იწვევდა. ფილოსოფიური თვალთახედვით, კომუნიზმი და ანარქიზმი ურთიერთსაპირისპირო პოლუსებზე დგას, პრაქტიკულად კი, ანუ იმ საზოგადოების თვალსაზრისით, რომელსაც ისინი უმიზნებენ, სხვაობა, უპირატესად, მახვილის დასმაშია. თუმცა ეს შეურიგებელი მომენტია. კომუნისტის მახვილი მუდამ ცენტრალიზმსა და ქმედითობაზე მოდის, ანარქისტისა – ლიბერალობასა და თანასწორობაზე. ანარქიზმი ღრმად ჩაფესვილია ესპანეთში და კომუნიზმზე დიდხანს იცოცხლებს, როცა რუსეთის გავლენა შეწყდება. ომის პირველ ორ თვეში ყველა სხვაზე მეტად ანარქისტებმა უშველეს სიტუაციას. ამაზე გაცილებით გვიან კი, ანარქისტი მილიციელები, მათი უდისციპლინობის მიუხედავად, საყოველთაოდ ცნობილი საუკეთესო მებრძოლები იყვნენ წმინდად ესპანურ ძალებს შორის. დაახლოებით 1937 წლის თებერვლიდან მოყოლებული, ანარქისტები და მომპ-ელები, გარკვეულ დონემდე, ერთად მოქმედებდნენ. ანარქისტებს, მომპ-სა და სოციალიზმის მემარცხენე

ფრთას რომ მოესაზრებინა, ძალები დასაწყისშივე გაეერთიანებინა და რეალისტური პოლიტიკით ემოქმედა, მაშინ ომი შეიძლებოდა სხვანაირად წარმართულიყო. მაგრამ ადრეულ პერიოდში, როცა რევოლუციურ პარტიებს თითქოს თამაშის სადავეები ხელში ეჭირათ, ეს შეუძლებელი იყო. ანარქისტებსა და სოციალისტებს შორის ძველი ეჭვიანობები არსებობდა; მომპ, როგორც მარქსისტული ფრთა, სკეპტიკურად უყურებდა ანარქიზმს, მაშინ, როდესაც პირწმინდად ანარქისტული თვალსაზრისით მომპ-ის «ტროცკიზმი» ბევრით არაფრით აღემატებოდა «სტალინელ» კომუნისტებს. ამის მიუხედავად, კომუნისტების ტაქტიკა ამ ორი პარტიის დაახლოებისკენ იყო მიმართული. მაისში, როცა მომპ ბარსელონას ომში ჩაერთო, ეს მოხდა, ძირითადად, თანადგომის შეკ-ისეული ინსტინქტით. მოგვიანებით კი, როცა მომპ აიკრძალა, მის დასაცავად ხმა მხოლოდ ანარქისტებმა აიმაღლეს.

ამრიგად, უხეშად თუ ვიტყვით, ძალების განლაგება ასეთი იყო: ერთ მხარეს შეკ-იაფ, მომპ და სოციალისტების ერთი ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა მუშათა

მმართველობას; მეორე მხარეს – მემარჯვენე სოციალისტები, ლიბერალები და კომუნისტები, რომლებიც მოითხოვდნენ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას და შეიარაღებულ არმიას.

ადვილი გასაგებია, რატომ ვაყენებდი იმხანად კომუნისტურ თვალსაზრისს მომპ-ისაზე უფრო მაღლა. კომუნისტებს გამოკვეთილი პრაქტიკული სტრატეგია ჰქონდათ, აშკარად უკეთესი პოლიტიკა საღი აზრის პოზიციებიდან, აზრის, რომელიც რამდენიმე თვეზე უფრო შორს ბევრს არაფერს გეგმავს. და, რაღა თქმა უნდა, მომპ-ის ყოველდღიური პოლიტიკა, მისი პროპაგანდა და ეს ყველაფერი ყოვლად უვარგისი იყო. ეს რომ არა, ისინი ხალხის გაცილებით მეტ მასას მიიზიდავდნენ. ყველაფერი იმან მოაწესრიგა, რომ კომუნისტები, რამდენადაც მესახებოდა, ომს აჩქარებდნენ, ხოლო ანარქისტები და ჩვენ უმოქმედოდ ვიდექით. ასეთი განცდა მქონდა მაშინ. კომუნისტებმა მოიპოვეს ძალაუფლება და პარტიის წევრთა განსაცვიფრებელი ზრდა, ნაწილობრივ, იმით, რომ საშუალო ფენას ამხედრებდნენ რევოლუციონერთა წინააღმდეგ, ნაწილობრივ კი იმით, რომ მხოლოდ ისინი ჰგავდნენ ომის მომგებებს. რუსულმა იარაღმა და მადრიდის დიდებულმა დაცვამ ძირითადად კომუნისტების მიერ გაკონტროლებული ჯარებით, ეს უკანასკნელები ესპანეთის გმირებად აქცია. ვიღაცას უთქვამს: ჩვენ თავზემოთ გადაფრენილი თითოეული რუსული თვითმფრინავი კომუნისტური პროპაგანდაო. თუმცა ვხედავდი მის ლოგიკას, მომპ-ის რევოლუციური პურიზმი რამდენადმე უსარგებლოდ მიმაჩნდა. ყოველივეს შემდეგ, ერთადერთი რამ იყო მნიშვნელოვანი: ომის მოგება.

ამასობაში გრძელდებოდა ჯოჯოხეთური შიდაპარტიული შუღლი გაზეთებში, პამფლეტებში, პლაკატებზე, წიგნებში – ყველგან. იმხანად ყველაზე ხშირად ვხედავდი მომპ-ის გაზეთებს «ლა ბატალას» და «ადელანტეს», რომელთა განუწყვეტელი შარის მოდება «კონტრრევოლუციური» კგსპ-ს მიმართ დამქანცველ პედანტობად მესახებოდა. მოგვიანებით, როცა უფრო საფუძვლიანად გავეცანი კგსპ-ს და კომუნისტურ პრესას, მივხვდი, რომ მომპ თითქმის უმწიკვლო იყო თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით, თუმცა, მეორე მხრივ, მას გაცილებით ნაკლები შანსებიც ჰქონდა. კომუნისტებისგან განსხვავებით, მომპ-ს არავითარი პრესა არ ჰქონდა საზღვარგარეთ, ხოლო ესპანეთის შიგნით უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობაში იყო იმით, რომ მისი მასალები ცენზურას ძირითადად კომუნისტების ხელში გადიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომპ-ის გაზეთები იკრძალებოდა ან იზღუდებოდა. ისიც მომპ-ის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, დაუსრულებლად შეეძლო ექადაგა რევოლუციაზე და გულისარევამდე მოეყვანა ციტატები ლენინიდან, მაგრამ, როგორც წესი, არასოდეს სჩვეოდა პიროვნული ცილისწამება. ფართო პუბლიკისთვის შექმნილი მათი დიდი, ფერადი პლაკატები (პლაკატები მნიშვნელოვანია ესპანეთის მრავალრიცხოვანი გაუნათლებელი

მოსახლეობისთვის) არ უტევდა მეტოქე პარტიებს, არამედ მხოლოდ ანტიფაშისტური და აბსტრაქტულად რევოლუციური იყო, ისევე როგორ მილიციელთა სიმღერები. კომუნისტების შეტევები სრულებით სხვა საკითხია, რომელსაც მე მოგვიანებით მივუბრუნდები ამ წიგნში. ახლა შემიძლია მხოლოდ მოკლედ მივანიშნო, რა მიმართულებით უტევდნენ კომუნისტები.

ზედაპირულად, დავა კომუნისტებსა და მომპ-ს შორის ტაქტიკური ხასიათისა იყო. მომპ-ს დაუყოვნებლივ სურდა რევოლუცია, კომუნისტებს – არა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა და ორივე მხარეს ბევრი ჰქონდა სათქმელი. გარდა ამისა, კომუნისტები აცხადებდნენ, მომპ-ის პროპაგანდა ანაწევრებს და ასუსტებს სამთავრობო ძალებს და ომს საფრთხეს უქმნისო. კიდევ ერთხელ (თუმცა მე ამას, საბოლოო ჯამში, არ ვეთანხმები), აქედან კარგი რამ შეიძლებოდა გამომდნარიყო. მაგრამ აქ საგანგებო კომუნისტური ტაქტიკა ამოქმედდა. ჯერ მოსინჯვით, მერე – უფრო ხმამაღლა, ისინი მოჰყვნენ მტკიცებას, რომ მომპ ხლეჩდა სამთავრობო ძალებს არა ცუდი განსჯით, არამედ წინასწარი განზრახვით. მომპ გამოცხადდა შენიღბული ფაშისტების ბანდად, რომელსაც ფრანკო და ჰიტლერი აფინანსებდნენ და ასე

ახორციელებდნენ ფსევდორევოლუციურ პოლიტიკას, რომლის საშუალებითაც ხელი უნდა შეწყობოდა ფაშისტურ პროცესს. მომპ იყო «ტროცკისტული» ორგანიზაცია და ფრანკოს «მეხუთე კოლონა». ეს იმას ნიშნავდა, რომ მშრომელი კლასის ათასობით წარმომადგენელი და, მათთან ერთად, რვა თუ ათი ათასი ჯარისკაცი, რომლებიც ფრონტის სანგრებში იყინებოდნენ, და ის ასობით უცხოელი, რომლებიც ესპანეთში ფაშიზმთან საბრძოლველად ჩამოვიდნენ და ამას ემსხვერპლნენ, არც მეტი არც ნაკლები – მტრის მიერ დაფინანსებული მოღალატეები იყვნენ. ეს ამბავი მთელ ესპანეთში გავრცელდა პლაკატებისა და სხვა სახით და გამუდმებით მეორდებოდა კომუნისტურ თუ პროკომუნისტურ პრესაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რომ შემეგროვებინა, ნახევარ დუჟინ წიგნს გავავსებდი მათი ციტატებით.

მათი თქმით, ჩვენ ყველანი ვიყავით «ტროცკისტები», «ფაშისტები», «მოღალატეები», «მკვლელები», «მხდალები», «ჯაშუშები» და ა.შ. ვაღიარებ, ეს სასიამოვნო არ იყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამაზე პასუხისმგებელი ზოგიერთი პირი წარმოგიდგებოდა. კარგი არ არის, როდესაც ხედავ საკაცეზე დაწვენილი თხუთმეტი წლის ბიჭის გაოგნებულ-გადაფითრებულ სახეს და წარმოიდგენ ლონდონსა თუ

პარიზში მოკალათებულ გამოწკეპილ ჯეელებს, რომლებიც თავიანთ პამფლეტებში ამ ბიჭს შენიღბულ ფაშისტად ნათლავენ. ომის ერთ-ერთი უსაზარლესი შტრიხი ის არის, როცა მთელი პროპაგანდა, ყვირილი, ტყუილები და სიძულვილი მუდამ იმ ადამიანებისგან იფრქვევა, რომლებიც არ იბრძვიან. კგსპ-ის მილიციელებს, რომლებსაც ფრონტზე ვიცნობდი, ან ინტერბრიგადის კომუნისტებს, რომლებსაც ხანგამოშვებით ვხვდებოდი, არასოდეს უწოდებიათ ჩემთვის ტროცკისტი ან მოღალატე. ასეთ რამეებს ზურგში დარჩენილ

ჟურნალისტებს უტოვებდნენ. ყველა ისინი, ვინც ჩვენ შესახებ პამფლეტებს წერდნენ და პრესაში გვაძაგებდნენ, საიმედოდ ისხდნენ სახლებში ან, უარეს შემთხვევაში, ვალენსიის საგაზეთო რედაქციებში, ტყვიებისა და ტალახისგან ასობით მილის დაშორებით. პარტიათშორისი შუღლისა და ცილისწამებების გარდა, ომთან დაკავშირებული მთელი ამბები, გაშმაგება, ჰეროიკული ქმედებები, მტრისთვის ლაფის დასხმა – ამ ყველაფერს, როგორც წესი, აკეთებდნენ ისინი, ვინც არ ომობდა და ვინც, უმრავლეს შემთხვევაში, უმალ ას მილზე მოკურცხლავდა, ვიდრე ბრძოლაში ჩაერთვებოდა. აი, ერთ-ერთი ყველაზე პირქუში ცოდნა, რომელიც ამ ომმა შემძინა: მემარცხენე პრესა ისეთივე გაიძვერული იყო, როგორიც მემარჯვენე[37]. არაორაზროვნად ვგრძნობ, რომ ჩვენს მხარეზე – მთავრობის მხარეზე – ეს ომი

განსხვავდებოდა ჩვეულებრივი, იმპერიალისტური ომებისგან, თუმცა საომარი პროპაგანდის ხასიათით ამას ვერასდროს მიხვდებოდი. ბრძოლა აშკარად მაშინ ატყდა, როცა მარჯვენა და მარცხენა ფრთა ერთდროულად დაინთქა ერთმანეთის ლანძღვის კლოაკაში. ყველას გვახსოვს «დეილი მეილის» პლაკატი: «წითლები ჯვარს აცვამენ მონაზვნებს», ხოლო «დეილი უორკერისთვის» ფრანკოს უცხოური ლეგიონი შედგებოდა «მკვლელების, თეთრი მონებით მოვაჭრეების, ნარკომანებისა და ევროპის ყველა ქვეყნიდან ჩამოთრეული ნამუსრევისგან». თვით 1937 წლის ოქტომბერშიც კი «ნიუ სტეიტსმენი» გვაჩვევდა ზღაპრებს, რომლის მიხედვით, ფაშისტები ბარიკადებს ცოცხალი ბავშვების სხეულებით აგებდნენ (ყველაზე მოუხერხებელი რამ ბარიკადების ასაგებად), ხოლო მისტერ ართურ ბრაიანის განცხადებით: «კონსერვატორი ვაჭრისთვის ფეხების მოკვეთა ჩვეულებრივი მოვლენაა ლოიალისტურ ესპანეთში». ამნაირი რამეების დამწერი ხალხი თვითონ არასოდეს იბრძვის. შესაძლოა, სჯერა, რომ წერა სხვა სახის ბრძოლაა. იგივე ხდება ყველა ომში: ჯარისკაცები იბრძვიან, ჟურნალისტები ყვირიან და ვერც ერთი ჭეშმარიტი პატრიოტი ვერ უახლოვდება ფრონტსა და სანგარს, თუ არა უმოკლეს საპროპაგანდო შემოვლაში. ზოგჯერ ის ფიქრი მანუგეშებს, რომ თვითმფრინავი ცვლის ომის პირობებს. შესაძლოა, მომდევნო დიდი

ომის დროს ისტორიაში არნახულ სანახაობას შევესწროთ: ტყვიით გახვრეტილ რომელიმე ურაპატრიოტს.

მისი ჟურნალისტური ნაწილის მსვლელობის კვალდაკვალ, ეს ომიც ყველა სხვა ომივით გნიასში და ალიაქოთში მიმდინარეობდა. თუმცა იყო სხვაობაც: თუკი ჟურნალისტები, ჩვეულებრივ, ყველაზე მომაკვდინებელ ლანძღვას მტრისთვის ინახავენ, ამ შემთხვევაში, დროის სვლასთან ერთად, კომუნისტებმა და მომპ-ელებმა უფრო მეტი გამწარებით დაიწყეს ერთმანეთზე წერა, ვიდრე ფაშისტებზე. მიუხედავად ამისა, ვერაფრით მოვახერხე, რომ სერიოზული თვალით შემეხედა ამისთვის. პარტიათშორისი შუღლი მომაბეზრებელიც იყო და გულისამრევიც, თუმცა ჩემს თვალში ეს მაინც ადგილობრივ კინკლაობად მოჩანდა. არ მჯეროდა, რომ ეს რამეს შეცვლიდა ან რომ არსებობდა მართლაცდა

შეურიგებელი სხვაობა პოლიტიკაში. ვგრძნობდი, რომ კომუნისტებიც და ლიბერალებიც მტკიცედ დაუპირისპირდნენ რევოლუციას, თუმცა იმდენს ვერ მივხვდი, რომ ამ რევოლუციას უკან მიაბრუნებდნენ.

ამისთვის კარგი მიზეზი არსებობდა. მთელი ეს პერიოდი ფრონტზე ვიყავი, იქ კი

სოციალური და პოლიტიკური ატმოსფერო არ იცვლებოდა. ბარსელონა იანვრის დასაწყისში დავტოვე, შვებულებაში კი აპრილის მიწურულამდე არ გავსულვარ. მთელი ამ ხნის მანძილზე (უფრო გვიანამდეც კი) ანარქისტებისა და მომპ-ის ჯარებით კონტროლირებულ ზოლში უწინდელი სიტუაცია იყო, ყოველ შემთხვევაში – გარეგნულად. რევოლუციური ატმოსფერო ისეთივე რჩებოდა, როგორსაც მანამ ვიცნობდი. გენერალი და ჯარისკაცი, გლეხი და მილიციელი ერთმანეთს თანაბარუფლებიანივით ხვდებოდნენ. ყველას ერთნაირი ხელფასი ჰქონდა, ერთნაირად ეცვა, ერთნაირად იკვებებოდა და ყოველ შემხვედრს «შენობით» და «ამხანაგოთი» მიმართავდა. არ არსებობდა ბოსების ან მსახურების კლასი, არ იყვნენ მათხოვრები, მეძავები, იურისტები, მღვდლები, არავინ არავის ულოკავდა ჩექმას, არავის მიჰქონდა ხელი ქუდთან. მე თანასწორობის ჰაერს ვისუნთქავდი და საკმაოდ მიამიტი ვიყავი იმისთვის, რომ ასეთივე სიტუაცია წარმომედგინა მთელ ესპანეთში. ვერ გავაცნობიერე, რომ მეტ-ნაკლებმა შემთხვევითობამ ესპანელი მუშათა კლასის ყველაზე რევოლუციურ ნაწილში მომახვედრა. და როცა პოლიტიკურად ჩემზე განათლებულმა ამხანაგებმა მითხრეს, ამჟამად შეუძლებელია ომი მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით განიხილო და რომ არჩევანი უნდა გაკეთდეს რევოლუციასა და

ფაშიზმს შორისო, ლამის სიცილი დავაყარე. მთლიანობაში, მივიღე კომუნისტების თვალსაზრისი: «სანამ ომს მოვიგებთ, მანამდე რევოლუციაზე ვერ ვილაპარაკებთ», და არა მომპ-ის მიმართება, რომელიც გამოიხატებოდა სიტყვებით: «წინ უნდა წავიდეთ, თორემ უკან წავალთ». მოგვიანებით, როცა გადავწყვიტე, რომ სიმართლე მომპ-ის მხარეს იყო ან, ყოველ შემთხვევაში, უფრო მისკენ იხრებოდა, ვიდრე კომუნისტებისკენ, ეს სულაც არ ეხებოდა თეორიულ მომენტს. ფურცელზე კომუნისტებს ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ. უბედურება ის იყო, რომ მათი რეალური ქცევის შემხედვარე კაცს უჭირდა დაჯერება, რომ ისინი კეთილსინდისიერად მიჰყვებოდნენ არჩეულ გზას. ხშირად გამეორებული დევიზი: «ჯერ ომი, მერე – რევოლუცია», რომლისაც ერთგულად სჯეროდა კგსპ-ს მორიგ მილიციელს, აქაოდა, ომს რომ მოვიგებთ, რევოლუციას მერე გავაგრძელებთო, თვალის ახვევა იყო და სხვა არაფერი. კომუნისტები იმისთვის კი არ მუშაობდნენ, რომ ესპანური რევოლუცია უფრო შესაფერისი დროისთვის გადაედოთ, არამედ სურდათ ისე წაეყვანათ საქმე, რომ ის არასდროს მომხდარიყო. ეს უფრო და უფრო აშკარავდებოდა დროის სვლასთან ერთად, როცა მშრომელ ხელებს მეტად და მეტად აცლიდნენ ძალაუფლებას, ციხეები უფრო და უფრო ივსებოდა ყველა ჯურის რევოლუციონერებით. თითოეული სვლა

კეთდებოდა სამხედრო აუცილებლობის სახელით, რადგანაც ეს საბაბი თვალწინ იყო, სინამდვილეში კი მუშებს უნდა დაეტოვებინათ თავიანთი კეთილსაიმედო მდგომარეობა და ისეთ პოზიციაში აღმოჩენილიყვნენ, რომლიდანაც – ომის დამთავრების შემდეგ – წინ ვერ აღუდგებოდნენ კაპიტალიზმის აღორძინებას. გთხოვთ, ანგარიში გაუწიოთ იმას, რომ არაფერს ვამბობ რიგით კომუნისტზე და, განსაკუთრებით, ათასობით მათგანზე, გმირულად რომ დაეცნენ მადრიდის მისადგომებთან. რაც შეეხება უფრო დაწინაურებულ კომუნისტებს, შეუძლებელია, მათ თვალდახუჭულთ ემოქმედათ.

თუმცა, ყოველივეს შემდეგ, ომი მაინც ღირდა მოგებად, თუნდაც რევოლუცია აღარ შემდგარიყო. საბოლოოდ, უკვე ეჭვი შემეპარა, რომ, უფრო შორეულ პერსპექტივაში, კომუნისტური პოლიტიკა გამარჯვებამდე მივიდოდა. ცოტა ვინმემ თუ გაიაზრა, რომ ომის სხვადასხვა პერიოდს სხვადასხვა პოლიტიკა მიესადაგებოდა. ანარქისტებმა სიტუაცია ალბათ პირველი ორი თვის განმავლობაში იხსნეს, თუმცა, გარკვეულ ზღვარს იქით, უკვე ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის ორგანიზება. კომუნისტები სიტუაციას, როგორც ჩანს, ოქტომბერ-ნოემბერში შეეშველნენ. მაგრამ ომის საბოლოოდ

მოგება სხვა რამე იყო. ინგლისში ომის კომუნისტური პოლიტიკა ულაპარაკოდ მიიღეს, რადგან მისი სულ ცოტაოდენი კრიტიკა დაიბეჭდა და რადგან ამ პოლიტიკის ძირითადი ხაზი – ბოლო მოეღოს რევოლუციურ ქაოსს, დაჩქარდეს წარმოება, შეიარაღდეს არმია – ქმედითად და რეალისტურად ჟღერს. ღირს ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელი სისუსტის აღნიშვნა.

რათა აღკვეთილიყო ყოველგვარი რევოლუციური ტენდენცია და ომი მაქსიმალურად დამსგავსებოდა ჩვეულებრივ ომს, აუცილებელი შეიქნა რეალურად არსებული სტრატეგიული შესაძლებლობების თავიდან მოშორება. მე აღვწერე, როგორ ვიყავით ან არ ვიყავით შეიარაღებულნი არაგონის ფრონტზე. თითქმის არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ იარაღი შეგნებულად არ გვეძლეოდა, ვინძლო მეტისმეტად დიდი რაოდენობით არ დაგროვებოდათ ანარქისტებს, რომლებიც შემდეგ მას რევოლუციური მიზნებისთვის გამოიყენებდნენ. ამას მოჰყვა ის, რომ დიდი არაგონული იერიში, რომელიც ფრანკოს ბილბაოდან და, შესაძლოა, მადრიდიდანაც გაიყვანდა, არასოდეს განხორციელებულა. მაგრამ ეს შედარებით უმნიშვნელო რამ იყო. უფრო მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ, რაკიღა ომი «დემოკრატიისთვის ბრძოლად» იქცა,

შეუძლებელი გახდა რაიმე სახის ფართომასშტაბიანი მიმართვა საზღვარგარეთის მუშათა კლასისადმი მისგან დახმარების მისაღებად. თუ ფაქტებს შევხედავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიო მუშათა კლასი ესპანეთის ომს გულგრილად უყურებდა. ათიათასობით კაცი ჩამოვიდა ბრძოლაში ჩასართველად, მაგრამ ათეულობით მილიონი აპათიურად განწყობილი დარჩა. ომის პირველ წელს თითქოსდა მთელი ბრიტანელი საზოგადოება ჩაერთო სხვადასხვაგვარ «ესპანური დახმარების» ფონდებში და შეაგროვა დაახლოებით

მეოთხედი მილიონი გირვანქა სტერლინგი ანუ, შესაძლოა, იმის ნახევარზე ნაკლები, რასაც ყოველკვირეულად ხარჯავს კინოთეატრებში. დემოკრატიული ქვეყნების მუშათა კლასი ნამდვილად დაეხმარებოდა თავის ესპანელ ამხანაგებს ინდუსტრიული გზით, ანუ გაფიცვებით და ბოიკოტებით. არათუ მსგავსი არაფერი მომხდარა, არამედ არც კი დაწყებულა. ლეიბორისტი და კომუნისტი ლიდერები ყველგან აცხადებდნენ, ეს წარმოუდგენელიაო. და, რასაკვირველია, ასეც იყო, რაკი ისინი იმასაც გაჰყვიროდნენ მთელი ხმით, «წითელი» ესპანეთი «წითელი» არ არისო. 1914-1918 წლების შემდეგ «დემოკრატიისთვის ომს» შემაძრწუნებელი ჟღერადობა მიეცა. გარდასულ წლებში თვით კომუნისტები ასწავლიდნენ ყველა ქვეყნის მეომარ მუშებს, «დემოკრატია» კაპიტალიზმის ზრდილობიანი სახელიაო. ჯერ

იმის თქმა, რომ «დემოკრატია თაღლითობაა», მერე კი «იბრძოლეთ დემოკრატიისთვის!» კარგი ტაქტიკა ვერ არის. მათ რომ (საბჭოთა რუსეთის დიდი პრესტიჟით ზურგს უკან) მსოფლიო მუშათა კლასისთვის მიემართათ არა «დემოკრატიული», არამედ «რევოლუციური ესპანეთის» სახელით, ძნელი დასაჯერებელია, პასუხი არ მიეღოთ.

მაგრამ ამ ყველაფერში უმნიშვნელოვანესი მაინც ის იყო, რომ ფრანკოს ზურგში რთული ან საერთოდ შეუძლებელი გახდა ბრძოლა არარევოლუციური პოლიტიკით. 1937 წლის ზაფხულისთვის ფრანკო უფრო მეტ მოსახლეობას აკონტროლებდა, ვიდრე ხელისუფლება, – გაცილებით უფრო მეტს, თუ კოლონიებსაც გავითვალისწინებთ, – დაახლოებით იმავე რაოდენობის ჯარებით. ყველამ იცის, რომ მტრული მოსახლეობით ზურგში შეუძლებელია ბრძოლის ველზე ჯარის გაყვანა ისე, რომ ერთი იმდენივე ჯარი არ გყავდეს შენი კომუნიკაციების დასაცავად, საბოტაჟის აღსაკვეთად და ა.შ. ამიტომაც, როგორც ჩანს, ფრანკოს ზურგში არ არსებობდა რეალური სახალხო მოძრაობა. წარმოუდგენელია, რომ მის მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიებზე ხალხს – ქალაქელ მუშებსა და ღარიბ გლეხებს – მოსწონდათ ან უნდოდათ ფრანკოს მმართველობა.

არადა, მარჯვნივ მომხდარ ყოველ გადახრასთან ერთად, მთავრობის ძალმოსილება სულ უფრო ნაკლებად იგრძნობოდა. ყველაფერს მაროკოს ამბავი არეგულირებს. რატომ არ მოხდა არავითარი ბუნტი მაროკოში? ფრანკო სამარცხვინო დიქტატურის დამყარებას ცდილობდა და მავრებიც მას უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე სახალხო ფრონტის მთავრობას. ცხადზე უცხადესია, რომ მაროკოში ბუნტის დაწყების არავითარი მცდელობა არ ყოფილა, რადგან ამის გაკეთება ნიშნავდა ომისთვის რევოლუციური სტატუსის მინიჭებას. პირველი აუცილებლობა – მავრების დარწმუნება ხელისუფლების კეთილ ნებაში – იქნებოდა მაროკოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ეამებოდათ ეს ფრანგებს! ომის საუკეთესო შანსი შეიწირა ფრანგული და ინგლისური კაპიტალიზმის დაშოშმინების ამაო იმედმა. კომუნისტური პოლიტიკა მთლიანად იმისკენ იყო მიმართული, რომ ომი

დაეყვანათ ჩვეულებრივ, არარევოლუციურ ომზე, რომელშიც ხელისუფლება მძიმედ დახეიბრდა. რადგან ასეთი ტიპის ომი უნდა მოეგო მექანიკურ საშუალებებს ანუ, საბოლოოდ, დაუსრულებელ მომარაგებას იარაღით, ხელისუფლების მთავარი მომმარაგებელი კი – საბჭოთა კავშირი – გეოგრაფიული თვალსაზრისით ძალიან აგებდა იტალიასა და გერმანიასთან შედარებით. შესაძლოა, მომპ-ისა და ანარქისტების

დევიზი: «ომი და რევოლუცია განუყოფელია» ნაკლებად ვიზიონერული იყო, ვიდრე ჟღერდა.

მე წარმოვადგინე ჩემი არგუმენტები, რაც მაფიქრებინებდა, რომ კომუნისტების ანტირევოლუციური პოლიტიკა მცდარი იყო. მაგრამ რაც შეეხება ამ პოლიტიკის ზემოქმედებას ომზე, იმედი არ მაქვს, რომ ჩემი განსჯა მართებულია. პირიქით: ათასგზის ვიმედოვნებ, რომ მცდარია. ვისურვებდი, მენახა ეს ომი მოგებული ნებისმიერი გზითა და საშუალებით. და, რაღა თქმა უნდა, ჯერაც ვერ ვიტყვით, რა მოხდება. ხელისუფლება შეიძლება ისევ მარცხნივ გადაიხაროს, მავრები თავისით აჯანყდნენ, ინგლისმა შეიძლება გადაწყვიტოს და იტალია იყიდოს, ომი უშუალოდ საომარმა ტექნიკამ მოიგოს, – არავინ იცის. გამოთქმულ მოსაზრებებს შევინახავ და დრო აჩვენებს, რამდენად მართალი ვარ და რამდენად მცდარი.

თუმცა 1937 წლის თებერვალში ასე არ ვხედავდი ყველაფერს. გულშეღონებული ვიყავი ჩემი უმოქმედობით არაგონის ფრონტზე და ვაცნობიერებდი, რომ არავითარი წვლილი არ მიმიძღოდა ბრძოლაში. მახსენდება მიმხმობი პლაკატი ბარსელონაში,

ბრალმდებლურად რომ ეკითხებოდა გამვლელებს: «რა გააკეთე შენ დემოკრატიისთვის?», და ვგრძნობ, რომ მხოლოდ ამას ვუპასუხებ: «ჩემს წილ ულუფებს მივირთმევდი». როდესაც მილიციას შევუერთდი, ჩემს თავს აღთქმა დავუდე, ერთ ფაშისტს მოვკლავ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, თითოეულ ჩვენგანს თითო ფაშისტი რომ მოეკლა, ისინი მალე გაწყდებოდნენ. მაგრამ ჯერაც არავინ მომიკლავს, ამის შანსიც კი არ მომცემია. და, რაღა თქმა უნდა, მადრიდში წასვლა მინდოდა. ყველა ჯარისკაცს, თავისი შეხედულებების მიუხედავად, მადრიდში სურდა წასვლა. ეს ალბათ ინტერბრიგადაში ჩართვას ნიშნავდა, რადგან მომპ-ს ახლა ძალზე მცირერიცხოვანი ჯარები ჰყავდა, ანარქისტებს – უწინდელზე ნაკლები.

ამჟამად, რა თქმა უნდა, ფრონტზე უნდა დავრჩენილიყავით, თუმცა მე ყველას ვუთხარი: შვებულებაში გასვლის შემდეგ, თუ შესაძლებლობა მომეცა, ინტერბრიგადაში ჩავეწერები-მეთქი. ეს იმას ნიშნავდა, რომ კომუნისტების დაქვემდებარებაში მოვხვდებოდი. ვიღაც-ვიღაცები ცდილობდნენ ჩემს გადარწმუნებას, თუმცა არავის უცდია შევეჩერებინე. სასიამოვნო სათქმელია, რომ მომპ-ში დიდად არ დევნიდნენ ერეტიკოსებს, ალბათ არასაკმარისადაც კი, თუ მათ

განსაკუთრებულ გარემოებებს გავითვალისწინებთ. პროფაშისტების გარდა, არავინ ისჯებოდა მცდარი პოლიტიკური შეხედულებებისთვის. მილიციაში ყოფნისას დიდძალი დრო დავხარჯე მომპ-ის «მიმართულების» მძაფრ კრიტიკაში, მაგრამ ამის გამო არასდროს შემმთხვევია რაიმე უსიამოვნება. არც რამენაირი დაწოლა არსებობდა, რომ მავანი მაინცდამაინც პარტიის წევრი გამხდარიყო, თუმცა, ვფიქრობ, მილიციელთა უმრავლესობამ სწორედ ეს მოიმოქმედა. მე თვითონ არასოდეს შევსულვარ მომპ-ში, რაც შემდგომში, როცა პარტია აკრძალეს, ვინანე.

დანართი II

(პირველი გამოცემის XI თავი, მოთავსებული წინამდებარე გამოცემის IX და X თავებს შორის)

თუ არ გაინტერესებთ პარტიებისა და ქვეპარტიების პოლიტიკური დაპირისპირება და მათი თავგზისამბნევი სახელები (როგორც ჩინური ომის მონაწილე გენერლების სახელები), შეგიძლიათ ეს ნაწილი გამოტოვოთ. შემზარავია პარტიათშორისი პოლემიკის დეტალებში შესვლა. კლოაკაში ჩავარდნასა ჰგავს. მაგრამ, რამდენადაც შესაძლებელია, აუცილებელია ჭეშმარიტების დადგენა. შორეულ ქალაქში გამართული ეს საბრალო შეხლა-შემოხლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება გვეგონოს.

ვერასდროს შეიქმნება ბარსელონას ომის ბოლომდე მოწესრიგებული და მიუკერძოებელი სურათი, რადგან არ არსებობს ამისთვის საჭირო ჩანაწერები.

მომავალი ისტორიკოსები ვერაფერს დაეყრდნობიან, ბრალდებებისა და პარტიული პროპაგანდის გროვის მეტს. მე თვითონ ცოტა მონაცემები მაქვს, გარდა იმისა, რაც საკუთარი თვალებით ვნახე და რაც ყოვლად სანდო სხვა თვითმხილველებისგან გავიგონე. ამასთანავე, შემიძლია დავუპირისპირდე ზოგიერთ შემაძრწუნებელ სიცრუეს და პერსპექტივაში წარმოვადგინო ეს ისტორიული ეპიზოდი.

უწინარეს ყოვლისა, რა მოხდა რეალურად?

რამდენიმე ხნის წინ კატალონიაში სიტუაცია დაიძაბა. ზემოთ მე გარკვეულწილად გადმოვეცი ბრძოლა კომუნისტებსა და ანარქისტებს შორის. 1937 წლის მაისისთვის სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ დიდი აფეთქება უკვე გარდაუვალი ჩანდა. შეჯახებას უშუალო ბიძგი მისცა მთავრობის ბრძანებამ კერძო საკუთრებაში არსებული ყოველგვარი იარაღის საყოველთაო ჩაბარების შესახებ, რაც დაემთხვა გადაწყვეტილებას – შექმნილიყო მძიმედ შეიარაღებული «არაპოლიტიკური» პოლიციური ძალა, რომლიდანაც გამოირიცხებოდნენ ტრედუინიონთა წევრები. ამის მნიშვნელობა ყველასთვის ნათელი იყო, ისევე როგორც ის, რომ ხელისუფლების

მომდევნო ნაბიჯი იქნებოდა შეკ-ის მიერ კონტროლირებული ზოგიერთი ცენტრალური ინდუსტრიის გადაბარება. ამას ემატებოდა მუშათა კლასის გარკვეული აღშფოთება სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის უფრო და უფრო გაზრდილი კონტრასტის გამო და ბუნდოვანი განცდა იმისა, რომ მოხდა რევოლუციის საბოტაჟი. მრავალი ადამიანისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ პირველ მაისს არავითარი ჯანყი არ მომხდარა. 3 მაისს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, აეღო სატელეფონო კვანძი, რომელსაც ომის დაწყების შემდეგ, ძირითადად, შეკ-ის მუშები მართავდნენ. გამოცხადდა: სატელეფონო კვანძი ცუდად მუშაობს და ოფიციალური ზარები ისმინებაო.

სალასმა – პოლიციის შეფმა, რომელიც ბოროტად სარგებლობდა ან არ სარგებლობდა თავისი თანამდებობით – მოიერიშე რაზმებით სავსე სამი სატვირთო მანქანა გაგზავნა შენობის ასაღებად, ამასობაში კი ქუჩები სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პოლიციელებმა გაწმინდეს. დაახლოებით იმავე დროს თავდამსხმელთა რაზმის ჯგუფებმა სტრატეგიულ წერტილებში განლაგებული სხვა შენობებიც დაიკავეს. როგორიც უნდა ყოფილიყო რეალური განზრახვა, ყველას სჯეროდა, რომ ეს იყო მანიშნებელი სიგნალი მოიერიშეთა და კგსპ-ის (კომუნისტების და სოციალისტების) საერთო შეტევისა შეკ-ის შენობებზე. ქალაქში სიტყვა გავრცელდა,

მუშების შენობებს შეუტიესო, ქუჩებში შეიარაღებული ანარქისტები გამოჩნდნენ, მუშაობა შეჩერდა და ბრძოლაც დაუყოვნებლივ გაჩაღდა. იმ ღამეს და მომდევნო დილას მთელ ქალაქში ბარიკადები აიგო, რის შემდეგაც ბრძოლა არ შემწყდარა 6 მაისის დილამდე. ეს კია, რომ ორივე მხარე, ძირითადად, თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდა. შენობებს ალყა შემოარტყეს, თუმცა, რამდენადაც ვიცი, არ უცდიათ, რომ რომელიმე შტურმით აეღოთ, და არც არტილერია ამოქმედებულა. უხეშად თუ ვიტყვით, შეკ-იაფ-მომპ-ის ძალებს მუშათა კლასის გარეუბნები ეკავათ, შეიარაღებულ პოლიციურ ძალებსა და კგსპ-ს – ქალაქის ცენტრალური და ოფიციალური ნაწილი. 6 მაისის დილას სულისმოსათქმელი მშვიდობა ჩამოვარდა, თუმცა მალე შეტაკება ისევ განახლდა. შესაძლოა, ამის მიზეზად იქცა თავდამსხმელთა რაზმების ნაადრევი მცდელობა – განეიარაღებინათ შეკ-ის მუშები. მიუხედავად ამისა, მომდევნო დილით ხალხმა თავისი ნებით იწყო ბარიკადების მიტოვება. დაახლოებით 5 მაისის ღამემდე შეკ-მა იმარჯვა და მრავალი თავდამსხმელი აიძულა, რომ დანებებულიყო. მაგრამ არ არსებობდა საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელობა და არავითარი ჩამოყალიბებული გეგმა. მართლაცდა, საერთოდ არავითარი გეგმა არ არსებობდა, მოიერიშე რაზმებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბუნდოვანი გადაწყვეტილების

გარდა. შეკ-ის ოფიციალური ლიდერები შეუერთდნენ მსკ-ის ლიდერებს, რათა ყველასთვის ეთხოვათ – თქვენ-თქვენს სამუშაოს დაუბრუნდითო. უპირველეს ყოვლისა, საკვებმა იკლო. ასეთ პირობებში ვერავინ იტყოდა დარწმუნებით, რა შედეგი მოჰყვებოდა ბრძოლის გაგრძელებას. 7 მაისის ნაშუადღევისთვის მდგომარეობა თითქმის ნორმაში ჩადგა. იმ საღამოს ვალენსიიდან გამოგზავნილმა ექვსი ათასმა თავდამსხმელმა ქალაქზე კონტროლი აიღო. ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ყველას უნდა ჩაებარებინა იარაღი, რეგულარული ჯარების გარდა. ამის შედეგად, რამდენიმე მომდევნო დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით იარაღი ჩაბარდა. შეტაკების დროს დაღუპულ-დაშავებულთა სია ოფიციალურად გამოქვეყნდა: ოთხასი მოკლული და ათასამდე დაჭრილი. აქედან პირველი რიცხვი, შესაძლოა, გაბერილია, მაგრამ რაკი ეს ვერაფრით შემოწმდება, ამიტომ მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა რაც შეეხება ბრძოლის შედეგებს. როგორც ჩანს, მათ განსაზღვრულად ვერ დაასახელებ. არ არსებობს არავითარი თვალსაჩინოება, რომ ამ შეტაკებამ რაიმე პირდაპირი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე. თუმცა ეს ნამდვილად

მოხდებოდა, თუ ბარსელონას ომი კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა. ამან თავისებურად გაამართლა კატალონიის პირდაპირი აყვანა ვალენსიის კონტროლქვეშ, მილიციების დაშლის დაჩქარება და მომპ-ის აკრძალვა. ეჭვს გარეშეა, ამან თავისი წვლილი შეიტანა კაბალეროს მთავრობის დამხობაშიც. თუმცა ისიც ეჭვმიუტანელია, რომ ადრე თუ გვიან ეს ამბები ყველა შემთხვევაში მოხდებოდა. საკითხავი ისაა, ქუჩაში გამოსვლით შეკ-ის მუშებმა, საბოლოო ჯამში, მოიგეს თუ წააგეს. ეს ნამდვილი გამოცანაა, მაგრამ, ჩემი პირადი აზრით, მათ უფრო მეტი მოიგეს, ვიდრე წააგეს. სატელეფონო კვანძის დაპყრობა ხდომილებათა გრძელი სერიის მხოლოდ ერთი ინციდენტია. წინა წლიდან მოყოლებული, სინდიკატებს ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდათ უშუალო ძალაუფლება, სიტუაცია წავიდა მუშათა კლასის მმართველობიდან ცენტრალიზებული მართვისკენ, სახელმწიფო კაპიტალიზმისკენ და, შესაძლოა, კერძო კაპიტალიზმის აღორძინებისკენაც. იმ მომენტისთვის გაჩენილმა წინააღმდეგობამ მთელი პროცესი შეანელა. ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ კატალონიელ მუშებს ხელიდან გამოეცალათ ძალაუფლების დიდი ნაწილი, მაგრამ მათი მდგომარეობა მაინც შედარებით უკეთესი დარჩა. გაცილებით უარეს პოზიციაში აღმოჩნდებოდნენ, თუ აჩვენებდნენ, რომ ნებისმიერ პროვოკაციას დანებდებოდნენ.

არის შემთხვევები, როცა უმჯობესია იბრძოლო და წააგო, ვიდრე საერთოდ არ იბრძოლო.

და კიდევ: რა მიზანი ამოძრავებდა (თუ საერთოდ რამე ამოძრავებდა) ამ აფეთქებას? სახელმწიფო გადატრიალება იყო თუ რევოლუციური მცდელობა? არაორაზროვნად ესწრაფოდა თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების დამხობას? საერთოდ, წინასწარ იყო დაგეგმილი თუ არა?

ჩემი თვალთახედვით, ეს შეტაკება იმდენად იყო განსაზღვრული წინდაწინ, რამდენადაც მას ყველა ელოდა. არავითარი ჩამოყალიბებული გეგმის ნიშანი არ ყოფილა რომელიმე მხრიდან. ანარქისტები თითქმის სპონტანურად მოქმედებდნენ, რადგან ეს, ძირითადად, რიგითი ჯარისკაცების საქმე იყო. ხალხი გამოვიდა ქუჩებში, მათი პოლიტიკური ლიდერები კი ან უხალისოდ გამოჰყვნენ, ან საერთოდ არ გამოსულან. ერთადერთი ხალხი, ვინც რევოლუციური დაძაბულობით მეტყველებდა, იყვნენ «დურუტის[38] მეგობრები» – პატარა ექსტრემისტული დაჯგუფება იაფ-ის შიგნით – და მომპ-ელები. თუმცა, კიდევ ერთხელ, ისინი კი არ მიუძღვებოდნენ,

არამედ უკან მიჰყვებოდნენ. «დურუტის მეგობრები» რევოლუციურ ფურცლებს ავრცელებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ 5 მაისს მოხდა და ბრძოლის დასაწყისად ვერ ჩაითვლება. ის თავისთავად დაიწყო ორი დღით ადრე. შეკ-ის ოფიციალურმა

ლიდერებმა თავიდანვე უარი თქვეს მასში ჩართვაზე. ამისთვის არაერთი მიზეზი არსებობდა. პირველი ის, რომ შეკ-ის წარმომადგენლები ჯერ კიდევ იყვნენ მთავრობაში და ჟენერალიდადიც გარანტიას იძლეოდა, რომ მისი ლიდერები მისსავე მიმდევრებზე უფრო კონსერვატიულები იქნებოდნენ. მეორე: შეკ-ის ლიდერთა მთავარი მიზანი იყო ალიანსის შექმნა მსკ-სთან, ბრძოლა კი, პირიქით, უფრო აფართოებდა მათ შორის არსებულ ბზარს, ყოველ შემთხვევაში – ამჟამად. მესამე ის იყო, რომ (თუმცა მაშინ ეს ყველამ არ იცოდა) ანარქისტების ლიდერებს ეშინოდათ: თუ მოვლენები გარკვეულ ზღვარს გასცდებოდა და ქალაქს მუშები დაეპატრონებოდნენ (სწორედ ეს სიტუაცია შეიქმნა 5 მაისისთვის), ამას მოჰყვებოდა უცხოური ინტერვენცია. ბრიტანულ კრეისერსა და ორ გამანადგურებელს ნავსაყუდელთან ახლოს ჩაეშვა ღუზა და, ეჭვი არაა, სხვა სამხედრო გემებიც იქნებოდნენ შორიახლოს. ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ეს გემები ბარსელონასკენ მიემართებოდნენ «ბრიტანეთის ინტერესების დასაცავად», თუმცა, ფაქტობრივად, მათ ამდაგვარი არაფერი უქნიათ,

ანუ არც ხალხი გადმოუსხამთ ესპანეთის ნაპირზე და არც ლტოლვილები აუყვანიათ. დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ მაინცდამაინც არ უჩანდა ისეთი პირი, რომ ბრიტანეთის მთავრობა, რომელსაც თითი არ გაუნძრევია იმისთვის, რომ ესპანეთის ხელისუფლება ფრანკოსგან ეხსნა, საკმარისად სწრაფად ჩაერეოდა სიტუაციაში ამ ხელისუფლების გადასარჩენად საკუთარი მუშათა კლასისგან.

მომპ-ის ლიდერებს უარი არ უთქვამთ აქტიურობაზე, არსებითად, ამხნევებდნენ კიდეც მიმდევრებს, ბარიკადებზე დარჩითო, და მოწონებითაც კი შეხვდნენ (6 მაისის «ლა ბატალა») «დურუტის მეგობრების» მიერ გავრცელებულ ექსტრემისტულ ფურცლებს (დიდი გაურკვევლობაა ამ ფურცლებთან დაკავშირებით. ერთი ეგზემპლარიც არ შემორჩენია არავის. ზოგიერთ უცხოურ გაზეთში მას «ამგზნებ პლაკატს» უწოდებდნენ, მთელ ქალაქში რომ გამოეფინათ. ასეთ პლაკატს არასოდეს უარსებია. სხვადასხვა ანგარიშებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ ფურცელი ხალხს მოუწოდებდა: ა) რევოლუციური საბჭოს (ხუნტის) შექმნისკენ; ბ) იმათი დახვრეტისკენ, ვინც პასუხისმგებელი იყო სატელეფონო კვანძზე შტურმისთვის; გ) თავდასხის რაზმების განიარაღებისკენ. ისიც გაურკვეველია, რამდენად ეთანხმებოდა «ლა

ბატალა» ამ პროკლამაციის შინაარსს. ჩემთავად, მე არც ფურცელი მინახავს და არც «ლა ბატალას» ის ნომერი. ერთადერთი ფურცელი, რომელიც ბარსელონას ომის პერიოდში ვნახე, იყო პაწაწინა ტროცკისტული («ბოლშევიკ-ლენინური») დაჯგუფების მიერ 4 მაისს გავრცელებული მოწოდება, რომელზეც ეწერა მხოლოდ ეს: «ყველანი ბარიკადებზე! ყველა საწარმოს გაფიცვა, სამხედრო საწარმოების გარდა!». ანუ ეს ფურცელი მხოლოდ იმას მოუწოდებდა, რაც უკვე ხდებოდა). სინამდვილეში კი, მომპ-ის ლიდერთა პოზიცია მერყევი იყო. მათ არასოდეს მოუწოდებიათ აჯანყებისკენ მანამ, სანამ ომი ფრანკოზე

გამარჯვებით არ დაგვირგვინდებოდა. მეორე მხრივ, მუშები ქუჩაში გამოვიდნენ და მომპ-ის ლიდერებმაც დაიკავეს პედანტურად მარქსისტული პოზიცია: როცა მუშები ქუჩაში გამოდიან, რევოლუციური პარტიების ვალია, მათ გვერდში ედგნენო. აქედან გამომდინარე, მიუხედავად რევოლუციური ლოზუნგებისა: «ავაღორძინოთ 19 ივლისის სული» და ა.შ., მათ ყველაფერი იღონეს იმისთვის, რომ მუშების ბრძოლა მხოლოდ თავდაცვითი ყოფილიყო. მაგალითად, არც ერთხელ არ გაუციათ ბრძანება, ამა და ამ შენობას შეუტიეთო. მხოლოდ ერთს უბრძანებდნენ თავიანთ მიმდევრებს: ყურადღებით იყავით და (როგორც უკვე ვახსენე IX თავში) ნუ ისვრით, როცა კი ეს შესაძლებელი იქნებაო. «ლა ბატალაშიც» დაიბეჭდა

ინსტრუქციები: ფრონტი არც ერთმა ჯარმა არ უნდა დატოვოსო. რამდენადაც შესაძლებელია ამის შეფასება, უნდა ვთქვა, რომ მომპ-ის პასუხისმგებლობა შემოიფარგლებოდა მისი მოწოდებით – ყველანი ბარიკადებზე დარჩითო – და, შესაძლოა, გარკვეული ადამიანების დარწმუნებით, რომ უფრო დიდხანს დარჩენილიყვნენ იქ, ვიდრე სხვა შემთხვევაში იზამდნენ. მათ, ვისაც პირადი ურთიერთობა ჰქონდათ მომპ-ის მაშინდელ ლიდერებთან (ჩემგან განსხვავებით), მითხრეს: ისინი შეცბუნებულები იყვნენ იმ ყველაფრით, თუმცაღა გრძნობდნენ, რომ უნდა მოეხერხებინათ და ფეხი აეწყოთ მიმდინარე მოვლენებისთვის, საიდანაც შემდგომში, რაღა თქმა უნდა, პოლიტიკური კაპიტალიც დაგროვდაო. გორკინმა – მომპ-ის ერთ-ერთმა ლიდერმა – მოგვიანებით «მაისის დიდებულ დღეებზეც» კი ილაპარაკა. პროპაგანდისტული თვალსაზრისით, ეს შეიძლება მართებულიც ყოფილიყო და მომპ-ის წევრთა რიცხვიც უდავოდ გაიზარდა იმ მოკლე პერიოდში, სანამ საერთოდ აკრძალავდნენ. ტაქტიკური აზრით, ალბათ შეცდომა იყო თანაგრძნობის გამოხატვა «დურუტის მეგობრების» გავრცელებული ფურცლის მიმართ. ეს პაწაწინა ორგანიზაცია, ჩვეულებრივ, მომპ-თან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. თუ გავითვალისწინებთ საერთო მღელვარებას და იმას, რასაც ორივე მხარე ლაპარაკობდა,

ეს პროკლამაცია, არსებითად, ბევრით მეტს არ ნიშნავდა, ვიდრე მოწოდება «დარჩით ბარიკადებზე», მაგრამ იმით, რომ თითქოსდა ამართლებდა მას, მაშინ, როდესაც ანარქისტული გაზეთი «სოლიდარიდად ობრერა» უარყოფდა, მომპ-ის ლიდერებმა საბაბი მისცეს კომუნისტურ პრესას, რომ ამ უკანასკნელს მოგვიანებით ეთქვა: ბარსელონას ომი ცალსახად მომპ-ის «გაჩარხული» ბუნტი არისო. თუმცა ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ კომუნისტური პრესა ამას ყველა შემთხვევაში იტყოდა. ეს ხომ არაფერი იყო კიდევ უფრო ნაკლები თვალსაჩინოებით ნაკარნახევ მანამდელ და შემდგომ ბრალდებებთან შედარებით. შეკ-ის ლიდერებსაც არ მოუგიათ ბევრად მეტი თავიანთი უფრო ფრთხილი პოზიციის გამო. მათ ხოტბა შეასხეს ლოიალობისთვის, მაგრამ როგორც კი ამის შანსი მიეცათ ორივედან – ხელისუფლებიდანაც და ჟენერალიდადიდანაც – ფეხი ამოაკვეთინეს.

თუ იმით ვიმსჯელებთ, რასაც ხალხი იმხანად ლაპარაკობდა, რეალურად, არსად არავითარი რევოლუციური განზრახვა არ ყოფილა. ბარიკადების უკან ჩვეულებრივი შეკ-ის მუშები იდგნენ, მათ რიგებში, ალბათ, კანტიკუნტად შერეული მსკ-ს მუშებიც, და მთავრობის ჩამოგდებას კი არ აპირებდნენ, არამედ წინააღმდეგობის გაწევას

იმისთვის, რასაც – მართებულად თუ უმართებულოდ – შეტევად აღიქვამდნენ პოლიციის მხრიდან. თავისი არსით, მათი მოქმედება თავდაცვითი იყო და, ვეჭვობ, მისი დახასიათება შეიძლებოდეს სიტყვით «აჯანყება», როგორც ეს თითქმის ყველა უცხოურმა გაზეთმა გააკეთა. აჯანყება ნიშნავს აგრესიულ მოქმედებასა და ჩამოყალიბებულ გეგმას. უფრო ზუსტად ეს იყო ბუნტი – ერთობ სისხლიანი ბუნტი, რადგან ორივე მხარეს ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა და მისი გამოყენებაც ეწადა.

მაგრამ რა განზრახვები ჰქონდა მეორე მხარეს? თუ ანარქისტები არ აპირებდნენ გადატრიალებას, მაშინ იქნებ კომუნისტები აპირებდნენ ამას, ანუ შეკ-ის ძალაუფლების დამხობას ერთი დარტყმით?

არ მჯერა, რომ ასე იყო, თუმცა არის რაღაც-რაღაცები, რაც ასეთ ეჭვებს გიღვიძებს. ნიშანდობლივია, რომ ორი დღის შემდეგ ძალიან მსგავსი რამ მოხდა ტარაგონაშიც (სატელეფონო კვანძის აღება შეიარაღებული პოლიციის მიერ, რომელმაც ბრძანება ბარსელონადან მიიღო). და თვით ბარსელონაშიც სატელეფონო კვანძში შეჭრა ერთეული აქტი არ გახლდათ. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ადგილობრივმა

მოიერიშეთა რაზმელებმა და კგსპ-ს წევრებმა დაიკავეს შენობები სტრატეგიულად მნიშვნელოვან წერტილებში, – თუ ზუსტად ბრძოლის დაწყების წინ არა, ყოველ შემთხვევაში, განსაცვიფრებელი სიმკვირცხლით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ამბები ესპანეთში ხდებოდა და არა ინგლისში. ბარსელონას ქუჩის ბრძოლებს დიდი ისტორია აქვს. ასეთ ადგილებში ყველაფერი სწრაფად ხდება, ფრაქციები მზადყოფნაში არიან, ყველა იცნობს ადგილობრივ რელიეფს და როცა თოფები დასჭექავენ, ადამიანები თითქმის ისევე მარდად იკავებენ თავ-თავიანთ ადგილებს, როგორც სასწავლო სახანძრო განგაშის დროს. სავარაუდოა, რომ ისინი, ვინც პასუხისმგებელნი არიან სატელეფონო კვანძის აღებაზე, უბედურებას ელოდნენ (თუნდაც არა ამ მასშტაბებისას) და, შესაბამისად, მომზადებულებიც შეხვდნენ. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ დიდ შეტევას გეგმავდნენ შეკ-ზე. არსებობს ორი მიზეზი, რომელთა გამოც ვფიქრობ, რომ არც ერთი მხარე არ მომზადებულა ფართომასშტაბიანი ბრძოლისთვის:

1) არც ერთ მხარეს წინასწარ არ გადაუსროლია ჯარები ბარსელონაში. შეტაკება მოხდა იმათ შორის, ვინც უკვე იქ იმყოფებოდა, ანუ, ძირითადად, მოქალაქეებსა და პოლიციას შორის;

2) საკვები თითქმის დაუყოვნებლივ დამთავრდა. ყველამ, ვისაც უმსახურია ესპანეთში, იცის, რომ ერთი საომარი ოპერაცია, რომელსაც ესპანელები ნამდვილად კარგად უძღვებიან, არის თავიანთი ჯარების გამოკვება. ძალზე საეჭვოა, რომ ერთ-ორ კვირიანი ქუჩის ბრძოლებისა და საყოველთაო გაფიცვის იმთავითვე დამგეგმავ მხარეებს წინდაწინ არ მოემარაგებინათ საკვები.

დაბოლოს, რაც შეეხება მტყუან-მართალს ამ შინაომში.

უცხოურ ანტიფაშისტურ პრესაში მტვრის ვეებერთელა ბუღი ავარდა, მაგრამ, როგორც წესი, მხოლოდ ერთ მხარეს თუ გააგონებდი რამეს. ამის შედეგად, ბარსელონას ომს წარმოგვიდგენდნენ, როგორც შეიარაღებულ აჯანყებას მოღალატე ანარქისტებისა და ტროცკისტების, რომლებიც «ხელისუფლებას ზურგში ურტყამდნენ მახვილს» და ა.შ. საქმე ასე მარტივად არ ყოფილა. უეჭველია, როცა მოსისხარ მტერს ეომები, უმჯობესია, შენიანთან მშვიდობა გქონდეს. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩხუბის ასატეხად ორი მხარეა საჭირო და რომ ხალხი ბარიკადების შენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იწყებს, როცა თავს პროვოცირებულად გრძნობს.

უბედურებამ ბუნებრივად იხუვლა მთავრობის ბრძანებიდან, რომლითაც მან ანარქისტებს მიმართა: იარაღი უნდა ჩაგვაბაროთო. ინგლისურ პრესაში ინგლისურად თარგმნილმა ამ ამბავმა ასეთი სახე მიიღო: არაგონის ფრონტზე სასტიკად სჭირდებოდათ იარაღი, რომელიც იქ ვერ იგზავნებოდა, რადგანაც არაპატრიოტული განწყობის ანარქისტები ამ იარაღს ხელიდან არ უშვებდნენ. ასეთი განსჯა ესპანეთში რეალურად არსებული ვითარების იგნორირებას ნიშნავს. ყველამ იცოდა, რომ იარაღი ჰქონდა ორივეს – ანარქისტებსაც და კგსპ-საც, ბარსელონას ბრძოლის დაწყებამ კი უფრო უკეთ გამოავლინა ეს. ორივე მხარე დიდძალ იარაღს ფლობდა. ანარქისტებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ თუკი იარაღს ჩააბარებდნენ, კგსპ – კატალონიის მთავარი პოლიტიკური ძალა – თავის იარაღს მაინც შეინარჩუნებდა. სწორედ ეს მოხდა, როდესაც ბრძოლა დამთავრდა. ამასობაში, იმდენი იარაღი ჩანდა ბარსელონას ქუჩებში, რამდენსაც დიდი სიხარულით ჩაიბარებდნენ ფრონტზე, მაგრამ რომელსაც ზურგში მოქმედ «არაპოლიტიკური» პოლიციის ძალებს უნახავდნენ. ამის ქვეშ კი იდგა შეურიგებელი სხვაობა კომუნისტებსა და ანარქისტებს შორის, რაც ადრე თუ გვიან შეტაკებაში გადაიზრდებოდა. ომის დაწყების შემდეგ ესპანელი კომუნისტების რიცხვმა გამაოგნებლად იმატა და პოლიტიკური ძალაუფლების უდიდესი ნაწილიც

მათ ხელში მოექცა. გარდა ამისა, ესპანეთში ჩამოვიდა ათასობით უცხოელი კომუნისტიც, რომელთაგან ბევრი ღიად გამოთქვამდა სურვილს, ფრანკოსთან ომის დამთავრებისთანავე მოეხდინათ ანარქიზმის «ლიკვიდაცია». ასეთ გარემოებებში ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ანარქისტებს საკუთარი ნებით ჩაებარებინათ იარაღი, რომელიც 1936 წლის ზაფხულში მოიპოვეს.

სატელეფონო კვანძის დაკავებამ იგივე როლი ითამაშა, რაც ასანთის გაკვრამ უკვე არსებული ბომბის გვერდით. იქნებ ამისთვის პასუხისმგებელ პირებს ისიც კი წარმოედგინათ, რომ ეს მაინც არ მიიყვანდა სამოქალაქო ომამდე. კომპანისზე – კატალონიის პრეზიდენტზე – ამბობენ: რამდენიმე დღით ადრე სიცილით განაცხადა, ანარქისტები ყველაფერს აიტანენო («ნიუ სტეიტსმენ», 14 მაისი). მაგრამ, რასაკვირველია, ეს გონივრული აქტი არ გახლდათ. წინა თვეებში, ესპანეთის სხვადასხვა რეგიონში, კომუნისტებსა და ანარქისტებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკებების გრძელი სერია. კატალონიაში და, განსაკუთრებით, ბარსელონაში დაძაბული მდგომარეობა იყო, და ამ მიზეზით ქუჩებში მკვლელობები ხდებოდა, ირგვლივ არეულობა სუფევდა. უცებ ქალაქში ხმა დაირხა, რომ შეიარაღებული კაცები

უტევდნენ იმ შენობებს, რომლებიც მუშებს დაეკავებინათ ივლისის ბრძოლის დროს და რომლებსაც ისინი დიდ ემოციურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მშრომელ მოსახლეობას გულზე არ ეხატებოდა სამოქალაქო გვარდია. მთელი თაობების განმავლობაში გვარდია სხვა არაფერი იყო, თუ არა სახლის პატრონისა და ბოსის დამატება. ის ორმაგად სძულდათ, რადგან ეჭვმიტანილი იყო – და საკმაოდ სამართლიანადაც – ერთობ ორაზროვან ლოიალობაში ფაშისტების წინააღმდეგ. შესაძლებელია, რომ ემოცია, რომელმაც ხალხი ქუჩებში გამოიყვანა პირველ რამდენიმე საათში, ძალიან ჰგავდა იმ ემოციას, რომლითაც ეს ხალხი დაუპირისპირდა აჯანყებულ გენერლებს ომის დასაწყისში. რა თქმა უნდა, საკამათოა, გაუპროტესტებლად უნდა ჩაებარებინათ თუ არა შეკ-ის მუშებს სატელეფონო კვანძი მოიერიშეთათვის. ადამიანის აზრს ამ საკითხზე განსაზღვრავს ის, თუ რომელს ანიჭებს უპირატესობას – ცენტრალიზებულ მთავრობას თუ მუშათა მმართველობას. უფრო შესაბამისად ასე შეიძლება ითქვას: «ჰო, სავსებით შესაძლებელია, რომ შეკ-ს წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, უკვე ომი მიმდინარეობდა ფაშისტებთან და შეკ-ის საქმე არ იყო კიდევ სხვა ბრძოლის ატეხა ფრონტის უკან». ამაში სავსებით ვეთანხმები. ნებისმიერი შინაგანი არეულობა ფრანკოს წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ მაინც რამ

დააჩქარა, სინამდვილეში, ეს ბრძოლა? ხელისუფლებას აქვს ან არა აქვს სატელეფონო კვანძში შეჭრის უფლება. საქმე ისაა, რომ მოცემულ გარემოებებში ეს გარდაუვლად გამოიწვევდა შეტაკებას, ანუ წარმოადგენდა პროვოკაციულ აქტს თუ ჟესტს, რომელიც სავარაუდოდ ამბობდა: «თქვენი მეუფება მთავრდება, ახლა ჩვენს ხელში უნდა გადმოვიდეს». ასეთ დროს ხელისუფლებას სხვა ვერაფრის მოლოდინი ვერ ექნებოდა, წინააღმდეგობის შეხვედრის გარდა. თუკი პროპორციის შეგრძნებას ვინარჩუნებთ, მაშინ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მსგავს სიტუაციაში ყველაფერი მხოლოდ ერთ მხარეს ვერ დაბრალდება. მიზეზი, რის გამოც ცალმხრივი ვერსია მიიღეს, უბრალოდ, ისაა, რომ ესპანურ რევოლუციურ პარტიებს არ გააჩნიათ დასაყრდენი უცხოურ პრესაში. ვთქვათ, ინგლისურ პრესაში დიდხანს მოგიწევდა ძებნა, სანამ რომელიმე კეთილგანწყობილ ცნობას იპოვიდი ესპანელ ანარქისტებზე ომის ნებისმიერ

მომენტში. მათ სისტემატურად თათხავდნენ და, როგორც საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თითქმის შეუძლებელია ვინმეს რამე დააბეჭდვინო მათ დასაცავად.

ვცადე, ობიექტურად აღმეწერა ბარსელონას ომი, თუმცა, როგორც ჩანს, ვერავინ იქნება ბოლომდე ობიექტური ასეთ საკითხში. პრაქტიკულად იძულებული ხარ, ვინმეს

მიემხრო, და საკმაოდ ნათლად უნდა ჩანდეს, მე ვის მხარეზე ვარ. გარდა ამისა, ვერაფრით ვერ ავიცილებდი თავიდან ფაქტობრივ შეცდომებს, არა მხოლოდ აქ, არამედ ამ თხრობის სხვა ნაწილებშიც. უკიდურესად ძნელია მოწესრიგებულად წერა ესპანეთის ომის შესახებ არაპროპაგანდისტული დოკუმენტების არარსებობის გამო. ყველას ვაფრთხილებ, ნუ მოექცევა ჩემი გავლენის ქვეშ, ყველას ვაფრთხილებ – ერიდოს ჩემს შეცდომებს. და მაინც: ყველაფერი ვქენი იმისთვის, რომ კეთილსინდისიერად გადმომეცა ფაქტები. უდავოდ აღმოჩნდება, რომ ჩემი მონათხრობი მთლიანად განსხვავდება იმისგან, რაც უცხოურ და, განსაკუთრებით, კომუნისტურ პრესაში დაიბეჭდა. აუცილებელია კომუნისტური ვერსიის გადამოწმება, რადგან ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, მას შემდეგ, დროის მოკლე ინტერვალებში, დამატებებით შეივსო და, ალბათ, ამჟამად ყველაზე უფრო მიღებული ვერსიაა.

კომუნისტურ და პროკომუნისტურ პრესაში ბრალი ბარსელონას ომის ატეხა მთლიანად მომპ-ს ბრალდებოდა. ეს ამბავი წარმოდგენილი იყო არა როგორც ძალების სპონტანური შეჯახება, არამედ წინასწარგანზრახული, დაგეგმილი ამბოხი ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩაფიქრებული მხოლოდ და მხოლოდ მომპ-ის მიერ,

რომელსაც ეხმარებოდა რამდენიმე გზასაცდენილი «გაუკონტროლებელი». მეტიც: ეს არაორაზროვნად ფაშისტური განზრახვა იყო, ფაშისტური ბრძანებებით ხორციელდებოდა იმ იდეით, რომ სამოქალაქო ომი ამტყდარიყო და ხელისუფლების პარალიზება გამოეწვია. მომპ – ფრანკოს «მეხუთე კოლონა – «ტროცკისტული» ორგანიზაცია – ფაშისტებთან თანხმობით მოქმედებდა.

აი, «დეილი ვორკერის» 11 მაისის ნომრის ანგარიში:

«გერმანელ და იტალიელ აგენტებს, რომლებიც უხვად შემოვიდნენ ბარსელონაში, ვითომდა «მეოთხე ინტერნაციონალური კონგრესის» მოსამზადებლად, ერთი დიდი მიზანი ჰქონდათ:

ადგილობრივ ტროცკისტებთან ერთად, მათ უნდა შეექმნათ არეულობისა და სისხლის ღვრის სიტუაცია, რომლის დროსაც გერმანელები და იტალიელები განაცხადებდნენ: «ბარსელონაში შექმნილი არეულობის გამო ქმედითად ვერ ვაკონტროლებთ კატალონიის ნაპირებს და ამიტომაც სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ იქ სამხედრო ძალები შევიყვანოთო».

სხვა სიტყვებით: მზადდებოდა სიტუაცია, რომელშიც გერმანული და იტალიური მთავრობები სავსებით ღიად შემოიყვანდნენ ჯარებს კატალონიის ნაპირებზე «წესრიგის შენარჩუნების» საბაბით...

ამ ყველაფრის განსახორციელებლად, გერმანელებსა და იტალიელებს უკვე მზად ჰქონდათ იარაღი მომპ-ად წოდებული ტროცკისტული ორგანიზაციის სახით.

კარგად ცნობილ კრიმინალურ ელემენტებთან და ანარქისტულ ორგანიზაციებში მომუშავე სხვა გზააბნეულ პირებთან თანამშრომლობით, მომპ-მა დაგეგმა, ორგანიზება გაუკეთა და წარმართა შეტევა არიერგარდში და ეს უკანასკნელი ზედმიწევნით დაამთხვია ბილბაოს ფრონტზე განხორციელებულ შეტევას და ა.შ. და ა.შ.»

ანგარიშის შემდგომ ნაწილში ბარსელონას ომი «მომპ-ის მიერ მიტანილ იერიშად» იქცევა, ხოლო იმავე გაზეთში დაბეჭდილ სხვა სტატიაში ნათქვამია: «ეჭვს არ იწვევს ის, რომ კატალონიაში მომხდარი სისხლის ღვრისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად მომპ-ს ეკისრება». «იმპრეკორის» 29 მაისის ნომერი აცხადებს, რომ ისინი, ვინც

ბარსელონაში ბარიკადები ააგო, იყვნენ «მხოლოდ და მხოლოდ მომპ-ის წევრები, საგანგებოდ ამ მიზნისთვის გამოყოფილი».

შემეძლო უამრავი სხვა მასალის ციტირება, მაგრამ ესეც სრულებით კმარა. პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომპ-ს, რომელიც თურმე ფაშისტების ბრძანებით მოქმედებდა. ერთ წამში შემიძლია მოვიყვანო სხვა ამონარიდები კომუნისტური პრესიდან, იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგო, რომ, არსებითად, სრულებით მოკლებული რაიმე ღირებულებას. მაგრამ სანამ ამას მოვიმოქმედებდე, უნდა აღვნიშნო რამდენიმე a priori მიზეზი, თუ რატომ არის აზრსმოკლებული «მომპ-ის მიერ დაგეგმილი ფაშისტური ჯანყის» ზემომოყვანილი ვერსია:

ა) მომპ-ს არ ჰყავდა ამდენი წევრი და არც ისეთი გავლენა ჰქონდა, რომ ამხელა მასშტაბის დესტაბილიზაცია გამოეწვია. კიდევ უფრო ნაკლებად ხელეწიფებოდა საყოველთაო გაფიცვის მოწყობა. მას არავითარი განსაზღვრული საყრდენი არ ჰქონდა ტრედუნიონებში და ისევე ვერ გამოიწვევდა გაფიცვას მთელ ბარსელონაში, როგორც, ვთქვათ, ინგლისის კომუნისტური პარტია ვერ გამოიწვევს საყოველთაო გაფიცვას

გლაზგოში. როგორც ზემოთ ვთქვი, მომპ-ის ლიდერებს შეიძლებოდა რამდენადმე შეეწყოთ ხელი ბრძოლის გაგრძელებისთვის, მაგრამ დაწყებით მაინც ვერ დაიწყებდნენ, სურვილიც რომ ჰქონოდათ;

ბ) ეგრეთ წოდებული «ფაშისტური გეგმა» ეყრდნობა შიშველ განაცხადს, ხოლო მთელი თვალსაჩინოება საპირისპირო მიმართულებით მიუთითებს. ჩვენ გვეუბნებიან: ჩანაფიქრის მიხედვით, გერმანულ და იტალიურ მთავრობებს

კატალონიაში ჯარები უნდა შემოეყვანათო. არადა, ნაპირებს არც ერთი გერმანული ან იტალიური გემი არ მოახლოებია. რაც შეეხება «მეოთხე ინტერნაციონალის კონგრესსა» და «გერმანელ და იტალიელ აგენტებს», ეს წმინდა წყლის მითია და გამონაგონი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლაპარაკიც კი არ ყოფილა რაღაც «მეოთხე ინტერნაციონალის კონგრესის» შესახებ. არსებობდა ბუნდოვანი გეგმები მომპ-ისა და მისი მოძმე პარტიების კონგრესთან დაკავშირებით. მის ჩასატარებლად ფრთხილად მოინიშნა ივლისი, ანუ ორი თვის შემდგომი პერიოდი, თუმცა ჯერ ერთი დელეგატიც კი არ მოსულიყო. «გერმანელი და იტალიელი აგენტები» მხოლოდ და მხოლოდ «დეილი ვორკერის» გვერდებზე არსებობდნენ. იმხანად საზღვრის გადმომკვეთმა ნებისმიერმა კაცმა

იცოდა, რომ მაშინდელ ესპანეთში არც ისე იოლი იყო «უხვად შემოსვლა» და არც, სხვათა შორის, იქიდან გასვლა.

გ) არაფერი მომხდარა არც ლერიდაში – მომპ-ის მთავარ ბაზაში – და არც ფრონტზე. ცხადია, მომპ-ის ლიდერებს ფაშისტების დახმარება რომ სდომოდათ, თავიანთ მილიციას ფრონტიდან გასვლას უბრძანებდნენ და ფაშისტებს შემოუშვებდნენ. მსგავსი არაფერი მომხდარა. არც ზედმეტი ადამიანები გამოუყვანიათ ფრონტიდან წინდაწინ, თუმცა ძნელი არ იყო ათასი ან ორი ათასი კაცის ჩუმად დაბრუნება ბარსელონაში სხვადასხვა საბაბით. თვით ფრონტის არაპირდაპირი საბოტაჟის მცდელობაც კი არ ყოფილა. ჩვეულებრივად გრძელდებოდა მომარაგება საკვებით, ტყვია-წამლითა და სხვა ყველაფრით. ეს მე მოგვიანებით შევამოწმე. დაგეგმილი აჯანყების მომზადებას, უწინარეს ყოვლისა, დასჭირდებოდა თვეები, ძირგამომთხრელი პროპაგანდა მილიციელთა რიგებში და ა.შ. მაგრამ არ ყოფილა ამის არავითარი ნიშანი ან ამაზე მიმნიშნებელი მითქმა-მოთქმა. დამაჯერებელი უნდა იყოს ფაქტი, რომ ფრონტზე მოქმედი მილიცია არავითარ როლს არ ასრულებდა «აჯანყებაში». მომპ-ს ნამდვილად რომ დაეპირებინა «გადატრიალების» მოხდენა, წარმოუდგენელია, არ გამოეყენებინა ათი ათასამდე შეიარაღებული კაცი – ერთადერთი ძალა, რომელიც მას ჰყავდა.

აქედან სავსებით ცხადი ხდება, რომ კომუნისტური თეზისი მომპ-ის «აჯანყებისა» ფაშისტური ბრძანებების საფუძველზე ეყრდნობა არაფერს და არაფერზე უფრო ნაკლებს. დავამატებ კიდევ რამდენიმე ამონარიდს კომუნისტური პრესიდან. ნათლისმომფენია კომუნისტური მონათხრობები თავდაპირველ ინციდენტთან – სატელეფონო კვანძის აღებასთან დაკავშირებით. ისინი ვერაფერში ვერ თანხმდებიან, გარდა იმისა, რომ ყველაფერი მეორე მხარეს დაბრალდეს. აღსანიშნავია, რომ ინგლისის კომუნისტურ გაზეთებში ბრალი ჯერ ანარქისტებს ედება და მხოლოდ მოგვიანებით – მომპ-ს. არსებობს ყოვლად გასაგები მიზეზი ამისთვის. ინგლისში ყველას არ ჰქონდა გაგონილი «ტროცკიზმი», ხოლო სიტყვაზე «ანარქისტი» ყველა ინგლისელს აცახცახებს. დე, ერთხელაც ცნობილი გახდეს,

რომ საქმეში «ანარქისტები» არიან ჩარეული, ამას ჯერ ცრუ შეხედულების ყოვლად სასურველი ატმოსფერო მოჰყვება, მერე ის, რომ ბრალდება უსაფრთხოდ გადაინაცვლებს «ტროცკისტებზე». «დეილი ვორკერი» ასე იწყებს (6 მაისის ნომერი):

«ანარქისტების პატარა ბანდა სატელეფონო კვანძში შეიჭრა და შეეცადა შეენარჩუნებინა სატელეფონო შენობები, საიდანაც მოჰყვა სროლას ქუჩებში».

როლების შენაცვლებით დაწყებას ვერაფერი შეედრება. ადგილობრივ რაზმებს იერიში მიაქვთ შენობაზე, სადაც შეკ-ის ხალხი მუშაობს. ესე იგი, შეკ-ია ის, ვინც უტევს საკუთარ შენობას ანუ, ფაქტობრივად, საკუთარ თავს. 11 მაისის «დეილი ვორკერი» აცხადებს:

«კატალონიის სახალხო უსაფრთხოების მინისტრმა, მემარცხენე აიგუადემ, და სახალხო წესრიგის გენერალურმა კომისარმა, სოციალისტმა როდრიკე სალასმა გაგზავნეს შეიარაღებული რესპუბლიკური პოლიცია სატელეფონო შენობაში და განაიარაღეს მისი თანამშრომლები, რომელთა უმრავლესობა შეკ-ის გაერთიანებათა წევრები არიან».

ეს მაინცდამაინც კარგად არ თანხვდება პირველ განაცხადს. ამის მიუხედავად, «დეილი ვორკერში» არ ჩნდება არავითარი აღიარება იმისა, რომ პირველი ინფორმაცია მცდარია. 11 მაისის «დეილი ვორკერი» წერს, რომ «დურუტის მეგობრების» პროკლამაციები, რომლებიც შეკ-მა უარყო, 4 და 5 მაისის შეტაკების დროს გავრცელდა. 22 მაისის «ინპრეკორის» მიხედვით, ეს ფურცლები 3 მაისს გამოჩნდა, შეტაკების წინ, და ამატებს, რომ «ამ ფაქტებიდან გამომდინარე» (ანუ სხვადასხვაგვარი ფურცლების გამოჩენიდან),

«პოლიციამ, რომელსაც თვით პოლიციის პრეფექტი მიუძღოდა, დაიკავა ცენტრალური სატელეფონო კვანძი 3 მაისის ნაშუადღევს. თავისი მოვალეობის შესრულებისას პოლიციას ესროლეს. ეს იყო სიგნალი პროვოკატორებისთვის, რომ მთელი ქალაქის ტერიტორიაზე ამტყდარიყო უწესრიგო სროლები».

აი, 29 მაისის «ინპრეკორიც»:

«ნაშუადღევის 3 საათზე სახალხო უსაფრთხოების კომისარი, ამხანაგი სალასი, წავიდა სატელეფონო კვანძში, რომელიც წინა ღამით დაიკავა მომპ-ის ორმოცდაათმა წევრმა და სხვადასხვა უკონტროლო ელემენტებმა».

ეს ვერსია უფრო განსაცვიფრებლად ჟღერს. სატელეფონო კვანძის დაკავებას მომპ-ის ორმოცდაათი წევრის მიერ შეიძლება დაერქვას ხატოვანი გარემოება, რომელიც აუცილებლად უნდა შეემჩნია ვიღაცას იმ მომენტში. არადა, ეს ამბავი მხოლოდ სამი თუ ოთხი კვირის შემდეგ გაირკვა. «ინპრეკორის» სხვა ნომერში მომპ-ის ორმოცდაათი წევრი მომპ-ის ორმოცდაათ მილიციელად გადაიქცა. ძნელია უფრო მეტი ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტის ერთად თავმოყრა, ვიდრე ამ რამდენიმე მოკლე

ფრაზაშია. ერთ მომენტში შეკ-ის ხალხი უტევს სატელეფონო კვანძს, მეორე დღეს თვითონვე უტევენ; პროკლამაცია ვრცელდება სატელეფონო კვანძის აღებამდე ან აღების შემდეგ, როგორც ამ პროცესის შედეგი; კვანძში მომუშავე ადამიანები ხან შეკ-ის წევრები არიან, ხან მომპ-ის, და ა.შ. «დეილი ვორკერის» თვით უფრო გვიანდელ ნომერშიც (3 ივნისი) მისტერ ჯ.რ.კემბელი გვაუწყებს: ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ დაიკავა სატელეფონო კვანძი, რომ იმ მომენტისთვის ბარიკადები უკვე აგებული იყო!

ფურცლების დაზოგვის მიზნით მე მხოლოდ ერთ ინციდენტთან დაკავშირებული ანგარიშები მოვიყვანე, თუმცა იმავე შეუსაბამობებითაა სავსე მთელი კომუნისტური პრესა. გარდა ამისა, გვხვდება წმინდა წყლის გამონაგონებიც. მაგალითად, 7 მაისის «დეილი ვორკერში» დაბეჭდილი ეს სიტყვები, რომლის ავტორია ესპანეთის საელჩო პარიზში:

«აჯანყების ნიშანდობლივი შტრიხია ბარსელონას მრავალ აივანზე გადმოკიდებული ძველი მონარქისტული დროშა – უდავო ნიშანი იმ რწმენისა, რომ აჯანყების მონაწილეები უკვე ფლობდნენ სიტუაციას».

ერთობ სავარაუდოა, რომ «დეილი ვორკერმა» ეს განაცხადი კეთილსინდისიერად გადაბეჭდა. აი, ისინი კი, ვინც პასუხისმგებელია მასზე ესპანეთის საელჩოში, უთუოდ შეგნებულად ცრუობდნენ. ნებისმიერი ესპანელი უკეთ მიხვდებოდა თავისი ქვეყნის შინაგან სიტუაციას. მონარქისტული დროშა ბარსელონაში! ეს იყო ერთი რამ, რაც შეურიგებელ ფრაქციებს გააერთიანებდა. თვით კომუნისტებიც კი გაიცინებდნენ, როცა ამას წაიკითხავდნენ. იგივე სურათია სხვადასხვა კომუნისტურ გაზეთში გამოქვეყნებულ მასალაში, რომელიც ეხება «აჯანყების» დროს მომპ-ის მიერ გამოყენებულ იარაღს. ეს ცნობები დამაჯერებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათ წამკითხველს არაფერი ეცოდინებოდა ფაქტებზე. 17 მაისის «დეილი ვორკერში» მისტერ ფრენკ პიტკერნი წერს:

«თავიანთ ძალმომრეობაში მათ ყველანაირი იარაღი გამოიყენეს, იარაღი, რომელსაც თვეების განმავლობაში იპარავდნენ და მალავდნენ; იქ იყო ტანკები, რომლებიც ყაზარმებიდან მოიპარეს აჯანყების დაწყებისას. ცხადია, უამრავი ტყვიამფრქვევი და ათასობით შაშხანა დღემდე მათ განკარგულებაშია».

29 მაისის «ინპრეკორი» აცხადებს:

«3 მაისისთვის მომპ-ს თავის განკარგულებაში ჰქონდა რამდენიმე დუჟინი ტყვიამფრქვევი და ათასობით შაშხანა... პლასა დ'ესპანიაზე ტროცკისტებმა აამოქმედეს არაგონის ფრონტისთვის განკუთვნილი 75-მილიმეტრიანი ქვემეხები, რომლებიც მილიციას საგულდაგულოდ დაემალა თავის შენობებში».

მისტერ პიტკერნი არ გვეუბნება, სახელდობრ როგორ და როდის გამოაშკარავდა, რომ მომპ-ს ათობით ტყვიამფრქვევი და ათასობით შაშხანა ჰქონდა. მე გამოვითვალე მომპ-ის სამ მთავარ შენობაში დაბინავებული იარაღი:

დაახლოებით ოთხმოცი შაშხანა, რამდენიმე ბომბი და არც ერთი ტყვიამფრქვევი, ანუ სამყოფი მხოლოდ შეიარაღებული დაცვისთვის, რომელიც იმხანად ყველა პოლიტიკურ პარტიას თავ-თავის შენობაში ჰქონდა. უცნაურია, რომ შემდგომში, როცა მომპ აკრძალეს და ყველა მისი შენობა დაიკავეს, ეს ათასობით იარაღი არავის უპოვია, განსაკუთრებით – ტანკები და ქვემეხები, ანუ ისეთი რამეები, რასაც ბუხარში ვერ დამალავ. ზემომოყვანილი ორი ციტატა ამხელს ადგილობრივი ვითარების აბსოლუტურ არცოდნას. მისტერ პიტკერნს თუ დავუჯერებთ, მომპ-მა ტანკები «ყაზარმებიდან» მოიპარა. ბარსელონაში მყოფი მილიციელები (შედარებით მცირერიცხოვანი მას შემდეგ, რაც პარტიის მილიციების

პირდაპირი მოწვევა შეწყდა) «ლენინურ ყაზარმებში» ცხოვრობდნენ საგრძნობლად უფრო მრავალრიცხოვანი სახალხო არმიის ჯარისკაცების გვერდით. ამიტომაც მისტერ პიტკერნი გვთხოვს დავიჯეროთ, რომ მომპ-მა ტანკები სახალხო არმიის წაქეზებით აწაპნა. იგივეა იმ «შენობებთან» დაკავშირებით, სადაც 75-მილიმეტრიანი ქვემეხები ჰქონდათ დამალული: არავითარი მინიშნება იმაზე, თუ სად მდებარეობდა ეს შენობები. პლასა დ’ესპანიაზე დადგმული ქვემეხები ბევრ საგაზეთო წერილში ფიგურირებს, თუმცა, ვფიქრობ, დარწმუნებით შეგიძლია ვთქვათ, რომ მათ არასოდეს უარსებიათ. როგორც ზემოთ ვახსენე, ერთხელაც არ გამიგონია არტილერიის სროლის ხმა მთელი შეტაკების განმავლობაში, თუმცა პლასა დ’ესპანიას სულ ერთი მილი მაშორებდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს მოედანი დავათვალიერე და ვერსად ვიპოვე ნაღმმოხვედრილი შენობა. თვითმხილველი, რომელიც ახლომახლო იმყოფებოდა, მთელი ბრძოლის მანძილზე, აცხადებს, რომ თვალითაც არ უნახავს ქვემეხი (მოპარული ქვემეხების ამბავი შეიძლება მოდიოდეს რუსი კონსულ-გენერლის, ანტონოვ-ოვსეენკოსგან. ასეა თუ ისე, მან ეს ისტორია უამბო ცნობილ ინგლისელ ჟურნალისტს, რომელმაც ის კეთილსინდისიერად გაიმეორა ყოველკვირეულ გაზეთში. მას შემდეგ ანტონოვ-ოვსეენკო «წმენდაში» მოყვა. არ ვიცი, რამდენად უფრო სანდოდ

წარმოაჩენს ეს ფაქტი გენერალს). სიმართლე კი, რაღა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს ზღაპრები ტანკებზე, ქვემეხებზე და სხვა ამდაგვარზე მხოლოდ იმ მიზნით შეითხზა, რომ სხვაგვარად რთული იყო ბარსელონას ომის მასშტაბის შეთავსება მცირერიცხოვან მომპ-თან. აუცილებელი იყო იმის გამოცხადება, რომ ამ ბრძოლის მთელი პასუხისმგებლობა მომპ-ს ეკისრებოდა, ისევე, როგორც იმის, რომ მომპ იყო უმნიშვნელო პარტია, რომელსაც მიმდევრები არ ჰყავდა და რომელიც, «ინპრეკორის» მიხედვით, «სულ რამდენიმე ათას წევრს» ითვლიდა. ერთადერთი იმედი, რომ ორივე განაცხადი სიმართლეს შეეფერებოდა, ის იყო, რომ მომპ ფლობდა თანამედროვე მექანიზებული არმიის ყველა ზემოჩამოთვლილ იარაღს.

შეუძლებელია კომუნისტური პრესის კითხვა იმის მიუხვედრელად, რომ ისინი შეგნებულად მიმართავდნენ ფაქტების არმცოდნე პუბლიკას და სხვა არაფერი

ამოძრავებდათ, გარდა იმისა, რომ ამ უკანასკნელს მცდარი შეხედულებები შექმნოდა. აქედან მოდის, მაგალითად, ისეთი განაცხადები, როგორიცაა მისტერ პიტკერნის წერილი 11 მაისის «დეილი ვორკერში», რომლის მიხედვითაც თურმე «აჯანყება» სახალხო არმიას ჩაუხშვია. ამაში ის აზრი დევს, რომ მთელი კატალონია

ერთსულოვნად აღუდგა «ტროცკიზმს». არადა, სახალხო არმია მთელი ამ ბრძოლის მანძილზე ნეიტრალური რჩებოდა. ეს ყველამ იცოდა ბარსელონაში და ძნელი დასაჯერებელია, რომ მისტერ პიტკერნსაც არ სცოდნოდა. ასევე მახინჯდებოდა კომუნისტურ პრესაში დახოცილთა და დაჭრილთა მაჩვენებლები შეტაკების მასშტაბის შეძლებისამებრ დიდად წარმოჩენის მიზნით. დიასმა – ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რომლის სიტყვებსაც ხშირად ციტირებდა კომუნისტური პრესა – დაასახელა რიცხვები: 900 მოკლული და 2500 დაჭრილი, ხოლო კატალონიელმა პროპაგანდის მინისტრმა, რომელსაც არაფერი დააკლდებოდა ანგარიშში, სხვა რიცხვები თქვა: 400 მოკლული და 1000 დაჭრილი. კომუნისტური პარტია რიცხვებს აორმაგებს და კიდევ რამდენიმე ასეულს ამატებს.

საერთოდ, უცხოეთის კაპიტალისტური პრესა ბარსელონას ომს ანარქისტებს აბრალებდა. თუმცა ვიღაც-ვიღაცები იქაც კომუნისტურ ხაზს მიჰყვებოდნენ. ერთ-ერთი იყო ინგლისური «ნიუ ქრონიკლი», რომლის კორესპონდენტი, მისტერ ჯონ ლანგდონ-დეივისი, იმხანად ბარსელონაში იმყოფებოდა. მომყავს ამონარიდები მისი სტატიიდან:

ტროცკისტული აჯანყება

«... ეს არ იყო ანარქისტების ამბოხება. ესაა ჩაშლილი პუტჩი ტროცკისტული მომპ-ისა, რომელიც მის მიერ გაკონტროლებული ორგანიზაციების – «დურუტის მეგობრების» და «თავისუფლებისთვის მებრძოლი ახალგაზრდობის» მეშვეობით მოქმედებდა... ტრაგედია დაიწყო ორშაბათ ნაშუადღევს, როცა მთავრობამ შეიარაღებული პოლიცია გაგზავნა სატელეფონო კვანძში და განაიარაღა იქაური მუშები, ძირითადად – შეკ-ის ხალხი. სერიოზული ჩავარდნები სატელეფონო სამსახურში ერთხანს სკანდალად იქცა. პლასა დე კატალუნიაზე დიდძალი ხალხი შეგროვდა მაშინ, როდესაც შეკ-ის წევრები სართულ-სართულ იხევდნენ უკან, შენობის სახურავისკენ... ძალზე ბნელი ინციდენტი იყო, თუმცა ხმა დაირხა, რომ მთავრობა ანარქისტებს დაუპირისპირდა. ქუჩები შეიარაღებული კაცებით გაივსო... შეღამებისთვის, ყველა მუშათა ცენტრი და სამთავრობო შენობა ბარიკადებით ჩაიხერგა, ღამის ათ საათზე კი ტყვიების პირველი თავსხმა წამოვიდა და პირველი სასწრაფო დახმარების მანქანებიც აწივლდნენ. გათენებისთვის, მთელი ბარსელონა ცეცხლში გახვეულიყო... დღის სვლასთან ერთად, როცა დახოცილთა რიცხვმა ასს გადააჭარბა, უკვე შეიძლებოდა გამოცნობა, თუ რა ხდებოდა

. შეკ-ის ანარქისტები და მსკ-ს სოციალისტები «ქუჩაში» არ იყვნენ, არამედ ბარიკადების უკან რჩებოდნენ გაფაციცებულ მოლოდინში. ეს პოზიცია გულისხმობდა აგრეთვე სროლას შუა ქუჩაში გამოჩენილი ნებისმიერი შეიარაღებული ელემენტისთვის... საერთო აფეთქებები განუწყვეტლივ მძიმდებოდა paco-ებით – დამალული მარტოკაცებით, რომლებიც – ძირითადად ფაშისტები – სახურავებიდან ისროდნენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ შეძლებისამებრ ემატა საყოველთაო პანიკას... ოთხშაბათ საღამოსთვის, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა კონტურები, თუ ვინ იდგა ამ აჯანყების უკან. ყველა კედელზე გაეკრათ ამგზნები პლაკატები, რომლებიც მოუწოდებდნენ გადაუდებელი რევოლუციისა და რესპუბლიკელ თუ სოციალისტ ლიდერთა ლიკვიდირებისკენ. ასეთ პლაკატებს ხელს აწერდნენ «დურუტის მეგობრები». ხუთშაბათ დილით ანარქისტების ყოველდღიურმა გაზეთმა უარყო ამ მოწოდების ცოდნაც და რაიმე თანაგრძნობაც მის მიმართ, ხოლო «ლა ბატალამ», მომპ-ის გაზეთმა, ეს მიმართვა უდიდესი ხოტბით გადაბეჭდა. ამ ძირგამომთხრელი ორგანიზაციის გამოყენებით, პროვოკატორმა აგენტებმა სისხლში დაალტვეს ბარსელონა – ესპანეთის უპირველესი ქალაქი».

ეს ვერსია მთლიანად არ თანხვდება ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ კომუნისტურ ვერსიებს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს, თვით მასშივეა წინააღმდეგობა. თავიდან ეს ომი აღწერილია, როგორც «ტროცკისტული აჯანყება», შემდეგ ნაჩვენებია, რომ ტალღა ააგორა თავდასხმამ სატელეფონო კვანძზე, და გამოთქმულია საერთო რწმენა, რომ ხელისუფლებამ «გაილაშქრა» ანარქისტების წინააღმდეგ. ქალაქი ბარიკადებშია, რომელთა უკან შეკ-ის და მსკ-ის ხალხი დგას. ორი დღის შემდეგ ჩნდება ამგზნები პლაკატი (არსებითად – ფურცელი), რომელიც იქცა ყველაფრის დაწყების არაპირდაპირ მიზეზად, ანუ შედეგმა წინ გაუსწრო მიზეზს. მაგრამ აქ საქმე გვაქვს ძალზე სერიოზულ აღრევასთან: მისტერ ლანგდონ-დეივისი აღგვიწერს «დურუტის მეგობრებსა» და «თავისუფლების მოყვარე ახალგაზრდობას», როგორც მომპ-ის მიერ «გაკონტროლებულ ორგანიზაციებს». თუმცა ერთიცა და მეორეც ანარქისტული ორგანიზაცია იყო და არაფერი ჰქონდა საერთო მომპ-თან. მათგან მეორე წარმოადგენდა ანარქისტების ახალგაზრდულ ლიგას, ხოლო პირველი – «დურუტის მეგობრები» – პატარა დაჯგუფებას იაფ-ის შიგნით, ჩვეულებრივ – მომპ-ის დაუძინებელ მტერს. რამდენადაც გამოვიკვლიე, არ არსებულა კაცი, რომელიც ერთდროულად ორივეს წევრი ყოფილიყოს. თითქმის ასეთივე სიმართლე იქნება იმის თქმა, რომ

სოციალისტური ლიგა ინგლისური ლიბერალური პარტიის მიერ «გაკონტროლებული ორგანიზაციაა». ნუთუ მისტერ ლანგდონ-დეივისმა ეს არ იცოდა? თუ არ იცოდა, მაშინ უფრო ფრთხილად უნდა ეწერა ამ ურთულეს თემაზე. მე მის კეთილსინდისიერებას არ ვუტევ, მაგრამ ცნობილია, რომ ამ კაცმა ბარსელონა ომის დამთავრებისთანავე დატოვა, ანუ მაშინ, როცა სერიოზული გამოკვლევის დაწყება შეეძლო. მისტერ ლანგდონ-დეივისის წერილში ნათლად ჩანს, რომ მას საკმარისი შემოწმების გარეშე მიუღია «ტროცკისტული

ამბოხების» ოფიციალური ვერსია. ეს აშკარად ჩანს თვით ჩემ მიერ ციტირებულ ამონარიდშიც. «შეღამებისთვის» ბარიკადები უკვე იდგა, ხოლო «ათი საათისთვის» ტყვიების პირველმა თავსხმამ იხუვლა. ეს სიტყვები თვითმხილველს არ ეკუთვნის. აქედან დაასკვნი, რომ თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, ელოდო, როდის ააგებს შენი მტერი ბარიკადებს, და მერეღა დაუწყო სროლა. შთაბეჭდილება რჩება, რომ საათებმა განვლო ბარიკადების აგებასა და ტყვიების თავსხმის დაწყებას შორის. არადა, ბუნებრივია, ყველაფერი პირიქით მოხდა. მეც და მრავალი სხვაც შევესწარით, როგორ ატყდა სროლა ნაშუადღევს. აქაც გვხვდებიან მარტოხელა კაცები, ჩვეულებრივ – ფაშისტები, რომლებიც სახურავებიდან ისვრიან. მისტერ ლანგდონ-დეივისი არ გვიხსნის, საიდან იცის, რომ ის მსროლელები ფაშისტები იყვნენ. სავარაუდოა, რომ

სახურავებზე არ ადიოდა და არ ეკითხებოდა. უბრალოდ, იმეორებს, რაც უთხრეს და, როგორც ოფიციალურ ვერსიას შეჰფერის, კითხვას აღარ სვამს. თავისი წერილის დასაწყისში, იგი გაუფრთხილებლად მიუთითებს პროპაგანდის მინისტრზე – თავის ერთ-ერთ საინფორმაციო წყაროზე. ესპანეთში მოქმედი უცხოელი ჟურნალისტები უმწეოდ ეკიდნენ პროპაგანდის სამინისტროს წყალობაზე, თუმცა თითქოსდა ამ დაწესებულების თვით სახელიც კი საკმარისი უნდა ყოფილიყო ადამიანის გასაფრთხილებლად. პროპაგანდის მინისტრი, რათა თქმა უნდა, ისევე განწყობილი იყო ობიექტური სურათის მოსაცემად, როგორც, ვთქვათ, ლორდ კარსონი მოიწადინებდა დუბლინის 1916 წლის აჯანყების ობიექტური სურათის მოცემას.

მე დავასახელე მიზეზები, რომელთა გამოც ბარსელონას ომის კომუნისტურ ვერსიას სერიოზულად ვერ მივიღებთ. ამას დავუმატებ მთავარ ბრალდებას: რომ მომპ წარმოადგენდა ფრანკოსა და ჰიტლერის დაქირავებულ საიდუმლო ორგანიზაციას. ეს ბრალდება კიდევ და კიდევ მეორდებოდა კომუნისტურ პრესაში, განსაკუთრებით – 1937 წლიდან. ეს იყო ოფიციალური კომუნისტური პარტიის მსოფლიო სტრატეგია «ტროცკიზმის» წინააღმდეგ, რომელსაც ესპანეთში მომპ წარმოადგენდა. ვალენსიური

კომუნისტური გაზეთის, «ფრენტე როხოს» მიხედვით: «ტროცკიზმი არ არის პოლიტიკური დოქტრინა, არამედ ოფიციალური კაპიტალისტური ორგანიზაცია, ფაშისტურ-ტერორისტული ბანდა, რომელიც დანაშაულს სჩადის და ხალხის საწინააღმდეგო საბოტაჟს ეწევა. შესაბამისად, მომპ-იც ფაშისტებთან შეკრული «ტროცკისტული» ორგანიზაცია იყო და ფრანკოს «მეხუთე კოლონის» ნაწილი. იმთავითვე ჩანდა, რომ ასეთი ბრალდება არაფრით დასტურდებოდა. მას მხოლოდ ავტორიტეტული იერით ამტკიცებდნენ. იერიში ხორციელდებოდა პიროვნების მაქსიმალური ცილისწამების მეშვეობით და სრული უპასუხისმგებლობით, თუ რა ზემოქმედება შეიძლებოდა მოეხდინა ამ ცილისწამებას ომის მსვლელობაზე. მომპ-ისთვის ბრალის დადებასთან შედარებით, ბევრი კომუნისტი მწერალი სამხედრო საიდუმლოებათა გაცემას, როგორც ჩანს, უმნიშვნელო ამბად მიიჩნევს. მაგალითად, «დეილი ვორკერის»

თებერვლის ნომერში, მწერალს (უინიფრედ ბეიტსს) უფლება ეძლევა განაცხადოს: რეალურად, მომპ-ს იმის ნახევარი რაოდენობის ჯარები ჰყავდა ფრონტზე გაგზავნილი, ვიდრე იჩემებდაო. ეს ასე არ იყო, მაგრამ სავარაუდოა, რომ მწერალს თვითონვე სწამდა თავისი ნათქვამი. ამიტომაც მას და «დეილი ვორკერს» მთელი გულით სურდათ გადაეცათ მტრისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გადაიცეს გაზეთის სვეტების მეშვეობით. «ნიუ რიპაბლიკში», მისტერ რალფ ბეიტსი აცხადებს, რომ მომპ-ის ჯარები «ფეხბურთს ეთამაშებოდნენ ფაშისტებს ნეიტრალურ ტერიტორიებზე». სინამდვილეში, იმხანად მომპ-ელები მძიმე დანაკლისს განიცდიდნენ. არაერთი ჩემი მეგობარი მოკვდა ან დაიჭრა. კიდევ ერთმა ღვარძლიანმა კარიკატურამ შემოუარა ჯერ მადრიდს, მერე ბარსელონას: მომპ-ის წარმომადგენელი ნამგლითა და უროთი აღბეჭდილ ნიღაბს იხსნის და სვასტიკიან სახეს აჩენს. ესპანეთის ხელისუფლება პრაქტიკულად კომუნისტების კონტროლქვეშ რომ არ ყოფილიყო, არასოდეს დაუშვებდა ამგვარი რამის გავრცელებას ომიანობის დროს. ეს იყო სრულებით გამიზნული დარტყმა არა მხოლოდ მომპ-ის მილიციის მორალზე, არამედ ყველა სხვის, ვინც მასთან ახლოს აღმოჩნდა. რადგან არცთუ გამამხნევებელია, როცა გეუბნებიან: ფრონტზე შენ გვერდით მოქმედი ჯარები მოღალატეები არიანო. ისე კი, ვეჭვობ, ზურგიდან მოსულ ლანძღვას რეალურად გამოეწვია მომპ-ის მილიციის დემორალიზება. მაგრამ ჩანაფიქრი სწორედ ასეთი იყო და მას, ვინც პასუხისმგებელია ამაზე, უთუოდ უნდა მოეკითხოს პოლიტიკური ღვარძლის გადმონთხევა ანტიფაშისტური გაერთიანების წინაშე.

მომპ-ს ბრალდებოდა შემდეგი: რამდენიმე ათასი კაცი, თითქმის მთლიანად მუშათა კლასი, მათთან ერთად კი – არაერთი უცხოელი ხელისშემწყობი და თანამგრძნობელი, არც მეტი, არც ნაკლები, ფაშისტების დაქირავებულ ვეებერთელა ჯაშუშურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ასეთი რამ, უბრალოდ, საღ აზრს ეწინააღმდეგებოდა და მომპ-ის წარსულშიც იყო რაღაც-რაღაცები, რაც ამგვარ ბრალდებას არასარწმუნოს ხდიდა. მომპ-ის ყველა ლიდერს რევოლუციური წარსული ჰქონდა. ზოგი მათგანი 1934 წლის ამბოხში იყო ჩარეული, მათი უმრავლესობა კი სოციალისტური აქტივობისთვის დააპატიმრეს ლერუს მთავრობისა თუ მონარქიის პერიოდებში. 1936 წელს ხუაკინ მაურინი იყო ერთ-ერთი დეპუტატი, რომელმაც პარლამენტი გააფრთხილა ფრანკოს მოსალოდნელი ბუნტის წინააღმდეგ. ომის დაწყებიდან გარკვეული ხნის შემდეგ ფაშისტებმა იგი ტყვედ აიყვანეს იმ დროს, როცა ცდილობდა ფრანკოს ზურგში წინააღმდეგობის მოძრაობის წამოწყებას. როდესაც ბუნტი დაიწყო, მომპ-მა თვალში საცემი როლი ითამაშა მასთან დაპირისპირებაში, განსაკუთრებით – მადრიდში. არა ერთი და ორი მომპ-ელი დაიღუპა ქუჩის შეტაკებებში. მომპ-ია ერთ-ერთი პირველთაგანი, ვისგანაც მილიციები შეიქმნა კატალონიასა და მადრიდში. თითქმის შეუძლებელია ამ მოქმედებათა ახსნა, თუკი პარტია ფაშისტების დაფინანსებით

მოქმედებდა. ასეთი პარტია, უბრალოდ, შეუერთდებოდა ფაშისტებს და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი.

არც ომის დროს არ ყოფილა პროფაშისტური მოქმედების რაიმე ნიშანი. საკამათოა (თუმცა, საბოლოოდ, არ ვიზიარებ ამას): ხომ არ შეუწყო ხელი მთავრობის გახლეჩას (და მით ხელი შეაშველა ფაშისტებს) მომპ-ის დაჟინებამ – გატარებულიყო უფრო რევოლუციური პოლიტიკა. ვფიქრობ, რეფორმისტული ტიპის არც ერთ მთავრობას არ გაემტყუნებოდა უსიამოვნების დანახვა მომპ-ისნაირ პარტიაში. მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო პირდაპირ ღალატთან. ვერანაირად ვერ ავხსნით, რატომ რჩებოდა მისი მილიცია ერთგული, თუ თვითონ მომპ ფაშისტებთან თანამშრომლობდა. რვა თუ ათი ათასი კაცი გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა ფრონტის მნიშვნელოვან მონაკვეთებში 1936-37 წლებში. ბევრი მათგანი სანგრებში აღამ-ათენებდა ოთხ-ხუთ თვეს ზედიზედ. ძნელი გასაგებია, რატომ არ გადავიდნენ პირდაპირ მტრის მხარეს. ეს მათ ყოველთვის შეეძლოთ და, ზოგ მომენტში, ამ დემარშის შედეგი გადამწყვეტიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას, ცოტა ხნის შემდეგ კი, როდესაც მომპ აიკრძალა როგორც პოლიტიკური პარტია, ყველას ნათლად ახსოვდა,

რომ მისმა მილიციამ – ჯერაც არგადანაწილებულმა სახალხო არმიაში – მონაწილეობა მიიღო სისხლისმღვრელ შეტაკებაში ჰუესკას აღმოსავლეთით. ამ ბრძოლამ რამდენიმე ათასი კაცი იმსხვერპლა ერთ თუ ორ დღეში. სხვა რომ არაფერი, მტერთან დაძმობილებას და დეზერტირების უწყვეტ ნაკადს მაინც უნდა შევსწრებოდით. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, დეზერტირების რიცხვი უკიდურესად მცირე იყო. ვთქვათ კიდევ ერთხელ: მოსალოდნელი იყო პროფაშისტური პროპაგანდა, «დეფეტიზმი» და ა.შ. მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა. უთუოდ უნდა ეარსებათ მომპ-ში ფაშისტ ჯაშუშებსა და პროვოკატორ აგენტებს. ისინი ყველა მემარცხენე პარტიაში არიან. მაგრამ არაფერი ამხელს, რომ მომპ-ში ისინი უფრო ბევრნი იყვნენ, ვიდრე სადმე სხვაგან.

ისიც სიმართლეა, რომ კომუნისტური პრესის რომელიღაც მოიერიშეს უთქვამს: მხოლოდ მომპ-ის ლიდერები არიან ფაშისტებთან შეკრული, არა მათი რიგითი ჯარისკაცებიცო. მაგრამ ეს მხოლოდ იმის მცდელობა იყო, რომ რიგითები ხელმძღვანელებისგან მოეწყვიტათ. თავისი ხასიათით, ბრალდება გულისხმობდა, რომ ჩვეულებრივი წევრები, მილიციელები და ყველა დანარჩენი ერთობლივად იყო

შეთქმული. რადგან, რაღა თქმა უნდა, რომ ნინი, გორკინი და ყველა დანარჩენი ნამდვილად ფაშისტების დაქირავებულები იყვნენ და ეს, სავარაუდოდ, მათთან კონტაქტში მყოფ მათსავე მიმდევრებს უფრო უნდა სცოდნოდათ, ვიდრე ლონდონელ, პარიზელ თუ ნიუიორკელ ჟურნალისტებს. ასე იყო თუ ისე, როცა მომპ აიკრძალა, კომუნისტების მიერ გაკონტროლებული საიდუმლო პოლიცია იმ ვარაუდით ამოქმედდა, რომ ყველა ერთნაირად დამნაშავე იყო და ამიტომაც აპატიმრებდა ნებისმიერს, ვინც კი მომპ-ს გაჰკარებოდა, თვით დაჭრილების,

ლაზარეთის ექთნების, მომპ-ის წევრების ცოლებისა და, ზოგ შემთხვევაში, შვილების ჩათვლით.

ბოლოს, 15-16 ივნისს, მომპ აკრძალეს და არალეგალურ ორგანიზაციად გამოაცხადეს. ეს იყო ერთ-ერთი უპირველესი აქტი, რაც მაისში მოსულმა ნეგრინის ხელისუფლებამ განახორციელა. როდესაც მომპ-ის აღმასრულებელი კომიტეტი ციხეში ჩასვეს, კომუნისტურმა პრესამ გამოაქვეყნა ის, რისი მიზანიც იყო ვეებერთელა ფაშისტური შეთქმულების გახსნა. ერთხანს მთელი მსოფლიოს კომუნისტური პრესა ამნაირი რაღაცებით გიზგიზებდა (21 ივნისის «დეილი ვორკერი», რომელიც აჯამებს სხვადასხვა კომუნისტურ გაზეთს):

ესპანელი ტროცკისტების შეთქმულება ფრანკოსთან

«მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს მრავალი ხელმძღვანელი ტროცკისტი ბარსელონაშიც და სხვაგანაც... კვირის ბოლოსთვის ცნობილი გახდა ომის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საზარელი შპიონაჟის დეტალები, ტროცკისტული ღალატის ყოვლად ამაზრზენი გამოვლინება... პოლიციის ხელთ არსებული დოკუმენტები და არანაკლებ 200 კაცის სრული აღსარება ამტკიცებს, რომ... და ა.შ. და ა.შ.»

ამ «გამოაშკარავებამ» «დაამტკიცა», რომ მომპ-ის ლიდერები რადიოს მეშვეობით გადასცემდნენ გენერალ ფრანკოს სამხედრო საიდუმლოებებს, შეხებაში იყვნენ ბერლინთან და თანამშრომლობდნენ მადრიდში არსებულ საიდუმლო ფაშისტურ ორგანიზაციასთან. გარდა ამისა, გამჟღავნდა სენსაციური დეტალები: უხილავი მელნით ნაწერი ბარათები, იდუმალი დოკუმენტი, რომელსაც მოწერილი ჰქონდა ასო N (რაც ნიშნავდა «ნინ»-ს) და ა.შ.

თუმცა დამაგვირგვინებელი დასკვნა ასეთია: ახლა, როდესაც ამას ვწერ, ანუ იმ

ამბებიდან ექვსი თვის შემდეგ, მომპ-ის ლიდერების უმრავლესობა ისევ ციხეშია, თუმცა არასოდეს გაუსამართლებიათ და ფრანკოსთან კავშირის ბრალდებებიც არასოდეს ფორმულირებულა ოფიციალურად. ნამდვილი ჯაშუშები რომ ყოფილიყვნენ, სასწრაფოდ გაასამართლებდნენ და ერთ კვირაში დახვრეტდნენ, როგორც უამრავი ფაშისტი ჯაშუში დახვრიტეს. მაგრამ არასოდეს არანაირი სამხილი არ მოძებნილა, კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებული უსაფუძვლო განაცხადების გარდა. რაც შეეხება ორ ასეულ «სრულ აღსარებას», რომლებზეც მას შემდეგ არავის აღარაფერი სმენია, – ასეთებს მართლა რომ ეარსება, სრულებით საკმარისი იქნებოდა ყველას დასარწმუნებლად. რეალურად, ეს იყო ვიღაცის წარმოსახვის ორასი ძალისხმევა.

მეტიც: ესპანეთის მთავრობის უდიდესმა ნაწილმა უარყო ყოველგვარი რწმენა მომპ-ის ბრალეულობაში. ამას წინათ, შეფარდებით ხუთი ორზე, მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა, გაეთავისუფლებინა ანტიფაშისტი პოლიტიკური პატიმრები. ის ორნი, ვინც არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას, კომუნისტი

მინისტრები იყვნენ. აგვისტოში საერთაშორისო დელეგაცია პარლამენტარ ჯეიმს მაქსტონის მეთაურობით

ჩავიდა ესპანეთში მომპ-ის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებათა გადასასინჯად და ანდრეს ნინის გაუჩინარების გამოსარკვევად. პრიეტომ – სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა, ირუხომ – იუსტიციის მინისტრმა, სუგასაგოიტიამ – შინაგან საქმეთა მინისტრმა, ორტეგა ი გასეტმა – გენერალურმა პროკურორმა, პრატ გარსიამ და სხვებმა – ყველამ უკუაგდო რამენაირი ეჭვი მომპ-ის ლიდერთა შესაძლებელ ჯაშუშობაში. ირუხომ ისიც დაამატა: ამ საქმის დოსიე გადავსინჯე და ვერც ერთი ეგრეთ წოდებული «სამხილი» ვერ გაუძლებს გადამოწმებას, ხოლო ვითომდა ნინის ხელმოწერილი დოკუმენტი «ღირებულებას მოკლებულია» ანუ შეთითხნილიაო. პრიეტოს აზრით, მომპ-ის ლიდერები პასუხისმგებლები იყვნენ მაისში ამტყდარი ბარსელონას ომისთვის, მაგრამ გამორიცხული იყო მათი ყოფნა ფაშისტების დაქვემდებარებაში. «ყველაზე დამამძიმებელი ისაა, რომ მომპ-ის ლიდერების დაპატიმრება მთავრობის ნამოქმედარი არ არის, ამას პოლიცია თავისი ინიციატივით ახორციელებდა. და თვით ისინიც – პასუხისმგებლები – არიან არა პოლიციის შეფები, არამედ კომუნისტებისგან შემოჟონილი მათი ანტურაჟი, ამ უკანასკნელისთვის ნიშნეული მოქმედების მანერით», დაუმატა ირუხომ. შემდეგ ჩამოთვალა პოლიციის მიერ განხორციელებული სხვა უკანონო დაპატიმრებები, განაცხადა, რომ პოლიცია ვითომც «დამოუკიდებელი»

გახდა, სინამდვილეში კი უცხოელი კომუნისტური ელემენტები აკონტროლებენ. პრიეტომ სავსებით გასაგებად მიანიშნა დელეგაციას: ხელისუფლება ვერ აწყენინებს კომუნისტურ პარტიას, სანამ რუსები იარაღს გვაძლევენო.

დეკემბერში, როცა ესპანეთში მეორე დელეგაცია ჩავიდა პარლამენტარ ჯონ მაკგოვერნის მეთაურობით, თითქმის იგივე პასუხები მიიღო. სუგასაგოიტიამ – შინაგან საქმეთა მინისტრმა – კიდევ უფრო ნათლად გაიმეორა პრიეტოს მინიშნება: «ჩვენ დახმარება მივიღეთ რუსეთიდან და იძულებული ვიყავით, ნება მიგვეცა, ჩაეტარებინათ ჩვენთვის არცთუ მოსაწონი აქტები». პოლიციის ავტონომიის საილუსტრაციოდ, საინტერესოა იმის გაგონება, რომ თვით ციხეების დირექტორისა და იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიუხედავად, მაკგოვერნსა და სხვებს არ დართეს ნება, მოენახულებინათ ბარსელონაში კომუნისტების მიერ კონტროლირებული ერთ-ერთი «საიდუმლო ციხე».

ვფიქრობ, სრულებით საკმარისია ყველაფრის გასაცხადებლად. მომპ-ისთვის ჯაშუშობის დაბრალება ეფუძნებოდა მხოლოდ კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებულ

წერილებს და კომუნისტების დაქვემდებარებაში მყოფი საიდუმლო პოლიციის აქტივობებს. მომპ-ის ლიდერები და ასობით თუ ათასობით მისი მიმდევრები

დღემდე ციხეში სხედან, ექვსი განვლილი თვე კი კომუნისტური პრესა გაჰყვირის, «მოღალატეები» უნდა დაისაჯონო. მაგრამ ნეგრინმა და სხვებმა სიმშვიდე შეინარჩუნეს და უარი თქვეს «ტროცკისტების» მასობრივ ჟლეტაზე. თუ გავითვალისწინებთ მათზე განხორციელებულ დაწოლას, ასეთი ქცევა ერთობ სასახელოდ უნდა ჩაეთვალოთ. ამასობაში, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ძალიან ძნელდება იმის დაჯერება, რომ მომპ ნამდვილად ფაშისტური ორგანიზაცია იყო, თუ, რაღა თქმა უნდა, არ გვჯერა, რომ თვით მაქსტონი, მაკგოვერნი, პრიეტო, ირუხო, სუგასაგოიტია და სხვებიც – ფაშისტების მიერ მოსყიდული ხალხია.

დაბოლოს, რაც შეეხება მომპ-ისთვის ბრალად დადებულ «ტროცკისტობას». ამ ცნებას სულ უფრო და უფრო თავისუფლად აფრიალებენ ისე, რომ უკიდურესად დამაბნეველია და, ხშირად, განზრახაც არის გათვლილი ადამიანის დაბნევაზე. ამიტომაც ღირს შეჩერება და ამ ცნების განსაზღვრა. სიტყვაში «ტროცკისტი» გულისხმობენ სამ სხვადასხვა რამეს:

ა) იმას, ვინც – ტროცკის მსგავსად – ემხრობა «მსოფლიო რევოლუციის» ფენომენს «ერთადერთ ქვეყანაში დამყარებული სოციალიზმის» საწინააღმდეგოდ; ანუ – უფრო თავისუფლად – რევოლუციურ ექსტრემისტს;

ბ) წევრს რეალური ორგანიზაციისა, რომლის ხელმძღვანელია ტროცკი;

გ) შენიღბულ ფაშისტს, რომელიც თავს რევოლუციონერად ასაღებს, საბოტაჟს ეწევა განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში, საერთოდ კი, ხლეჩს და ძირს უთხრის მემარცხენე ძალებს.

ა) მომპ-ს ალბათ ისევე შეიძლებოდა დარქმეოდა ტროცკისტული ორგანიზაცია, როგორც ინგლისურ დლპ-ს, გერმანულ სმპ[39]-ს, ფრანგ მემარცხენე სოციალისტებს და ა.შ. მაგრამ მომპ-ს არაფერი აკავშირებდა ტროცკისთან ან ტროცკისტების («ბოლშევიკურ-ლენინურ») ორგანიზაციასთან. როდესაც ომი დაიწყო, ესპანეთში ჩამოსული თხუთმეტი-ოცი უცხოელი ტროცკისტი თავდაპირველად მუშაობდა მომპ-ისთვის, როგორც იმ პარტიისთვის, რომელიც ყველაზე ახლოს იდგა მათ

მსოფლხედვასთან. თუმცა არასოდეს გამხდარან ამ პარტიის წევრები. მოგვიანებით ტროცკიმ თავის მიმდევრებს უბრძანა, შეეტიათ მომპ-ის პოლიტიკისთვის, რის შემდეგაც ამ უკანასკნელის კაბინეტები გაიწმინდა ტროცკისტებისგან, მხოლოდ ცოტაოდენი დარჩა მილიციაში. ნინი – მომპ-ის ხელმძღვანელი მას შემდეგ, რაც მაურინი ფაშისტებმა დააპატიმრეს – ერთ დროს ტროცკის მდივანი იყო. თუმცა რამდენიმე წლის წინ წამოვიდა მისგან და ძველი პარტიისა (მუშათა და გლეხთა ბლოკი) და ოპოზიციონერი კომუნისტების შერევით ჩამოაყალიბა მომპ. ნინის უწინდელი ურთიერთობა ტროცკისთან კომუნისტურმა პრესამ იმის საჩვენებლად გამოიყენა, რომ მომპ ნამდვილად ტროცკისტული პარტია იყო. ასეთივე «ლოგიკით» შეიძლება დამტკიცდეს, რომ ინგლისის კომუნისტური პარტია ნამდვილად ფაშისტური ორგანიზაციაა,

რაკიღა მისტერ ჯონ სტრაჩერი ოდესღაც ურთიერთობდა სერ ოსვალდ მოსლისთან.

ბ) ერთადერთი ზუსტი განსაზღვრებით – მომპ აშკარად არ იყო ტროცკისტული გაერთიანება. მნიშვნელოვანია ამ განსხვავების ხაზგასმა, რადგან კომუნისტების უმრავლესობაში თავისთავად ცხად ამბად მიიჩნევა, რომ ბ ტროცკისტი ზუსტად

იგივეა, რაც ტროცკისტი გ, ანუ მთელი ტროცკისტული ორგანიზაცია, უბრალოდ, ფაშისტურ-ჯაშუშური მექანიზმია. «ტროცკიზმი» საზოგადოების ყურადღების ცენტრში მხოლოდ რუსული სასამართლო პროცესების შემდეგ მოექცა და, პრაქტიკულად, ადამიანის სახელდება «ტროცკისტად» გაუთანაბრდა მის მონათვლას მკვლელად, პროვოკატორ აგენტად და ა.შ. თუმცა, ამავე დროს, ნებისმიერი, ვინც აკრიტიკებს მემარცხენე კომუნისტურ პოლიტიკას, ექვემდებარება დასმენას, როგორც ტროცკისტი. მაშ, ნუთუ დამტკიცებულია, რომ ყველა, ვინც აღიარებს რევოლუციურ ექსტრემიზმს, ფაშისტების მოსყიდულია? ან არის, ან არ არის, – სიტუაციისდა მიხედვით. როცა მაქსტონი ესპანეთში ჩავიდა დელეგაციასთან ერთად, «ვერდადმა», «ფრენტე როხომ» და სხვა ესპანურმა კომუნისტურმა გაზეთებმა მეყსეულად მონათლეს იგი «ტროცკისტ-ფაშისტად», გესტაპოს ჯაშუშად და ა.შ. თუმცა ინგლისელმა კომუნისტებმა საკმარისი სიფრთხილე გამოიჩინეს, რომ ეს ბრალდება არ გაემეორებინათ. მათ პრესაში მაქსტონი მხოლოდ «მუშათა კლასის რეაქციონერი მტერია», რაც მოხერხებულად ბუნდოვანი განსაზღვრებაა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რომ რამდენიმე მწარე გაკვეთილმა ინგლისის კომუნისტური პრესა ცილისწამების კანონის მასობრივ საშინელებას აზიარა. ფაქტი, რომ ბრალდება არ

გაიმეორეს ქვეყანაში, რომელსაც შესწევს დანაშაულის დამტკიცების უნარი, უკვე საკმარისი აღიარებაა იმისა, რომ ის სიცრუეა.

შეიძლება რჩებოდეს შთაბეჭდილება, რომ საჭიროზე უფრო მეტი დრო დავუთმე მომპ-ისადმი წაყენებულ ბრალდებებს. სამოქალაქო ომის დიდ უბედურებებთან შედარებით, ასეთი პარტიათშორისი კინკლაობა, ამ უკანასკნელისთვის ნიშნეული გარდაუვალი უსამართლობებითა და ცრუ ბრალდებებით, შეიძლება უმნიშვნელო გამოჩნდეს. არადა, ასე არ არის. მჯერა, ასეთ ცილისწამებებსა და ჟურნალისტურ კამპანიებს, ისევე, როგორც გონებრივ ჩვევებს, რომლებზეც ისინი მიანიშნებენ, ძალუძს მომაკვდინებლად ავნოს ანტიფაშისტურ საქმეს.

ყველამ, ვისაც კი თვალი მიუპყრია ამისთვის, იცის, რომ პოლიტიკურ ოპონენტებთან შეთითხნილი ბრალდებებით ანგარიშსწორების კომუნისტურ ტაქტიკაში არაფერია ახალი. დღეს მთავარი სიტყვა «ტროცკისტ-ფაშისტია», გუშინ იყო «სოციალისტ-ფაშისტი». სულ ექვსი-შვიდი წელია, რაც რუსულმა გასამართლებებმა «დაამტკიცა», რომ მეორე ინტერნაციონალის ლიდერები, მათ შორის, მაგალითად, ლეონ ბლუმი და

ინგლისის ლეიბორისტული პარტიის გამოჩენილი წევრები, მზაკვრულად გეგმავდნენ საბჭოთა კავშირში შეჭრას. დღესაც კი, ფრანგ კომუნისტებს ერთობ სიამოვნებთ ბლუმის მიღება თავიანთ ლიდერად, ინგლისელი კომუნისტები კი ყველა ღონეს ხმარობენ ლეიბორისტულ პარტიაში მოსახვედრად. ვეჭვობ, ასეთი რამ ნაზღაურდებოდეს, თვით სექტანტური თვალსაზრისითაც კი. ამასობაში ვერავითარ ეჭვს ვერ შევიტანთ «ტროცკიზმ-ფაშიზმის» განუწყვეტელი ბრალდებით გამოწვეულ სიძულვილსა და განხეთქილებაში. რიგით კომუნისტებს ყველგან უაზროდ ადევნინებენ «ტროცკისტებს», მომპ-ის ტიპის პარტიებს კი საშინლად უნაყოფო «ანტიკომუნისტურ» პოზიციაში აბრუნებენ. უკვე იწყება სახიფათო რღვევა მსოფლიო მუშათა კლასის მოძრაობაში. კიდევ რამდენიმე ცილისწამება ვეტერანი სოციალისტების მიმართ, კიდევ რამდენიმე ისეთი ყალბი ბრალდება, როგორიც იყო მომპ-ისთვის წაყენებული ბრალდებები და – განხეთქილების ნაპრალი ვეღარაფრით ამოივსება. ერთადერთი იმედია პოლიტიკური დავის შენარჩუნება იმ სიბრტყეზე, რომელზეც შესაძლებელია ამომწურავი დისკუსია. ნამდვილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან კომუნისტები და ისინი, ვინც მათგან მარცხნივ დგანან. კომუნისტების აზრით, ფაშიზმის დამარცხება შეიძლება კაპიტალისტური კლასის სექციებთან

ალიანსის მეშვეობით (სახალხო ფრონტი), მათი ოპონენტების აზრით კი, მსგავსი მანევრი ფაშიზმს ახალ ნიადაგს აძლევს მოსამაგრებლად. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს. მცდარი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება იმით დამთავრდეს, რომ საუკუნეები გავატაროთ ნახევრად დამონებულ მდგომარეობაში. მაგრამ რამდენადაც არავითარი არგუმენტი არ არის წამოწეული, გარდა ყვირილისა «ტროცკისტ-ფაშისტი!», ამიტომ ჯერჯერობით დისკუსიის დაწყებაც კი შეუძლებელია. მაგალითად, ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა ბარსელონას ომის მტყუან-მართლის განსჯა კომუნისტური პარტიის წევრთან, რადგან ვერც ერთი კომუნისტი – «მართლმორწმუნე» კომუნისტი – ვერ დაუშვებდა, რომ ფაქტების ჭეშმარიტ სურათს ვიძლევი. თუ თავისი პარტიის «ხაზს» მოვალეობის გრძნობით აღვსილი მიჰყვება, უნდა განაცხადოს, რომ ვცრუობ, ან – უკეთეს შემთხვევაში – უიმედოდ ამრევია გზა-კვალი და რომ ნებისმიერმა, ვისაც თვალი მოუკრავს «დეილი ვორკერის» სათაურებისთვის მოქმედების ადგილიდან ათასობით მილის მანძილზე, ჩემზე უკეთ იცის, რა ხდებოდა ბარსელონაში. ასეთ გარემოებებში ვერ იარსებებს ვერანაირი არგუმენტი, ვერ მიიღწევა შეთანხმების აუცილებელი მინიმუმიც კი. რა მიზანს ემსახურება იმის თქმა, რომ მაქსტონის მსგავსი ადამიანები «ფაშისტების მოსყიდულები» არიან? მხოლოდ იმას, რომ შეუძლებელი

გახდეს სერიოზული დისკუსია. თითქოს შუა ჭადრაკის ტურნირში ერთ-ერთმა კონკურენტმა უნდა იყვიროს, რომ მეორეს ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში ან ორცოლიანობაში. ნამდვილად საჭირბოროტო საკითხი ხელშეუხებელი რჩება. ცილისწამება ვერაფერს აწესრიგებს.

[1] **No, Inglés. Y tu?**: არა, ინგლისელი. შენ? (ესპ.).

[2] **centuria**: ჯარისკაცების რაზმი ძველ რომში (ლათ.).

[3] **Yo sé manejar fusil. No sé manejar ametralladora. Quiero aprender ametralladora. Quбndo vamos Prender ametralladora?**: მე ვიცი თოფის ხმარება. არ ვიცი ავტომატის ხმარება. მინდა, ვისწავლო ავტომატი. როდის ვისწავლით ავტომატს? (ესპ.).

[4] **macana**(მანიანა): ხვალ, სხვა დროს, მოგვიანებით (ესპ.).

[5] **მომპ**: მარქსისტული ორიენტაციის მუშათა პარტია.

[6] **Visca POUM! Fascistas – maricones!**: გაუმარჯოს მომპ-ს! ფაშისტები – პედერასტები! (ესპ.).

[7] **კგსპ**: კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტია.

[8] «ცდომილებებში» ორუელმა ჩაწერა: «ზედმიწევნით ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე მინახავს ფაშისტების მიერ აფრიალებული რესპუბლიკის დროშა, მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი ზოგჯერ აღმართავდნენ მას ზედ დატანებული პატარა სვასტიკითურთ».

[9] **კვარტა**: 1,136 ლ (ინგლისში).

[10] **მილსის ბომბი**: მაღალხარისხიანი ბრიტანული ხელყუმბარების პოპულარული სახელი. პირველი თანამედროვე მსხვრევადი ხელყუმბარა მსოფლიოში.

[11] **La Granja**: ფერმა (ესპ.).

[12] **en masse**: მასიურად (ფრან.).

[13] **Battalion de Choque**: შემტევი ბატალიონი (ფრან.).

[14] **მაჩანი**: სიმაღლეზე მოწყობილი ბაქანი, რომელიც გამოიყენება ვეფხვზე სანადიროდ

(ინდ.).

[15] მუშათა პატრულებმა, როგორც ამბობენ, დახურეს საროსკიპოების 75%. ბეჭდვითი შეცდომების მისეულ ნუსხაში ორუელი აღნიშნავს – «არ მაქვს არავითარი თვალსაჩინოება, რომ ომის პირველ ხანებში პროსტიტუციამ 75%-ით იკლო. ვფიქრობ, ანარქისტები მოქმედებდნენ საროსკიპოების «კოლექტივიზების» და არა გაუქმების პრინციპით. თუმცა, საერთოდ, პროსტიტუცია იდევნებოდა (პლაკატებით და ა.შ.) და ისიც ფაქტია, რომ ელეგანტური საროსკიპოები და სტრიპტიზბარები დაიკეტა ომის პირველ თვეებში და ისევ გაიხსნა მისი დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.

[16] **უნცია**: წონის ერთეული = 28,3 გრამს.

[17] **შეკ**: შრომის ეროვნული კონფედერაცია (ესპანეთში).

[18] **იაფ**: იბერიის ანარქისტული ფედერაცია.

[19]

დლპ: დამოუკიდებელი ლეიბორისტული პარტია. დაფუძნდა დიდ ბრიტანეთში 1893 წელს.

[20] **ჟენერალიტატი**: კატალონიის ავტონომიური ოლქის მთავრობა.

[21] იხ. დანართი I, რომელიც თავდაპირველად ჩართული იყო IV და V თავებს შორის.

[22] **მსკ**: მუშათა საყოველთაო კავშირი.

[23] იხ. დანართი II

[24] **ბლეკ ენდ ტანს (Black and Tans)**: ინგლისელთა დამსჯელი რაზმები ირლანდიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

[25] **გსპმ (ОГПУ)**: გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობა (რუს.).

[26] იხ. შენიშვნა გვ. 48-ზე.

[27] **ხუან ნეგრინ ი ლოპესი (1892-1956)**: ესპანელი პოლიტიკოსი და ექიმი.

[28] **incommunicado**: იზოლირებულად (ესპ.).

[29] **coup d'état**: სახელმწიფო გადატრიალება (ფრან.).

[30] პესეტას მსყიდველობითი უნარი დაახლოებით ოთხპენსიანის ტოლფასი იყო.

[31] იხ. მაქსტონის დელეგაციის ანაგარიშები (დანართი II).

[32] **El coronel –, jefe de ingenieros, Ejército del Este**: პოლკოვნიკი... საინჟინრო ჯარების მეთაური, აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალები (ესპ.).

[33]

წითელი წერილი: ბოლშევიზმის საყოველთაო შიში რუსული რევოლუციის შემდეგ. გავრცელდა ამერიკაში 1919-1920 წლებში.

[34] **რეინვეინი**: მდინარე რაინის ხეობაში გავრცელებული ვაზის სახეობა.

[35] **კორტესი**: ესპანური და პორტუგალიური პარლამენტის სახელწოდება.

[36] მომპ-ის წევრების რიცხვი 1936 წლის ივლისისთვის იყო 10 000, იმავე წლის დეკემბრისთვის – 70 000, 1937 ივნისისთვის – 40 000. თუმცა ეს რიცხვები თვით მომპ-ის წყაროებიდან მოდის, მტრული აღრიცხვა ამ მონაცემებს, ალბათ, ოთხგზის შეამცირებდა. ერთადერთი, რისი თქმაც დანამდვილებით შეიძლება ესპანურ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით, ისაა, რომ ნებისმიერი პარტია გადაჭარბებით ასახელებს თავის წევრთა რაოდენობას.

[37] მსურს, გამონაკლისი დავუშვა «მანჩესტერ გარდიანის» შემთხვევაში. ამ წიგნზე მუშაობისას დიდძალი ინგლისური პრესის გადათვალიერებამ მომიწია და იმ

ყველაფრიდან მხოლოდ «მანჩესტერ გარდიანი» მიტოვებს პატივისცემის გრძნობას თავისი კეთილსინდისიერებისთვის.

[38] **ბუენავენტურა დურუტი**: ცენტრალური ფიგურა ესპანურ ანარქიზმში სამოქალაქო ომის დროს.

[39] **სმპ**: სოციალისტი მუშების პარტია.

[1] **No, Inglés. Y tu?**: არა, ინგლისელი. შენ? (ესპ.).

[2] **centuria**: ჯარისკაცების რაზმი ძველ რომში (ლათ.).

[3] **Yo sé manejar fusil. No sé manejar ametralladora. Quiero aprender ametralladora. Qu6ndo vamos Prender ametralladora?**: მე ვიცი თოფის ხმარება. არ ვიცი ავტომატის ხმარება. მინდა, ვისწავლო ავტომატი. როდის ვისწავლით ავტომატს? (ესპ.).

[4] **macana**(მანიანა): ხვალ, სხვა დროს, მოგვიანებით (ესპ.).

[5] **მომპ**: მარქსისტული ორიენტაციის მუშათა პარტია.

[6] **Visca POUM! Fascistas – maricones!**: გაუმარჯოს მომპ-ს! ფაშისტები – პედერასტები! (ესპ.).

[7] **კგსპ**: კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტია.

[8] «ცდომილებებში» ორუელმა ჩაწერა: «ზედმიწევნით ვერ ვიტყვი, რომ ოდესმე მინახავს ფაშისტების მიერ აფრიალებული რესპუბლიკის დროშა, მაგრამ, ჩემი აზრით, ისინი ზოგჯერ აღმართავდნენ მას ზედ დატანებული პატარა სვასტიკითურთ».

[9] **კვარტა**: 1,136 ლ (ინგლისში).

[10] **მილსის ბომბი**: მაღალხარისხიანი ბრიტანული ხელყუმბარების პოპულარული სახელი. პირველი თანამედროვე მსხვრევადი ხელყუმბარა მსოფლიოში.

[11] **La Granja**: ფერმა (ესპ.).

[12] **en masse**: მასიურად (ფრან.).

[13] **Battalion de Choque**: შემტევი ბატალიონი (ფრან.).

[14] **მაჩანი**: სიმაღლეზე მოწყობილი ბაქანი, რომელიც გამოიყენება ვეფხვზე სანადიროდ (ინდ.).

[15] მუშათა პატრულებმა, როგორც ამბობენ, დახურეს საროსკიპოების 75%. ბეჭდვითი შეცდომების მისეულ ნუსხაში ორუელი აღნიშნავს – «არ მაქვს არავითარი თვალსაჩინოება, რომ ომის პირველ ხანებში პროსტიტუციამ 75%-ით იკლო. ვფიქრობ, ანარქისტები მოქმედებდნენ საროსკიპოების «კოლექტივიზების» და არა გაუქმების პრინციპით. თუმცა, საერთოდ, პროსტიტუცია იდევნებოდა (პლაკატებით და ა.შ.) და ისიც ფაქტია, რომ ელეგანტური საროსკიპოები და სტრიპტიზბარები დაიკეტა ომის პირველ თვეებში და ისევ გაიხსნა მისი დაწყებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ.

[16] **უნცია**: წონის ერთეული = 28,3 გრამს.

[17] **შეკ**: შრომის ეროვნული კონფედერაცია (ესპანეთში).

[18] **იაფ**: იბერიის ანარქისტული ფედერაცია.

[19] **დლპ**: დამოუკიდებელი ლეიბორისტული პარტია. დაფუძნდა დიდ ბრიტანეთში 1893 წელს.

[20] **ჟენერალიტატი**: კატალონიის ავტონომიური ოლქის მთავრობა.

[21] იხ. დანართი I, რომელიც თავდაპირველად ჩართული იყო IV და V თავებს შორის.

[22] **მსკ**: მუშათა საყოველთაო კავშირი.

[23] იხ. დანართი II

[24] **ბლეკ ენდ ტანს (Black and Tans)**: ინგლისელთა დამსჯელი რაზმები ირლანდიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

[25] **გსპმ (ОГПУ)**: გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობა (რუს.).

[26] იხ. შენიშვნა გვ. 48-ზე.

[27] **ხუან ნეგრინ ი ლოპესი (1892-1956)**: ესპანელი პოლიტიკოსი და ექიმი.

[28] **incommunicado**: იზოლირებულად (ესპ.).

[29] **coup d'état**: სახელმწიფო გადატრიალება (ფრან.).

[30] პესეტას მსყიდველობითი უნარი დაახლოებით ოთხპენსიანის ტოლფასი იყო.

[31] იხ. მაქსტონის დელეგაციის ანაგარიშები (დანართი II).

[32] **El coronel –, jefe de ingenieros, Ejército del Este**: პოლკოვნიკი... საინჟინრო ჯარების მეთაური, აღმოსავლეთის შეიარაღებული ძალები (ესპ.).

[33] **წითელი წერილი**: ბოლშევიზმის საყოველთაო შიში რუსული რევოლუციის შემდეგ. გავრცელდა ამერიკაში 1919-1920 წლებში.

[34] **რეინვეინი**: მდინარე რაინის ხეობაში გავრცელებული ვაზის სახეობა.

[35] **კორტესი**: ესპანური და პორტუგალიური პარლამენტის სახელწოდება.

[36] მომპ-ის წევრების რიცხვი 1936 წლის ივლისისთვის იყო 10 000, იმავე წლის დეკემბრისთვის – 70 000, 1937 ივნისისთვის – 40 000. თუმცა ეს რიცხვები თვით მომპ-ის წყაროებიდან მოდის, მტრული აღრიცხვა ამ მონაცემებს, ალბათ, ოთხგზის შეამცირებდა. ერთადერთი, რისი თქმაც დანამდვილებით შეიძლება ესპანურ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით, ისაა, რომ ნებისმიერი პარტია გადაჭარბებით ასახელებს თავის წევრთა რაოდენობას.

[37] მსურს, გამონაკლისი დავუშვა «მანჩესტერ გარდიანის» შემთხვევაში. ამ წიგნზე მუშაობისას დიდძალი ინგლისური პრესის გადათვალიერებამ მომიწია და იმ ყველაფრიდან მხოლოდ «მანჩესტერ გარდიანი» მიტოვებს პატივისცემის გრძნობას თავისი კეთილსინდისიერებისთვის.

[38] **ბუენავენტურა დურუტი**: ცენტრალური ფიგურა ესპანურ ანარქიზმში სამოქალაქო ომის დროს.

[39] **სმპ**: სოციალისტი მუშების პარტია.